

ქართველი

საბჭოთა უნივერსიტეტი
№ 1, 2013



ჩივის ინიციატივის სახელის ღია მოწოდების კონკურსი



სოფარის ვრცავას ახალი უწმნალის გაბატებას, ვრცავ შის
ჩერაჭვისას და შეითხვებას.

ՑՂՂԴՂ ՏԵԱԲՈՅ (ԿՅԱՋԱՀԻՆԴՂ),
ՏԵԱԲՈՅՆԵՐ ՔԱ ԵՎՐՈՍ ՑՈՒԺԻՄՅԵՐՆԵՐ

ანალიზი

№ 1. მარტი. 2013 წელი

ლიტერატურული

ეთნოსი

რედაქტორის სტუდია	
„რომ წმინდა არის განხრაზვა და სურვილი ჩვენი“.....	3
სამარტი	
ჩვეული ინანიშვილი ჩანაწერები	4
მოწინა	
ანთონ აბაციშვილი	6
ანდრი ბარიძე	7
თანამდებობი ავსაკანიშვილი	9
ნინო ტახიაშვილი	14
თამაჩ სახესვაძე	16
ნინო კოჭოსაძე	18
მოწინა	
ნოლა მარასაშვილი „წითელი მოხელის ვნებანი“	21
თავანა ბახეილაძე „ყველაზე დიდი“	25
ლევან ცოხია „კვირის კაცი და... ანუ მეც ავალ ევერესტზე“	29
ბიბა ბახიაშვილი „სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში დაწერილი“	35
ლილა ჭიათურაშვილი-სახელისავაშვილი „ნუ ეხუმრებით სიზმრებს“	39
ერთობლივი	
ქათავან ეოლიძე „და მერე კვართის პატრონიც მოვა“	44
ნილი ბობაუძე „ზამთრის პირის ლექსი /სერ/“	44
მოწინა	
ბიორბი სხვიტახია „ქურთა“	45
მოწინა	
ბიორბი ლალაშვილი ვალში ვართ ქართველებთან	49
გოლიძე პატრიარქის გამოსწორება _ შორია უკვდავებამდე?.. ..	52
მანანა ჩიტიშვილი _ სამი დაუვიწყარი შეხვედრა	55
„წილი ქოლოის გარეშე ჩემი ჩემი რობერტი“	
ივანა აკაფახიძე ჭეშმარიტი რაინდი	59
მნიშვნელოვანი	
გურამ პეტრიაშვილის სილამაზის წიგნი	62
მოწინა	
ჯამები ჯიშახიანი ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან	64
დარბაზი	
ბიორბი ბაზისაიანი, თისა თვალიძე	69
„სხვა საძიროებლი სად თუ?“?	
ბიორბი ზურბიანი, ზაზა საყაშვილი (ჰერი)	72
სურათი	
ნე. ამბერსი (ხელაინა) „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“.....	74
სსორის კრისტიანობი	
„შესვენებლებ ჩის ბელახი“ დიმიტრი ზვიადაური უცნობი ლექსები	80
თარგმანი	
ჩერახ აკვაზე „ტალღის ქაფი“ (თხზულებიდან „საუბრები ლევკოსთან“)	84
მოწინა	
თამაჩ შაგმათაშვილი	88

საქართველო-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ეკინაც „ანეულთან“ ახსებელი
ციფრული გაერთიანება:

მანანა ჩიტიშვილი
თამარ მიქაელი
ქეთიევან დოლიძე
ნინო ჩხილვაშვილი
ჯუმავრ ჯოგარიანი
თემურ ჩალაგაშვილი
ივანე ჯავარიძე
თამაზ ხმალაძე
ლეილა ქიმიშვილი -
სახლისუციშვილი

მთავარი ჩედაქუმრი

თამარ ჭავჭავაძეშვილი

პასუხისმგებელი ჩედაქუმრი

სოფიო ჯავარიძე

ცოგოს ავტომობილი

ბიორბი ზეჩებიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გოჩა სოჭიაშვილი

განეკანზე: ნები ბიბის შემოქმედება

ჩატარების ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტ-ფოსტა: aneuli@mail.ru

ლეიტუროს სტუმენი

„რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი“...

„ანეული“ გაზაფხულის ნახნავს ნიშნავს... მწერლისთვის – რუდუნებით გავლებულ კვალს... მზის სხივებით გამთარი ხნულიდან ამობიბინებული ჯეჯილი ბარაქიანი სიტყვით დათავთავებულ ყანად უნდა გადაიქცეს... ილა ჭავჭავაძემ მწერლობა გონების ნაჭირნაზულევ ხვავს შეადარა, სადაც „წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახიც“. წმინდა ხორბლის მოსავალი კი ოლად არ მოდის. ჭეშმარიტი ლიტერატურის დანიშნულება არა ოდენ საკუთარ პირად განცდებზე და „გულთა წვა-დაგვაზე“ ჩივილია, არამედ პასუხისმგებლობაა ერის ბედის, მისი აწმოსა და მომავლის წინაშე, „მოაზრე ცხოვრების აზრთა სკლასა და წარმატებაზე“...

„ვინა ვართ? რანი ვართ?“ – ილა ჭავჭავაძის ეს შეკითხვა დღეს უწინდელზე მეტი სიმძაფრით გვახსენებს თავს. მწერლობის ვრცელი ასპარეზი ენის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, ისტორიისა და სხვა ფასეულობათა შესწავლას უნდა დაკუთმოთ, რასაც მანამდე ვერ ამჩნევდა მიძინებული ეროვნული ცნობიერებაო. ილამ, ვინც „საკუთარი მხრებით აზიდა დროების ტვირთი“, თანამედროვეობას შემოუძახა: „გამოეჩინა, სიყვარულის საგნად ექცია ის, რითაც ეროვნული გრძნობა განიცდება, როგორც რაღაც სილრმისეული მისწრაფება თავისი ხალხისაკენ, როგორც თავის პოვნა სხვებთან ერთიანობაში“...


არანაკლები განსაცდელია დღეს ჩვენი ერის თავზე გუმბათმორდვეულ საქართველოში ისევ გვარომევს მიწა-წყალს მტერი, ისტორიას გვიყალბებენ, ტაძრებში ფრესკებს შლიან... ქართული ენა, შემძული და კურთხეული, საფრთხეშია – ენის ნორმათა დამდგენი კომისია და ენის სახელმწიფო პალატა აღარ არსებობს. ენის „ეკოლოგია“, ლექსიკა, სინტაქსი ყოველდღე ირლევა. უამრავი უცხო სიტყვა თუ ფორმა მკვიდრდება, მორფოლოგიაშიც იჭრება და ენობრივ სისტემას ანადგურებს, სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ მომავალში სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს ერთმანეთთან ურთიერთობაც კი გაუჭირდეთ... ტერიტორიები შესაძლებელია დაბრუნდეს, ენას კი ვეღარ დავიბრუნებთ!

ასეთ ვითარებაში კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“ არა მხოლოდ ლიტერატურული და საქელმოქმედო საღამოების გამართვას აპირებს, არამედ – ეროვნული ფასეულობების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე იზრუნებს, სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლებს და ერთობლივ საგანმანათლებლო ღონისძიებებს ჩაატარებს. წიგნისა და ქართული სიტყვის სიყვარული ყველაზე უფრო მეტად მწერალთან პირისპირ შეხვედრას მოაქვს!

ჩვენ უნდა განვაგრძოთ ის გზა, რისთვისაც ილია და მისი თანამედროვენი იბრძოდნენ, უნდა ვიღვაწოთ ჩვენი კულტურისა და სულიერი სამშობლოს გადარჩენისთვის! „რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი“...

„რეზო ინანიშვილი წერდა, მწერლისთვის მხოლოდ დარაჯის ადგილი დარჩა და მასაც დარაჯივით უმწეოდ აქვს ხელები გაშლილიო. ოთარ ჭილაძემ მწერალი დავიწყებული ცოდნის საფლავზე დარგულ იმ ხეს შეადარა, ადგილის ხსოვნა რომ ევალება. ხსოვნის დარაჯი – აი, დღევანდელი ჭეშმარიტი ლიტერატურის დანიშნულება მანამ, სანამ რაიმე ახალს იტყვის ისტორია და დრო, რაიმე ახალ გზაზე მიუთითებს მწერლობას“ (მანანა კვაჭანტირაძე)...

დიახ, ჩვენ ხსოვნის დარაჯები უნდა ვიყოთ... და ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ ხსოვნის უძვირფასეს ანეულს, რომელიც 21-ე საუკუნის გარიურაჟზე ახალი სუნთქვით იბადება....



სონები

ჩივაზ ინანიშვილი

ჩანაწერები*

* * *

მწერლობა მაინც სხვა არის. ნამდვილი მწერლობა, მას ყოველთვის თან ახლავს ღვთიური შუქი, რომელშიც ხარობს ჯეჯილიც, შვლის ნუკრიც და ჩვენი სულიც.

* * *

გასაოცრად მაღალია საბჭოთა პუბლიცისტიკის დღევანდელი დონე. უცებ ამოიფრექვა ის ცოდნა, რაც ჩაფიქრებული, ჩაიდუმალებული იყო ჩვენს ხალხში, ჩვენს ინტელიგენციაში. რა სიღრმებში, რა სიბძელეებში არ ხედავენ თითქოსდა აბსოლუტურად უხილავს, მაგრამ მაინც ჩანს, არავინ იცის უმარტივესი რამ — როგორ მოიყვანონ ჩვენი სამყოფი პური ამოდენა მიწაზე. მთელი ჩვენი ყურადღება გადატანილია დაწესებულებათა და უწყებათა ახლებურად მილაგ-მოლაგებაზე.

* * *

როდესაც ისტორიის ჭრილში ვიჭვრიტები:

მე ვხედავ ჩემს ნაცნობ მთებს, ნაცნობ ხეობებს, მინდვრებს, ტაფობებს, ხეებიც ისეთები დგას, მე რომ მინახავს ოდესლაც, სადღაც ბალახებიც — ხმელი, გადატეხილი ნარები, ზედ ჩიტბატონები, იქით ზურგნაიარები გამხდარი ცხენი, მაღლიც ისეთი დგას, ახლა რომ

გამოვა გზაზე. გოგო-ბიჭებიც — ცოტა მეტად შებორბლილი უხეშ სამოსში და მხოლოდ ჰაერი მეჩვენება სხვანაირი — ცოტა ლურჯი და მკვრივი, ჰაერში სახლები — შემკრთალნი ამოფარებულნი ერთმანეთს.

* * *

რა კარგი იყო, ჩვენს ზემოთ რომ გვეგულებდა იდუმალებით მოსილი მწერლები. როგორ ვოცნებობდით მათზე. ერთხელ ქუჩა გადამიჭრა დემნა შენგელაიამ, მერე შედგა და იხედებოდა აქეთ-იქით: ალბათ ვინმეს ელოდა. მეტი არაფერი. მთელ დღეს კი კარგად ვიყავი, რაღაც ამაღლებული, გუნებადაწმენდილი. როგორ გავბედავდი, მენატრა მის ადგილას დგომა!

* * *

ძალიან აღვილია გიყვარდეს გარდასულ ეპოქის ადამიანები: ალექსანდრე, ცეზარი, ავრელიუსი, დანტე, ვიონი, სულხან-საბა, პუშკინი, ვაჟა, ბლოკი და სხვანი. ძნელი შენი თანამედროვეთა შეყვარებაა. მით უფრო — უბრალო ადამიანებისა. მწერლის სიღიაღის ერთ-ერთი ნიშანი კი ეს არის — როგორც ჭეშმარიტმა მკურნალმა, ზიზლი არ უნდა იცოდეს არაფრისა.

* * *

* * *

სერგი ჭილაძა ამბობდა – გიორგი ლეონიძის სულს ვენაცვალე. ე.წ. მეგრელიზაციის პირობებში იმან გადამარჩინა, თორემ ახლა ჩემი ძვლებიც არ იქნებოდა ქვეყანაზეო.

* * *

ძლივსლა დავათრევ გასიებულ გულს.

* * *

ჩამოსულნი არიან უკრაინელი პოეტები და მწერლები დღეს, 30-ში. წაუყვანიათ საგარეჯოში, რა თქმა უნდა, „პატივსაცემად“. მე არავინ არაფერი მითხრა. საგარეჯოში ხომ გიდად მაინც გამოვადგებოდი დალოცვილებს.

აუჰ, რა მემართება! ძალიან მომინდა არაგვის ხეობა. მაღაროსკარის ზემოთ ახლა მამყოფა გუდანის პანტასთან.

* * *

ვუყურებ თანამედროვე ახალ-გაზრდებს და ვფიქრობ: ნუთუ ესე-იც შეიძლებენ სიყვარულს, სათნოებითა და პატიების უნარით აღსავსე სიყვარულს? მეეჭვება. იმდენი ვეჩიჩინეთ დაუნდობლობის აუცილებლობაზე, ოდესმე ხომ უნდა გამოეღო ამას თავისი ნაყოფი? და გამოიღო. მომხმარებელი მიღის მომხმარებელთან. დღეს ესაა სულ.

* „ანეულის“ ექსკლუზივი

ფერწერა მძივებით

ზოგიერთ ადამიანს უფალი დაბადებისთანავე ხელოვნების, ან მეცნიერების ნიჭით აჯილდოვებს. მათგან უმეტესობა ბავშვობიდანვე იწყებს გამუდავნებას, გამონაკლისი კი – მოწიფულობის უამს. ამ კატეგორიას განეკუთვნება ქალბატონი ნელი ბერაია.

ღმერთი ყოველ მათგანს აძლევს მიმართულებას, თუ როგორ გამოამჟღავნოს, ანუ რომელი ტექნიკით აამდეროს თავისი სული ხელოვნისა.

ქალბატონმა ნელიმ მძივებითა და ულამაზესი ფრინველთ ბუმბულებით იწყო მხატვრული კომპოზიციის აღსრულება და მხატვრული გემოვნების თვალსაზრისითა და ტექნიკით ძალიან საინტერესოდ გამოსდის.

ქალბატონ ნელის მრავალი ნახელავთაგანი პატრიოტული შთაგონებითაა მორთმეული. იგი ასევე დიდ აღგილს უთმობს რელიგიურ თემას, კერძოდ, წმინდანების შთამბეჭდავი გალერეა შექმნა: დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, წმინდა გიორგის, წმინდა ნინოს, წმინდა მარიამ ღვთისმშობლის...

მხატვრის კოლექციას ეკლესიების გამოსახულებებიც ამშვენებს. საოცრად მდიდარია მისი გალერეა. იქ ინილავთ როგორც ლირიკულ, ასევე პოეტურ, სიმბოლისტურ წიაღსვლებს და აქა-იქ დრამაც შეინიშნება.

ქალბატონი ნელის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა ბუნების სილამაზეს. იგი შესანიშნავად ასრულებს ყოველივეს. აღსანიშნავია მისი ნატურმორტები (იხილეთ უურნალის გარეკანი).

ფაქტი, უცნაური და მიმზიდველია მისი ტექნიკა. იმედი მაქს, ქალბატონი ნელის ნაწარმოებებს მრავალი გულშემატკივარი და მნახველი ეყოლება მომავალში.

რეზო (ემელიანე) აღაშია,

მხატვარ-პროზაიკონი

ქორქი

ანზორ აბელაშვილი



ღვთისგან განდგომა

ამ ხესთან ადამს რა უნდა,
იმ ხესთან ევა თუ არი...
ღვთის სიტყვას ცოლი განუდგა,
ქმარმაც ვეღარ თქვა უარი.
ვით მე, იმ ადამს ყველა ჰგავს,
ცოდვისთვის ყველა მზად არი,
მოტყუებული ევასგან
მიღლიობით ადამი.

მეორედ მოსვლის იმედი

მეგობრის – იური გაბისონიას წილი

სულს ვეღარ ვითბობ, ვაგლახ,
უკვე ამა მზის მზერით,
განშორებასაც მასთან აღარ
ვნანობ ეული.
დღეს ვით სიცოცხლე, ძაბუნია
ჩემი სიზმრებიც,
დღეს აღარ მიკვირს, რასაც
გუშინ გავიკვირვებდი.
ვარ ხვატ-ყინვაში დარჩენილი
დამსკდარ ლოდივით.
მაინც აქამდე არ მომქვდარა
ჩემში იმედი,
რადგან სიცოცხლეს ელის
კვლავაც ჩემი ლოდინი.

ფერმრავლობა ამა ქვეყნის რომ არა,
ვარსკვლავები გულზე თუ არ გეყარა,
ტრფობამ თვალი ცრემლით
თუ არ მონამა,
როგორ უნდა შეგიყვარდეს ქვეყანა.
უქრობელი მზის და მთვარის
მე – შვილმა,
მონუსხულმა კვლავაც ია-ენბელით,
მზე – ნესტანის სიყვარულით შეშლილმა
სიძულვილი ვერავისი შევძელი.

* * *

როგორ უხარის იბუზლუნოს
სიბერემ ჩემმა,
დრომ ხომ გიუდება – სიძაბუნე ჩემი
ამხილოს,
ისე მაყვედრის მსახურებას
გული თუ წწევა,
რეცეპტა დასტა ლამის თავზე
გადავახიო.
მაინც ისეთი რა საძნელო გზებით
ვატარე,
სანაცვლოდ მისდა შურისგება ესე
მარგუნა.
თუ ტარიელზე ამ წყლის პირას
მეტი ვიტირე,
პირიქით, ცრემლი გულზე უნდა
მეგრძნო სალბუნად.
შენ კი ყოველდღე გინდა მხოლოდ
ურვა მარგუნო
და ძლევად ჩემდა შხამს მაწვეთებ
გულში დაუტევს,
მაინც აქ ვდგავარ და რაც უნდა
დამაძაბუნო,
ამქვეყნიური ცოდვებისკენ მაინც
გავუტევ.

ՆՅՈՒԻ ԾՎԱԲՈՒՇ



մոմղանա

Շենո նառկյեծո վարմօն յշիան,
Ցշնիքն ու ուստի առաջանա,
Հա մտելո կայսանա նառկյեծո
Վալն մտրուռարյ,
Իշմո տալեն ու և սանց ոյ արու,
Իշեն ոյ յրտագ զարտ,
Ցշնիք յանառն ու
Ցպականա սաայառնո...

* * *

Վայսուրենա ալիցա,
Ռազգան զուացա ցայտպա հմենա,
Մյ կո յենա զար... Կորցո ու մալո,
Ու մալո մովուս

Երկուալ Ցորց Ցե Վիշար.

Խալա մեցլենա ու Նոնտյա մեյարուս,
Ռուա զարսկալազո ցադադուս ցնուան,
Մովուս վեխեն Շոմելո նեյնուտ
Ու իշմո լուն յարուատ ծնունազս.

Սարամո

Խալուս մնե, ու մոռնս,
Շանչարուս մոնենին
Ցադալպա ցարմեն նենանա,
Խալուս մնե, ու մենց
Տուրութլուս ծոլուս
Նենանատ սարմե ցարենանա.
Խալուս մնե, յարո խալու ներենան,
Շեն ցայտուրենա մուլամ ցինուրենա,
Ռանե մելիպա մնուս ինանենա,
Ռուա լուն վարապ կո ցաւութուրենա.
Ռա շնուս մետյա, ալարու կո մանսուս,
Ռազգան շնուս վոյեն, ալնատ առ ցուս:
Մարալ մոնենին ցարալպա սասո
Ու նայլետենա ոյը յարուտուս.

յալայիս մոլմա

Գանատենա յալայիս մոլմա,
Կորոմեն ոյ յանա ցենուունու,
Շալլուունու մցելո դայմեն ունալս
Ու լուն նենու ալցան ծենուունու.
Շալլուունու մցելո դայմեն լուկման,
Ացարակյենսա ու նամցեն մոլմա,
Ռյալուունեն ոյ յան, յարայուն սկան,
Շալլուունու մցելո
Կորցուս նուն ոյրացս.
Մերո պմուունուտ ծնել լումունս

առլազեն

Ու ցայտունենա Վարմօնա պմուունու,
Պմուուն ոյ յան ցարենեն յարենեն
Ու լուն ջանեն մցելո պումուունու.
Լուն ուն ջամեն, ե ու Վարմօնա յարենեն
Ու տացուս յալան մոաձանեն Վարմօնա յարենեն,
Ու մամեն ու յարուս կո ինրացեն
Մոացեն,
Սարաց ցարենուունու յուտուռեն պրուս.
Եւս ցարաունուս, ցարենա Վարմօնա յարենեն
Ռուար ցարեն մուն սասուրացետա,
Մերո ցարակըրուս նենան նասերս,
Վարմօնա ին ինրացեն լուն լուն
Պարամուս ին ինրացեն լուն լուն.

Ցարակըրուս.

გახედავს ქალაქს, ცარიელ სკვერებს
და სიბრუნვები გადახრილ სახლებს,
სადაც ვიღაცა ასკლება წერვებს
და დამეს ველურ ყვირილით

არღვევს,

სადაც ვიღაცა დაეძებს წუგეშს,
ებღაუჭება და ხელს არ უშვებს
და ღამის შუქზე გადახსნილ გუგებს
აბჯენს ქარისგან დაბზარულ შუშებს,
სადაც თვრებიან ღამეში ხორცით
და მერე ჰუკენ დღის შუქზე

სირცხვილს,

სადაც ვიღაცა ბნელ ხატებს კოცნის
და საფეხქლები ეწვება სიცხით.

სადაც ღამეა, ვეება ღამე,
განათებული ჩამკვდარი შუქით,
სადაც ნამუსრევს კბილებით ხრავენ
და მოწოდილი სიბრუნვე უკვირთ
გამობრუნდება, ზურგს აქცვს ქალაქს,
ყმუილით შეძრავს მუცლიდან გვრემა,
მიწაზე დადებს დამშეულ ქალას
და ელის თეთრი ცხენების რემას.

* * *

შუაღამისას წამოვდექი, შუქი არ იყო.
მთვარეგადაღვრილ მაგიდაზე
ვეძებდი ლამპას,
და ცარიელი ოთახები

მიდასტურებდნენ

ჩემი ცხოვრების უცნაურ და
უბრალო ამბავს.

სკამს გადავაწყდი უცაბედად
და ჩემსავე ხმაურმა გამცრა,
ვიღაც სუნთქვდა

განათებულ კედლების მიღმა,
ცაზე ქაღალდი შრიალებდა
დარღვეული ღრუბლების ნაცვლად
და ვგრძნობდი ისევ
ჩემს კედლებზე ჩამოღვრილ იღბალს.
რა უნდა მექნა.

წამოვდექი. შუქი არ იყო.
სულის შებერვით გავაღვივე
ჩამქრალი ლამპა.

შორს, წენეთის გზაზე
მოციმციმე ელნათურები
წენარად ჰყვებოდნენ სიკვდილის
და სიცოცხლის ამბავს.

მამას

მე შემოგყვები დროის წიაღში,
რომლიდანაც შენ უკვი გახვედი,
ერთად ვიქნებით ღამის წინაშე
და არ გვექნება იქ სხვა ნაღველი.
დროის სიღრმეში. საშინელია
ეს დროის სიღრმე, ეს კუნაპეტი.
მატარებლის ხმა. მუქი ჩრდილები.
შენ წამოხვედი და მეც წავედი.
მე შემოგყვები დროის სიღრმეში,
რომელშიც გვიან ისევ დაბრუნდი.
დროის სიღრმე რა საშინელია,
რა შემზარავი, რა უდაბური.
ვიცი, იქ დგანან ბნელი სახლები,
ჯუჯა ხეები და ზიმინჯები,
მტკვარია, ხიდი, ბაზრის დახლები
და ხიდქვეშ წყალი ნელა ირჯება.
ნუთუ ეს იყო მთელი ცხოვრება,
შეგხვდით თუ არა, იქვე დავშორდით...
ამ თამაშს ერქვა, ალბათ, ცხოვრება,
რომელსაც დიდხანს არ თამაშობენ.
მოდი, შევიდეთ დროის სიღრმეში
და გადავეყრდნოთ ქვის მოაჯირებს,
შენ ერთხელ კიდევ ამოიხვენეშებ,
ხიდი კი მტკვარზე გაშლის

აჩრდილებს...

იქნებ გიმტყუნე. არ მიმტყუნია,
მაინც ნურაფერს ნუ დამაბრალებ...
მტკვარი მიჰყვება წყვდიადს ტყეუილად
და მტკვრის ტალღები

პგგანან საფლავებს.

თენბო ავსახანიშვილი

გაცხადება

უხილავს და დაფარულს,
რასაც მუდამ ვეტრფოდი,
საწუთრო რომ მიმალავს,
გარდაცვლა მომანიჭებს,
რომ დარაჯობს ვეშაპი,
იმ წიაღს გავეცნობი,
საოცარი რომ არი —
ზღაპრულ განძთა კარიბჭეს.

წარსულსა და მომავალს
აწმყოს ხიდი აერთებს,
წარსულს არ ივიწყებდეს,
ერი ვალდებულია,
დედაენას ქვეყნისას
დღესაც ბევრი დაეძებს,
ლაზარეს საიდუმლო ტაბუდადებულია.

სული თავისუფალი
გადამაფრენს სხვა მხარეს,
ვნახავ წმინდა ოქროთი
ნაჩუქურთმებ ქალაქებს,
სადაც მანათობელი
არც მზეა და არც მთვარე,
სადაც ნათლით ღვთიურით
სულიწმინდა ანათებს.

იქ, სადაც ინახება
ძველი ოქროს საწმისი,
ახალ აღმოჩენების სული მოიმედეა,
ბაზალეთის ტბის ძირას,
ყრმას მწოლ სოქროს აკვანში,
ახლაც არწევს ისევე ღედოფალი მედეა.

სადაც უფლის სუნთქვაზე
სიცოცხლის ხე შრიალებს,
სად ზეპური ყანაა
ვერცხლის ნამით სოველი,
ის ხე ცასა და მიწას ისე აერთიანებს,
როგორც ყელადერილი
ჩვენი სვეტიცხოველი.



დედამიწის წიაღში დიდი საიდუმლოა,
როგორც ცათა წიაღში
მადლი უფლის ნათების,
ვინც იმ ნათლით ივსება, გენიოსი გამოვა,
იმ სინათლეს ვუმადლო,
თუკი მეც გადავრჩები.

ყოველი საიდუმლო ამ ენაში დამარხეს,
ბოლო ჟამსაც ქართული
კვლავ იქნება რჩეული,
ღმერთი ყველას ამ ენით
გამოუტანს განაჩენს,
ბოლოჟამს გაბრწყინდება
დასაბამისეული.

სული ვამოგზაურე უჟამობის სივრცეში,
უფალი მაპურებდა სიტყვით —
ციურ მანანით,
თვალებგაბრწყინებული
იმ მწვერვალზე ვიდექი,
სადაც იყო მიღმიურ მზეთა აღმოსავალი.

ყოველივე რაც იყო, იყო ანგელოსური,
ღმერთის საღიღებელი
გალობა გაისმოდა,
დავგმე წუთისოფელი,

სულ სიკვდილით ორსული,
ვნახე უფლით სავსე და
მშვიდი მარადისობა.

აქ კი, წუთისოფელში,
ჩამომდგარი მწუხრია,
მწუხრის ლოცვით მაღლდება
ღვთისად სულის მიმტანი,
ვისაც ბოროტებისთვის
ქედი არ მოუხრია,
მისთვის ცისკრის ვარსკვლავით
გაიხსნება ღვთის კარი.

სიხარული შემოაქვს ასეთ სიმწუხარეში,
წმინდანს ანგელოზები —
ბავშვნი მოუნათლია,

მაცდური შეგვიტყუებს
კოჯორხეთის არეში,
თუქი არ მივენდობით
ჩვენს უწმინდეს პატრიარქს.

უკვე დაწყებულია სააქაოს ქაოსი,
აქ სატანა ღამეთა
თავს მძლეველად ასაღებს,
ეშმაკეულთ დაფარავს ღვარი სააქაოსი,
ღვთისწილხვედრი ინახავს
გადარჩენის გასაღებს.

* * *

გადვიხვეწები აქედან
და მთებს დავტოვებ უბრებსა,
წუთისოფელის გადაღმა,
მეც გადავყვები ღრუბლებსა...
ჩემზე შავთ ნურვინ ჩაიცომთ,
წყენით ნუ შაჰკრავთ შუბლებსა,
თავს გაუფრთხილდით, ჩემს გამო
თოლთ ნურვინ დაიმდუღრებსა...
წავიღებ თქვენ ჭირ-დარღუბალს,
მთებსაც დავტოვებ უბრებსა,
ჩემი მზეც ჩავა საბუდარს,
ჩემს ცაზეც მაიღრუბლებსა.

* * *

მიეც კეიისარს კეიისრისა,
ღმერთს კი — ღმერთისა,
— აი სიტყვები ხალხისათვის
ღვთისგან მიწვდილი.
იმისთვის გავჩნდით ამა ქვეყნად —
თქვენთვის მეც მითქვამს —
მივცეთ სიცოცხლეს სიცოხლე
და სიკვდილს სიკვდილი.

* * *

დავრჩი ისევ მარტოსული,
თვალი ცრემლში ბანაობს,
ჩემთვის ეგ ხმა ჯადოსნური,
აღარ იავნანაობს.
გარეთ დაქრის მქაცრი ქარი,
ხმა გაკმინდეს ჩიტებმა,
ეს მოხუცი — ეს ზამთარი,
სულ თეთრ ზღაპარს მიყვება.
რაც ვიყავი, ისვე დავრჩი,
ჩემი შეცეცლა ძნელია,
ჩემში ისევ დიდი ბავშვი
და პატარა ბრძენია.
არად ვაგდებ კვლავ ჩინ-მედალს,
ჯილდოებს არ მივტირი,
აქ დროებით უკვდავებას,
ჯობს დროებით სიკვდილი...
ამ მიწიერ ცხოვრებაში,
დრო ყველაფრის მცვლელია,
ჩემში კი კვლავ დიდი ბავშვი
და პატარა ბრძენია.

ძმაო, ეს ერთი გული მაქვს

ჩემს ძმას და მეგობარს
ჯუბა ღებელს
(ჯუმბერ გოგრიშვილის)

ძმაო, ეს ერთი გული მაქვს,
ქვეყნად ერთი მყავს ღმერთიცა,
მიმღევარი ვარ, დამცველიც,
ძმაღნაფიცობის წესისა,
ხევს ხატობაზე ამ ჩემ გულს,
კრავივით დავკლავ შენთვისა!
კარგადაც დაგამწყალობებ
ღვინოგარეულ ლექსითა,
შეგვეღრებ მამაწმინდასა,
საქმეთ არ ასცდე კეთილთა,
კაცთგან ვერ დაიწუნება,
მოწონებული ღმერთისა!

* * *

არ გამოვცვლილგარ, მე ისევ მე ვარ,
დამაქვს ღვთის სული და მიწის ვნება,
ვინც თავის ხატად შემქმნა,
მას ვგევარ,

მამა ღმერთია და მიწა ღედა.
ეს დედამიწა გულში ბევრს მალავს,
არ მიმხელს, ძველი არ
ახსოვს თითქოს,
საიდან მოველ, ვინა ვარ, რა ვარ.
სული კი ღვთისკენ

ფრთის გაშლას ითხოვს
და ძველებურად მიპურებს ამ სულს
ჩვენი ქართული საუფლო ენა,
გულის ყური კი აყურებს წარსულს,
გონების თვალი მომავალს ზვერავს.
არ გამოვცვლილგარ, მე ისევ მე ვარ,
სევდიანი და ბავშვივით წრფელი,
კვლავ დედამიწის კალთაში ვწევარ
და ციდან ახლაც მამა ღმერთს ველი.

* * *

ეგ შავი თმები — შავი არაგვი,
გრძნობის ამშლელი, დაუწყნარები,
ეგ შენი ტანი — ისე ლამაზი,
როგორც არაგვის ლურჯი ჭალები.
არაგვო, ქართველს ღვინოდ მერგები,
თუ შეგსვი ჩემი საქმე წასულა...
ეგ მზის სხივები — ოქონს თევზები
ვწედავ, შენს თმებში

როგორ დაცურავს.
თმების არაგვით ჩამომიქროლებ,
გამომაფხიზლებ და დამაფეთებ,
შემომასხურებ თმათა სისოლვეს
და თმათა შხეფებს შემომაშხეფებ.

მაგ ჩანჩქერივით მჩქეფარ დალალ-თმებს,
როცა მწყურვალი მივეტანები,
შენი მხარ-ყელი გაიქათქათებს,
ვით დათოვლილი ლურჯი ჭალები.
მე ქართველი ვარ, შენ საქართველო,
ნუ შემიწყნარებ ფეხზე დავარდნილს,
ჯობს, წარმიტანო და გადამთელო,
მაგ შენი თმების შავი არაგვით.
ვცხონდები, შენს ცრუმლს თუ ვეზიარე,
თუ გამბან შენი თმების ჩქერებში,
ეგ შენი გიშრის თმების მდინარე,
მიედინება სასუფეველში.

* * *

ერთ კარგ გოგოს ენატრები,
ჩიტმა მაცნობა,
რა ხანია შენზე ფიქრობს,
უნდა გაცნობა.
ნუ შემზვდები, ნუ გამიცნობ,
ნაზო ფერია,
სიღარიბე
შენთვისაც ხომ საძაგელია.
ყველა ქალს სურს დედოფლობა,
მორთვა მდიდრულად,
ვინც მიყვარდა
სიღარიბისთვის მომიძულა.
ახლაც ისევ დავწანწალებ
ქვეყნის გერივით,
კასრიც არ მაქვს,
რომ ვიცხოვრო დიოგენივით.
ეს თბილისიც სწყალობს მხოლოდ
მდიდარ “კლიენტებს”,
ჩემთვის საფლავის მიწასაც
არ გაიმეტებს.
ვსვამ და ღვინით
დარღები კი არ ქარვდებიან,
ღვინო ჩემი დახმულ გულის
გასაღებია...
პოეტებში, როგორც ბროლში,
შავ ქვად ვრევივარ,
შენი ნაზი ყვავილისთვის
მხოლოდ მტვერი ვარ.
ვწერ და მისთვის კი არა ვწერ,
ფული ვიშოვო,
მსურს ლექსებით გატანჯული
სული ვიცხონო.
ჩემი სული მორაკრაკე
წყარო თუ არი,
სხვებს არწყულებს, თავად რჩება
მუდამ მწყურვალი,
ასეთ ყოფას ნუთუ შენთვის
რამე ხიბლი აქვს,
სიღარიბის შეყვარება
თუ შეგიძლიათ?!
მითხარ, შენი ჩემთან მოსვლა
რა წამალია?

ყველა ქალი ჩემთვის ტკბილი
საწამლავია...
ვიცი, მწარე სასმენია
ცრემლით გალობა.
ყოფა ჩემთვის სასჯელია,
შენთვის – წყალობა,
ბოდიშს გიხდი, სულში ლექსად
შემოგვრქვევივარ,
შენ ვარდი ხარ, ვარდებისთვის
მე ხომ მტვერი ვარ.

* * *

უქალოდ მცხოვრებს და
ქვეყნიდან განდეგილს,
ნისლივით მიუარავს
სხეულს მჩვარ-სამოსი,
სენაკის კარს მხოლოდ
მზისათვის ვალებდი,
მე ქვეყნის ცხოვრების
დინებას გამოცდი.
ტანჯულ სულს ვიცხონებ
ლოცვით და ვედრებით,
ეს თიხით შექმნილი სხეული მაღონებს,
მე მხოლოდ მიცნობენ
წმინდანთა ფრესკები,
მე მხოლოდ ვუყვარვარ
ზეციურ მაღონებს.
განდეგილს მომესმის:
ბეთლემი სად არის?!
შემკრთალი ქალის ხმას ქარები ამოჰყეფს,
– ბეთლემი აქ არის...
აქ არის... აქ არის!..
ამ ჩემს ხმას, ამ ჩემს ხმას,
ამ ჩემს ხმას ამოჰყეთ!!!

* * *

გათოვდა, ღმერთივით თეთრი სამყაროა,
თოვლმა მთლად დაფარა
დარიალ-გერგეთი,
მარტო ვარ ისევე, არავინ არ მოვა,
ამ თოვლში არავინ არ მოვა შენს მეტი.
ო ასეთ თოვაში რა სამწუხაროა
მარტო ვარ, თუ შენაც ამაოდ მოგელი,
შენი ხმა მწყურვალი ამ სულის წყაროა,
ეგ მზერაც ამ გულის
ურუანტლის მომგვრელი.
ისევ თოვს, ღმერთივით თეთრი სამყაროა,
მთლად გადაქათქათდა ყურო და გერგეთი,
მარტო ვარ ისევე, არავინ არ მოვა,
ფიფქებად არავინ არ მოვა შენს მეტი.

* * *

ვარ პატიმარი,
 წლები არის დროს რაც ვატარებ
 სხეულ-საკანში, ვერ გამოვცდი
 ნეკნის გისოსებს,
 დაბადებამდე აღარ მახსოვს რა დავაშავე,
 რად მომისაჯეს მარტოსულის
 მწარე სიცოცხლე.
 მე ახლა ველი შეწყალებას –
 უფლის განაჩენს,
 კაცთა ენაზე დაერქმევა რასაც სიკვდილი,
 თავისუფალი ჩემი სული გამოანათებს
 და სამოთხისკენ გაფრინდება
 მერე, ჩიტივით.

* * *

ყველაზე თბილი სასაფლაოა გული,
 ეს მუჭის ტოლა გული ყველაფერს
 იტევს –
 გაუმჯდავნებელ და გამოუთქმელ
 სურვილს,
 გაყინულ ცრემლს და ცოცხლად დამარხულ
 სიტყვებს.
 დიახ, ცოცხალი სასაფლაოა გული,
 რო გააცოცხლებს დრო და დრო ვაჟაპატ
 ბიჭებს,
 მე ყველას ხსოვნას ბაღახს ვაცლი და
 გუვლი,
 გულში ჩამწვარი მზეცა და მთვარეც
 მიწევს...
 ქვეყნად ყველა გზა არის საფლავთან
 ბმული,
 სასაფლაოა ჩემი დაღლილი გული.

* * *

სიყვარულია მუდამ ჩემი
 პური არსობის,
 მიწა კი შავი შურითა და
 ღვარძლით ავსილა,
 ქმენ გული ჩემი სიყვარულის
 თონე-საცხობი,

მამაო ჩვენო,
 რომელიცა ხარ ცათა შინა!
 ამ ქვეყანასა ზედა მოველ შენი სუფევა,
 ვინც სიყვარულით ავამაღლე,
 მან დამამცირა,
 ვითარ სიცოცხლის, სიკვდილისაც
 მომეც კურთხევა,

მამაო ჩვენო,
 რომელიცა ხარ ცათა შინა!
 საქართველოში ცოტა დარდობს
 ბედკრულ მამულზე,

ბევრმა პირადი სადარდელი
 ჩვენ წინ დაფინა,
 ნაკლულ-არეულ საქართველოს
 შენც არ განუდგე,
 მამაო ჩვენო,
 რომელიცა ხარ ცათა შინა!
 შენსკენ მოვიწევ, სხვაგან არ ვარ
 არსად წამსვლელი,
 ლოცვის სიტყვები სტრიქონების
 ხნულმი ჩაშლილა,
 დიდება შენდა, კურთხეულ არს
 შენი სახელი,
 მამაო ჩვენო,
 რომელიცა ხარ ცათა შინა!

* * *

აღარ ღულუნებენ
 ტკბილად გვრიტივით,
 სიყვარულისთვის ხომ არ მიწყრები?
 მე გამიხსენებს მაშინ სიკვდილი,
 როცა სიცოცლეს დავავიწყდები.

* * *

თუნდ თერგივით დავიღვარო ლექსებად,
 ვერ გადვიხდი ამით ქვეყნის ამაგს,
 ჩემ სიკვდილს კი გამართლება ექნება,
 ჩემ სიცოცხლეს გამართლება არ აქვს.
 მომავალი მე თუკი არ მექნება,
 გზა არ მივცე ჩემი სისხლის არაგვს...
 ჩემ სიკვდილს სულ გამართლება ექნება,
 ჩემ სიცოცხლეს გამართლება? –
 არა!
 გულ-ძარღვში რო სისხლი ამიყივლდება,
 წინაპართა მოძახილი მესმის –
 საქართველოს გამრავლება სჭირდება,
 არა შენი უხეირო ლექსი!

* * *

ჩემი ძვირფასი შემოდგომა უკვე მკვდარია,
ქარმა დეპეშად მომიტანა ხმელი ფოთლები,
გაძარცული ხე მიბარბაცებს ჯავრით მთვრალია,
ამდენ ჭირ-ვარამს ვერ გავუძლებ,
მეც გავლოთდები!..
მარტო დამრჩალი ბელურები სწუხან ძალიან,
მკვდარ შემოდგომას გაჰყურენიან ის სხვა ფრთოსნები...
ჩემი ძვირფასი შემოდგომა უკვე მკვდარია,
ქარმა დეპეშად მომიტანა ხმელი ფოთლები.

* * *

სულ სიყვარულით სავსეა,
მოწვდილი შენი გული,
მე სიყვარულის ლოთი ვარ,
ღვინო ვერ მიკლავს წყურვილს.
ძმობა და სიყვარულია,
ე, ჩემი ადათ-რჯული,
თუ სიყვარული იქნება,
ღვინოც გაჩნდება ჭურის.

* * *

ეს შემოდგომა კვდება,
ყვითლად ამოსდის სული.
ვით ხეს ფოთოლი წყდება,
მეც ისე მწყდება გული.
სიკვდილი არის შვება,
ოხ, შვება არის სრული!
როგორც ფოთოლი კვდება,
ისე მიკვდება გული.
მეც ისე მწყდება გული,
ხეს რომ ფოთოლი წყდება,
ლექსად ამომდის სული,
ეს შემოდგომაც კვდება.



ნინო ტახიევაიძი

ცხრა ბმა ხერხეულიძის ხსოვნას

ვაი, დედა, სიწითლე შეეპარა მზესაო,
ცხრა ვაჟქაცი მოგიკლეს,
ცუდ ღლე დაგიდგესაო.
ცხრა შავი ნაბდის ქუდი
სისხლში მოსვარესაო,
ცხრა შავი ჩოხის კალთა
სისხლში გახუნდესაო,
ცხრავე წყვილი მხარ-მკლავი,
სულ უძრავად ძევსაო,
მზემ ცხრა თვალი დახუჭა,
დღე მთლად დაღამდესაო,
ცხრა მდინარე, ცხრა წყარო
ერთად ატირდესაო,
ცხრა მთა, მდელო, ცხრა ქედი
ერთად იგლოვდესაო,
მათი ცხრა ანგელოზი ეაჯება ღმერთსაო,
ცხრა მმის სული აცხოვნე,
ნათელ დაადგესაო.
ცხრა მმის ნაჭერსა დროშას
და მაღლა ასწევსაო,
ვაი, დედა, სიწითლე მოუმატა მზესაო,
ცხრა მმას დაი მოუკლეს,
მთანი აბღავლდესაო.
— დაო, შენც ჩვენთან მოხველ,
აქ გვიმშვენებ გვერდსაო,
— დედა რატომ დატოვე,
რად უჩივის ბედსაო?
— არა, ბედს არ უჩივის,
მხოლოდ გული კვნესაო,
დროშა იპყრო ხელში რომ
ლაშქარს წინ უძლვესაო,
ვაი, მზე სულ გაწითლდა,
დედა დაგვიჭრესაო!
— შვილნო, მეც თქვენთან მოვალ,
ვაი, დედის მზესაო,
ია-ვარდი აყვავდეს, დამე გადღევდესაო,
ისეთ ნანას გიმღერებთ,
არ სმენოდეს ბევრსაო.

სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგ

სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგ
ახალ სიცოცხლეს გვედრებ, უფალო!
თუმც მარტო არ ვარ,
მე მხოლოდ შენით,
და მხოლოდ შენით არ ვარ უფაროდ!
წუთისოფელი წუთს რომ გამოცდა,
ამოვიშანოე გულზე მტრედები,
როგორც იმქეეყნად, ისე ამქეეყნად,
სულს ამშვიდებ და ეიმედები.
დღემ შემოიცვა ზეცის სამოსი
და სიყვარულით გული ინთება,
თუ ღმერთს ენდობი და არ გამოცდი,
მაშინ იმედი ჩნდება კვირტებად!

* * *

როცა თოვლია, გათოვს და გათოვს,
არ გინდა მაშინ, რომ იყო მარტო,
ლექსის თქმაც, თითქოს, უფრო გინდება,
რითმა ფარფატით ციდან ფრინდება,
და სიყვარული სიცივეს ათბობს,
არ გინდა, სახლში რომ იყო მარტო..

შავი და ზღვისფერი

ჩემს თმაში უკვე
საღამოა,
შენში კი დილა
ირიჟრაჟებს.
ზვეული თმებით
ქუჩაში ჩვენ,
მოგვაქვს ამ ქვეენის
სიგიჟმაჟე.

მრავალძარღვა

მე შეკრული ვარ მრავალი ძარღვით
და წარმოვადგენ მრავალი ძარღვის, —
ნერვების გროვას.
და ყველა ძარღვში თრთის ერთი კითხვა:
მოვა?... არ მოვა?... მოვა?... არ მოვა?...
მრავალძარღვა ვარ..

ჯერ

* * *

ჯერ არაფერი...
და ჭრელ ოთახში
ჯერ მხოლოდ პაერს
ვუცვლით ერთმანეთს,
რომლითაც ვსუნთქავთ...
და ისე ვღელავთ,
ათრთოლდა სუნთქვა...
ჯერ არაფერი...
ჯერ...

ვინძლო ეს მთები პაპაა ჩემი
და მათზე ცოცვას ვსწავლობ ახლა,
როგორც ოდესაც პაპის მუხლებზე...
ლოდს დაწუნებულს...

მეც დამიწუნეს,
რათა უფრო
გემსგავსო ღმერთო!

მიყვარხარ

მინდა ვიყო.
მინდა იყო.
მე ვარ.
შენ ხარ.
მიყ ვარ ხარ!!!

ოჯახი

მე – ქვემდებარე,
შენ – შემასმენელი,
შვილი – დამატება,
ჩვენ – წინადადება.

წრე

როდესაც მე და შენ,
ერთმანეთს ვავსებთ,
ჩვენ ერთი ვართ,
ერთმანეთს ვამთლიანებთ
და იბადება წრე.
და მერე ჩნდება მესამე
და წრიდან იქმნება
სამკუთხედი...
ჩნდება მეოთხე და
იქმნება ოთხკუთხედი.
ჩნდება მეხუთე, –
ხუთკუთხედი.
ანალოგიურად იქმნება
ექვსკუთხედი, შვიდკუთხედი
და ეს მატება
უფრო და უფრო
უახლოვდება წრეს
და არასდროს ხდება წრე...
რადგან წრე, ჩვენ ორნი ვართ –
მე და შენ...

ცხოვრება

ბროწლის ფერიდან ჩემს ლოფებზე
კვლავ ჩნდება ფიტრი,
ხან სიყვარულის ბარათებს და
ხან წიწლებს ვითვლი...

მამული

უფლით ბოძებული, არა ჩვენით,
მამული – მადლი და განაჩენი.
ენოქი – მიწაზე დანარჩენი.
ელია – მიწაზე დანარჩენი,
უფლისგან ნუგეშად დანარჩენი,
მამული – მოხუცი მამაჩემი,
მამული – უკვდავი მამაჩემი...

ხან და ხან

განსაცდელი

ლოცვა ჩემი ბუდეა.
მე ჩიტი, –
ჩამოვარდნილი ბუდიდან...

ცისკენ

ლოცვა ჩემი ბუდეა,
მე ჩიტი, –
აფრენილი ბუდიდან!!!

თემის ცენტრი

ისე ახლოა

ისე ახლოა ზეცა მიწასთან,
მიწასთან ერთად ვეხები ზეცას;
მინდა ვარსკვლავებს იბნევდე თმაში,
მინდა ნისლების პერანგი გეცვას.

იქ – სადაც ზღვები გაგიუდა უკვე,
ტალღები ბროლის ზმანებებს ლეწავს...
მზესავით უნდა ავფეთქდე შენში
და ვანაცვალო სიცოცხლე ერთ წამს.

ბედნიერი ვარ

ახლა იწყება ლომების ბრდლვინვა,
ახლა იწყება მგლების ყმუილი,
სასაცილოა ყოველი სიტყვა,
რამეთუ სიტყვა – არის ტყუილი.

მიახლოვდები უსაზღვრო რწმენით,
მაფორიაქებს შენი სურნელი,
მე ახლა ვხდები ყველაზე ბრძენი,
ყველაზე ბრძენი ვხდები სულელი.

ალბათ დაკარგულ სამოთხეს ვეძებ,
შურით კვდებიან უცხო ლანდები...
თოვლივით ფრთხილად გეხები თმებზე,
მერე თოვლივით თვითონ მაღნები.

აღარ მჭირდება თითების მტვრევა,
ოქრო-ვერცხლი და დიბა-ფარჩები...
ბედნიერი ვარ – რომ შენი ტყვე ვარ,
რომ სამუდამოდ შენთან დავრჩები.

თავისუფლება

დროს მიაქვს ჩემი სისხლი და ხორცი,
წლების ჭუჭყი და წლების ნაგავი;
ყველაფრის ქონას ჯობია, როცა
არაფერი გაქვს დასაკარგავი.



ძლივს გავაღწიე ოცნების გაღმა,
არ ღირს სიცოცხლე გულის ფეთებად,
სულს დავატარებ სხეულში ნაღმად
და სადაც არის – ამიფეთქდება.

ყველა თვალსა და ხელს შუა მკარგავს,
რადგან დასრულდა ჩემი კირთება
და ახლა სული მთას მომწყდარ
ზვავს გავს,
გზას რომ არავის არ ეკითხება.

დროა

რა მოვუხერხო ძაღლურ ამინდებს,
თუ კვლავ ყმუილი მოაქვს სამარის,
ერთხელ შევცდი და მტერი დავინდე,
ჩემი დამნდობი კაცი არ არის.

ცხოვრებამ ცოდვის ალში გამხვია
და ვიფერფლები, როგორც ნაფოტი,
მეტის ღირსი ვარ – ჩემზე ახია,
ჯოჯოხეთისკენ რას ვისწრაფოდი?!

ეს ღამეც ავი თვალით მიცქერის,
შეშლილ სახეთა მაკრავს ირაო;
მოგიტეხიათ ყველას კისერი,
დროა – მაგიდა ავაყირაო.

გაზაფხული

მოუთმენლად ველოდები მერცხალს,
დღესასწაულს მიწისა და ცის,
შინაგანი მღელვარება მცეცხლავს,
გარეგნულად დამცინავს და ცივს.

ფიქრად ვიქეც და არაფერს უფიქრობ,
დრო მეწვია იღუმალი წვის,
რაღაც წყენას ვიზენებდი თითქოს,
თუმცა არა... არაფერი... წვიმს!

სულს მინათებს ციაგების ბრწყინვა,
თითქოს სულში ანგელოზი ზის;
თურმე როგორ მჭირდებოდა წვიმა
და წვიმაში დაბადება მზის!

გამხელის წუთი

მე თუმცა თავის გამხელა მძულდა,
გამხელის წუთი რომც მომერიოს,
ნუ შემომხედავ – ვით მარტოსულს და
ნუ შემომხედავ – როგორც გენიოსს.

თავდავიწყებით შენს თეთრ მხრებს
ვკოცნი,
გაღებული მაქვს გულის კარები;
დრო იყო – ალბათ იყავი მორცხვი
და ნადირივით მიუკარები.

ახლა კი ერთად მივყვებით აღმართს
და ერთად ფეთქავს ჩვენი გულები...
ყოველთვის მრჩება ნუგეშად რაღაც,
რაღგან ამ ქვეყნად შენ მეგულები.

ისე კარგი ხარ

სულს გაზაფხულის ეხება სუნთქვა,
მორცხვად გკოცნიან წვიმის წვეთები,
ისე კარგი ხარ და ისე სუფთა,
მგონი ჩემთვისაც არ მემეტები.

თითქოს გამხელის წუთები დადგა,
ჩუმად მკარნახობს სიტყვებს განგება;
მიყვარხარ-მეთქი! – ვერ გეტყვი, რაღგან
სიყვარულს ფასი დაეკარგება.

რომც არ დამწვოდა ბედის ჯვარედი,
გული – ცრუმლებად დანაღვენთები,
მე მაინც ასე შეგიყვარებდი,
და მაინც ასე გაგაღმერთებდი!

* * *

ძალიან მშვიდად, ძალიან ნელა,
ეცემა ფიფქი და მეც ვეცემი;
ჩვენ რადგან ერთად გვიყვარდა ფრენა,
გადაგვივლიან ახლა მზეცები.

თოვლივით მოდის ზეციდან შველა,
თოვლივით დნება ტანჯვის ეპლები;
რატომ გლალატობს ამ ქვეყნად ყველა
ბოლომდე მაინც ვერ გაერკვევი.

ძალიან მშვიდად, ძალიან ნელა,
დალივლივებენ ცაში მერცხლები...
დაცემის მერეც გრძელდება ფრენა,
დაცემის მერეც არ დაეცემი!

თავისუფლების წყურვილით

ვეთამაშები ცხოვრებას,
ისე, ვით ხვადი ძუს;
სიბერეს მართლა ვერ ვიტან,
სიბერე მართლა მძულს!

მიყვარს ბრძოლების ყიუინა,
მმატებს ძალას და მუხტს,
ზუსტად ისეთი წვიმა მაქვს,
როგორც ელავს და ქუს.

ბრმას დავანახებ სინათლეს,
ხმას გავაგონებ ყრუს,
არც გლახაების დარღი მაქვს,
არც მეფეების მშურს.

თავისუფლების წყურვილით
მივსდევ ბილიკებს მგლურს...
ჯერ დედა უნდა გიტიროთ,
მერე გაჩუქებთ გულს!

ნინო ქოქოსაძე



გეხება

ეს ყველაფერი შენ გეხება!

ჰო, შენ!

გეხება!

შენ –

ვინც თანდათან კარგავ შეხებას –
(რა ნიკოფსია, რის დარუბანდი)

აფხაზეთიდან – ჯავაზეთამდი!

შენ კარგავ!

კარგავ!

კარგავ სმენას!

კარგო, სხვაგვარად –

უსათუოდ გაიგონებდი,

როგორ ჩაცხრილეს სულ ახლახან,

უსასტიკესად,

რობაქიძის და გირგვლიანის

ლეგიონები!

ასეა! მორჩა!

თვალის ჩინიც მაშინ დაკარგე –

ემიგრანტების ვერ შენიშნე

როცა ცრემლები,

როცა მხრებიდან სამხრეებივით

აგაგლიჯეს მათი ზელები!

.....

და ნუთუ ბოლოდ –

პირის გემოს იტოვებ მხოლოდ?!?

შიში

როგორ შეიძლება

სიმშვიდე იყოს სახლში,

რომელიც დღენიადაგ ხანძრის ლოდინშია?

კედლის ბზარები ივსება განგაშით,

ჭერიდან ბათქაში ცვივა...

მაგრამ როდესაც,

ამ სახლში ცხოვრობდა დედა –

რატომდაც ვერასდროს ვამჩნევდი,

რომ ფანჯრები – სახანძრო მანქანების ალყაშია.

ეტყობა დედებს, ყველა შიში

სარდაფში ჩააქვთ,

და იქიდან,

მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგ

ამოდიან.

ჩუღი პრეტორისთვის

პლუტო

ძლიერ ვწუხვარ, თუმცა რა ვქნა,
ყველას უნდა გავებუტო.
ქეთევანი მქვია, მაგრამ,
მეძახიან სახლში „პლუტოს“.

სულ პატარა რომ ვიყავი,
მეც მეგონა ასე მერქვა,
ლაპარაკი არ ვიცოდი,
საყვედური როგორ მეთქვა?

ნეტა პლუტოს რა მიმიგავს,
ტანი? ფეხი? თმები? სახე?
ლამის გული წამივიდა,
მულტფილმში რომ დავინახე.

გინდ სნიკერსი მომიტანოთ,
გინდ ნაყინი, გინდაც ნუგა,
თუკი „პლუტოს!“ დამიძახებთ,
დავიყეუბ როგორც ცუგა.

ამანაც თუ არ მიშველა,
ოთხზე ვირბენ, მაშინ ნახეთ,
სანამ სულ არ გავცოფდები,
ქეთევანი დამიძახეთ!

ტყუპების დიალოგი

— ირო, ასე გავიგე,
გავიზრდებით მაღლები,
თუკი შევჭამთ სტაფილოს
მოდელები გავხდებით.

— ტასო, ხომ არ გეშლება?
არ მგონიხარ სულელი!
სულ სტაფილოს არა ჭამს?
მაღალია კურდღელი?!?

ეზოში

— აუზში აუ ზის,
არ ჩახტე, ირინა,
აუ გაბრაზდება,
ვაი თუ გვიკბინა...
— ტასიკო, დაიკო,
არ არი კბენია,
პატარებს გვატყუებს
მაგითი ბებია.

ტასო

სახლი გრგვინავს და ზანზარებს,
ირინას დასდევს ლაზარე,
ტასო ქოთქოთებს — ხმაურში,
ველარ ვაძინებ თოჯინას,
ნერსე, შენ მაინც გაჩერდი,
ნუ დააჭენებ ჭოჭინას,
ამ ბებოს რაღა აცინებს,
ტკბება ამათი ყურებით!
ნეტა, ნამდვილი აბია,
თუ მიახატეს ყურები?

გათვლა — ცისარტყელა

რა ფერია ვარ-დი?
წი-თე-ლი.
შენ გავარდი
პირ-ვე-ლი.

მანდარინი?
ნა-რინ-ჯი.
შენც მიყევი
ნა-ბი-ჯით.

ახლა ცისარ-ტყელა-ზე
ყვითე-ლია ფე-რი.
დადგა შენი ჯე-რი.

მერე მოდის
მწვა-ნე.
შენც გადიხარ მა-ლე!

ცის-ფერია ზე-ცა.
ახლა გადის ე-სა!

ლურჯი არის ზღვა.
ვინ-და დარ-ჩა სხვა?.

იის ფე-რი მე-ლა-ნი.
ვი-მა-ლე-ბით
ყვე-ლა-ნი.

დაიხუჭე შენ!

პატაწინა ჭასიკომ
ბებოსთან მიირბინა:
— ბებო, ბებო, წამოდი,
სად შემძვრალა ირინა?!
სტუმრად მოსულ ტყუპისცალს
ბებო უცხობს ალადებს,
მარწყვის ჯემს გადაუსმევს,
თევშზე კოხტად ალაგებს,
თან იცინის: ირინა —
სახლში სულაც არ არის,
ტასომ ალბათ კარები
გამოაღო კარადის.
კარის უქან სარკეა,
მაღალი და კრიალა,
შიგნით თვითონ გამოჩნდა,
მართლა ირა კი არა.

ღამე მთვარის ფერია,
ვარსკვლავები მღერიან,
მოფარფატე ფიფქებს,
ავალევნებ ფიქრებს.

ფანჯარასთან სანთელს,
ანგელოზი ანთებს,
ჩემი გული ხარობს,
შობის ზღაპარს გაღობს.

სასწაულის ძალით
ცამ აქურთხა მიწა,
ღვთისმშობელის მკლავზე
მზის ნათელი იწვა.

ბეთლემს ქრისტე იშვა!
ბეთლემს ქრისტე იშვა!

ბრემ სტოკერის დღიური იპოვეს

შთამომავლებმა მსოფლიოში ცნობილი მწერლისა ბრემ სტოკერისა, რომელიც ერთ-ერთი საშინელი ლიტერატურული სახის — დრაკულას ავტორია, იპოვეს წინაპრის პირადი დღიური, რომელიც დიდი ხანია დაკარგულად ითვლებოდა. ჩანაწერები 1871 წლიდან თარიღდება, როცა ახალგაზრდა სტოკერმა კოლეჯი დაამთავრა.

დღიურში აღწერილია მწერლის ცხოვრების მრავალი მოვლენა, ასევე მისი ნააზრევი, რომელიც მომავალში საფუძვლად დაედო მის მრავალ ნაწარმოებს, მათ შორის ყველასთავის საყვარელ „დრაკულას“. მაგალითად, ერთი ჩანაწერი 1881 წლით თარიღდება. მასში მოთხოვნილია სულიერად ავადმყოფთა კლინიკის პაციენტ რენსფილდზე, რომელიც ფიქრობდა, რომ ცოცხალი ორგანიზმების ჭამისგან, განსაკუთრებით — ბუზებისგან ენერგიას იღებდა. მომავალში ეს პერსონაჟი არ იქნება უკანასკნელი როლის შემსრულებელი სისხლიანი გრაფის ისტორიაში.

რომანი „დრაკულა“ 1897 წელს გამოქვეყნდა. მისი მოტივების მიხედვით მრავალი ფილმი შეიქმნა. პირველად მისი ეკრანიზება 1920 წელს რუსეთში მოხდა, მაგრამ სამწუხაროდ, ფირი არ შემონახულა. ამის გარდა, 1922 წელს „დრაკულა“ საფუძველი დაედო „ნოსფერატის“ სიუჟეტს, ხოლო 70 წლის შემდეგ ფრენსის ფორ კოპოლამ შექმნა ადაპტირებული ისტორია თავისი სურათისთვის — „ბრემ სტოკერის დრაკულა“.

1987 წლიდან არსებობს ბრემ სტოკერის პრემია (Brem Stoker Award), რომელსაც ანიჭებს საშინელებათა და ფენტეზის უანრის განვითარებისთვის საშინელებათა რომანების შემქმნელ ავტორთა ასოციაცია (Horror Writers Association).

ԵՐԵՎԱՆԻ ԹԱՅԱՐԱԳՐՈՒԹՅՈՒՆ



წითელი მოხელის ვნებანი*

უკრაინი ამბავი დაემართა ერთ
შეგვენიერ (თუმცა რაღა „მშევნიერი“) დღეს
ერთ-ერთი რაიონული აღმასკომის ძალიან
განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილების
სხელმძღვანელს, გამოცდილ მუშაქსა
და პარტიის ერთგულ მოღვაწეს (ასე
ის სენიებდნენ ზევით ოფიციალურ
შეკრებებზე), ამხანავ ბუნებრი ჭილლამეს.
უბედურება ის იყო, რომ ამ საჯაფ
საქმეს ვერც ვინმეს გაუმჯობელდა და
ვერც ვინმეს სთხოვდა დახმარებას.
იმიტომ კი არა, რომ ეშინოდა, (ბოლოს
და ბოლოს ვინ შეიტყობდა მისი ნების
გარეშე), უბრალოდ, ავისმომასწავებლად
მიაჩნდა (თავი რომ დაკინებოთ იმას,
რომ შეუფერებელი იყო იმგვარი
თანამდებობის პირისათვის, როგორც
თავად ბრძანდებოდა). მართალია აქმდე
არც ჯადოსი, არც წინასწარგრძნობის
და ამგვარი ცრუერწმენების არაფერი
სწამდა, მაგრამ მაინც შეშფოთებული
იყო. თავდაპირველად იფიქრა, უბრალო
აკვატება არის და მალე გამოივლისო,
მაგრამ როცა შეაღამის ღრმა ძილის
გარდა ხანგრძლივი თათბირების ღრის
წამიერად ჩათვლემილსაც არ მოეშვა,
უკვე სერიოზულად შეშინდა.

საქმე ის იყო, ოომ ამსახავი ბუნეუტი
(უკაცრაული პასუხია და) ანტისაბჭოთა
სიზმრებს ხედავდა. ეს არაფერი, ამ
სიზმრებში თავადაც ხალხის მტრების
მოკავშირედ გამოდიოდა.

პირველად ასეთი სიზმარი ქველიძეების
ქორწილში თამაღდად რომ ბრძანდებოდა,
შინ დაბრუნებულს ესიზმრა სავარძელში
ჩათვლის მილს.

მაღრანის ტყეში ტყის ძმებს კოცონი
გაეჩაღებინათ. ფეხებდაბორკილი ცხვნები
საძოვრად გაეშეათ. ნაბაღმოსხმული
ქაჭუცა კუნძულზე ჩამოშვედარი ცეცხლის
აღს მიშტერებოდა. გალიკო ჯულელისგან
ინსტრუქცია იგვიანებდა. უცებ სქელი
უწევშებდ აუთამაშდა და მას მიაპრო

გამჭვიოლი შზერა: — იმერლები რაღაც
ჩვეულ სიმარდეს ვერ იჩენენო და
გამომცდელად შეაჩერდა. ბუხუტიშ თავი
ჩაქინდრა (ასე სჩვეოდა ზემდგომთა
საკუდურებზე).

გამოლგოძებულს პირში უსიამო გემო
გამოჰყენა. ტანში გააურულა. ერთი
პირობა იფიქრა, წყალს მოუკუპებიო (ეს
ხერხი ბებიასგან პქონდა გაგონილი),
მაგრამ ეს ცრურწმენა მალე ამოიგდო
თავიდან.

შესაბა სიზმარი გაერთიანებული
პარტიული აქტივის შეკრებაზე ნახა,
სავარძელში ჩაფლულს ზელი რომ
ამოვდო ნიკაპის ქუებ და ჩუბად თვლიმდა.
თავად ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელი
— ზვიად გამსახურდია, პროელამაციების
გავრცელებას ავალებდა იმერეთის
რეგიონში. თან ქადალდების სქელ დასტას
სჩრიდა ზელში. პოლიტპატიმრების
გასათავისუფლებლად ხელმძღვანელი
უნდა შევეკიროვო, ამუნაობდა. უნდოდა
ეთქვა: აბა, მე რომელი ხალხის მტკრი
გრი, პატივცემულო, მაგრამ პირში ენა
ვერ მოიბრუნა.

ჩუმად მოავლო აქეთ-იქით თვალი,

უინმებ ხომ არ შეამჩნიაო (ჩაძინება არა, რასაკვირველია, სიზმარი) და როცა დარწმუნდა, მისთვის არავის სცხელოდა, ცოტა დამშეიდდა, თუმცა დანაშაულის გრძნობა არ ტოვებდა. მართალია, თავად ამ სიზმრებში არაფერს ჰპირდებოდა პარტიის მტრებს, ასე ვთქვათ, ჩათრეული არ იყო, მაგრამ ვის დაუტტყიცებდა (თუ, რა თქმა უნდა, აქამდე მიიღოდა საქმე), რომ გულში არ უთანაგრძობდა.

მაღვე ეს სიზმრები ყოველდღიურ (უფრო სწორად, ყოველდღიურ) კოშმარად გადაექცა. ხან „თეთრი გიორგის“ გამოგზავნილი კაცი მოაკითხავდა ემიგრაციიდან საიმედო მებრძოლთა რაზმის შესაძგენად — შენი იმედი გვაქვსო, ხან „სამანელები“ სოხოვდნენ იარაღის გადამალვას, ხანაც გერმანელი ფაშისტების შემოსვლის ხელშეწყობას ავალებდნენ.

ეს უკვე აღარ ჰგავდა შემთხვევით მოვლენას. რაღაც უნდა ეღონა. ბევრი ფიქრის შემდეგ, გაბეზრებულმა, გადაწყვიტა ფსიქოლოგთან მისულიყო. რაიონში ერთი გაერეჭვილი გოგო ეგულებოდა, ადგილობრივი ინტელიგენტის შევილი, ქალაქში განსწავლული ფსიქოლოგი. ბუხუტის არ მოსწონდა ასეთი აქტიური, ახლად გამომცხარი ჭეკუის დამრიგებლები, მაგრამ სხვა არჩევანი არ ჰქონდა. ჯერ მის შესახებ მასალა შეისწავლა და მერე კაბინეტში დაიბარა, ვითომდა მისი საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით. მდივანი, რომელსაც აქამდე სულ ცხელი ჩაისა ან ცივი ბორჯომის შემოტანას ავალებდა, გააფრთხილა, ყავა მოგვიდულეო (უფრო თანამედროვე რომ გამოჩენილიყო). მთელი თავისი დიპლომატია (თავად ასე მიაჩნდა) — გამოიყენა. ილაპარაკეს აქეთურ-იქეთურზე, და ბოლოს, სიზმრებზე ჩამოუგდო სიტყვა.

— ჩვენ (ასე მოიხსენიებდა საკუთარ თავს) სწორედ ისეთი ახალგაზრდობა გვჭირია გვერდში, თქვენ რომ ხართ, განათლებულები, თანამედროვეები, დადგითები. ბოლოში მამითხოვთ, ერთი თქვენი პროფესია შემახსენეთ!

— ფსიქოლოგი.

— ოო, — გააგრძელა ბუხუტიმ. — კარგი საგანია ფსიქოლოგია, დიდებული.

— რა თქმა უნდა, თანამედროვე ცხოვრება, მისი ნებისმიერი დარგი წარმოუდგენელია ფსიქოლოგის გარეშე. — ხალისით დაუკრა კვერი სტუმარმა.

— და რატომ არ უნდა დავნერებო თეს მოწინავე სიახლე ჩვენს რაიონში? — რიტორიკულად იკითხა ახალგაზრდებზე მზრუნველის ნიღაბმორგვებულმა მუშაკმა.

— იცით, თანამედროვე გამოწვევები მას სიციოლოგის ხერხებლად განიხილავს. ბუხუტიმ, გამოცდილმა დიპლომატმა იფიქრა, ახლა კი დროა ჩემს ძირითად თემაზე გადავიდეთ და:

— უფრო ვარესსაც ვიტყოდი, მე მკონია, ცხადშიც და ძილშიც ფსიქოლოგია ჩვენი დასაყრდენი უნდა იყოს. დიახ, ჩვენ ასე ვთქვათ, სიზმრების, როგორც ასეთის როლიც გვაინტერესებს.

ახლად გამომცხვარ ფსიქოლოგს ესიამოვნა საკუთარი პროფესიული ცოდნის გამომუდავნების საშუალება რომ მიეცა და სიჩქარე აკრიფა.

— იცით რაშია საქმე, ფსიქოანალიზის მეთოდის მიხედვით, რომლის ავტორიც, მოგეხსენებათ, ფრონდი გახლავთ, სიზმარი ჩვენს არაცნობიერში დალექილი, ანუ შინაგანი ცენზორის მიერ ტაბუირებული შეგრძნებების მატერიალიზების ცდაა, ანუ ლიბიდოს სუბლიმაცია... — კიდევ დიდხანს ილაპარაკა ვიღაც იუნგსა და კოლექტურიურ მეხსიერებაზე. რაიაღმასკომის ძალიან განსაკუთრებულ საქმეთა უფროსი დინჯად უკრავდა თავს, აქაოდა, ეს ხომ ცნობილი ამბებიაო. სინამდვილეში ამდენი ტერმინებისა და თეორიების გროვიდნ ის დასკნა გააკეთა, რომ ვიღაც ავსტრიელი გიუს ნაბჟეუტურევით ადამიანს რაღაც ტვინის კუნძულში ის ესიზმრებოდა, რაც გულში ედო და ცხადში ვერ გაებედა. მოკლედ, ადამიანურად რომ ვთქვათ, მელას რაც ენატრებოდა, ის ესიზმრებოდაო. ამ დასკნამ, დამშვიდების ნაცვლად, მთლად გადარია. რა გამოდიოდა, პარტიის ერთგული მოღვაწე გულში მავნე ოცნებას ატარებდა სახელმწიფო გადატრიალებაზე. წახდა კაცი, მოსვენება დაკარგა. პარტიულ ბოსებს თვალს ვეღარ უსწორებდა. სულ ეჩვენებოდა, რომ ყველამ რაღაც იცოდა მისი სიზმრების თაობაზე.

მაშინ იყო, თავში რომ მოუვიდა, კინგე მღვდლისთვის ხომ არ მიმეკითხაო. იმ დროისათვის პარტია რელიგიასთან ურთიერთობას აწესრიგებდა, თავად პარტიული ბოსები ხვდებოდნენ უმაღლეს საეკლესიო პირებს საჯაროდ. არ ვიცი, დეთის ნებითა თუ შემთხვევის წყალობით, ერთ დღესაც მარჯვე

შემთხვევა მიეცა საამისოდ. ახლობლის დაკრძალვაზე, სასაფლაოს რომ ტოვებდა, პატარა ეკლესია შენიშნა, რამდენჯერ ყოფილა აქ და არასოდეს შეუმჩნევა. რაღაც მოიმიზეზა, თავისიანებს ჩამორჩა და გულისფანც კქალით გადააბიჯა სამლოცველოს ზღურბლს. ბინდებოდა და ეკლესიაში არავინ ჩანდა. არ იცოდა, რა ექნა. გამომრეწებას აპირებდა, რომ ახალგაზრდა მღვდლის სილუეტი შეამჩნია. მას ხელში სანთელი ეჭირა და მის მკრთალ შუქწე როგორდაც დამაჯერებლად, სამედოდ გამოიყურებოდა.

— გამარჯობა, მამაო! ბოდიში, რა საკირველია. — (არ იცოდა, როგორ მიემართა), — რაღაც სხვისი ხმით უთხრა მღვდელს.

— ღმერთმა დაგლოცოს, შვილო ჩემო! — რაღაც ეხამუშა ამ ახალგაზრდა კაცის შვილობა.

— რაზე შეწუხებულხართ?

ბუხუტიმ არ იცოდა, რა ეპასუხა. იმ წუთში რაც გაიფიქრა, ხომ არ მიცნო. მაგრამ ბოლოს გადალახა ეს შიში და თქვა:

— შეიძლება თქვენთან, ასე ვთქვათ, გასუბრება საჭიროობოტო საკითხებზე?

— რასაკირველია, შვილო ჩემო! ეს ჩემი მოვალეობაა.

— არ მინდოდა თქვენი შეწუხება, მამაო, მარა... ძალიან მერიდება.

— ბრძანეთ, შვილო ჩემო, არაფერია დაფარული ღვთისათვის.

ამ სიტყვებმა ბუხუტი გაათამამა.

— ისა, დავიტანჯე, ნორმალური ძილი არ მღირსებია დიდიხანია, ჩემო ბატონი.

— უძილობა გაწუხებთ?

— პირიქით — ძილი.

— უ როგორ? — ვერ გაიგო მღვდელმა.

— აი, სიზმრები-თქვა.

— ღმერთი მოწყალეა, რა სიზმრები, შვილო ჩემო?

— არ ვიცი, როგორ აგიხსნათ, უფრო სწორად, ფარსაგი სიზმრები არ მასევნებენ.

— მაინც როგორი? — ჩაეძია მღვდელი.

— რა ვიცი, აი, პირი ქვისკენ მიქნა და კრიმინალური, ასე ვთქვათ, უნაირო.

— სიზმარი ეშმაკისაა, შვილო ჩემო ნუ მიანიჭებთ ამდენ მნიშვნელობას.

— კი მარა... რატომ ამეცვიატა ასე, მე ხომ არასდროს მიფიქრია მაგისთანებზე?

— ყველაფრის მიზეზი ჩემი ცოდვებია, შვილო ჩემო. აღამიანის გვამი ცოდვების

ბუდეა, ყოველი ფიქრი, ჩემის გონებაში გამკრთალი, კვალს ტოვებს სულში. ჩემდა უნებურად, უამრავ ცოდვას ჩავდივართ ყოველდღიურად — ფიქრით, სიტყვითა და საქმით. ეველრე უფალს ცოდვათა შენდობისათვის.

— კი მარა, რომელი ცოდვებისათვის?

— უ თქვენ უნდა იცოდეთ, უცოდველი არავინაა მზის ქვეშეთში. მზოლოდ მონანულნი დაიმკვიდრებენ სასუფეველს.

— მაპატიეთ, მამაო, შეწუხებისათვის... კარგად ბრძანდებოდეთ! — მოჭრა უცებ.

— მშვიდობა მოგცეთ, შვილო ჩემო!

არ შემობრუნებულა, უკუსვლით გამოვიდა იქიდან. თითქოს უნდა დამშვიდებულიყო, მაგრამ ეს ეშმაკეული რაღას ნიშნავდა, ვერ გაეგო. რა საქმე უნდა ჰქონოდათ მასთან (უმწიკლო პარტიულ მუშაკთან) ეშმაკებს. ან ეს „გვამი“ და „სასუფეველი“ რა მოსატანი იყო?

ბუხუტის რაღაც ჭეუაში არ დაუჯდა ეს თვალით უხილავი ძალის ნუგეში, როგორ უნდა ეხვეწოს და ევედროს იმას, ვისაც ვერ ხედავს და არც არასოდეს უნახავს. ან თუ ასეთი ყოვლისმნილებელი და ეტილია, ხვეწნა რატომ უნდა სჭირდებოდესო. რამ გამასულელა ამხელა კაცი, ბნელეთის მოციქულებთან რამ მიმიყვანაო. არ სჯობდა, ვინმე უფროს პარტიულ ამხანაგთან ეძებნა გამოსავალი. ბევრი ფიქრის შემდეგ რაიონის იდეოლოგიის წარმმართველ დუშიკო, იგივე დიმიტრი ბრეგვაძეზე შეაჩერა არჩევანი. რაც უნდა იყოს, ერთად გაიზარდნენ, ერთად იჭერდნენ ღორჯოებს ბუჯისწყალში. სამსახურში ამაზე ლაპარაკს ვერ გაძედავდა და სახლში მიაკითხა გვიან ღამით (მაშინ ამგვარი მოხელეები გვიან ღამემდე მუშაობდნენ).

დუშიკო, იგივე დიმიტრი გაოცებული უფრებდა მის შეწუხებულ სახეს და ცდილობდა გამოეცნო, რაზე უნდა მოსულიყო ასე საგანგებო ვიზიტით და თანაც ასე გვიან.

— დუშიკო, ჩემიანი რომ ზარ და შინაური, იმიტო გადავწყვიტე შენთან მოსვლ, თვარა... — დაიწყო ბუხუტი. მასპინძელი მოიღუშა, რაღაც უსიამოს მოსახურებრივი ინტრიგის შესახებ უნდა მომიყვესო.

— მაინც რა მოხდა, შე კაცო, მითხარი.

— ძალიან რო გამიჭირდა, იმისი არ

იყოს... — ენა დაება ბუხუტის.

— აღარ იტყვი?! — მოთმინების მარაგი შემოელია დუშიკო, იგივე დიმიტრის.

— ხოდა იმას ვამბობდი, იმისთანა ხალხს ვნახულობ ყოველდღე, აქამდე რომ ვიჭირავდი.

— ახლა ვიმებს დაჭერა სარისკოა, ხომ იცი, რა დრო დადგა (მასპინძელმა ირგვლივ მიმოიხედა), აცნობე სათანადო ორგანოებს და იმათ იციან, რავა, მე გასწავლო ამხელა გამოცდილების კაცს?

— მასპინძელი შეუცადა სტუმრისათვის შეეხსენებინა, ყველაფრის მიუხედავად მაინც თანამდებობრივი სუბორდინაცია რომ არ უნდა დავვიწყებინა.

— საქმეც ის არის, რომ ვერც მე დავიჭირ და ვერც ვერავინ.— თავის მართლებაზე გადავიდა ბუხუტი.

— ჩევნთვის შეუძლებელი არაფერია, — კატეგორიულ ტონის მიმართა დუშიკო, იგივე დიმიტრიმ, — მართლა ვერე კი არ არის, ზოგ-ზოგებს რომ ჰერნიათ. ბუხუტი ვერ მიხვდა, ეს „ზოგ-ზოგები“ თვითონ იყო, თუ სხვას გულისხმობდა.

— სინამდვილეში რომ იყოს, კი ბატონი, მარა, რაფრა გინდა, სიზმარში კაცის დაჭერა. — მეტი სინათლის შეტანას შეუცადა მოსული.

— რაო, ვერ გავიგე, რა სიზმარში.

— მეც რო ვერ გავიგე, მიმიტო მოვედი შენთან, ამაგდარ კაცთან.

— რაღაც არეულად ლაპარაკობ, შე კაცო, — დაეჭვდა მასპინძელი.

— სულ რო არ გადავირიე, არ გიკვირს? ლაფი ასხამენ ჩემს უწინიელო ავტორიტეტს. ვიგინდარების ამსანაგად გამჩადეს. ლამე დაძინების მეშინია, — გული აუჩინებდა მოსულს.

— შენი ვერაფერი გავიგე, ხან უძილობა მაწუხებს ხან სიზმრებიო. უსიზმრო ძილი კი გამიგია, მარა უძილო სიზმარი — არა.

— ჩემს ერთგულებაში, იმისი არ იყოს, ვიცი, ეჭვი არ შეგაქვს, მარა, ჩემ პარტიულ სინდის რა პასუხი გავცე.

— აბა რას გეტევი იცი, ერთი პოლლიტრა ძილისწინ და გათავებულია საქმე, — უცათ გადაუწყვიტა პრობლემა დუშიკო, იგივე დიმიტრი ბრეგვაძემ. გულში კი გაიფიქრა: „გაურეკია ამ უბედურს და ეგ არი“. „ეპ, ჩემი საშველი არ არის.“ — გაიფიქრა ბუხუტიმ. გადაწყვიტა, არავისთან სიტყვა აღარ დასცდებოდა ამაზე.

ამასობაში ეს ამდენი წვალებით

აწყობილი, დალაგებული ქვეყანაც აირია. ქუჩებში წვეროსანი ახალგაზრდები (გაუგებარი სახელწოდებით — არაფორმალები) მომრავლდნენ. საჯაროობასა და ადამიანის უფლებებზე დაიწყეს ხმამაღლლა საუბარი. მიტინგებიც ქუჩის ყოველდღიურ ანტურაჟად იქცა. ბუხუტისთანებს უკვე ამრეზით უყურებდნენ. ის კი არა, საერთოდ უსაქმოდ დარჩნენ. მანაც იღროვა და დაშსახურებულ (ეს სიტყვის მასალად) პენსიაზე გავიდა. რაიონული თაბირები, უფროსი ამხანაგების (რომლებიც სულაც არ იყვნენ ამხანაგები) კუშტი გამოხედვები, მაგიდაზე თითის კაკუნი, ქვეშევრდომთა ქლესური თვალებში შეციცინებანი წარსულს ჩაბარდა. ახლა მთელ დროს ნახევრადთვლებაში ატარებდა, ტელევიზორის წინ ამოჩემებულ სავარძელში.

ერთი ასეთ თვლების პროცესში ეზმანა (თუ ტელევიზორში გადმოსცეს, ვერ გაარკვია), რომ საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. აქ უკვე დაიბნა ბუხუტი. მალე მოეჩენა, რომ ყველას მის გარშემო ზუსტად იგივე კოლექტიური სიზმარი დასიზმრებოდა. იქნებ აქამდეც ასე იყო და მე ვერ ვხვდებოდიო — ფიქრობდა. აღმათ, ისინც მაღავდნენ ჩემსავითო. ან რატომ უნდა ჰქონოდა მაინცდამაინც მას ვინმესან განსხვავებული სიზმრები, მაშინ, როცა ცხოვრების წესი ერთი ჰქონდათ. გონებაში ამოუტივტივდა ოდესაც გაკრეჭილი გოგოს ნათევები რაღაც „კოლექტიური მეხსიერების“ თაობაზე. ამ აზრმა სინდისის ქენჯნა მიუყუჩა. ეჭვი გაუჩინდა, რომ რასაც ცხოვრებას ეძახდა აქამდე, სიზმარი სწორებაც ის იყოანდა უფრო კარგი — სიზმარ-ცხადი ერთან ზღვარწამლილ სივრცედ ქცეულიყო.

ბუხუტიმ იგრძნო მის დონდლო, მოშვებულ სხეულს როგორ აკსებდა გრილი სიმსუბუქე. იდაყვებით საკარძლის სახელურებს დაეყრდნო და მსუბუქად წამოიწია. რაღაც უცნაური (სახელს რომ ვერ დაარქმევ, ისეთი) სიმძიმისაგან თავისუფლდებოდა. ერთბაშად ადგილს მოსწევდა, ზევით აიჭრა და თავისი სავარძლიანად მოლივლივე სივრცეში შეცურდა.

* რევაზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხრობის კონკურსის პრიზიორი



თეონა ბახეილაძე

ყველაზე დიდი*

— დე, ვინ არის ამ ქვეყანაზე ყველაზე დიდი? — საჩუქარივით შეფუთული და თვალებდამრგვალებული ბავშვი ეკითხებოდა დედას. ყოველ შუადღეს, როცა ბავშვი ბაღიდან გამომყავს, ვისმენ პატარების სასაცილო კითხვებს, მაგრამ ეს კითხვა მომეწონა და უფრო მეტად დამაინტერესა, რას უპასუხებდა დედა, თან ლუკას შარვალს ვუცვლიდი.

— სააკაშვილი, შვილო, ტელევიზორში ხომ ნახე, როგორი დიდია.

საწყალი ბავშვი. საცემი დედა. პატარა ბიჭუნას, როგორც ყველა ბავშვის, ჰქონდა გამომეტყველება — „ეს რა არის, დე?“, ხოლო დედამისს შუბლზე ეწერა — „დღეს საჭმელს რა გააკეთებს“. მე შემცირდა ეს ბავშვი, რადგან მას 20 წლის მერეც ისეთივე სულელური წარმოდგენები ექნებოდა, როგორიც ჰქონდა ახლა სიდიდეზე ჰქონდა. ლუკას კითხვამ გამომაფხიზლა:

— ლიზ, სააკაშვილი მართლა ყველაზე დიდია? — გამეცნა.

— არა, ლუკა.

— აბა ვინ არის ყველაზე დიდი?

— ყველზე დიდი ის არის, ვისაც ყველა ადამიანი უყვარს.

— სუყველა, ლიზ?

— ხო, ლუკა, სუყველა.

— მერე შენ იცნობ ყველაზე დიდ ადამიანს? — დავფიქრდი, რა მეპასუხა. ბავშვისთვის იმედი რომ არ გადამეწურა, ვუთხარა:

— ვეძებ ჯერ, რომ ვიპოვი, გაგაცნობ, აუცილებლად.

— ხო, ლიზ, გამაცანი. მერე მეც მასწავლის, როგორ უნდა გავხდე ყველაზე დიდი და შენთან ერთად ღამით კინოებს ვუყურო. — დაფიქრდა, — ლიზ, ყველაზე დიდი რომ გავხდები, შენთან

ერთად ხომ მაყურებინებ კინოებს???

— კი, ლუკა, აუცილებლად, ახლა კი, სანამ პატარა ხარ, მოდი, ეს ქუდი დაგახურო და სახლში წავიდეთ.

იმ ზამთარშიც ისე ციოდა, როგორც 4 წლის წინ, როცა ლუკა გავაჩინე. პირველად რომ დავინახე, კინაღამ გული გამიჩერდა, ისეთი პატარა და უშნო იყო, მერე თვალები გაახილა და მივხვდი, მე მგავდა. მამამისი ბელნიერებისგან გიუს ჰავდა და გაჰკიოდა, ბიჭი შემეძინაო. გიუივით დარბოლა ერთი პალატიდან მეორეში, მე არ მინახავს, მომიყვნენ. პირველად რომ ანახვეს, გულში ჩაუხუტებია და უთქვამს, მარტო ლიზი გაგაჩენდა შენო. მაშინ ლუკა უკვე აღარ იყო ისეთი უშნო, როგორიც მარტო მე ვნახე. დაებანათ, ჩაეცმიათ, სახის ნაკვთებიც დასწყინარებოდა და უკვე ბავშვს ჰავდა.

სახლში რომ დავბრუნდით, მამამისი დარბოლა და ყველ წუთას მეკითხებოდა — „ლიზ, რამე ხომ არ გინდა?“, „მოდი, ვაჭამოთ“, „აბა, მე თუ მიცნობს“... მეცინებოდა და მიხაროდა. ერთი თვის უკვე ისეთი ლამაზი იყო, თვალს ვერ მოაცილებდი: ლოყები გამოებერა, შავი ბუსუსები გასცვივდა თავზე და ოქროსფერი კულულები ამოუვიდა, პატარა ხელებზე ნაკეცები გაუჩნდა და თვალები ისევ ისეთი შერჩა. აღუ რომ თქვა, მამამისს ისე გაუხარდა, თითქოს პირველი სტიპენდია მოეტანოს სახლში, 300-ჯერ მაინც გაამეორებინა ბავშვს და თან ვიდეოთი უდებდა. მერე გადაწყვიტა, რომ რადგან ბავშვმა თქვა „აღუ“, იქვე იტყოდა დედას ან მამას და საათობით უმეორებდა: „ლუკა, თქვი, აბა, მამა... აბა, დედა თქვი, ლუკა“. მერე ერთი წლისაც

გახდა, მაგრამ არ უთქვაშს არც დედა და არც მამა. მამამისი ნერვიულობდა, ექიმთან უნდოდა წაეყვანა, ეჭვობდა, ენა ექნება დაბმულიო, მე კი ვამშვიდებდი: 3 წლამდე არ ვლაპარაკობდი და ერთადერთი, ვინც ცხოვრებაში დაბმული მყავს, შენ ხარ-მეთქი. ხოდა აიწყვიტა. ერთ საღამოს სახლში მოვიდა და მითხრა:

— ლიზი, მე მივდივარ. — ზუსტად მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა და გვითხე:

— მოხვალ ხოლმე?

— არა.

აქ დამთავრდა ეს დიალოგი. ჩემი ხელით ჩავულაგე ჩემოდანი, ვაკოცე და გავუშვი. წინა დამით კი, როცა მას სამსახურში თათბირი გვიანობამდე გაუგრძელდა და სახლში ვერ მოვიდა, ლუკამ, ისე, რომ არავის უწვალებია სამი საათი — „ლუკა, აბა თქვი“... — თქვა — „მამა“.

ერთი საათი ვიჯექი და ვფიქრობდი. მერე კარადა გამოვალე, საუკეთესო კაბა ავარჩიე, ბოლო წვეთამდე გავიპრანჭე, ბაგშვი დედაჩემს დავუტოვე და გოგობს დავურებე.

— დღეს კანაპეში მივდიგართ, — და ყველას ერთი კითხვა გაუჩნდა:

— რაააააააააააააა???

ეს ჩვენი ქალიშვილობისძროინდელი ტრადიცია იყო. ვინმეს კუილდებოდით და კანაპეში მივდიოდით მარტინის დასალევად. იმ ღამით ჩემი გამოქორწინება და მათი ჯერარდაქორწინება აღვნიშნეთ. ხოლო ლუკამ, როცა მე გამოქორწინებას აღვნიშნავდი, ისე, რომ არავის უწვალებია 3 საათი — „ლუკა, აბა თქვი“ — თქვა — „დედა“.

მას შემდეგ ლუკა გვერდიდან არ მომიცილებია. ყველგან ერთად დავლიოდით და თუ არ გვეცალა, ერთად არ გვეცალა — ის ბაღში იყო, მე — სამსახურში. ბაღში სიარული თვითონ გადაწყვიტა. მე მას ყოველთვის ვაძლევდი არჩევანს, გადაწყვეტილებას ყოველთვის თავადვე იღებდა. თავიდან არ იცოდა თავის გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის აღება, მაგრამ ერთ დღეს, როცა მითხრა, რომ არ უნდოდა ნაყინი და მთელი დღე არ მოუნდებოდა, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ ნაყინი მომთხოვა, მე ვუთხარი — არა. ამის მერე დიდხანს ფიქრობდა, სანამ რამეს გადაწყვეტდა. 2 წლის იყო,

როცა მითხრა, რომ არ უნდოდა, დედა და ებაზანა ჩემთვის და მას შემდეგ ლიზი გავხდი. 3 წლის იყო, პატარა პუდელი რომ ვაჩუქე. ისე გაუხარდა, რომ ხმა ვერ ამოიღო, ეწუტებოდა ძაღლს და მერე სუზი დაარქვა.

— ლიზ, შენ და სუზის ერთი ფერის თმა გაქვთ; ლიზ, შეხედე, როგორ გავხართ ერთმანეთს! — ამის მერე აღარც ლიზის მებაზდა და აღარც დედას. ამჯერად სუზი გავხდი. ხანდახან მერეოდა, რომელს გვებაზდა — მე თუ ძაღლს.

— სუზის აჭამეთ ჩემი გაკეთებული კვერცხი? — ჰკითხა ბებიამისს, სამსახურიდან რომ მოვედი.

— ლუკა, ხომ იცი. რომ სუზის კვერცხს არ ვაჭმევთ, ცუდად გახდება,

— ვუთხარი მყაცრად. მან კი თეფშზე დადებული ნაჭუჭებიანად შემწვარი ორი კვერცხი მომიტანა და მაგიდაზე დამიდო. თავის ნაჭუჭებიანად ბოლომდე შევჭამე.

— სუზ, პარაშუტი მიყიდე რა... — თავზე ჩამოფხატებული ქუდი სასაცილოდ უხდებოდა.

— რა პარაშუტი? — აზრები ძლივს მოვიკრიბე.

— აი, რომ დაფრინავენ ხოლმე ის.

— გამეცინა.

— მოდი, მე და შენ ასე ვქნათ, მე შენ გიყიდი ყულაბას და პარაშუტისთვის ფული მოაგროვე. მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ჩვენ გოჭი-ყულაბა ვიყიდეთ, სიმბოლურად კი ლარი ჩავუგდე.

— ეს ერთი და სხვა მრავალი.

— იცი, ეს ყულაბა ისე მომწონს, ლიზ, პარაშუტის ფული რომ მექნება, მაშინაც არ მინდა გატყდეს.

— მერე ახალ ყულაბას გიყიდი და იმაში მანქანის ფული მოაგროვე.

თავზე ჩამოფხატებული ქუდი სასაცილოდ უხდებოდა.

— ლიზ, მამა რატომ არ არის ჩვენთან ერთად? — გულში რაღაცა ჩამწყდა.

— რატომ მეკითხები? — სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, რომ მეთქვა.

— ბაღში რატის მამიკომ მითხრა, მამაშენი დებილი ყოფილა, დედაშენს რომ დაადოო. რა დაგადო, ლიზ??

მეტირა თუ მეცინა, არ ვიცოდი და კიდევ უფრო მეტად არ ვიცოდი, რა მეთქვა.

— იცი, ლუკა, მე და მამაშენი დიდხანს ვთამაშობდით სახლობანას, მერე მამა გაიზარდა და სხვაგან წავიდა, მოსწყინდა ჩემთან თამაში. გაიზარდა, გესმის?

— და ახლა შაკო ბიძიასავით დიდი ღიაპი აქვს და ულვაშები? — ნერწყვი გადამცდა, რომ წამოვიდგინე ლუკას მამა დიდი ღიაპით და ულვაშებით.

— არა, მოლად მასეც არ გაიზარდებოდა,

— თან სიცილით ვეკვდებოდი.

— ლიზ, შენც რომ გაიზარდო ერთხელ და სხვაგან წახვიდე, რა ვქნა მე მერე?

— ისევ ჩამწყდა გული.

— მომისმინე, პატარავ, აი, ჩვენი სუზი რომ მოვიყვანეთ სახლში, ხომ იყო პატარა?

— კი.

— მერე ხომ გეთამაშებოდა?

— კი.

— ახლა ხომ გაიზარდა და მაინც გეთამაშება?

— ხო.

— ხოდა, მე და სუზი ხომ ვგავართ ერთმანეთს?

— კი, ლიზ, მაგრად ჰგავხართ.

— ანუ მე ყოველთვის ვითამაშებ შენთან, როცა შენ გენდომება. — დაფიქრდა, ისეთი სასაცილო იყო ხოლმე, რომ ფიქრობდა და ჩემთვის სრულიად მოულოდნელი რამე თქვა:

— მამა სულელი ყოფილა, რა ჯობია შენთან თამაშს.

— ნუ ამბობ, ლუკა, მასე. მეორედ აღარ თქვა.

— კარგი, — თქვა და თავისთვის მაინც ჩაილაპარაკა, — სულელი.

ლუკას ყულაბაში უკვე 2 ლარი და 15 თეთრი ეგლო, შესაბამისად, პერსექტივაც დიდი იყო, რომ მალე ჩვენს სახლში, მე, ლუკა, სუზი და პარაშუტი ვიცხოვრებდით. ლუკას უყვარდა ჩვენი სახლი, სადაც მარტო არასოდეს იყო. ბალიც უყვარდა და საერთოდ, ვფიქრობ, ყველაფერი უყვარდა. უცნაური ბავშვი იყო, ქერა კულულები პქონდა და ჩემნაირი თვალები. მე წითური ვარ და ლუკასნაირი თვალები მაქვს. ერთადერთი, რაზეც ვჩეუბობდით, დაძინება არ უნდოდა, როცა მე კინოს ვუყურებდი და დამინიჭებით.

— ლიზ!!! რა მაგარი იქნება, რომ ვიფრენ ხოლმე!

— დიდი რომ იქნები, რამდენიც გინდა, იმდენი უყურე ამ კინოებს, ახლა კი პიუამო ჩაიცვი და დაწექი.

— აუ, ლიზ, როდის გავხდები მე დიდი

— მალე, ლუკა. ერთ 15 წელიწადში უკვე მალიან დიდი იქნები და ჩემთან თამაში აღარ მოგინდება.

— მე სხვაგან არ წავალ.

— წახვალ, შენი ნებით თუ არ წახვალ, მე გაგადებ.

— სად გამაგდებ, ბავშვთა ინტერნატში?

— არა, ლუკა, შენს ცხოვრებაში გაგაგდებ, მაგრამ შენ თვითონ წახვალ, ჩემი პანჩური აღარ დაგჭირდება.

— ლიზ.

— დაწექი ლუკა, — ბუზლუნით წავიდა, ბუზლუნით დაწვა და 5 წუთში ბუზლუნით ეძინა.

ალბათ ლუკაზე მეტად მე მეშინოდა, რომ მალე მარტო დავრჩებოდი. მაგრამ ბავშვი სათამაშოდ არ მიქცევია. ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვიყავით: მე, ლუკა და სუზი. სუზი კარგი მაღლი იყო. ყოველთვის გრძნობდა, როდის ვიყავი მის ხასიათზე. თუ არ ვიყავი, მოდიოდა, პატარა წითურ თათებს მუხლებზე მადებდა და ხელებს მილოკავდა. მეც ვეჯერებოდი და მახსენდებოდა, რომ მთელი 4 წელი კანაპეში არ წავსულვარ და მარტინი არ დამილევია. მახსენდებოდა ისიც, როგორ ჩავულაგე ლუკას მამას ჩემოდანი და თავის ბალერინასთან გავუშვი. თავის დროზე, მეც ბალერინა ვიყავი, მაგრამ მერე თავი დავანებე. რომ გამეგრძელებინა? — ვეკითხებოდი ხოლმე საკუთარ თავს. მაშინაც ისე ჩავულაგებდი ლუკას მამას ჩემოდანს და თავის ბალერინასთან გავუშვებდი. ეს ცხოვრება იყო, მე კი სულაც არ ვიყავი ყველაზე დიდი, რომ ყველა აღამიანი მყვარებოდა, ამიტომ ლუკას მამა აღარ მიყარდა. ლუკას ყულაბაში კი უკვე 3 ლარი და 65 თეთრი ეგლო და შესაბამისად პერსექტივაც იზრდებოდა, რომ მალე ჩვენს სახლში მე, ლუკა, სუზი და პარაშუტი ვიცხოვრებდით.

— ლიზ!!!! რა მაგარი იქნება, რომ ვიფრენ ხოლმე!

— ხო, ლუკა, მალიან მაგარი!

— აუ, გუშინ დამესიზმრა, რომ უკვე მქონდა!

— გექნება, ლუკა!

— აუ, ნეტა დღესაც დამესიზმროს!
ლიზ, მაყურებინე რა შენთან ერთად
კინო დღეს...

— ლუკ!!!! — მიხვდა, რომ წმა აღარ
უნდა ამოელო და ბუზღუნით ჩაყო მეორე
ფეხი პიჟამოს შარვალში.

— ლიზ, აკაკურებენ.

მართლაც კარზე იყვნენ. უკვე 10 საათი
იყო, ამ დროს ჩვენთან არავინ მოდიოდა,
გამიკვირდა და გავაღე. სადარბაზოში
არყის სუნიანი და არყისფერი კაცი
იდგა. ლოთები ისე მეზიზღებიან, რომ
მუცელში მივლის ხოლმე. უკვე დავაპირე
კარის მიკეტვა, რომ მითხრა:

— ქალბატონო, ბავშვი მყავს ცუდად,
იქნებ 1 ლარით დამებმაროთ, — და იმ
წუთს მოსაკლავად არ დამენანებოდა.
როგორ შეიძლება ასე უსინდისოდ ბავშვის
გამოყენება 100 გრამი არაყისთვის!!!

— არაფერი მაქვს, — ვუთხარი
უკმეხად — აქ მეორედ აღარ მოხვიდეთ!

კარს უკვე ვეკეტავდი, რომ ლუკა
გამეხლართა ფეხებში, ხელში რაღაცა
ეჭირა. კაცს მიუახლოვდა, შარვალზე
ჩამოქაჩა — დაიხარეო...

— აპა, ბიძია, — ხელში რაღაცა
ჩაუდო, — მეც მიყვარხარ და ლიზისაც.
— ლიზ, ხომ გიყვარს?

გაშეშებული ვიდექი. ძლივს
ამოვილუღლუღე — კი-მეთქი. არყისფერმა
კაცმა კიბეები ჩაირბინა ისე, რომ
ბავშვისთვის არ შეუხედავს. სამაგიეროდ,
მე კუჭურებდი კართან ჩაცუცქულ
ლუკას, მერე მაგიდაზე დაყრილ ჭულაბის
ნატეხებს შევხედე. ლუკა ჩუმად იჯდა
კართან, სუზის ეუტებოდა.

— ხედავ, სუზ, იმ კაცს თავისი შვილი
უყვარს.

მაშინაც ვერ მივწვდი, მე მითხრა თუ
სუზის, მაგრამ რა მნიშვნელობა პქონდა.
არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიდექი ჩუმად,
მერე ლუკას ხელი მოვკიდე, სახლში
შევიყვანე, სავარძელზე დავსვი და
ვუთხარი:

— ლუკა, მოდი კინოს ვუჭუროთ.

— კარგი, — სულაც არ გაკვირვება.

ოცი წუთის შემდეგ სავარძელზე
გულიანად ეძინა. მე კი ვფიქრობდი
არყისფერ კაცზე, როგორ სვამდა ვინმე
თავის არყისფერ ძმაკაცთან ერთად
ლუკას პარაშუტს და სულაც არ მწყინდა.


* რევაზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხოვნის კონკურსის პრიზიორი

ვულოცავთ

ჩვენი ურნალის ერთ-ერთ დმთურნებელს, დავით აღმაშენებლის პრემიის
ლაურეატს, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოპროგრამების
„ჩვენი საგანძურისა“ და „ხაზის
რადიოს“ ავტორსა და წამყვანს, ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი
და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
უაკულტეტის ლექტორს, გეოლოგიურ
მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ ივანე
ჯავარიძეს კიდევ ერთ დიდ აღიარებას
— ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის
ლაურეატობას, ვუსურვებთ ნაყოფიერ
შემოქმედებით მოღვაწეობას ჩვენი ერისა
და ქვეყნის საკეთილდღეოდ.
პატივისცემით:

ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილი,
თამარ შაიშმელაშვილი,
ჯუმბერ ჯიშკარიანი





კვირის კაცი და...
ანუ მეც ავალ ევერესტზე*

ამბავი, რომელსაც გიამბობთ,
შეიძლება სულაც არ მეამბნა, რომ არა
ომი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი,
ინტერნეტი და ეკორესტი.

ჩვენი ტურისტული ფირმა დიდი
ნაძღვილად არ არის, მაგრამ სამუშაო
ასე თუ ისე, გვქონდა. აგვისტოს
ომბა და მსოფლიო კრიზისმა ის
მცირე კლიენტურაც დაგვიფრთხო
თუ გაგვიღატაკა და თანამშრომლები
ძირითადად ინტერნეტ-თამაშებით
ვიყავით დაკავებულნი. უფროსი, მთელი
ნახევარი იანვარი, როცა ვახერხებდით
სამსახურში მოსვლას (შემიძლია
ვთქვა სახალწლო სუფრებს არანაირი
კრიზისი არ დატყობია), გაღიმებული
არ დაგვინახავს. მერე ბედობის დღეს
შეგვერიბა და ღიმილიანმა, უნდა
გაგახაროთო, გაგვიცხადა. პრემიებს
გვირიგებს ან ხელფასი გვემატებაო
— ეს ორივე ვერსია უცემ მიჩურჩულა
ნათიამ, ჩემმა თანამშრომელმა. ჩვენი
მაგიდები გვერდი-გვერდაა. უფროსმა
უცებ გადააგდო ცივი წყალი და
საფუძველშივე ჩახრჩო ორივე — უჯასო
თვენანევრიან შეგბულებაში გიშვებთ,
მანამდე სიტუაცია დარეგულირდება
გაზაფხულიც მოვა და შეიძლება
ტურისტებმაც იმატონ. მოკლედ,
მარტში გელითო. ამ ინფორმაციის
შემდეგ რაღაც ვერ შევატყვე ჩემს
კოლეგებს დიდი სიხარული... თუმცა
არც პროტესტი გამოუთქვამს ვინმეს
და ისე დავიშალეთ, როგორც
ბაბილონის გოლოლის მშენებლები და
გაურკვეველი ბურტყუნით დავიწყეთ
საკუთარი მაგიდებიდან საჭირო ნივთების

შენახვა-აბარგება... ერთია ნათია იყო
გახარებული, მე თვითონ ვაპირებდი
უფასო შვებულების აღებას, გუდაურში
მივდივართ დაქალებით, მიჩურჩულა.
დიდად არც მე დამწყვეტია გული,
ის ბურტყუნიც სხვათა სოლიდარობის
გამომსატველი უფრო იყო, იმიტომ რომ
მეორე დღეს ბიძაშვილის დაბადების
დღეზე ვიყავი დაპატიჟებული ბათუმში
და მაინც უნდა დამერეკა სამსახურში –
ოდნავ შეცვლილი ხმით (ბათუმიდან),
მაღალი სიცხე მაქვს და სამწუხაროდ,
ვერ ვახერხებ აფისში მოსვლას-მეთქი.

საღამოს კი „თბილისის-ბათუმის“
მატარებლის გაგონში, ვეფიქრობდი —
რატოა მშვენიერი სიცოცხლე, რადგან
ძალიან მნელია „პლაცარტი“ გაგონის
„ბაკავო კოიკაზე“ წამოწოლილმა ეს
აღიქვა. თავიდან მშვენიერი დაბალი
ადგილი მქონდა, მაგრამ ერთმა ქალმა
ჯერ ზედა საწოლში გადამიცვალეო,
მეორემ კი ბაკავოს ვერ ვიტან, შენი
ჭირიმე, იქნებ მეც გადამიცვალოთო...
კაი, ბატონო-მეთქი... ასე გარდამავალი
თასივით რომ მოვიარე რამდენიმე
ადგილი, სასწრაფოდ წამოვწექი, აქაც
არ გადამაცვლევინონ-მეთქი, თუმცა
ალბათ უბილეთოდ დარჩენილი მგზავრი
თუ მთხოვდა, იქნებ ბილეთი მომცეო,
თორემ სხვა უარესი ადგილი არც იყო
ვაგონში...

ალბათ დაახლოებით გორთან
ვიქწებოდით, ავტომატების სროლა
რომ ატყედა. გცდილობ გაგარკვიო
საიდან გვიტევენ. ვფიქრობ ან ძარცვაა,
ან ოკუპანტები შემოგვესივნენ და
გადავწევიტე ცოცხალი თავით არ

ჩავბარდე, მით უმეტეს ცოტა ფული და ტელეფონი, რომელიც ერთგულად მეშვიახურება (ერთი საჭმელს არ მიკეთებს, თორემ სხვას არაფერს არ მაკლებს), არავის დაგუთმო. მთავარი ტელეფონი კი არ არის, ან ფული, მთავარია ღირსება. სროლა კი გაგრძელდა, მაგრამ არც მძარცველები ჩანან, არც რუსი ოკუპანტები. თურმე ტელეფონზე ჰქონია ზარად ერთ მგზავრს ავტომატის სროლა დაყენებული. არადა სანამ ეს კაცი დაწვებოდა, იძახდა, თუმცა, კი არ არის ისე ქურდობა, ადრე რომ იყო, მაგრამ მანც ვერ ვენდობი და ტუფლებიანად ვწვები საერთოდ მატარებელ შიო. მართლაც ფეხსაცმელ-პალტოიანად იყო წამოწოლილი. რიგ-რიგობით ვაღვიძეთ, მაგრამ რა – სული ვერ ჩავალგმევინეთ. ერთმა თქვა, ამას ავტომატის სროლა რას უშველის, ბომბის, სასურველია ატომურის, აფეთქების ხმა უნდა ჰქონდეს ჩაწერილიო. მერე ვაგონის ბოლოდან გამოვიდა ვიღაც და ალბათ იმიტომ სძინავს ტანსაცმლით და ტუფლებით, ვინმემ რამე არ მოპაროსო – ვითომ აღმოჩენა გააკეთა. თან, ამას ჯიბეები შიგნიდან ექნება გამოკერებულიო – დაამატა და ჯიბეების სინჯვა დაუწყო, არ ვიცი, ტელეფონს ეძებდა თუ ავტომატს. ის კი ვიცი, ვერაფერი უნახა. ავტომატის ხმა კი ისმოდა, მაგრამ რომელი ჯიბიდან, ეს გაურკვეველი იყო. მესამემ, რაის შიგნიდან გამოკერება უშველის ამას, ტანსაცმელი კი არა, ტყავი გახადე, თუ რამე გეიგოსო. ამასობაში შეწყდა ავტომატის კანანადა. დავისვენეთ ცოტა, მარა, რად გინდა?! ნახევარ საათში ერთხელ ატყდებოდა ისევ სროლები, სანამ მივწვდებოდით, რომ ტელეფონი იყო, ვაცეცებდით აქეთ-იქეთ თვალებს, მერე ისევ იწყებოდა გაღვიძების უშედევო პროცესი, ამასობაშიც ტყვიებიც ილეოდა და ვისვენებდით ისევ, სანამ „აბოიმს“ გამოცვლიდა...

მერე უკვე ისე შევეჩიე ავტომატის ხმას, სიჩუმემ გამაღვიძა. თვალი რომ გავახილე, ცარიელი იყო იმის ადგილი, მოიპარეს ის კაცი, ალბათ-მეტქი... ჩავილაპარაკე. იქვე ერთ-ერთი ის ქალი იყო წამოწოლილი, მე რომ ადგილი გადავუცვალე. იმასაც გაღვიძებოდა ეტყობა და გამცილებელს დაუწყო ძახილი, არიქა, კაცი მოგვპარესო. მოვიდა გამცილებელი შეშინებული... დაუწყო ქალმა ახსნა, აქ ავტომატიანი

კაცი იწვა და მოიპარესო... არ მოუპარავთ, ქალბატონო, ის კაცი, ჩადიოდა ხაშურში, დაწყნარდითო, დაამშვიდა იმან და მე შემომხედა, ვერ არის ეს ქალიო, თვალებში წავუკითხე... სულ მაინტერესებს, როგორ მოახერხა და მისით გაიღვიძა იმ კაცმა, ან ნეტა ვინ გააღვიძა?! ალბათ ვერასდროს ამოვხსნი ამ საიდუმლოს...

მახინჯაურის სადგურში ჩასულს, სხვას რომ შეყვარებულები და ცოლ-შვილი დახვდა, მე – წვიმა. იქვე ტაქსი დავიჭირე (თუ მან დამიჭირა, ეს არ ვიცი, აბა 10 ლარი მახინჯაურიდან ბათუმამდე რა ამბავია).

იანვარში არ აქს დიდი მნიშვნელობა წვიმა არის თუ დარი, ზღვაში მანც ვერ შეხვალ და წვიმა, ასე მგონია, უხდება კიდეც ბათუმს. ელექტროდენის შექებე ჩანდა, უზარმაზარი ტალღები როგორ აწყდებოდა სანაპიროს და სათხო, თეთრწვერა, მაგრამ გაბრაზებული მოხუცივით ბორგავდა ზღვა...

თხუთმეტ წუთში, ზარი არ მუშაობდა და ტელეფონით ვურეკავდი ბიძაშვილს, კარები გამიღე-მეთქი.

გოჩამ (ასე ჰქვია ჩემს ბიძაშვილს), ახლა დავლიოთ ჯო, შუადღეზე თუ ნაშუადღევს, სტუმრები რომ მოვლენო? მე ვუთხარი, ომი და უბედურება გადავიტანე, თუ ძმახარ, ახლა ცოტას დავიძინებ-მეთქი. კაიო, მარა შეცივნული იქნები ჯო და, დავაი, ბუზის არაყი ვრეკოთ ახლა თითო-თითოო და შენ ნახე, მერე როგორ ჩაითბუნები და რა ტკილ სიზმრებს ნახავო და. სულ და-ებით ლაპარაკობს, მეც აღარ ვე-და-ვე. თხილი და არაყი გამოიღო კარადიდან. თავი მტკიოდა წუხანდელ ნაომარს და რომ დავკარი პატარა რომკით, ისე კარგად წავიდა, უცებ მომირჩა თავიც და დაღლილობაც გაქრა...

ცოტა ხანში კაი მთვრალი ვიყავი უკვე და ლოგინამდე მივედი, თუ მივფრინდი, ვერ მივხვდი. მერე სიზმარში უკვე ცაში დავფრინავდი და ერთ-ორ ანგელოზს რომ გადავისწარი გზაში, ფრენის მოწმობა ჩამომართვეს, დერბულა ხაზი გადაკვეთეო, ვეღავე, ცაში რა უნდა ხაზებს-მეთქი, მარა ვინ დაგიგდო ყური...

რომ გამეღვიძა პირველი საათი ხდებოდა... უფრო სწორად, ბიჭების ურიამულმა გამაღვიძა. გოჩას ხუთი წლის ტყებს ბიჭებს, გიორგის და იურის, მომბანას თამაში ჰქონდათ გაჩაღებული.

შენ იყავი ამერიკელი, მე ვიქნები რუსიო, ყვიროლნენ, არადა ორივე ბეჭერული საქართველოს შვილები არიან. არა უშავს, ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული. სამზარეულოში ნანა, გოჩას მეუღლე. გოჩამ დაიბარა, მაგი როგორც კი გაიღვიძებს ზღვაზე წავა მარა, არსად არ გაუშვა, დამელოდოსო, აუცილებელი საქმე მაქვსო... გიცოდი რა საქმეც ექნებოდა, ხოდა გავექეცი კიდე ერთ დათობას და ზღვისკენ წავედი... ბათუმში ყველა გზა ზღვისკენ მიდის და ზღვასთან მთავრდება...

წვრილი წვეთები მოდიოდნენ ციდან. თითქოს, ჩემი სიზმარში ნანასი ანგელოზები დამდგარიყვნენ და წმინდა საცერტი ატარებდნენ წვიმის წვეთებს. ვგიუდებიო, ვერ ვიტყვი, მაგრამ კაია ასეთი წვიმა, თითქოს არც გასველებს...

ზღვაზე ჩოგბურთის კორტებთან გავედი. პლაზი ცარიელი იყო თითქმის... ორი მოხუცი ეძებდა ზღვის გამორიყულ შეშას... იქვე, პატარა, 10-11 წლის ბიჭი იღვა და ზღვას უყურებდა... მიევსალმე.

— გაუმარჯოს, კაცურ კაცს!

— გაგიმარჯოთ! — თავაზიანად მომესალმა ისიც.

— ზღვას ხომ ვერ მასწავლი სად არის, აქეთ გამომიშვეს! — მოვიშტერე თავი. ბავშვებს უყვართ შტერი უფროსები...

— ა, ზღვა.... — გაუხარდა, ალბათ რაღაცით რომ დამებმარა.

— აგაშენა ღმერთმა! აბა, როგორი წყალია, ღირს ცურვა?

— ახლა არ შეიძლება ბანაობა, თან დიდი ტალღებია და თან ცივია წყალი!

— კაი, მჯერა შენი, არ გავცურავ მაშინ, ბათუმელი ხარ?

— ქუთაისელი...

— აქ ვისთან ჩამოხვედი, არდადეგები გაქეს ახლა ხო?

— აქ ვცხოვრობ...

— აბა, ქუთაისელიო!

— ქუთაისში ბებია და ბაბუაა...

— კაი კაცი. ლექსი თუ იცი შენ!

— ვიცი!

— აბა, თქვი!

„ცერიან ბალაზზე თუ ფეხშიშველმა არ გაიარე, რაა მამული,

წინაპართაგან წავიდა ყველა,

სხვა ხალხის ისმის აქ ურიამული“ —

ისე გულდასმით ჩაარაკრაკა, გეგონებოდა გამოცდაზეა და ეს ლექსი სტიპენდიის საკითხს უწყვეტსო.

— იცი ვისი ლექსია?

— ვიცი, გალაკტიონის...

— ვა, მაგარია. კიდევ გეცოდინება შენ სხვა...

— „მე დაჭრილი ვარ უიარაღოდ,

მე შენ სიყვარულს ვერ გავექეცი,

ნუ იტყვი ჩემზე გული არ აქვსო,

მე გული მქონდა და შენ მოგეცი...“

— აგაშენა ღმერთმა, მაგარი კაცი ხარ. ვინაა მაინც ის, რომ დაგჭრა ასე უიარაღოდ?!

— ანა...

— ანა ვინაა?!

— კლასე ელი ია, ადრე ერთად ვსწავლობდით... ახლა ის თბილისში სწავლობს და ზაფხულობით ჩამოდის, მერე ზღვაზე გამოვდივართ... ის რომ არ არის, მაშინ მარტო გამოვდივარ...

— ე. ი. შეგიყვარდა ანა და აუსენი სიყვარული, ა, კაცი!

— არ ამხსნია, მაგრამ იცის!

— აბა რა იცის, რომ გიყვარს?

— იცის! გაიგო!

— და როგორ გაიგო?!

— მე ძმაკაცს ვუთხარი, ძმაკაცმა დედაჩემს, დედაჩემმა ანას ბებიას!

— და ე. ი. ანამ, ის, რომ შენ გიყვარს, ბებიამისისგან გაიგო?!

— ხო!

— გადამრევ შენ, გეთქვა პირდაპირ!

— მომერიდა!

— რაის მოგერიდა, სიყვარულის?! თან ოცდამეტთე საუკუნის მოქალაქეს?! კაი. ხოდა, რომ გაიგო, რა თქვა ანამ.

— არაფერი.

— როგორ, სულ არაფერი?! ან არ გაუხარდა, ან არ ეწყინა, ან რამე?

— არც იმდენად გამოუხატია სიხარული, მარა არც აღმფოთება გამოუხატავს!

რა მაგარი კაცია, განსაკუთრებით მომეწონა სიტყვები, გამოუხატავს და აღმფოთება.

— ანუ დუმილი, დუმილი კიდე თანხმობის ნიშანია, ხო იცი, ე. ი. მალე ცოლადაც მოიყვან!

— ჯერ ცოლად ვერ მოვიყვან, არ შეიძლება, ზრდასრული არ ვარ...

— რამდენი წლის ხარ ახლა შენ...

— თერთმეტის.

— რაღა დარჩა, შვიდი წელი, იცი შვიდი წელი რა მალე გავა, აბა მითხარი, რამდენ წელიწადში იქნება შვიდი წელი.

ეს რო ვკითხე, დააყოვნა პასუხის გაცემა. ალბათ გაიფიქრა, ეს კაცი მთლად ნორმალური არ უნდა იყოს, ღირს კი საუბრის გაგრძელებაო.

— შვიდში, — მიპასუხა მაინც, თან

ცოტა გულდაწყვეტით, რა უინტერესო
მოსაუბრეაო ალბათ.

— გეგონოს, ეს ადრე იყო შვიდი
წელი შვიდში რომ დგებოდა, სადღაც
ინტერნეტში ვნახე, დედამიწას სისწრაფე
მოემატაო... უფრო სწრაფად ბრუნავს
თავისი ღერძის გარშემო და ალბათ
დედამიწის გარშემოც, ანუ შემოკლდა
დღე-ღამეც და წელიწადიც.

გაკვირვებული თვალებით მიყურებს.
ვფიქრობ, ნეტა რას მიპასუხებს.

— საათი რომ ძელებურად მუშაობს?

ახლა რა ვუთხრა?! ეს კაცი
ჩემზე ჭიბიანია. ფილოსოფოსია უპევე.
მომიგო აშკარად. მგონი მიხვდა, რომ
უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო,
რომ მის არგუმენტს ვერაფრით
შევეწინააღმდეგებოდი და ამჯერად
თვითონ მეკითხება:

— თქვენ შევგარებული გყავთ, ბიძია,
თუ ცოლი?

— მე არც შეყვარებული მყავს და
არც ცოლი...

— რამდენი წლის ხართ?

— უუ, ქვეყანა...

— მერე რატომ არ მოგყავთ...
ლაპარაკით და გამომეტყველებით კაი
კაცი ჩანხართ!

— არ მოტყუდე, ეჰ, ეს შენ ხარ
კაი კაცი, შეყვარებული გყავს ოჯახის
შექმნას ფიქრობა...

— თქვენი ბედიც მოვა...

— ე. ი. მეც ავალ ევერესტზე?!

— ევერესტი ვინაა?! — მკითხა
გაკვირვებულმა... უჰ, გამიხარდა, ძლიგს
არ ვაჯობე...

— როგორ არ იცი?! ევერესტი, ანუ
ჯომოლუნგმა არის ყველაზე მაღალი
მწვერვალი დედამიწაზე, ანუ ყველაზე
მაღალი აღგილი...

— ანუ გამოდის, ყველაზე მაღალი
მწვერვალი ქალის სიყვარულია, ბიძია?

— ასე გამოდის...

— ხო, მაშინ შენც ახვალ ევერესტზე...
ასე იყო ერთ ქალი ჩევნთან მეზობლად
გაუთხოვარი და გამოუჩნდა კაცი...

— უ, ეს რა მითხარი... აქაც დაუაგვიანე...
ეს აქ? ბათუმში?

— არა, ოზურგეთში...

— შენ ვერ გავიგე, ქუთაისში ცხოვრობ,
ბათუმში ცხოვრობ, ოზურგეთში
ცხოვრობ...

— ოზურგეთიდან დედაჩემია და მეორე
ბებია და ბაბუა იქ ცხოვრობს...

— მოკლედ, მთელი მსოფლიო შენია...

სხვა რა ხდება ბათუმში...

— არაფერი ისეთი... კვირის კაცი
მოვიდა ისევ...

— რაო?! კვირის კაცი ვინაა?!

— ასე ეძახიან, უკვე ექვსი თევა
ყოველ კვირა დღეს, სამ საათზე მოდის
და ერთ სკამზე ზის. ხალხი ამბობს,
ეტყობა შევგარებულს ელოდებაო, თუმცა
ამასთან მისული ქალი არავის უნახავს
ჯერ, ის კი არა, ისეთი სახე აქვს,
შეკითხვასაც ვერ უბედავ ვერავინ. ისე,
ამობენ თბილისელიაო...

— ახლაც იქ არის?

— კი...

— წავიდეთ, აბა, ერთი, ვნახოთ!

დამსუსხა, ზაფხული გამახსენდა.
აგვისტოს პირველი რიცხვები იყო,
შაბათს, 9-ში, ბათუმში მივდიოდით
თანამშრომლები... ერთ სასტუმროში
აღგილები დაჯავაშნული იყო უპევე...
ძალიან გვიხაროდა ყველას... მე ნათიას,
ხუმრიბით, „აღნოკლასნიებში“ საქმროს
ვურჩევდი... მერე ერთი სურათი ნათიას
ვანახვე და... არა უშავს, პივაზე წავაო...
ბიჭმა — თბილისელი ვარ, მაგრამ ახლა
ბათუმში ვარ მძაკაცებთან ერთადო...
მერე იმათ რა ისაუბრეს, არ ვიცი... მე
გავედი, რო დავბრუნდი, უპევე ნათია არ
იყო კომბანი, ხოდა, პაემანი დავუთქვი
ნათიას სახელით იმ ბიჭს, ეს მახსოვს...

ბ უ ლ ვ ა რ ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ
შესასვლელამდე ჩავედით. ისევ ცრიდა.
მესამე სკამზე მართლა ის იჯდა, ვინც
მაშინ ნათიას ამოკურჩიე, ოღონდ იქ,
სურათზე, გაღიმბებული იყო, ახლა კი
ისეთი სახე ჰქონდა, რომ იტყვიან ცხვირ-
პირი ჩამოსტიროსო...

ბიძია, წავალ აბა მე, დედა
გამიბრაზდება. — ფიქრებდან გამოარკვია
საბას ხმამ.

— კარგი საბა, მაგარი კაცი ხარ, ხო
ვართ მძაკაცები...

— კი!

— აბა, შევხვდებით კიდე! ანას მიხედე,
ანას, კარგი გოგო ჩანს და აბა, შენ იცი.

— კაი. კარგად აბა...

— კარგად...

საბა წავიდა. მე კი ამ კაცს მინდა
გამოველაპარაკო, მაგრამ როგორ, იმას
ხო ვეტყვი, რომელი საათია-მეთქი...
აბა რა გკითხო?! მოვიუიქრე...

— გამარჯობა, უკაცრავად, დიდი ხანი
ხართ აქ?

— სამი საათიდან...

— ცუდად არ გამიგოთ, პაემანზე

დავიგვიანე, ტელეფონის ბატარეაც დამიჯდა და ვერ ვრეკავ. შეიძლება თვითონაც მირეკავდა, აქ გოგო ხო არ დაგინახავთ?!

— მე სამზე მოვედი... არავინ გამოჩენილა...

— ე. ი. მომატყუა... არა რა, ქალის ნდობა?!

— რა იცი, ძმა, რა ხდება, თუ უყვარხარ და თუ გიყვარს, უნდა დაელოდო?!

— და რამდენი უნდა ველოდო?!

— გააჩნია, როგორ გიყვართ, რა დოზით! მე უკვე ექვსი თვეა ველოდები!

— როგორ თუ ექვსი თვე?!

ხოლა, მომიყვა ეს კაცი, როგორ ისვერებდა შარშან, აგვისტოს პირველ რიცხვებში, ძმაკაცებთან ერთად ბათუმში, ერთ წვიმიან დღეს, როცა ზღვაზე შეუძლებელი იყო გასვლა, როგორ გაიცნო ერთ საიტზე ვიღაც გოგონა, როგორ ისაუბრეს თითქმის მთელი დღე... როგორ ეძახდნენ გაცნობის დღეს ერთმანეთს დამთხვეულებს, იმიტომ, რომ ხო ერთი და იგივე კითხვები პქნდათ, პასუხებიც ემთხვეოდა თითქმის... მხატვარიც ერთი და იგივე მოსწონდათ (პიკასო), ფილმიც ერთი და იგივე უყვარდათ („სიყვარული ხოლერის დროს“)... მწერალიც, (მარკესი), წიგნიც (მარკესის – „მარტოობის ასი წელიწადი“)... მომღერალიც (ჯონ ლენონი)... სიმღერაც (ჯონ ლენონის – „ეჭვიანი ბიჭი“). როგორ მიხვდნენ მაშინ, რომ ორივემ იპოვა თავისი მეორე ნახევარი, რომელიც შეიძლება მთელი ცხოვრება ეძებო და ვერ ნახო. როგორ მოასწრეს სიყვარულის ახსნა და პაემნის დანიშვნაც. მერე ომი და უბედურება დაიწყო. ის საიტი, სადაც ეკონტაქტებოლნენ ერთმანეთს საერთოდ გაითიშა... კვირას უნდა შეხვედროდნენ, მაშინ 10 აგვისტოს უწევდა, ვერ მოახერხა ბიჭმა მოსვლა, იმიტომ რომ რეზერვში გამოიძახეს... დარწმუნებულია, რომ ის გოგო მოვიდოდა და ახლა ბრაზობს, რომ თვითონ ვერ მივიდა... თუმცა გაუგებს, რატო ვერ მოვიდა მაშინ, იმ კვირას და ერთ კვირა დღეს აუცილებლად მოვა და მაშინ ეტყვის, რომ ძალიან უყვარს, რომ უმისოდ მისმა სიცოცხლემ აზრი დაკარგა, რომ თუ საჭირო იქნება, მთელი ცხოვრება დაელოდება მას... – ამ სიტყვებით დაამთავრა მონოლოგი და ისე ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ყვინთვაში ეჯიბრებოდა ვინმეს.

— მგონი, აუცილებლად მოვა... ისეთი წინათგრძნობა მაქვს, აი, ახლა შემდეგ კვირა დღეს აუცილებლად! – ვთქვი მე.

— მართლა?!

— ხო...

ტყუილების ამოსაცნობი აპარატი რომ პქნონდა, მიხვდებოდა ეს კაცი, რომ ცოტა ამაფორიაქა მისმა მონაყოლმა. თავი დამნაშავედ ვიგრძენი და დაგემშვიდობე. იმ მანძილზე რომ გამოვცდი, რომ ხმას ვერ გაიგებდა, ნათიას დავურეკე...

— ნათია, ბათუმში ვარ, იქეთ კვირას უნდა ჩამოხვიდე! ჩამოდი, გაიგე?

— რას გიჟობ?!?

— არაფერსაც არ ვგიჟობ, მშვენიერი ბიჭია, ცოტა კი შეგიშლია, მარა, არა უშავს, გაუვლის...

— ვის შეუშლია, მე?!

— არა, მე?! აბა ვის?! შენ გახსოვს, ზაფხულში ინტერნეტში ვიღაც რომ გაგიჩითე, კარგი ბიჭი ჩანს-მეთქი?

— ხო, მერე?!

— მერე ის, რომ შენც მოგეწონა, რა მერე რომ გადარიე მაშინ ის ბიჭი, დაგავიწყდა?!

— მე გავაგიჟე?!

— მე რა შეუში ვარ, კი ბატონი, თავიდან შენ მეარნახობდი და პასუხებს მე ვწერდი?! მერე ხო, მე გასული ვიყავი, შენ მახსოვს სადილზეც არ წამოხვედი. ის კი არა, კომპიუტერს ვერ მოგაცილე მოელი დღე...

— ხო, გამახსენდა! კაი ბიჭი იყო. კაი, ჩემი ბრალია, მერე რა ხდება?!

— მერე პაემანი რომ დაუნიშნე იმ ბიჭს, დაგავიწყდა?!

— პაემანი მე დავუნიშნე?!

— აუ გამახსენდა, მგონი პაემანი მე დავუნიშნე, შენ მერე რაღაც საქმეზე გახვედი, ხო, მახსოვს, შენ გასული იყავი, უფროსმა გითხრა, რაღაც საბუთები შემომიტანეო. ის გწერდა, შევხვდეთო. მე ვუთხარი, კვირას იყოს, ბულვარიდან პლაზზე მთავარ გასასვლელთან, მარჯვენა შხარეს მესამე სკამთა სამ საათზე მოდი-მეთქი, შენთვის თქმა კი დამავიწყდა...

— შენ კაცის მოტეხვას მიპირებდი, არა?!

— ხო, ასე გამოდის... დღეს იცი, ვის ვესაუბრე?

— ვის ესაუბრებოდი, ალბათ მაგ ბიჭს!

— ხო, მართალი ხარ, იცი, როგორ უყვარხარ, ნათია, აფრენს შენზე... შენი ბედია რა...

— მიდი...

— გეუბნები... მაგარი ბიჭია, გახსოვს, მაშინ შენც დაგაინტერესა, განათლებული ჩანსო, მახსოვს სიყვარულიც აუხსენით ერთმანეთს...

— ხო, ვმაიმუნობდით...

— მაიმუნობდით კი არა, ჩემი მეორე ნახევარი ვნახეო, მაშინ... იმის შემდეგ ყოველ კვირა დღეს ჩამოდის თბილისიდან და გელის...

— მიდი!

— ხო-მეთქი! ხო ჩამოხვალ კვირას!

— შენ გიჟი ხომ არა ზარ?!

— ჩამო რა, ნათი... შენი ბედია, გეუბნები... დაბერდი, ხო ხედავ...

— ჩემი შენ გითხარიო...

— ნუ გეშინია, საბამ მითხრა, რომ ჩემი ბედიც გამოჩნდებაო...

— საბა ვინდაა?!

— ჩემი ახალი მმაკაცი, ოერთმეტი წლისაა და ორი წელი შეყვარებულია უპევ. საბამ გამაცნო კვირის კაცი...

— კვირის კაცი ვინ არის...

— შენს კაცს მთელი ბათუმი კვირის კაცს ეძახის თურმე...

— გიჟი ზარ...

— ვიცი! ხო ჩამოხვალ...

— მოიცა, მანდ რატო ჩამოვიდე, ის ხო თბილისში მოდის...

— ნათია, არა რა, ყველაფერს გააფუჭებ, ჩამოდი რა, მე ვუთხარი იცი ისეთი წინათგრძნობა მაქვს-მეთქი, აუცილელად მოვა ამ კვირას-მეთქი... ხო ჩამოხვალ?!?

— ხო, კაი, ჯანდაბა შენს თავს... შენ ხო კაცი ვერ მოგიშორებს...


...ის ერთი კვირა პრაქტიკულად არ გამოვფხიზლებულვარ, გოჩას საერთოდ ერთკვირიანი დაბადების დღეები აქვს. ხან ერთი მმაკაცი მოუვიდოდა დაგვიანებული, ხან მეორე... ერთი კვირის მერე მართლა ჩამოვიდა ნათია. რო დამირეკა და მითხრა, ბათუმში ვარო, აქ რა გინდა-მეთქი... სულ დამვიწყებოდა წინა კვირის ამბები. მერე კაფეში ვიყავით: საბა, ნათია და მე. წვიმდა.

ნათიას სული ელეოდა, მართლა იქნება?! ამ წვიმაშიც?! კვირის კაცია თუ წვიმის კაციო?! საბამ, გავიქცევი და ვნახავო! მე ვუთხარი, არ ვინდა, ერთად ვნახოთ-მეთქი, მაგრამ მაინც წავიდა. ცოტა სანში უკან მობრუნებულმა და ღიმილიანმა, კი იქ არისო, გვითხრა. ნათია მეუბნება, რაღა შენ და რაღა ფაშისტი და რუსი ოკუპანტი, ცოდო წავიდეთ, ფილტვების ანთება არ დამართოო. მე რა შუაში ვიყავი, ხოდ წავედით. ბულვარში 4-ზე გავედით, ჯერ შორიდან დამანახე, ვინ მიყვარსო, თუ ვის ვუყვარვარო. კვირის კაცი ჩვეულებრივ იჯდა ძესამე სკამზე მაგთი ფიქსის რეკლამიან ბილბორდთან, რომელსაც დიდი ასოებით ეწერა, კავშირი ველასათვის, შუაში კი ვიღაცას საღებავით მიეწერა: „სტოპ რაშენ“...

... თაფლობის თვე პარიზში პქონდათ. ნათიას ვეუბნებოდი, თაფლი წაიღე-მეთქი, და რად მინდა, ჩემი თაფლიცა და შაქარყინულიც ის არისო... ხო, შენ კი მისი ევერესტი-მეთქი და რაიო, ვერ გაიგო, საბას კითხე-მეთქი... რას გაიგებს, ისე გაბრუებულია სიყვარულით...

არ ვიცი, ქოწილში დამპატიუებენ თუ არა, ის კი ვიცი, რომ სიძე საცემრად დამსდევს. მართლა სირბილით კი არ დამსდევს. ასე უთქვამს ნათიასთვის, სადაც ვნახავ, ვცემო, სულ მაგის ბრალია, რომ ექვსი თვის დაგვიანებით გნახეო, იმას კი არა ფიქრობს, რომ ნახა, საერთოდ, ვისი დამსახურებაა. ხოდა, ცემა მორევაზეა... მაგან ის კი არ იცის, ბაგშვობაში მეზობელს წიგნი რომ გამოვართვი, კრივის თვითმასწავლებელი იყო და სულ ზეპირად ვიცი კროსები, აპერკოტები და პუკები... ისე დიდად რომ არ იქლავს თავს ჩემი ნახვით, ეს აშკარაა... სამსახურში ვარ ყოველ დღე. ისიც ყოველ დღე აკითხავს ნათიას, მაგრამ შენობაში არ შემოდის. კაცი ევერესტზე ავიყვანე და ახლა აქეთ მემუქრება... არა უშავს, როგორც საბა ამბობს, მეც ავალ ევერესტზე...

* რევაზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხოვობის კონკურსის პრიზიორი



ბიბა ბებიშვილი

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში დაწერილი*

„და ადამიანი თრთოდა მარტოობაში“
გვიარ ალაზ პო

არსებობისთვის მხოლოდ ერთი საათი მაქვს დარჩენილი. მხოლოდ სამოცი წუთი მაქვს იმისთვის, რომ ვიარსებო, ვიგრძნო ის, რასაც ვგრძნობ და შევეცალო ეს გრძნობა შავი ფანქრით თეთრ ფურცელზე დავაფინო. ერთი საათი და ჩემი არსებობა დედამიწაზე, წარსულს ჩაბარდება...

სიცოცხლის უკანასკნელ საათში, მე არ მაქვს უფლება გავიღე ბუნებაში, ხეებს ჩავეჭუტო, შევიგრძნო მათი მშურვალე სხეულები ჩემს სხეულზე და გავიღიმო. მე არ შემიძლია გავხედო მზეს, მოყბიდან ნელ-ნელა, რომ იწვერება და ჩამუქებულ დედამიწას აცისკროვნებს. მე არ შემიძლია დავჯდე მდინარესთან, ვუყურო თევზების ცურვას და მოვისმინო ჩიტების გალობა. მე არ შემიძლია ეს ყველაფერი ჩემს რომელიმე რომანში ავსახო, რომელიც ალარ დაიწერება ჩემ მიერ, რადგან მალე, ძალიან მალე მე სიკვდილის დელფალი გულში ჩამიტუტებს, როგორც მამამ ჩაიკრა დაბრუნებული ძე, და ყურში ჩამჩრჩულებს: – „როგორც იქნა, რამდენი ხანი გელოდი...“

—
ეს ჩემ მიერ განცდილი უკანასკნელი შეგრძნებაა, რომელსაც ფურცელს ვუზიარებ.

უკანასკნელად ვიღებ კალამს და უმისამართოდ ვიწყებ აზრების გაშლას ქაღალდზე. უკანასკნელად ვიწყებ მეორე გულით ცხოვრებას, იმ გულით, რომელიც ყოველთვის ფეთქავს და მაჩვენებს ყველაფერს სხვა კუთხიდან.

ახლა, როცა ცივ საკანში ვზივარ და იატაკზე უკანასკნელი თხოვნის შედეგი — ფურცლები, არეულად ყრია, კედელს ვეყუდები და მესმის ნაბიჯების ყრუ ხმა. ვგრძნობ, როგორ ახლოვდება სიკვდილის დელფალის მძიმე ფეხსაცმლის კივილი.

„მიესაჯოს სიკვდილით დასჯა!“ ეს იყო ჩემი განაჩენი. განაჩენი, რომელიც არ დამიმსახურებია. მკვლელობა დამაბრალეს, სიცოცხლის აღგვა დამდეს ბრალად...

—
დრო გადის, არ შემიძლია შევაჩერო.

„ფაუსტი“ მახსენდება.

ნეტავ შემეძლოს წამის შეჩერება და იმ ერთ წამში ცხოვრება.

და მაინც, რომელ წამში ვისურვებდი სიცოცხლის განგრძობას?

„ვის ნახვას ისურვებ და იუკანასკნელად?“ მკითხეს.

„ვინც არ უნდა ვითხოვო მოიყვანო?“

„შევეცდებით.“

„მაშინ, ანგელოზები მომგვარეთ!“

გაჩუმდა.

„მალე ჩვენი სულიერი მამა მოვა, გაზიარებს.“

„არ მჭირდება მღვდელი, ჩვენი სულიერი მამა ედემის ბაღშია; მირჩევნია ეს ერთი საათი მარტო დამტოვოთ და მშვიდად ყოფნის საშუალება მომცეთ.“ ვუპასუხე.

დიდი წნის წინ განვუდექი მამა-პაპურ ეკლესიას და მის მსახურებს, რომლებიც ადამიანებს ადამიანების წინააღმდეგ ამხედრებდნენ, ღვთის სახელით გასცემდნენ იმ ბრძანებას, რომელიც ნაზარეველის მიერ თქმულისგან შორს იყო. მისი სახელით ხოცავდნენ, ანგრევდნენ, არბევდნენ, ანადგურებდნენ...

მე განვუდექი ეკლესიას, სადაც აღარაა სიწმინდე; მასში სიბინძურე გამეფლა. იქ მყოფთა თვალთმაქცობა სისხლის მიმოქცევას მიჩერებდა. არ შემეძლო მათ გვერდზე დგომა, ვინც მზად იყო ლოცვის პარალელურად აღესილი ჯვრით, რომელსაც ტანისამოსის ქვეშ მაღლავდნენ, გამოედოთ ჩემთვის, შენთვის, მისთვის, ნებისმიერისთვის მთელი შიგნეულობა და გამოფატრულ მუცელში, ხარხარით ჩაეძახათ სიტყვა — „უფლის სახელით!“

ბერთხავ, — „წმინდა და სუფთა ადამიანო, ნუთუ ყველგან სიბინძურეა და არავინაა შენი მოსაწონი? ნუთუ თითოეული იმათთაგანი, ვინც ტაძარს სტუმრობს და იქ მსახურობს, ბინძურია?“

„ო, არა! მე არ ვარ სუფთა და წმინდა ადამიანი, არ ვარ და მორჩა! მე იმდენად ბინძური ვარ, რომ აღარ მინდა უარესად გავიჭუჭყო. მინდა ჩემი ჭუჭყით მივიღე იქ, სადაც უნდა მივიღე. აღარ მინდა ვინძემ უარესად წამბილწოს ჭუჭყის უზომო რაოდენობით, რომელიც ასე მრავლადაა იმ ნაგებობაშიც კი, სადაც იეშუას უნდა ეცხოვრა. იეშუას, რომელიც წიხლისკვრით გამოაგდეს და მიაძახეს: „აქ ყველაფერს ჩვენ განვაგებთ, ჩვენვე გადავწყვეტთ, ვის დაიფარავ და ვის არა, ვის მიიღებ და ვის არა, ვის შეიყვარებ და ვის არა! აქ ჩვენ ვართ ბატონები!“

გინც ვნახე ყველა ჭუჭყიანია — მეც გამსვარეს. ისინი სხვებსაც ლაფს ასხამენ თავზე, სხვებსაც ჭუჭყში აბანავებენ. მე არ მინდა კარგის ძიებაში ისევ ცუდს გადავაწყდე და კიდევ ამომთხვარონ ტალახში. მჯერა, რომ სპეტაკი ადამიანი თავად მიპოვნის.

ჩემგან განსხვავებით, თქვენ მღვდლებსა და ჩვეულებრივ შენობაში ეძებთ იეშუას. მაგრამ ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ: ჩვენი ცხოვრება იმდენად ხანმოკლეა,

სხვა ადამიანებში კი არ უნდა ვეძებდეთ ნაზარეველს, არამედ საკუთარ თავებში. პირველ რიგში ჩვენში უნდა ვიპოვოთ, და არა იქ, სადაც ის არაა და არასოდეს დაუდგამს ფეხი!“

სიკვდილი კარს მომდგომია, მე კი, მე კი ისევ მათზე ვფიქრობ, ვისზეც არ უნდა ვფიქრობდე, მაგრამ ვფიქრობ...

ჩავფიქრდი, გავჩერდი. რამდენიმე წამი ქაღალდს დავყურებდი.

სიკვდილის წინაც დამცინიან — „როგორი სიკვდილი გინდა?“ მეკითხებიან.

„მე როგორი სიკვდილიც მინდა, ისეთს ვერ მომცემთ,“ — ვპასუხობ.

„და მაინც?“

„მაჩვენეთ მზიანი დამე, ვარსკვლავების წვიმა, რომ წამოვა და ლურჯ ხეებს წითლად გადაღებავს. მაჩვენეთ დამშრალი მდინარეები, როგორ დიდებიან და მოსე ხელმეორედ როგორ ყოფს წყალს ორად, რათა მასში გაიაროს... მაჩვენეთ ეს ყველაფერი და მერე მომკალით!“

სახრჩობელა ავირჩიე, როგორც ჩემმა მეზობელმა...

ტყუილად მკლავენ, უდანაშაულო ვარ, არავისთვის არაფერი დამიშავებია, მაგრამ...

ალბათ ასეთია ჩემი ბედი, — ვერაფერს შევცვლი.

ოცდაათი წუთი დამრჩა.

ნეტავ როგორი იქნება? რას ვიგრძნობ, როცა სხეულს ვეღარ შევიგრძნობ?

სიკვდილის ნაბიჯების ხმა ახლა უფრო მკაფიოდ ჩამესმის.

გული მერევა.

შიში უაზრობაა, რატომ უნდა მეშინოდეს იმის, რის შესახებაც მთელი 32 წლის განმავლობაში ვიცოდი?

სიკვდილი... რაა სიკვდილი? ალბათ სიმშვიდეა, ისეთი სიმშვიდე, როგორიც არასოდეს უგრძნია ცოცხალ აღამიანს. სიკვდილი სიყვარულიცაა, სიყვარული იმ წამის, რომელზეც წელან ვოცნებობდი.

„ — რა არის სიკვდილი?

— სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა.“

ასეა...

ზუსტად თორმეტ საათზე მიიბარებს ჩემს მძიმე სულს მსუბუქი ფრთოსანი.

იმავე წამს, როცა ჩემი დაბადების
უამი დადგება, მე მივიცელები...
მოგვედები ჩემსავე დაბადების დღეზე
— პოეტურია!

ჩემი საკნის მეზობლად ორი საკანია.
უფრო სწორად ორ საკანს შორის ვარ
მოქცეული.

ერთი საკანი ცარიელია, მეორე — არა.
„ერთად გაგვიყვანენ.“ დაიჩურჩულა
ჩემმა მეზობელმა.

„გეშინია?“ ვკითხე.

„პო, მეშინია, ძალიან მეშინია.“

„ნუ გეშინია, ჩვენ ერთად წავალთ
ამ ქვეყნიდან, ხელებს ჩაჭიდებთ და...“

ჩვენ ერთად შემოგვიყვანეს საკნებში,
თავზე შავი ტომრები გვერდიდა ჩამოცმული.

პირველ კვირას არ მელაპარაკებოდა,
მხოლოდ ტიროდა.

მეორე კვირას ლაპარაკი დაიწყო,
მესაუბრებოდა. დამეტს ვათენებდით
საუბარში, მაგრამ ერთმანეთის შესახებ
თითქმის არაფერი ვიცოდით. არ
მოგვიყოლია, თუ რატომ ვისხედით ცივ
კედლებს შორის.

ყველაფერზე გსაუბრობდით, თითქმის
ყველაფერზე.

სამი თვე ისე გავიდა, რომ
მასთან ლაპარაკის გარდა არაფერი
მიკეთებია (თუმცა სხვა რა უნდა
აკეთოს სიკვდილმისჯილმა, რომელმაც
იცის, რომ მალე ბოლო მოეღება მის
არსებობას?!).

სიზმრებში ვხედავდი მას. ვხედავდი
მის ვარდისფერ ტუჩებს, სხეულს, თმას,
სახეს, რომელიც მე შევქმენი. მერე
ვეზუტებოდი და ვკოცნიდი...

ვხედავდი, როგორ გავდიოდით
საკნებიდან, უშეველებელ მინდორში და
ვიწყებდით ცეკვას, გმლიდით ხელებს და
სიხარულისგან ვყვიროდით.

ჩვენ არასოდეს გვინახავს ერთმანეთი,
მხოლოდ გონებაში დავხატეთ ერთმანეთის
სახეები.

არ გვინდა ერთმანეთი ვიზილოთ,
რადგან ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი ისეთი,
როგორებიც წარმოვიდგინეთ, დავხატეთ,
შემდეგ ნახატები ერთმანეთს მივაწოდეთ
და ვიცინეთ.

ოჰ, რას არ მივცემდი მანამდე,
რომ გამეცნო, სანამ აქ, ამ საზიზლარ
ადგილზე მოვხვდებოდით.

გუშინ, ღამე, ტიროდა. ღმერთს
იხმობდა, სასმისის არიდებას კი არა,
სიმშვიდის გამოგზავნას სთხოვდა —

ნამდვილი ანგელოზია.

მე მისთვის ვლოცულობდი.
მერე ორივეს ჩაგვეძინა.

გამოღვიძებისთანავე მეც გამომაღვიძა
და სიზმრის მოყოლა დაიწყო.

„მესიზმრა, თითქოს ღამე იყო,
ბინდისფერ ღრუბელზე ვიჯექი და
ვარსკვლავებს ვთვვლილი. უარშეგანგმა
ჩემს წინ გაინავარდა...“

„წითლად იყო შეფერილი, თავზე
ოქროს გვირგვინი ეღგა.“ განვაგრძე.

„გადავეურებდი შავ ოკეანეს და
ვხედავდი მასში დაფანტულ კლდეებს...“

„მერე თეთრი ნავი დავლანდე. ცარიელი
იყო, ნიჩბები თავისით მოძრაობდნენ...“

„სადღაც მიცურავდა...“ დანანებით
თქვა.

„დრუბელი მიწაზე დაეშვა, მე
ჩამოვხტი.“

„ქიშას შევეხე შიშველი ფეხებით;
ვიგრძენი, რომ თბილი იყო...“

„ჰორიზონტს გავხედე, მიუხედავად
სიშორისა, მაინც შევამჩნიე, რომ იქ
ვიღაც იღგა, ადამიანს ჰეგდა, ხელები
გაშლილი ჰქონდა, მის ზემოთ, ჰაერში
ფრანი ტივტივებდა...“

„მერე აღარ მახსოვს რა მოხდა...“

„გამომეღვიძა და ყველაფერი გაქრა;
ზღვისა და ცის ნაცვლად კი, ობიან
კედლებს ვხედავ...“

ჩვენ ერთი სიზმარი ვნახეთ, ჩვენ
ერთმანეთი დაგვესიზმრა.

ო, როგორ მინდა სანამ სულს
ამოგართმევენ, მოგცენ უფლება, რომ
ერთმანეთს ჩავეზუტოთ...

არსებობისთვის მხოლოდ ათი წუთი
დამრჩა.

ათ წუთში მოვლენ და წაგვიყვანენ.

მალე ვეღარ დავწერ, ამიტომ წინასწარ
დავაფენ ფურცელზე იმას, რასაც
ვიგრძნობ, რაც იქნება, აუცილებლად
იქნება...

ჩემს გვერდით იღგება საკნის
მეზობელი, ხელებს ჩაჭიდებთ და ვეტყვი,
რომ მიყვარს. როცა ფეხევეშ სკამს
გამოგვაცლიან, ჩვენი სხეულების სიმძიმე
თოკებს დაჭიმავს, ყელზე მოგვიჭერს,
ძალიან მოგვიჭერს. ისე მოგვიჭერს, რომ
სუნთქვას ვეღარ შევძლებთ. სიკვდილის
ხენებას გავიგონებთ და ნელ-ნელა ბურში
გაეხვევა ჩვენი გონება. ჩვენს ძარღვებში
სისხლის მოძრაობა განელდება. ტვინი
ვეღარ იგრძნობს უანგბადის ნაკადს

და თვალებს სისხლი მოაწება. თვალებს დაგუჭავთ, ძალიან მაგრად დაგუჭავთ, პირს გავაღებთ, მაგრამ ჰაერს ვედარ ჩავისუნთქავთ. გულის უკანასკნელ ფეთქვას როცა ვიგრძნობ, თავს მოვატრიალებ, მომინდება, რომ მას შევხელო, მაგრამ თავზე ჩამოფარებული ტომარა ხელს შემიშლის – მას ვერ დავინახავ... ჩვენი სხეულები სწრაფად გაცივდება. ჩვენი ხელები მაგრად იქნება ერთმანეთზე გადაჭდობილი, ვერავინ შეძლებს მათ განცალკევებას... მე მოვკვდები... ისიც მოგდება... გადავალთ იქ, სადაც ყველა გადავა...

ხუთ წუთში მოგვაკითხავენ.

საათი წიკწიკებს, წამი არ ჩერდება. ვეღარ ვწერ, ხელი მიკანკალებს.

მარცხენა ხელი გისოსებს შორის გავყავი, მისი გამოწვდილი ხელი მოვძებნე.

თითებს ვერძნობ, მის თითებს. წვრილი და სწორია. ლამაზი თითები აქვს.

ტირის, მისი ცრემლები ქვის იატაკზე დაბადუპით ეცემა და მცირე ექოც გაისმის. დერეფანს ვდება და მთრგუნავს...

ფანქარს ვატრიალებ ფურცელზე, ვცდილობ ისევ დავწერო, არ გავჩერდე...

არ ვიცი ვინმე ნახავს თუ არა ამას. თუ ვინმე ნახავს, დაე მიხვდეს, რა შეგრძება, როცა აქ ხარ. მე ხომ ეს მინდოდა, რომ მეჩვენებინა. არაა გამორიცხული რომ ეს ფურცლები ნაგავზე აღმოჩნდეს და ვერავინაც ვერ ნახოს, მაგრამ არა უშავს რა...

ორი წუთი...

– მიყვარხარ! – ვჩურჩულებ.

სიტყვებთან ერთად გულის ფეთქვა ისმის.

– მეც!

– ნუ გეშინია!

„როგორ არ უნდა გეშინოდეს...

წამი წამზე, რომ მიღგა უკვე მეც

მეშინია... ტკივილის მეშინია, რომელსაც ვიგრძნობ... სხეულის დამძიმების მეშინია... პო, მეშინია!“ გავიფიქრე.

– ხელს არ გამიშვებ? – მუდარით ამოთქვა.

– არასოდეს!

– მპირდები?

– გპირდები!

ერთი წუთი დარჩა.

მოდიან. ნაბიჯების ხმა მესმის.

– მიყვარხარ! – კანკალით ვამბობ.

– ხელი არ გამიშვა! – ჩურჩულებს.

მოვიდნენ...

– ორი წუთი მოითმინეთ, უკანასკნელ სიტყვებს დავწერ... ვამბობ და პასუხს არ ვუცდი, ვიწყებ ასოების გამოყვანას.

მარჯვენა ხელი გამეოფლა, მის ხელს უფრო მაგრად ვუჭერ, ვცდილობ, არ გამისხლტეს.

და იქნება ასე: როდესაც ჩვენს უმოძრაო ხელჩაჭიდებულ სხეულებს მიწაში ჩაუშვებენ, იქაურობას წალეპავს ვიოლინოს ატირებულ სიმთა სევდიანი კვნესა და მას შეერთვება დედაჩვენების ტირილი... ეს ორი უზენაესი ხმა, ჩვენს სხეულებს დაეფინება, როგორც შავი ვარდის საამო სურნელი და ჩვენი სულები აიჭრებიან ცისკენ, შავ ღრუბლებს გადაუფრენენ. ჭექა-ჭუხილის სახით გამოგვიგლოვებენ ანგელოზები... კოკისპირული წვიმა წალეპავს ჩვენს საფლავს და მეხის გავარდნისთანავე გასკდება საფლავის ქვა, რომელზეც სისხლისფერი ასოებით ეწერება სიტყვები: „აღსრულდა!“

– ხელი არ გამიშვა... – ისევ ჩამესმის მის მიერ, ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები.

– არასოდეს! – ვპასუხობ.

* რევაზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხრობის კონკურსის პრიზილი

ცეიცა პიტოშვილი – სახითხუსიშვილი



ნუ ეხუმრებით სიზმრებს

მორის რაველის „ბოლერო“ განუმეორებელია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მისი ერთფეროვნებითა და მაინც ვარიაციებად დაყოფილი მელოდიები რახანია თან სდევს ნანას სიზმრებს... რომელთაც წრიულად ერტყმის სალვადორ დალის ნახატების ექსტრავაგანტურობა და სიურეალიზმი!.. საწოლს „თავს ესხმიან“ რეიანი ეშმაკები, ხვლიკები, პითონები, გიგანტი ღამურები, გიბონები... აბა, ასეთ დროს რა დაგაძინებს, თანაც ყველაფერს „ცუდი“ სიზმრების დაუვიწყარი მფრინავი გუნდები მოჰყვებიან... .

ჩაბენელებულ ჭერსა და ფანჯრებს მიშტერებული თავს იმხნევებ: – დიდი არაფერია, ალბათ ძილში გადაიხადე და ქარი შეგივიდაო?!. – ნეტა საად? – კითხვებს აყრი დედაშენს, მაგრამ პასუხის მაგიერ, ერთს დაგიცაცხანებს და ყველაფერი ამით მთავრდება... სიზმრები, როგორც მაგნიტები, ისე ეკვრიან მეხსიერების შავ-ყვითელ ლაბირინთებს...

– პირველ სიზმარში ამბავი იცი, სად ხდება?
– შენ რა, სიზმრებს ნომრავ კიდეც?!
– არა, კი არ ვნომრავ, უბრალოდ შენთვის მინდა, რაღაც გარკვეულ წესრიგს მიყვე... მოსულა?
– მოსულა, მოსულა! შენ რამეს რომ აიკვიატებ, ხომ ველარ გადაგათქმევინებს კაცი?!

დამესიზმრა, – საკმაოდ გვიან იყო; მოვდიოდით მე და ის, შენ რომ იცი, თან ძალიან ვჩეკარობდით, თუმცა იქ, სადაც უნდა მივსულიყავით, მაინც გვიგვიანდებოდა... სიარულსა და გაწამაწიაში უსაშველოდ ვრცელ მინდორში აღმოვჩნდით; სადღაც, ძალიან შორიდან იმზირებოდნენ მწვანედ ალანძული ზეები... სადაც სხვადასხვა

ჯურისა და ასაკის ადამიანებს მოეყარათ თავი; ჩვენდა გასაკვირად – ცხენებს, სახედრებს, ხარ-კამებს შებმული ურმები, ფორნები, საზიდოები უსწორმასწოროდ იდგნენ ან შეციებულ მიწაზე ეყარნენ...

ყველა ერთ მხარეს იყურებოდა და ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მისულიყო ძალიან მაღალ, თვალშეუწვდენელ, ქვის მყარად აყუდებულ, კუბის მსგავს ნაგებობასთან... ბევრი მიღიოდნენ, ცდას არ აკლებდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ და ისევ უკან ბრუნდებოდნენ... ჩვენც გარს გუვლილით იღუმალ ქვის მონსტრს, თუმცა უშედეგოდ, მისი დალაშქერა ფანტაზიის სფეროს სცილდებოდა... ის იყო იმედი გადავიწურეთ, რომ – სიზმარი რის სიზმარია, თუკი იქ, თუ ეს საჭიროა, ყველაფერი იოლად და კოსმიური სისწრაფით, მარტივად არ მოხდა?!

გაოფლიანებულს გამომეღვიძა... კცელილობდი აღმედგინა ნანახი, თუმცა ვერავრით გავიხსენე, როგორ ავედით ამ სიმაღლეზე... ის კი კარგად მახსოვდა, რომ ზემოთ ასულებს გაჩირაღდნებული, ავტოებით სავსე, უცნობი ქალაქი დაგვზვდა... შვება და სიხარული ერთობლივად დამეუფლა... ერთ კვირაში ის ცხოვრებისეული დაბრკოლება, რომელიც იმ მომენტში გვქონდა, უწვალებლივ, თანამიმდევრულად გადავლახეთ... სიზმარი ნაღდად აგვიხდა?!

– სხვათა შორის, ამ ორი თვის წინ, მეც დამტესიზმრა მძიმე სიზმარი; რაღაც უცნაურ ბინაში ვარ, ნახევრად ჩაბენელებულია; ვფიქრობ, სადა ვარ, რა მინდა აქ... სიბნელეს თვალი რომ შევაჩვიე, ოთახის ერთ-ერთ კუთხეში რაღაც შეტოკდასავით; დავაკვირდი და – ვა, ამას აქ, ჩემთან რა უნდა?!. – ჩემი ყოფილი თანამშრომელი არ გაიჩითა! ძაან,

ძაან შავგვრემანი, კაროჩე — „ჩორნა“... სამსახურში ცნობილი „ჩამშვები“... ჩაყრილ ძევემანების ყუთშია ჩამჯდარი და მუგუზალი თვალებით მიყურებს... მოულოდნელობისაგან ისე დავიბენი, რომ ხმას ვერ ვიღებ... მიმოვიხედე, თვალში მეცა საუთოებელზე დალაგებული დრაფის პალტოები — ერთი შავი, ბეწვით; მეორე — ნაცრისფერი... რაღაც არ მომეწონა — ორივეს მოვები და სასწრაფოდ კარადაში შევეკიდე... რომ მოვტრიალდი — ტიპი იქ აღარ იყო!.. გამოლვიძებული ძალანი ცუდად ვერძნობდი თავს... მეორე დღეს რაიონიდან შემატყობინეს, — ჩევნი ახლო ნათესავი გარდაცვლილიყო — ეს შავი პალტო!.. ორი დღის მერე ჩემი ძმაკაცის შვილი დაუმთავრებელ, მშენებარე ავტოფარებში, დაახლოებით 6-7 მეტრიდან ჩავარდნილიყო და ორივე ფეხი კოჭებში გადასტეხოდა... — ესეც ნაცრისფერი პალტო... რთული ოპერაციის შემდეგ, ბიჭი დღესაც ეტლში ზის...

— ხომ, შავ ფერზე ხომ ამბობენ, სწრაფი, ცუდი ამბის მომასწავებელიო — სიკვდილისა რა!..

— მოდი თითოც ჩავარტყათ!..

ბოთლში სასმელი ძირამდე იყო დასული; მისატანებელიც აღარაფერი ჰქონდათ... ორმოცდათს გადაცილებული, წვერგაუპარსავი მამაკაცები ისხდნენ და იმდღევანდელი „რეპერტუარის“ ერთმანეთში გაზიარებით ირთობდნენ თავს...

— ბიჭო, სანდრიკ! ფული გამომართვი, „მარკეტში“ ჩადი — არაყი, ძეხვი, პური და კიტრის „პიკული“ ამოიტანე; აბა, შუსტრად, არ დაგვეკარგო!

— მოდი, ვიდრე „ზაკუსკა“ მოვა, რაც არი, არი — დღეს პოლიტიკას გვერდი ავუაროთ, სად გაგვექცევა?! აქვეა, ყურის ძირში... წლებია — წაღმა-უკულმა გვატრიალებს, გვასაცოდავებს... ვიღაცას, ვერ ვიჩსენებ, ჯერ კიდევ როდის უთქვამს: — „ადამიანი პოლიტიკური ცხოველიაო!“ — გაიგე?! რა ზუსტად არის ტოჩკაში მორტყმული... ჩვენი ოჯახის ძევლი მეგობრის, კაი კაცის — ნიკო იოსებიძის „სახალისოს“ მოგიყვები, ცოტა გავხალისდეთ; დრო თავზე საყრელადა გვაქვს... მერე ისევ სიზმრებსა და მისტიკას მივუბრუნდეთ; მე შენ გეტყვი — სამსახურში დაგვაგვიანდება, თუ ხვალე ადრე გართ ასაღვომები?!. ნიკო ძიას მოყოლილი ცოტა ბანალნია, ზატო მაგარია! — „ერეკლე მეორეზე ფილმის გადაღებას აპირებენ და როლის შემსრულებელს ეძებენ. ზემო მაჩხაანში

კაცი აღმოაჩინეს, ისე პგავს ერეკლეს, გრიმის გაკეთებაც არ სჭირდება. შესთავაზეს როლი, მაგრამ სასტიკი უარი განაცხადა. — რას ამბობთ, ჯო?! სად ერეკლე და სად მე! იმოტელა საქმე მაქ, მაგ მაიმუნბისოვინ მოვიცლი? — სასტიკი უარი სტეკიცათ მიხომ. როცა ფიზიკური დახმარებაც აღუთქვეს და ფულითაც დააინტერესეს, მიხო მოლბა. — ჰო, კარგი, გადამიღეთ, ოღონდ ი რაღაც ტრაქტატია თუ ჩემი ფეხები, იმაი ხელ არ მოვაწერ! — გაასავსა ხელები მიხომ!“

ხმამაღლა იცინიან!

— გმადლობთ, ჩემი ბიჭი! — ქოჩორი მოუქექა აქოშინებულ სანდროს. მაგიდა გააწყვეს... სიგარეტსაც მოუკიდეს, ნაფაზიც დაარტყეს და „ფილოსოფოსობასაც“ წინ რაღა ედგა?!

— რამდენიმე წლის წინანდელ ამბავს გიყვები. კაროჩე, ჩემმა დამ ქმარი ერთი თვით შემოქმედებით მივლინებაში გააცილა, მაშინდელ ლენინგრადში... გაიშალა სუფრა, კაცი პირველად მიღიოდა ასეთ „შვებულებაში“, ეს უბრალო რამე კი არ იყო!

გაცილების პირველმა ეიფორიამ გაიარა და ყველა ჩვეულ ყოფას დავუბრუნდით; დღეები გადიოდა, გავიდა კვირაზე მეტი და მისგან არანაირი ცნობა არ მიგვიღია... მაშინ ხო მობილურები არ იყო!.. ჩემი და, ელენე, რაღაც გაურკვეველმა ნერვიულობამ აიტანა, თავადაც ვერ ხსნიდა, რატომ ესიზმრებოდა კოშმარული სიზმრები; საკუთარ თავს აბრალებდა, ალბათ ბევრს ვფიქრობ და ეს ფიქრი მიმყვება ძილშიო... რაც შემეძლოვაწყნარებდი/თ/... ასე იყო თუ ისე, ორმა სიზმარმა შეაშინა და სულიც აუფორიაქა... — ვითომ, დაღლილი ჩემი სიძე ჩამოსულიყო და ბინის შემოსასვლელში ორი დიდი ჩემოდანი დაედგა; გახარებული ბავშვები გარშემო ეწვეოდნენ... ის თან ეფერებოდათ და თან ჩემოდნებს ხსნიდა... ყველამ პირი დავაღეთ, როცა ჩემოდნებიდან რამდენიმე ფენად ჩაწყობილმა კოლოფებმა, წარწერით «Tabnak», შემოგვანათეს... ოჯახში თამბაქოს არავინ ეწეოდა... ეს ყოველივე რას ნიშნავდა?!

ერთ დიღასაც დეპეშა და წერილი ერთდროულად მოვიდა; იტყობინებოდა, რომ მხნედ და კარგად ვარო... სახარულმა სიზმარი მიაგიწყა, როგორც ხდება ხოლმე... თუმცა, კვირანახევრის შემდეგ ისევ დაუსიზმრა — სულ მთლად ცარიელ-ტარიელი ჩამოსულიყო... — კი მაგრამ, რა უყავი ბარგი, ტანსაცმელი?! — ჰკითხა

ჩემმა დამ. – სულ ტყუილად მიწყრები, ტანსაცმელი კი არა, კოსტუმის შიდა ჯიბეებში მოიფათურა ხელი, როგორ ჩამოვაღწიე აქამდე, ახლაც ვერ გამიგია... თუ რამე საბუთი მქონდა, ყველაფერი დაკარგე... – ეს უკვე ანგარიშგასაწევი სიზმარი იყო, თუმცა როგორ უნდა მიგმევდარიყავით სიო საიდან უბერავდა...

კაცმა სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა და განაგრძო – გადიოდა დღეები და 9 მაისის დილაც გათენდა, შაბათი დღე... მამამთილი ॥ საათისთვის უნდა წასულიყო – თავის ფრონტელ მეგობრებს უნდა შეხვედროდა... ისეთი თქეში იყო დილიდანვე, მოელი დამე კოკისპირულად წვიმდა, რომ ამაზე ფიქრი ზედმეტი იყო... ისიც ბედს შეურიგდა... ისაუზმა, მიუჯდა ტელევიზორს და სამამულო ომის თემაზე გადაცემების „კასკადში“ ჩაეფლო... იმ დღეს არც შვილიშვილებს ეთამაშა და გაეხუმრა, არც სხვა რაიმეს მოკიდა ხელი... იჯდა, საეჭვოდ დადუშებული, შეცყურებდა ტელევიზორს და მალულად ცრემლს იწმენდდა... შუადღისას დედამთილი სამსახურში სამორიგეოდ წავიდა – მოძღვნო დილის 9 საათამდე... – არანაირმა ხევწნა-მუდარამ არ გაჭრა, გამოერთო ტელევიზორი და დაესვენა... იჯდა გაკერპებული, გასუსული, თითქოს რაღაცის მოლოდინში... დამის 12 საათი ხდებოდა, რომ ელენემ მორიდებით სთხოვა, ბავშვები მიმყავს დასაძინებლად და იქნებ თქვენც მოისვენოთო... – დაიძინეთ, მეც ცოტა ხანში დავწვები დასაძინებლადო...

დაღლილ-დაქანცულ ელენეს ღრმა ძილით ჩასძინებოდა... დილაუთენია საკუთარი სახელი შემოესმა, მამამთილი ეძახდა: – მიშველე, არა ვარ კარგადო!.. ნახევრად მდვიძარე ელენე ერთი ნახტომით საძინებლიდან ლოჯიაში აღმოჩნდა... მაღალ წნევას როგორც სჩევვია, რამდენ ჯერმე გაიყვანა ტუალეტში, წამლებიც შეაშველა და სასწრაფოშიც დარეკა: – ვეცდებით მალე მოვიდეს, თუმცა წუხანდელმა წვიმამ ბეჭრი იჯანი დააზარალა, სარდაფებში შეუვარდათ წყალი, რის გამოც ბევრი გამოძახება გვაქვსო... – იყო პასუხი.

ამასობაში, მორიგეობიდან დაღლილი, დამენათევი, უძინარი დედამთილიც დაბრუნდა, რა დღეში ჩავარდებოდა ქალი, ხომ წარმოგიღგნია!.. როდიროდის სასწრაფოც მოვიდა, გაუკეთეს ყველაფერი, რაც მათ ევალებოდათ, არ ურჩიეს ავადმყოფს აღგილიდან დაძრა, რომ არ განმეორებულიყო სისხლის

გაჟონგა...

იმ დღესვე მოვიდნენ მისი მეგობრები, თანამშრომლები სანახავად, თუმცა... – გიორგი, კარგად გახდები, ნუ გეშინია! – უსმინათ და ესღა უთხრათ: – როგორ მეშველება, როცა ნახევარი კაცი აღარა ვარ!.. ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა... – თვალები კედლისკენ წაიღო... ეს იყო და ეს, მეტყველების უნარი დაკარგა, მარჯვენა ხელ-ფეხი უმოქმედო გაუხდა... ბედისწერას განაჩენი გამოტანილი ჰქონდა... ერთგან აღიენდე წერს...

– აღიენდე?! – შენ რომ გგონია ის არა, იზაბელ აღიენდე: „მჯერა ბედისწერის – დიახ, მჯერა, რომ ხელში კარტის გვაძლევენ და რაც შეიძლება უკეთ უნდა ვითამაშოთ; თუმცა ხშირად კარტი დანიშნულია...“ ბინაში მწუხარებამ, მდუმარებამ დაისაღგურა... ავადმყოფის ოხვრა, ხვნეშა, ხანდახან უჩვეულო ამოძახილი არღვევდა ავისმომასწავებელ სიწყინარეს... ყველანი ფეხისწერებზე დავლიოდით... მიუხედავად დანიშნულების ზემდიწევნით შესრულებისა, საქმე სულ უფრო უკან-უკან მიდიოდა...

ჩემი სიძეც ჩამოფრინდა; ყველანაირად დაგზოგეთ, რომ ეს ამბავი არ გაევო და ასე ნანატრი შევებულება შერგებოდა... ჩამოსვლისთანავე ჩაერთო უძნელეს მარათონში, ზედიზედ მოჰყავდა პროფესორები... აღარ მახსოვს, მგონი, ხო, მგონი კი არა, 30 მაისი იყო, კიდევ ერთი პროფესორი მიუყვანეს, გასინჯა ყურადღებით, პოლში გამოსულმა ელენეს უთხრა: – ვინც ამ ავადმყოფში ფულს გამოგართმევთ, არაადამიანი იქნებაო... ფაქტობრივად, უკვე აგონიაშიაო... კაპიკი არ აუღია, ისე წასულა... ხო იცი ჩვენი ამბავი, ვერ მოვისვენეთ და საღამოსეკნ ახლა სხვა ცნობილი ნევროპათალოგი მოვუყვანეთ! გასინჯა... – დილაზე, ჩემთან, 10 საათისთვის გადმოიყვანეთ, ყველაფერი კარგად იქნებაო?!. ფულიც აიღო და სინდისსაც არ შეუწუხება...

ყველამ თეორად გავათენეთ... როგორც შევთანხმდით, თეორთმეტი საათისთვის უკვე რეანიმაციაში მოვათავსეთ... მხოლოდ მეუღლეს დართეს ნება თავზე დასდგომოდა... დერეფანში ბოლთას ვცემდით და ღმერთს მის გადარჩენას ვევედრებოდით... პირველის ნახევარი იქნებოდა, როდესაც ელენემ პალატაში / საღაც ყველას არ უშვებდნენ/, შეღებილი მინის ხელოვნურად ჩამოფხაჭნილი „ჭუჭრუტანიდან“, დაინახა როგორ დაუხუჭა დედამთილმა ქმარს თვალები... როგორ უმწეოდ დასტიროდა 61 წლის კაცს, რომელიც მაინც იმ ომში მოკვდა,

რომელსაც მე-2 მსოფლიო ომი პქვია... ყირიმის ფრონტზე, 24 წლის მძიმედ დაჭრილმა ბიჭმა, 17 გერმანელი ტყვე წამოიყვანა... 1942 წლის 19 მაისს, როდესაც ჰაუერიდან და ხმელეთიდან შეუსვენებლივ იბომბებოდა ქერჩი, სევასტოპოლი, ოდესა, ფუბანი... გვამებითა და დაჭრილებით იყო მოფენილი აზოვის ზღვა, მანქანის საბურავს ჩაჭიდებულმა, ორ თანამებრძოლთან ერთად, დიდი გაჭირვებით გადაცურა ზღვის დიდი მონაკვეთი, რათა როგორმე მიეღწიათ სანიტარულ გებამდე... ობის დამთავრებამ, თურმე მოსკოვთან ახლოს, ქალაქ ტულაში მოუსწრო... მიღებული პქნიდა ორდენები, მედლები...

— დიახ, სიზმარი, რომელსაც ვერც თავი გავუგეთ და ვერც ბოლო, მანც ახდა... ჩემი სიძე დარჩა იმ „საბუთების“, იმ შხარდაჭერის, გვერდში დგომის გარეშე, რომელსაც „მამა“ ერქვა!.. ოჯახში სიმწარებ / „თამბაქო“.../ დაისადგურა... დედამთილს დეპრესიამ დარია ხელი, აღარაფერი აღარ უნდოდა... იყო დარდსა და მოგონებებს შენივთებული...

ახლაც ხშირად მაგონდება, როგორ ჩაგვჩიჩინებდა პაპიდა ხალ ხში გავრცელებულ გამოთქმას... ვინ უჯერებდა, სასაცილოდ არ ვეყოფნიდა: — „ცუდ სიზმარს თუ ნახავ, სანამ ვინმეს უამბობდე, ქაღალდის ნაგლეჯს ცეცხლი წაუკიდე, თავზე შემოიტარე და უთხარი: — „ჩემო ცუდო სიზმარო, ამ ქაღალდივით დაიწვი“, ფერფლი წყალს გაატანე და სთქვი: „წყალო, წაიღე ჩემი ცუდი სიზმარი, ცხრა მთა გადაატარე“. ანდა თითქმით აიღე ცოტა მარილი, თავზე შემოიტარე, წყალს გაატანე და უთხარი: „წყალო, ამ მარილივით დაადნე ჩემი ცუდი სიზმარი, ცხრა მთა გადაატარე“. ამის შემდეგ შეგეძლო სხვისთვის გეამბნა.... ნეტა, თუ ვინმეს შველოდა ეს სიბრძნე?!.. ალბათ, ვისაც სჯეროდა, იმას შველოდა კიდეც!..

ჰოლში ტელეფონმა რამდენჯერმე დარეკა; — მოეშვი, თუ ვინმე ისეთია, მობილურზე გადმორეკავს!

— ძაან ძნელი მოსასმენია, თანაც არაფრის გაქეთება არ შეგიძლია?! დადიხარ მერე მოუამულ ხასიათზე... იცი რაა, მე ძია ნიკო არ მყოლია, მაგრამ შენი ნებართვით ერთ-ორ ანექდოტს ვიტყვი, ცოტა ხასიათი გამოვისწოროთ!..

— შენ რო პირს მოხსნი! მიღი, ჰე!..

— გიგიავ, ჰაი, გიგიავ! — გასძანის ხევსური მეზობელს. — აქა ვარ, ბიჭავ... აქა... რაი გინდების? — მამიჩემი რო გავასვენე, გახსომსა? — კი, ბეჩავი. — წერილი დამიტოვა... სიაა ჩამოწერილი,

გინ უნდა დაგხოცო, სათვალე არ მაქ, წამიკითხე, შენც ხომ არა ხარ სიაში? გურულს, კახელს და სკანს უდაბნოში მანქანა გაუჭუფდათ. გზა უეზით უნდა განაგრძონ. გურულმა მანქანას რადიატორი მოხსნა, ჩაი რომ მომინდება ავადულებ და დავლევო. კახელმა სავარძელი მოხსნა, თუ სადმე ჩრდილი ვნახე, ჩამოვჯდები და დავისვენებო. სვანმა კარი მოხსნა, როცა მაგრად დაცხება, გავაღებ და გავგრილდებიო.

ახალი ქართველი მოკლეს. მეგობრები შეიკრიბენ მისი სულის მოსახსენიებლად. აღგნენ ფეხზე და ერთი შესანდობარს ამბობს: — ხსოვნა იყოს მისი. ნაღდად კარგი ბიჭი იყო, გაგებით ცხოვრობდა. ნათელში იყოს მისი სული. და კიდევ: ბიჭებო, მეორეჯერ რომ არ მოგვიწიოს ფეხზე აღგომამ, მოდით, ამ ჭიქით ლამაზ ქალებს გაუმარჯოს!

მამაკაცები გულიანად იცინიან: ცალი თვალი, ჩვევის გამო — დაბალ ხმაზე ჩართულ ტელევიზორის ქენ გაურბით, სადაც ვიდეოში, მათი გულის გარდი, მონიკა ბელური ვიღაც ჩმორთან ალერსობს...

— ნახე, ეს კვაზიმოდო რა ბედშია ჩავარდნილი?!.. მაგის კარგები!..

— ერთი მეც მინდა ვთქვა... ეს მარცხენა ხელი, შენც იცი რამდენი ხანია ასე მაქს, შედარებით მოკლეა

— მარჯვენაზე!.. ურთულესი ოპერაცია გამიკეთეს, ძლიერ გადავრჩი; კაროჩე, წინა დამეს დამესიზმრა: ვიყავი უკუნ სიბრძლეში, ირგვლივ კუნაპეტია! არ ვიცი სადა ვარ... სული მეხუთება, ჰაერი არ მყოფნის, პირი მიშრება, ვიხრჩობი... მინდა ვიყვირო, ხმა არ ამომდის!.. შეშინებული ვარ სიბრძლისა და გაშემებული დუმილისგან; ვკვდები რა, ძალები მეცლება!.. საცაა სული უნდა ამომხდეს, რომ ჩემდა გასაკვირად, ოთახი ნელ-ნელა განათდა; სადღაც ზემოთ, ვითომ ჭერის კენ, დავინახე ანთებული კელაპტარი, რომელიც მთვარესავით ამოცურებული ყვითლად ცახცახებდა... გამელვიძა კიდეც! ...იმ დღეს იყო, რომ მომივიდა ის ამბები, რაც შენც კარგად იცი — მოკლედ, იმ დღეს დამჭრეს და ძლივს გადავრჩი, რა...

— კელაპტარი ჩემი გადარჩენის ნიშანი იყო... ხშირად მიფიქრია, როგორ ხდება ესე, რომ სიზმრის მეშვეობით, ხილვით, რაღაც მინიშნება ხდება?.. თუმცა, ამის ახსნას გარკვეული დრო სჭირდება... კი, ჯერ კიდევ როდის ამბობდნენ კალდერონი, პინდარე, შექსპირი... — „ცხოვრება სიზმარიაო“... რატომ

ამბობდნენ ნეტავ და რატომ მიაჩნდათ ცხოვრება სიზრად?!. კაროჩე, ბოლოს ყველაფერი მაინც ბუნდოვანია...

— ერთი წუთით, მაცალე!.. — თაროდან წიგნი გადმოიღო და მონიშნული ადგილი მონახა; ნახე რას წერს ბორხესი: „მისცა ფორმა უკავშირო, გონებისამღვრევ ნივთიერებას, რომლისაგანაც ჩვენი სიზმრები იგება, ყველაზე რთულია ადამიანის წილხვედრ ამოცანათა შორის. ეს უფრო ძნელია, ვიღრე თოკი დაწნა ქვიშისაგან და გრდემლზე გამოჭედო უხორცო ქარი“... — ვფიქრობ, შენს კითხვაზე ამაზე უკეთესი პასუხი არ არსებობს!..

— გასაგებია! ეხლა მეც გამახსენდა, ერთგან ნოვალისი წერდა, თუ ზუსტად მახსოვს, „სიცოცხლე შეიძლება იქამდე გაიზარდოს /მომწიფდეს/, რომ სიზმრად იქცესო“... მაინც ყველაფერს ღმერთი განაგებს და ამიტომაც არის ბევრი რამ უბრალო მოკვდავებისთვის აუხსნელი...

— გახსოვს რუსთაველი? „რაცა ღმერთსა არა სწადეს, არა საქმე არ იქნების“-ო... ეხლა ჩვენ ისეთ სიღრმეებში შევიჭრით, რომ მარტონი ვერ გავქაჩავთ, თუ ვინმე ნაჩიტანი არ მოვძებნეთ... არიან რა ტიპები, მაგრად რომ ერკვევიან, ხო გამიგე!

— ხო, გარეა, გაგიგე... მოღი დღეს ამით დავამთავროთ...

— მოიცა, ტო, სად მიდინარ, ერთსაც მოვყები და მერე წადი; მოსულა?!

— შენ რო კაცს გადაეკიდები?

— სიზმარი № 3, ამჯერად ბოლო!

— ძაან მაგარი მამიდაშვილი მყავდა

— კოტე! ცოლშვილიანი, კაი ტიპი... მამა ადრე გარდაუცალა და ამას სულ განიცდიდა... ჰოდა, ერთ მშენიერ დღეს მოღის მოწყენილი და მეუბნება, ძაან მურტალი სიზმარი ვნახე და ვერა ვარ ხასიათზეო...

— კარგი რა, არა გრცხვენია, აშხელა კაცი სიზმრებს აყოლილხარ, აუცილებელია აგიზდეს-მეთქი?!

— რას მეკაიფები? — გაბრაზდა — გითხარი, ცუდი სიზმარი ვნახე-მეთქი!

— ხო, კაი, კაი! მაინც რა ნახე ეგეთი?!

— მე და ჩემი ნათია, სადღაც, მითიური სილამაზის წალკოტში ვართ; ვსეირნობთ, რაღაცნაირად გახარებულები ვართ, თან გვიკვირს, რანაირად მოვხვდით ამ სილამაზეში; ირგვლივ უცნაური სიმწვანეა, მზეს სულ ბრდღვიალი გაუდის! ჰოდა, მივადექით ლურჯად მოკამკამე მდინარეს, რომელზეც ხის მოაჯირიანი მოკლე ხიდია გადებული;

არ ვიცი როგორ, საიდან, ხიდზე მოპირდაპირე მხრიდან გარდაცვლილი მამაჩემი არ მოღის?!. გამიკვირდა, და ის იყო ჩვენც ფეხი შევდგით ხიდზე და საუბარ-საუბრით გადავედით და მამაჩემს გაყევით... სიზმარშივე ვიცი, რომ ის მკვდარია და ამიტომ შეშინებულს გამომეღვიძა! ბიჭო, წყალსაც მოვუყევი, გავაყოლე კიდეც, მაგრამ მაინც შიგნით, გულის სიღრმეში ძალიან მეშინია... ჩვენებისთვის არ მომიყოლია...

ჩვენი საუბრის შემდეგ რამდენიმე კვირა გავიდა და ორივენი, ცოლ-ქმარი, ავტოგატასტროფაში დაიღუპნენ!. იმ პერიოდშივე ნათიას დედას ენახა სიზმარი, რომ მათი სახლის დიდ ნაწილს ცეცხლი წაკიდებოდა და ვერაფრით ვერ აქრობდნენ?!. — კაცმა ცრემლიანი თვალები დახარა, მაგიდას მსუბუქად დაპკრა მუშტი, ჭიქა აიღო, სივრცეს გახდა და წასულები მოიხსენია...

— ხო, კარგი, გვეყო!.. წავალ, ჩემებს მივხედავ, თორემ ქოთები არ ამცდება... რა გაუძლებს იმათ საყვედურებს?!

— არ დამეკარგო! სამშაბათს, ხო იცი, კატალონის „ბარსელონა“ მიუნხენის „ბაიერნს“ ხვდება, ოთხშაბათს — ლონდონის „ჩელსი“ — ტურინის „იუვენტუსს“! მაგარი მატჩები იქნება! ლუდი, ვობლა, კიდევ რაღაცები... მოკლედ, ჩავუსხდეთ რა!

— აბა, დავაი! დავითასა და ჯემიკოსაც გადაგურებავ და შენთანა ვართ გალუბჩიკ მოიიდა...

ორმოცდაათს გადაცილებულმა მამაკაცმა კიბეები რახარუხით ჩაიარა და სადამოს ბინდს შეერია. ქუჩებში ტრანსპორტი ისევ იმ რიგითობით მოძრაობდა.. ფეხით მოსიარულეებს ყველა მხრიდან რეკლამები და ბილბორდები „ადევნებდნენ“ თვალს... ბანკის შენობასთან ბიჭები რაღაცაზე კამათობდნენ... წყვილები ურცხვად ეკეროდნენ ერთმანეთს... ბუნკერებთან ძაღლები დასუნსულებდნენ... მოხუცი მათხოვარი აღარ ჩანდა, წასულიყო...

ვიღაც ძაან ცუდად იყო; ვიღაც კვდებოდა; ვიღაც იბაღებოდა!..

ვიღაც პეპლებს დასდევდა... ვიღაც მწვერვალებს იპყრობდა და ედელვაისებს ექებდა!.. ვიღაცებს ნაღდად უყვარდათ!.. ვიღაცებები კი ისევ სიზმრებით/ში/ცხოვრობდნენ?!

ერთმანეთზე მიყრილ, ჭახაჭუხით დაღლილ დომინოს ჭებს წუთშესვენება აეღოთ და თეთრი თვალების ფახუნით / წამწამები არ ჰქონდათ!/, შეჰყურებდნენ აულაგებელ მაგიდაზე შემორჩენილ საჭმლის ნარჩენებს... იცოდნენ — თამაში

ქოთი ლექსი

ცათიცან ლოიდი



ცეცი ბობუაპი



და მერე კვართის პატრონიც
მოვა

ზამთრის პირის ლექსი
/სერ.../

„იძერის ქვეყანაში
ეშმაკი ვერ დაჯდება“
წმინდა ლავრენტი ჩერნიგოველი

ვინ შეებმება მანინჯთა ზროვას?!
ვინ გაიმზადა სულის საგზალი...
ბებერო ერო, რამ დაგაღონა,
შენთან უფალი დედას აგზავნის.

რისხვა ეშმაკის სუნთქვას გიგუდავს,
სმა კრეტსაბმელის შეგაზანზარებს...
ისევ გაჰპანტავს ვერცხლებს იუდა...
შენ კი აღსდგები, როგორც ლაზარე.

მერე რაა რომ, ხალხი გიუდება,
მერე რაა რომ, „ხალხი იცინის“..
თუმცა სიცოცხლის ფასად გვიჯდება,
რომ გაგვასხვისეს ლიწინ-ლიწინით.

სისხლი აწვება წვერებს ინიანს...
არ გაყიდულა ჯერ კიდევ ფხოვი.
ნუ გეშინია...ნუ გეშინია...
ნუ გეშინია მანინჯთა ზროვის!...

არავითარი „ჩიპი“ და კოდი!...
მოელოს ბოლო თარეშს და გლოვას!..
დედა უფლისა მცხეთისკენ მოდის...
და მერე კვართის პატრონიც მოვა.

რა ნაღვლიანია ცა,
სერ...
და ცივი თვალები აქვს ფანჯრებს,
მარტომდგარი ხეები იხდიან
ფოთლებს და
ჩემს ფეხებეშ აფენენ...
/იციან, მიყვარს ფოთლების ხალიჩა/.
სერ...

დეკემბრის პირველ დღეს ისევ
გწერ(თ) წერილს,
თქვენ კი
ალბათ ზიხართ პლედმოსხმული
მოქანავე სავარძელში და
კითხულობთ წარსულს,
ჩემს წერილებს ჯერ არ მოუღწევია

თქვენამდე
/ან კი როგორ მოაღწევდა,
ჯერ ისევ ჩემით საზრდოობენ/,
მე კი ყოველ საღამოს ვზივარ
თვალებანთებული სახლის ვერანდაზე
და გელოდები(თ)
დააკაკუნე(თ) კარზე, სერ...
თუმცა კარი ღიაა/,
ფეხაკრეფით შემოიპარე(თ)
და ჩამოშლილი თმები გამისწორე(თ)...
ახლა დამეა, სერ...
მე და თქვენ ერთდროულად
ვუყრებთ მთვარეს..
რა ნაღვლიანი თვალები აქვს ცას,
მეც ვხუჭავ თვალებს.

ბირჩები სხვისაჩინ

ქურთა*



სოფლის შარაგზა გველივით მიიკლაქნებოდა. საღდაც შორს, ბოლოში, ხალხის მოძრაობა ძლივსლა შეინიშნებოდა და... აი სწორედ მანდ დავლანდე ბუღი თუ კვამლი. გეგონებოდათ, ბუხარს ანთებენო, ან ნისლის საბუღარს დაუდია ბინა და სადაცაა, ბუდიდან აიყრებიან კვამლის თუ მტვრის ფერი ნისლები და ქვეყანას საფარველივით მოეფერებიანო. ნელ-ნელა კვამლის კორიანტელი ჩემი სახლისაკენ მოიწევდა. მე იქვე, ღობეზე ამძრალი თვალს ვადევნებდი ამ სურათს, დასვრილ ხელებში წითელი, მზესავით ხასხასა ვაშლი მეჭირა. სურვილი მკლავდა, როდის მომიახლოვდებოდა ჩემთვის უცნაური რამ და გავგობდი ამ სანახაობის უკან რა იმაღებოდა.

ნელ-ნელა ვისრულებდი საწადელს, ჩემი „ინტერესის სფერო“ შეტევაზე გადმოსული აგრესიული მტერივით მოიწევდა წინ.

რამდენიმე წუთში მომიახლოვდა და კარგად გაგარჩიე შორს დანახული წარმოსახვითი ნისლი, კვამლი თუ ბუღი...

მოკლედ გეტყვით, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში და რამ მიიქცია ჩემი ფურადება:

დაახლოებით ოცი ადამიანი იქნებოდა თავშეყრილი. შუაში ჩემი, ვაშლივით წითელი ხასხასა ცხენი მოექციათ, და განა უბრალო ცხენი? ის არ ჰავავდა სოფლის მუცელჩამოშვებულ ცხენებს, ქანდაქებასავით გამომერწილი იყო. ამშვენებდა დიდი, გრძელი მოწითალო-მოშავო ფაფარი, რომელიც აბობოქრებული ზღვასავით ირწეოდა და იწეწებოდა. ლერწამივით წვრილ ფეხებზე კუნთები კარგად ეტყობოდა, ლამაზი სახე, გრძელი კუდი სულ სხვა

ელფერს სძენდა. შავი დიდი თვალები ლამის ბუდიდან ამოგარდნოდა, ტორებს ისეთი სიძლიერით ურტყამდა მიწას, იფიქრებდით, დედამიწაზე გაბრაზებულა და ცემას უპირებსო.

ცხენისთვის კისერზე ორი ბაწარი შეებათ. ერთი ბაწრის თავს მარჯვენა მხარეს ეწეოდნენ, მეორეს – მარცხნივ. ასე ცდილობდნენ მის დაკავებას. როგორც კი ცხენი კისერზე ოდნავ მოშვებულ ბაწარს იგრძნობდა, გვერდზე გახტებოდა და მარყუჯებიდან თავის დაღწევას ლამობდა, მაგრამ რომ ვერ ახერხებდა, ადგილზე ფორთხვას იწყებდა. მტვრის კორიანტელს აყენებდა, კაცებს ხელა ეწყებოდათ, თვალები მტვრით ევსებოდათ, ეცრემლებოდათ და კარგა გულიანად, მამაპაპურად აგინებდნენ პირუტყვს.

მერე კვლავ მძლავრად მოქაჩეს ორივე მხრიდან ჩამბული თოკებით და როცა სულის მოსათქმელად გაჩერდნენ, მათში მამაც შევიცანი და მაშინვე ავწრიპინდი. ჩემი ხმა ასთმიანი მედულუკის დაკრულს ჰგავდა, ჰაერის ნაკადის ჩაბერვა რომ უჭირს და ძლივს რომ აღგმევინებს ენას ინსტრუმენტს.

— მამა, მამიკო, ეს ცხენი ვისია?!

გაოფლილსა და დაღლილ მამას ჩემი თავი სად ჰქონოდა. ერთი კარგად შემომიბლვირა:

— თუ ღმერთი გწამს, ღობიდან ჩადი, არ ჩამოგარდე, ნუ წრიპინებ, მაცადე!

რა უნდა მექნა? მიწაზე დავეშვი და ღობის ჭუჭრუტანიდან განვაგრძე ჭურება. უცებ ცხენმა თავისუფლება იგრძნო, ყალყზე წამოიმართა, წინა ფეხები ჰაერში აიქნია — თითქოსდა ჰეგასი დაუჭერიათ და ის კვლავ ცაში აფრენას ლამობსო! ეს რომ დაგინახე, პირთან

მიტანილი ვაშლი ძირს დამიგარდა და სანამ ცხენი ოთხივე ფეხბით მიწაზე არ დაეშვებოდა, პირდია დავრჩი.

შემდეგ, ჩემდა გასაკვირად, მამა იმ კაცებს ჩამოშორდა და ჩვენი სახლის ჭიშკრები ფართოდ გააღო. ცხენი მოტაცებული, ჭირვეული პატარძალივით, რის ვაივაგლასით ეზოში შემოიყვანეს.

მამამ ძველი თავლის კარი გააღო და შიგ შეუშვა. ცხენი ჯერ ქანდაკებასავით ერთ ადგილას გაშემდა, მერე როცა დარწმუნდა კისერზე ის საშინელი მარწუხები აღარ ჰქონდა შემოვლებული, გახარებულმა იმ პატარა თავლაში ისეთი გააჭენა, მეგონა ღობეს თავით შეასკედებოდა, მაგრამ მალევე გაჩერდა, მიხვდა, მისთვის თავისუფლება მაინც ჩარჩოებში რომ მოექციათ და ისევ აიყალყა. ალბათ კიდევ ერთხელ შეეცადა ცაში აჭრას, მარამ უცერად დაეშვა და ბედს შეეგუა. შეიძლება არც შეგუებია და იმედი ჰქონდა, როგორც აღმიანებს არ გვიქრება ხოლმე იმედი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, გეტყვით: მამამ შინ წმინდა სისხლის გაველურებული ულაყი მოიყვანა. ორი წლისა იყო, მაგრამ შეხედულებით ზრდასრულ ცხენს მოგაონებდათ. მოყვანიდან ერთი თვის განმავლობაში კაცის დანახვაზეც კი გიუდებოდა, მაგრამ გარემოს ყოველივე და ყველაფერი ოდესმე ეგუება და გაუცხოება ერთგულებად გადაიცევა. ასე მოხდა ჩვენი ველურის შემთხვევაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ცხენი ჯიუტად თავისუფლებისენ მიისწრაფილია, მამაჩემიც არანაკლებ ჯიუტად შესჩენდა და არ ეშვებოდა. ცხოველებსა და ადამიანს შორის თავისუფლებისა და სხვა უფლებებს შორის ჭიდილში ადამიანი ყოველთვის იმარჯვებს. ისინი უკითხავად ართმევენ ღვთისგან მინიჭებულ თავისუფლებას და მათ შორის პარმონია არ სუფევს. ახლაც ასე მოხდა. ვერც თავისუფლების მოყვარულმა ცხენმა გაუძლო ზეწოლას უნაგირისას, ქვეწოლას ლაგამისას და დანებდა. ალბათ მამაჩემის სიჯიუტე და დიქტატურა მოეწონა თუ მოხეზრდა, რამდენიმე თვეში ისე შეეჩია, ნებით თუ ნაძალადევად, მას, რომ დაინახავდა თუ არა თავლისებნ მიმავალ მამას, მისკენ გამოქანდებოდა შესაგებებლად. მერე მამამაც შაქრის ჭმევა დაუწყო, ამაზე სულ გაგიუდა ცხენი და კიდევ უფრო დაახლოვდნენ. ბოლოს იქამდე

მივიდა საქმე, რომ მამაჩემის დადგმული უნაგირსაც არ უკადრისობდა. რაც არ უნდა შორის ყოფილიყო საძოვარზე წასული თუ მამა დასუტვენდა, მისკენ მორბოდა. ამასაც მამამ მიაჩია, რაც კიდევ უფრო განასხვავებდა სხვა ცხენებისაგან. არც უკვე დროში ნაცადი ტერმინებით მიმართავდა მამა – „აჩუ „„დრო“ მსგავსი რამ მის სამართავად არ ესაჭიროებოდა. უბრალოდ ადამიანივით ჰყავდა შეჩერებული სიტყვებზე:

– წადი, გაჩერდი, და მასაც ადამიანივით ესმოდა. ხანდახან, როცა გავაპრაზებდი, მეტყოდა:

– ნეტავი, შენც ჩვენი ცხენივით გესმოდეს და მასავით მივერებდეო! – ასე გაიხედნა ჩვენი ცხენი, რომლის გახელვნას ვერავინ ვერასდროს წარმოიღენდა.

პო, მართლა, დამავიწყდა, ცხენს ქურთა დავარქვი, თუმცა რატომ? ნამდვილად არ მახსოვს, ბავშვური წარმოსახვის ბრალი იყო და ეს უცნაური სახელიც მისი ნაყოფი გახლდათ. ბავშვებს ხომ ყოველთვის დიდი ფანტაზია აქვთ...

პატარები არასდროს არაფერს მალევენ, ყველაფერს გულწრფელად ამბობენ, თუნდაც სულელური ნაზრევისაც. ამითაც განსხვავდებიან უფროსებისგან. აბა, გაიხსენეთ, რამდენჯერ გიოცნებიათ, რამდენჯერ გინატრიათ, ცა სარკე ყოფილიყო და შიგ ჩაგეხედათ, გაგეგოთ, სად იყო თქვენი გულისწორი, რომელიც ამდენი სულელური ფიქრის საბაბი ხდებოდა, მაგრამ უფროსებს გულწრფელობასთან ერთად გამბედაობაც გვაკლია, რადგან გვეშინია, იმ ფიქრებისა და ოცნებების დაცინვისა, რომელიც ასე ძვირფასია თქვენთვის და გულში იყლავთ.

გადიოდა წლები, მე და ქურთა ერთად ვიზრდებოდით, ქურთა ისეთი ლამაზი გახდა, რომ მის ცერას არაფერი სჯობდა. რაიონში მისი მსგავსი არსება, თამამად ვიტყვი, არ დააბიჯებდა. ინტერესი მის მიმართ მალევე გამბაფრდა, უამრავი ყყიდველი გამოუჩნდა ჩვენს ბედაურს, მაგრამ როგორც მამა ამბობდა, სანამ ცოცხალი იქნებოდა, მის გაყიდვას არ აპირებდა. განსაკუთრებულად უყვარდა და უხაროდა, რომ დამჯერე ბავშვივით მინდობოდა.

დიდად მუშაობითაც არ ტვირთავდა, როგორც დედა ეხუმრებოდა: მამას ცხენის ორთვალაში შებმას, თვითონ შებმულიყო ერჩივნა.

ჩვენი ქურთა ჯირითშიაც ნიავივით სწრაფი იყო. სოფელში კი არა, მთელ რაონში ვერც ერთი ცხენი ვერ ეწეოდა. რამდენჯერმე ღოღშიაც მასახელა.

ქურთათი ჯირითი მიყვარდა. ცხენისწყლის პირას აღვირს მივუშვებდი და ჩიტივით სწრაფად მივქროდა....

გადიოდა წლები.

თვრამეტისა შევსრულდი და სკოლა ვამთავრე. გადაწყვიტე, ქალაქს წამოსვლა სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ გადაწყვეტილება გადაწყვეტილებად რჩებოდა. ფული ხომ სამომავლო გადაწყვეტილების თავი და თავი იყო ღლევნდელ ჩვენ სამყაროში.

ასე ხდება, რაღაცის მისაღებად რაღაცას გაცემთ, ჰოდა, განათლება რომ მიმეღო, ამისთვის თანხა იყო საჭირო, თან საკმაოდ დიდი თანხა. გულს დარდად მერგა, მიუხედავად სურვილისა, შინაგანი ხმა უკან მექაჩებოდა, სინდისი მქენჯნიდა, ფული არ გვერდა და ამიტომაც არასდროს თავს არ ვახვევდი ჩემებს, გინდათ თუ არა, უნდა ვისწავლო-მეთქი. ვჯიქრობდი, თუ სურვილი ექნებათ, უთქმელადაც რაღაცას მოიფიქრებენ-მეთქი...

ჰოდა, ნაწილი ფული მოიძებნა ჩემი განათლებისთვის, მაგრამ კიდევ მეტი იყო საჭირო, უნივერსიტეტში რომ მესწავლა.

თურმე, უჩემოდ უმსჯელია ოჯახურ კრებას, როგორ უნდა დაფინანსებულიყო ჩემი სწავლა-განათლება და საკმაოდ მძიმე განაჩენი გამოეტანათ: როგორც ზურიკელას სწავლა-განათლებას ფაქიზო „შეეწირა“, ასევე, ჩემი სწავლა-განათლება ქურთას გაყიდვით უნდა დაეფინანსებინათ.

წვიმდა, საშინლად წვიმდა, თეთრ ღრუბლებს ჩიჩოდან ახალამოყვანილი შველივით წვეთ-წვეთად გასდიოდა ცრმლები. სრულიად სველი დაგბრუნდი, ჭიშკარი შევაღე და შინ სირბილით შევედი, მამა ფანჯრიდან სადღაც, შორს იცქირებოდა, ჩაფიქრიანებული: უცნაური სიჩუმე იდგა. რა ხდება-მეთქი, ვიკითხე, არავინ მიახსუხა. დედასთან მივედი და ყველაფერი ვათქმევინე. თავს დამნაშავედ ვგმნობდი. იქვე, ბუხართან ჩამოვჯექი და ნაცარქექიასავით ნაცრის ქექა დავიწყე. ფიქრები გაფანტული ნაღვერდალივით მაღელვებდა.... თავს დამნაშავედ ვგრძნობდი.

დედამ მითხრა, ხვალ დილით

მყიდველები მოვლენ და ქურთას წაიყვანენო. მეჯოგები ყოფილან, ცხენი უკვე უნახავთ, მოსწონებიათ და მამაჩემთან მოულაპარაკებიათ კიდეც.

სიჩუმე დედამ დარღვია — მეჯოგები ყოფილან, კარგია, სამწყემსურში დიდად არ დაჯაფუვენ მუშაობით! — მამაჩემის გასაგონად წარმოთქვა და მიაცემდა... მამა თითქოს ჩემს დასანახად მოწყენას არ იმჩნევდა, მაგრამ ყველაზე მეტად განიცდიდა ამ ამბავს.

შებინდებულზე, შაქრით მუჭი ავივსე და ქურთას სანახვად თავლაში გავედი. ფეხის ხმაზე ქურთა ახვიხვინდა.

— მოღი ქურთა, მოღი, შაქარი მოგიტანე, შევეხმიანე.

ცხენი ნელი ნაბჯით მოვიდა ჩემთან. შაქარი გავუწოდე, გემრიელად დაიწყო ლოკვა. სულ ამილოკა, ხელის გული დამისველა, მერე როცა გათავდა, ბეჭზე თავი ამარტყა, კიდევ მინდაო, მაგბნობინა. თავზე მოვეუერე, დავაწყინარე და ცარიელი ხელი დავანახე. თითქოს და მიხვდა, რომ შაქრის მაგვარი არაფერი დამრჩნობდა და გაირინდა. მერე უკან გამოვბრუნდი, თავლის კარებს მივეყრდენი და დიდხანს გარინდებული ვუცერდი. შემდეგ ისევ მივედი, თავზე მოვეუერე, შავ თვალებში ჩავხედე, სადაც ღამეში მოკაშაშე ვარსკვლავები ირეკლებოდა... მერე თვალებზე მოვეუერე, ამ დროს ყოველთვის თავს დამნაშავე ბავშვივით დაბლა მიხრიდა და სიამოვნებისგან ხვიხვინებდა. მე სინაზნარევი სიძლიერით ვეურებოდი და თავს დამნაშავედ ვგრძნობდი.

— მაპატიე, მეგობარო, მაპატიე, ჩემი ბრალია, უნდა მაპატიო, სიტყვები არ მყოფის, არ ვიცი, რატომ უნდა მაპატიო, მაგრამ მაინც, გთხოვ, მაპატიე! მამას ნუ გაუბრაზდები, არაფერ შუაშია, ამას ჩემ გამო აკეთებს, თორემ ხომ იცი, როგორ უყვარხარ, ხომ იცი? მაპატიე, მეგობარო, ჭიშუით იყავი, არ შეგვარცხინო, ახალ პატრონს დაუჯერე, თავს გაუფრთხილდი...

ველაპარაკებოდი ქურთას და მომეჩენა, რომ ჩემი ესმოდა. მივხვდი, რომ ლაპარაკი ყველაფერთან და ყველასთან შესაძლებელია, თუ მას გულწრფელად და გულიდან წამოსული სიტყვებით ესაუბრები.

მერე თავზე ვაკოცე და წამოვედი. თან აქეთ-იქეთ დაგიწყე უურება, ვინმე ხომ არ მისმენს, ან ხომ არ მიყურებს, თორემ

გიურ ვეგონები-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ იქ ჩვენ გარდა, არავინ ჭაჭანებდა.

ნაწვიმრის შემდეგ აკაციის ნაკვერცხალივით წითელი და მწველი მზე ამოიწვერა. მამა დროზე აღრე ამდგარიყო.

მეც ავდექი და ოჯახის მოღალატესავით დავაძიჯებდი ეზოში. მერე მამამ დამიძახა:

— მალე მოვლენ და ცხენი თავლიდან გამოიყვანე, ახალი ბაწარი ჩააბი და წასაყვანად გაამზადე. ეს სიტყვები ეკალივით მომხვდა გულზე, საშინლად არ მინდოდა ამის გაკეთება, თითქოს, ვინმე უნდა მომექლა.

— მამა, არ გავყიდოთ და შემდეგ წელს ორმ დავიწყო სწავლა? — ყელში ბურთი მეჩხირებოდა ამ სიტყვების წარმოთქმისას.

— ჰე, მიდი ახლა, ნუ სულელობ, რასაც გეუბნები, ის გააკეთე და ნუ ნერვიულობ, მომავალ წელს ახალ ცხენს მოგიყვან, მამხნევებდა მამა! თუმცა მის ხმაში გულისწყვეტა მაინც შეიმჩნეოდა. მეც დავემორჩილე.

ქურთას ბაწარი შევაბი, მომინდა ახლაც, როგორც ბავშვობაში, მისი პირველი დანახვისას, როცა არ ნებდებოდა, ახლაც ისევე მოქცეულიყო, თავისუფლებისთვის ებრძოლა. სადღაც გაქცეულიყო, გადაკარგულიყო და... თუნდაც უსწავლელი დავრჩენილიყავი, მაგრამ დამჯერი ბავშვივით უკან მომყვებოდა, მე კი დამნაშავესავით მივუძღვოდი წინ.

ეზოში გამოვიყვანე და კაქლის ხესთან დავაბი. 20 წუთი იქნებოდა გასული, როცა მყიდველები მოვიდნენ. მამამ, როგორც ჩვენი ოჯახის წესია, შინ მიიპატიუ ისინი. დედამ ცხელი ხაჭაპურები, ახლად დაკლული ვარია და ღოქით ღვინო შემოდგა სუფრაზე.

დაილოცეს ქართულად. მამამ ჯერ მშვიდობისა თქვა, მერე უფალი და საქართველო ადიდა, შემდეგ წინაპრების სადღეგრძელოც მიაყოლა, ბოლოს კი სტუმრებმა, გვეჩერებათ და ამის გამო სიცოცხლის გაგრძელებისა შესვა, შენაძენი დაუღოცა, რჩევა-დარიგები მისცა, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ ცხენს და გარეთ გამოვიდნენ. სტუმრებმა უნაგირი მოიტანეს და ცხენს დაადგეს, მამამ საგულდაგულოდ შეამოწმა და

გაუსწორა, მერე თვალებზე მოეფერა, კისერზე ხელი მოარტყა და კაცივით დაელაპარაკა:

— აბა, შენ იცი, ბიჭო, არ შემარცხვინო!

მერე მხედარი ქურთას ზურგზე მოახტა. ცხენი გამოცოცხლდა, თვალები აენთო. აღგილზე ცეკვავდა, ჭერება უნდოდა. მხედარმა ნელ-ნელა გაიყვანა ეზოდან ცხენი, ჭიშკართან პირუტყვი შეჩერდა, არ ვიცი, რატომ, მაგრამ თავი ჩვენ კენ მოაბრუნა. ალბათ გრძნობდა, რომ გვშორდებოდა და უკანასკნელად შემოგვხედა. მერე აღგილს მოსწყდა, მას უკან სხვა ცხენებზე ამხედრებული სტუმრებიც მიყვნენ. ამის შემხედვარეს ცხენის ნალების სწარაფი თქარუნის მსგავსად მიცემდა გული. მამას შევხედე, თვალებიდან ორი კურცხალი მოგორავდა. უკვე თვალს ეფარებოდნენ ცხენოსნებიც.

მეც ვეღარ გავუძელი ამდენს და, პირველად, გულწრფელად კი არ ვიტირე, არამედ ვიბლავლე...

— დააბრუნეთ ქურთა, მან მეგობრის ფასი მასწავლა, არ მინდა, ამაზე მეტი სხვა რა რაღა უნდა ვისწავლო? არ მინდა ასეთი სწავლა!...

მერე დედამ ხელი მოგვხია მე და მამას და ჭიშკარს ისევე მოგვაშორა, როგორც ჭირისუფალს მოაშორებენ კუბოს მიცვალებულის დამარხვისას. ჩვენ ბავშვებივით გულწრფელად ვტიროდით და არ გვეთაკილებოდა, არ გვრცხენოდა ამის, რადგან ეს იყო კაცური ცრემლი, რომელიც თვალთაგან ოღებშე გაღმოლებილა.

მე კიდევ სინდისი მქენჯნიდა და კვდებოდი, თუ როგორი დინებით მიედინებოდა ცხოვრება, რამდენი რამის დათმობა უხდებოდათ ადამიანებს და რამდენის დაკარგვა, უსამართლოდ.

ვფიქრობ და ყოველთვის მახსენდება ქურთა და ჩემი ოჯახის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ჩემდა სასიკეთოდ, რაც კიდევ უფრო მეტ საბაბს მაძლევს, მიყვარდეს არამარტო ჩემი ღირსეული მშობლები, არამედ ყველა ისინიც, ვინც მართლაც ღირსეულ ტვირთად ატარებენ მშობლის სტატუსს.

მე კი არაფერი მავიწყდება, ჩემთვის ყოველთვის: აწმყოშია წარსული და ყოველივე მომავალიც.

.

* რევაზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხოვნის კონკურსის ნომინანტი

ვალში ვართ რუსთაველთან

წლეულს რუსთაველისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი თარიღი დაემთხვა ერთმანეთს: 800 წლის „ვეფხისტყაოსანის“ ბეჭდური გამოცემიდან 300 წელი შესრულდა, მისი ინგლისურად თარგმნიდან (მარჯორი უორდორპის მიერ) და დასატამბვიდან კი ასმა წელიწადმა გაიარა.

ეს მოვლენა მხედველობიდან არ გამორჩენია ლონდონში მცხოვრებ ახალგაზრდა ფინანსისტ დავით გიგაურს, რომელიც აგერ უკვე ოცი წელია დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს, აქ მიიღო სასკოლო და მერე საუნივერსიტეტო განათლება. ამჯერად იგი ლონდონის ერთ-ერთი საინვესტიციო ბანკის წამყვანი სპეციალისტია. თავიდან, როცა რუსთაველით მისი ასეთი დაინტერესების შესახებ შევიტყვე, ცოტა არ იყოს გამიკვირდა, საიდან უნდა გასჩენოდა ბანკირს ამგვარი სურვილი? როგორც მოგვიანებით გავიგე, მისთვის ეს თურმე საგებით ბუნებრივი მოთხოვნილება ყოფილა, რადგან მშობლები მას და მის ძმას გიორგის ადრეული ასაკიდანვე უკითხავდნენ და აყვარებდნენ ქართულ სიტყვიერებას, განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსანს“, მათთან ურთიერთობას იგი ადრეული ასაკიდან შეაჩვიეს და ახლაც, ყველაზე ხშირად რუსთაველს უბრუნდება, როგორც ქართული სულისა და კულტურის ყველაზე დიდ შემნახავს.

მან თავიდანვე სამ ნაწილად ჩაიფიქრა რუსთაველისადმი მიძღვნილი საღამოების ციკლი. პირველი მათგანი მაისის დასაწყისში გაიმართა ოქსფორდის უნივერსიტეტში. მაშინ ძირითადი აქცენტი „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნებზე გაკეთდა, (მთავარი მომხსენებელი იყო პროფესორი რონალდ რეიფილდი). შეკრებილმა საზოგადოებამ ბევრი საინტერესო ინფორმაცია მიიღო როგორც რუსთაველის, ისე მისი ეპოქის, იმ ქვეყნისა და გარემოს შესახებ, რომელშიც იქმნებოდა ეს განსაკვიფრებელი პოტურ-ფილოსოფიური ტექსტი. რეიფილდმა ყურადღება გაამახვილა იმ არნაზულ დაინტერესებასა და წვდომის სურვილზე, რაც ბოლო ასი წლის განმავლობაში



პროფესორი ჩარლზ მელვილი, დოქტორი ჯეოფ ვესტი და მწერალი აკა მორჩილაძე.

განდა რუსთაველის პოემის მიმართ მთელს მსოფლიოში.

ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა ათეულობით თარგმანი, რომლებმაც მეტ-ნაკლები წარმატებით გადმოსცეს დებინისული დირსებები და ქართული პოეტური აზროვნების მწვერვალი საყოველთაოდ მისაწვდომი გახადეს.

მეორე საღამო ლონდონის სამეცნ აზიურ საზოგადოებაში 30 წლების გაიმართა. მისმა დირექტორმა ალისონ ოპთამ დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო იმ კავშირებზე, რასაც ზუსტად ასი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი საქართველოსა და აზიურ საზოგადოებას შორის. მარჯორი უორდორპის თარგმნილი „ვეფხისტყაოსანის“ (1912 წელი) და „ვისრომიანის“ (1913 წელი) თარგმნები სწორედ მათ სტამბაში დაიბეჭდა. სამწუხაროდ, 20-იანი წლებიდან განელდა და მომდევნო ოთხმოცი წელი საერთოდ გაუჩინარდა ასე საინტერესოდ დაწყებული ურთიერთობა. მან გამოთქვა იმის რწმენა და სურვილი, რომ ამიერიდან აზიური საზოგადოების პროექტებში კვლავ დაიკავებს ადგილს ქართული კულტურისა და სულიერების ნიმუშების კვლევა და გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის. სასურველია დაიგეგმოს ქართველი აღმოსავლეთმცოდნების მონაწილებით გამოფენები, წარდგინებები და სიმპოზიუმები. დასანანი იქნება, საუკუნოვანი ურთიერთობების ისტორია კვლავ არ განახლდეს მეტი სისავსითა და მრავალფეროვნებით. ჩვენი შხრიდან შზად ვართ ამ ინიციატივების წასახალისებლად



დავით გოგოაშვილი

— აღნიშნა ქალბატონმა აღლისონ ოპთამ.

იმავე საღამოს შეკრებილი აუდიტორია გაეცნო ჯეისონ ოსბორნის ლოკუმენტურ ფილ მს ქართულ ფოლკლორულ მუსიკაზე „სიმღერები საქართველოსი“, რამდენიმე კარგი ფილმია შექმნილი ქართულ სიმღერაზე და ჩემი აზრით კომპოზიტორისა და კინორეჟისორის ჯეისონ ოსბორნის ნამუშევარი ერთ-ერთი გამორჩეულია მათ შორის, ასეთი გაშინაურება ქართულ ფოლკლორთან, ვფიქრობ, გენეტიკური მომენტითაც არის განპირობებული, რადგან ჯეისონის ბებია გახლდათ თამარ ამირეჯიბი, გერმანიაში განსწავლული და ლონდონში მოღვაწე პიანისტი. საბჭოთა

პერიოდში მან მოახერხა სამივე შვილიშვილის ჩამოიყვანა ლონდონიდან საქართველოში.

დამსწრე საზოგადოების ინტერესი მოჰყვა რობერტ პარსონსის საუბარს და მისეულ დაკვირვებას თანამედროვე საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, წლების განმავლობაში ჩვენში მოღვაწე ცნობილი უურნალისტის გამოსვლა აღსავს იყო იმ რწმენით, რომ ამიერიდან დასავლეთი უფრო მეტი გულისხმორებით მოეკიდება საქართველოს გულწრფელ სურვილს და შინაგან მზაობას გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

მესამე საღამო კი ახლახან ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში გაიძართა.

„რუსთაველი და მისი თანამედროვე პოეტები“ ასეთი იყო მისი მთავარი დევიზი. ბიბლიოთეკის წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა, დოქტორმა ჯეორჯ ვესტმა შეა საუკუნეების ფრანგულ და ესპანურ ეპიკურ ტრადიციებზე, მის ისტორიულ ლირებულებებზე ილაპარაკა, ასევე ხაზგასმით აღნიშნა მეთორმეტე საუკუნის ქართული ეპონის სრულიად

განსაკუთრებული მხატვრული ღირსება, რომლის ზეგავლენა დღესაც მოქმედი და ცოცხალია საქართველოში.

კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის ჩარლზ მელვილის მოხსენება ფირდოუსის „შაპნამეს“ ეხებოდა. მოვისმინეთ შესანიშნავი ანალიზი სპარსული პოეზიის შედევრისა, რომელმაც მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ლიტერატურასა და აზროვნებაზე იქონია გავლენა. მათ შორის იყო ქართული ლიტერატურაც. ცხადია, რომ რუსთაველი კარგად იცნობდა „შაპნამეს“ და მის ნაკალებსაც იპოვით „ვეფხისტყაოსანში“, თუმცა, იგი მაინც განუმეორებელ ქართულ მოვლენად რჩება.

უაღრესად მიმზიდველი და აღმოჩენის ტოლფასი აღმოჩნდა ინგლისელი მსმენელისთვის ქართველი მწერლის აკა მორჩილიაძის სიტყვა რუსთაველზე. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანის“ განსაკუთრებული ფასეულობა იმაშია, რომ მასში პირველად მოხდა პიროვნების წარმოჩენა აბსოლუტურ ღირებულებად. ადამიანის ამგვარი რენესანსული იღეალი რუსთაველმა გაცილებით ადრე შეიძუმავა, ვიდრე რომელიმე სხვა ხელოვანმა კულტურის ისტორიაში.

აქ შეკრებილი საზოგადოებისთვის სიახლე იყო ის შინაგანი, უხილავი კავშირი რაც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა რუსთაველის პოემასა და ქართველ ხალხს შორის. თუ ფრანგული, ესპანური და სპარსული ლიტერატურის შედევრები მაინც წარჩინებული წრების წიგნებად დარჩა, „ვეფხისტყაოსანი“ უმაღ სახალხო წიგნად იქცა და დღემდე ქართული ქცევის კოდექსად რჩება. ამ ფაქტმა იმგვარი ზემოქმედება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, რომ საღამოს დასრულების შემდეგაც, კერძო საუბრებშიც ბევრი ადამიანი ვერ მაღლავდა გაოცებას, როგორ შეიძლება ძველი ტექსტი დღესაც გასაგები და მისაწვდომი იყოს?

— ქართველები მართლაც ბედნიერი ხალხი ვარ იმით, რომ შეგვიძლია წავიკითხოთ რვა საუკუნის ტექსტი და მისგან ესთეტიკური სიამოგნება უშუალოდ, სპეციალისტის დახმარების გარეშე განვიცადოთ, ეს ნამდვილი საოცრებაა, — ამბობს დავით გიგაური და განაგრძობს: ყოველთვის მინდოდა პატივი მიმეგო ამ ფენომენისთვის. მართალია ბანკში ვმუშაობ, მაგრამ როცა ამხელა კულტურული განძი გვაქვს, შეუძლებელია უმოქმედოდ ვიყოთ. ყველა

ქართველის ვალად ვთვლი, რითაც შეგვიძლია და რა საშუალებითაც, უნდა ვუთხრათ მსოფლიოს, თუ რატომ ვართ ქართველები ევროპული კულტურის ორგანული ნაწილი.

ყველაზე ფასეული კი ის გახდავთ, რომ რუსთაველის ამ სამა საღამომ უკვე მოიტანა რეალური შედეგები. უკვე გაჩნდა ახალი გეგმები და პროექტები რუსთაველთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, ლონდონის აღმოსავლეთის ქვეყნებისა და აფრიკის შესწავლის სკოლას (SOAS), საღაც აღრე ქართული ისწავლებოდა, კვლავ გაუჩნდა მისი აღდგენის წადილი. მათვე უნდათ მალევე გამართონ თავიანთ დარბაზში რუსთაველის საღამო. ასევე იგეგმება კემბრიჯის, ოქსფორდის უნივერსიტეტებში ისწავლებოდეს ქართული ენის კურსი. ბრიტანეთის ბიბლიოთეკას და აზის სამეფო საზოგადოებას განზრახული აქვს უფრო აქტიურ ფაზაში გადავიდეს მათი ურთიერთობები ქართველ სპეციალისტებთან და მათი მონაწილეობით მომზადდეს სხვადასხვა ხასიათის ფორუმები. აპირებენ დიდი ბრიტანეთის სამეცნიერო ცენტრებში დაცული მნიშვნელოვანი ქართული წიგნებისა და ნივთების ციფრული გამოსახულების ფორმატში გადაყვანას, რათა იგი უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის. კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტების კონსულტაციები, რომ მიმდინარეობს კონსულტაციები, რომ მომავალი წლიდან სისტემატური ხასიათი მიიღოს სამეცნიერო-კვლევითმა მოზაურობებმა ირანსა და საქართველოში.

დავით გიგაურის თავდაპირველი ჩანაფიქრი რუსთაველის პოემის ინგლისურ ად თარგმანის 10 წლისთავის შეხსენება იყო ბრიტანელი საზოგადოებისთვის, იმ სამი მთავარი კულტურული ცენტრებიდან, სადაც ქართული საგანძურო არის დაცული. ამ მოკრძალებულმა წამოწყებამ მოულოდნელად სულ სხვა სიკრცე და მასშტაბი შეიძინა და ამიერიდან ახალი ეტაპი იწყება საუკუნის წინათ შეწყვეტილ კულტურათა დააღმოში.

ამ შეხვედრებს მსგავსი დატვირთვა და მიმზიდველობა არ ექნებოდა, დავით გიგაურს სხვებიც რომ არ დახმარებოდნენ. მათ შორის აღსანიშნავია ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ქართველი თანამშრომლის ანა (ხათუნა) ჭელიძის და ლონდონში

არსებული ქართული ფოლკლორული სასიმღერო ანსამბლების „მასპინძელისა“ და „თაბუნის“ (ხელმძღვანელი თამთა თურმანიძე) მონაწილეობა. აქვე უნდა ვახსენოთ ლონდონში მოქმედი ქართული რესტორნები: „კოლხეთი“, „პატარა საქართველო“, „ქართული“, უკრაინის საერთაშორისო ავიაზახები, ასევე ღვინის გამსაღებელი ბრიტანული კომპანიები „Geowine“ და „Deliver Meondon“, რომლებმაც სამივე საღამოს დასასრულს ქართული ღვინისა და სამზარეულოს საუკეთსო ნიმუშები შესთავაზეს მოწვეულ საზოგადოებას.

ოთარ ჭილაძეს უწერია ერთგან: „ერთი წიგნი, ან ერთი ქანდაკება, შეიძლება ერთს სულის სარკედ იქცესო.“ ჩვენთვის, ქართველებისთვის, ასეთია „ვეფუნისტყაოსანი“ და უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ბევრი ჩავახედოთ ამ სარკეში.

ფაქტია რომ, რუსთაველის სახელის წარმოჩენისთვის და გასაცნობად 1966 წელი იყო ყველაზე ნაყოფიერი, იმხანად რუსთაველის 800 წლის იუბილე გადაიხადეს. 2016 წელს კი სასურველი იქნება „ვეფუნისტყაოსანის“ არსებობის რვა საუკუნის აღნიშვნა, რასაც სერიოზული მზადება დასჭირდება. პირველ რიგში, აღბათ, მაინც დედანთან ზედმიწევნით ახლოს მდგომ განახლებულ, თანამედროვე სტანდარტების თარგმანებზე უნდა ვიზრუნოთ.

დღემდე ამ მხრივ ვალში ვართ რუსთაველთან, დასანანია, რომ ქართულ კულტურას არ გამოუჩნდენ გულბენკიანები და ბალასანიანები, რომლებიც უძილეს საქმეებს აკეთებენ მსოფლიოში სომხეთის მხარდასაჭერად.

შესანიშნავი იქნება, თუ საქართველოს მთავრობა დროულად მიიღებს კანონს მეცნიატობის შესახებ. საქართველო სპეციალიკური კულტურის ქადაგაა და ამიტომ მის დაცვაზე და განვითარებაზე უნდა გაკეთდეს პრიორიტეტი. იქნება ამ კანონის შემდეგ მაინც გამოჩნდენ ადამიანები, ვინც მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში დააფუძნებენ საქართველოს, მისი კულტურისა და ენის შესწავლის ცენტრებს. თუკი რუსებს, უკვე 10 წელიწადია ლონდონში აქვთ პუშკინის სახლი, რატომ არ შეიძლება ამოქმედდეს აქ რუსთაველის სახლი?

ლონდონი

გერმან პატარიათს გახსენის


შორია უკვდავებამდე?

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი გურამ პატარაია პირველი ქართველი რეჟისორია, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართული კინოდოკუმენტალისტიკის ახალ ჟანრს – საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარე ქართული კულტურის კერძის კვლევასა და კინოფიქსაციას. ხუთი დოკუმენტური ფილმი: „რუსთაველის ნაკვალევზე“, „შორია გურჯისტანამდე“, „პალესტინის სიძველეთა საიდუმლოებანი“, „ათონის მატეანე“ და „ტაო-კლარჯეთი“ ქართულ საზოგადოებას მოუთხრობს იმ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომელზეც არა თუ იმ ზანად (XX საუკუნის 70-80-ან წლებში), არამედ, დღესაც ნაკლებად მიგვიწვდება ხელი.

დღემდე პოპულარობით სარგებლობს მისი მხატვრული ფილმები: „რეკორდი“, „კუჩი ბედინერი“, „სიყვარული, ზანძარი და პომპიერი“. იგი გახლდათ სცენარის ავტორი ფილმისა „ოჯახინგბი იცინიან“. გურამი 1928 წლის 14 თებერვალს დაიბადა. პატარაიების ოჯახი თბილისში, ბაქრაძის ქ. №11-ში ცხოვრობდა. მამა

– ვასო პატარაია დრამატურგი, სკეტჩებისა და იუმორისტულ-სატირული წინების ავტორი იყო. ქართულ ესტრადაზე შესრულდა მისი 500-ზე მეტი სკეტჩი ცნობილი მსახიობების მონაწილეობით. დაკრძალულია დიდუბის მოღვაწეთა პანთეონში. დედა – ქეთევან სულხანიშვილი კი – დიდი ეროვნული მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟის – ნიკოს შვილიშვილი დაზვეწილი გარეგნობისა და შინაგანი კულტურის ქალბატონი იყო. მისი წინაპრები ღრმად განათლებული ადამიანები იყვნენ. იცოდნენ 5-6 უცხო ენა და წარმატებით მოღვაწეობდნენ სამშობლოში თუ მის საზღვრებს გარეთ.

პატარაიების თბილი და ღიმილიანი ოჯახი ბევრ საინტერესო ადამიანს მასპინძლობდა, მათ ზშირად სტუმრობდნენ



გურამ პატარაია

– ვასო გოძიაშვილი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, აკაკი კვანტალიანი, ოდისეი ღიმიტრიადი და სხვები. ოჯახს გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ რეჟისორთან შოთა მანაგაძესთან, რომელიც მათი მეზობელი იყო.

* * *

გურამის შემოქმედებითი ბიოგრაფია 1945 წლიდან იწყება, მუშაობდა რუსთაველის სახელობის თეატრში რეჟისორის თანაშემწედ. შემდეგ – დამდგმელ რეჟისორად სოხუმში, გორში, თბილისში, მოზარდ მაყურებელთა ქართულ და რუსულ თეატრებში, მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრებში. მოსკოვში „მალაია ბრონაიას“ თეატრში.

1957 წელს საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარი რედაქტორი იყო, 1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ტელეფილმების სტუდიას ხელმძღვანელობდა.

1969 წელს თეირაში ჩავიდა ექსპედიცია ფერეიდნელი ქართველების გადასაღებად.

ექსპედიციაში შედიოდნენ: რეჟისორი გურამ პატარაია, უურნალისტი ლამარა ბოკერია, ირანისტი მაგალი თოდუა, ოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი.

თეირანში გაირკვა, რომ შაპის ნებართვის გარეშე უერეიდანში ჩასვლა და გადაღება შეუძლებელი იყო. ირაკლი ონოფრიშვილი იხსენებდა, რა სიძნელების გადაღახვა დასჭირდათ და როგორ შეელოდათ გურამის გამჭრიახობა და მოხერხებულობა. ჯერ იქ მცხოვრები რეზო მიქელანის (მიქელაძის) წყალობით იპოვეს შუამავალი ბატონ შაფასთან, რომელიც იყო ისტორიის მეცნიერებათა

პირველი ადამიანი ბრძანდებით, ვინც მამაჩემი გაიხსენა და მისი მოსაგონარი შესვაო. ამ საღლეგრძელოს წყალობით შემოქმედებითი ჯგუფი ორჯერ მოხვდა ნიავარანის სასახლეში. მათ გადაიღეს ირანის შაპი მუჭამედ რეზა ფეჰლევი და დელფალი ფარადიბა. ამ შემთხვევითაც ისარგებლა გურამმა, იქვე სთხოვა დელფალს უერეიდანში ჩასვლისა და გადაღების ნებართვა. ფარადიბამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა. რამდენიმე დღეში მიიღეს გადაღების უფლება და სიხარულით გაემგზავრნენ უერეიდანში, სადაც შეიქმნა ქართული დოკუმენტური ფილმი „შორია გურჯისტანამდე“.



ექსპედიციის წევრები შაპის სასახლეში: მარცხნიდან – ლამარა ბოკერია, მაგალი თოდუა, ირაკლი ონოფრიშვილი, დელფალი ფარადიბა და გურამ პატარაია

დოქტორი, „სპარსეთის ისტორის“ ავტორი და, რაც მთავარია, მესამე კაცი სახელმწიფოში ირანის შაპის მუჭამედ რეზა ფეჰლევის შემდეგ.

როდესაც აუდიენცია დაინიშნა, საქართველოდან ჩატანილი ძღვენით ესტუმრნენ მასპინძელს. ბატონ შაფას პატარა წვეულება გაუმართავს, გურამ პატარაიამ არ დააყოვნა, მიუხედავად იმისა, რომ არ სვამდა, სუფრის თავში მოექცა და გულის ამაჩუებელი საღვეულოების წარმოთქმა დაიწყო.

განსაკუთრებით თბილად ბატონი შაფას მშობლები „შეუმკია“. ბატონი შაფა ჩუმად გასულია ოთახიდან, მამის ჩალმიანი პორტრეტი შემოუტანია და გურამისთვის ცრემლიანი ითვალებით მიუმართავს,

გურამ პატარაიას დღიურიდან:

1979 წელი.15 მაისი. იმთავითვე ჩვენი მიზანი იყო სირია-იორდანის ქართული ძეგლების გადაღება და რაც მთავარია, სანდერსის მიერ მითითებული XII საუკუნის ხელნაწერის მიკვლევა. ეს სანდერსია ამერიკელი მეცნიერი, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი მონასტრის სხვენზე იპოვა ქართული ხელნაწერი და გადაიღო მისი თავფურცელი. დიარბექირში ერთი კვირა დავყავით. რამდენიმე მონასტერში ჩვენი კვლევა უშედეგო აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს სანდერსის ცნობის ჭეშმარიტებაში ეჭვიც კი შეგვეპარა. ეკლესიის სარდაფში აღმოჩნდა

რამდენიმე ათეული ხელნაწერი, ამის შესახებ გვითხრა სრულიად შემთხვევით გაცნობილმა სათავსოს მცველმა.

ბნელ სარდაფში, პირდაპირ იატაკზე იდო რამდენიმე ათეული ხელნაწერი. ეს იყო სირიული, გვიანდელი ხელნაწერები. მხოლოდ ერთი საქმაოდ ძელი აღმოჩნდა სავალალო მდგომარეობაში. ეს იყო ქართული მანუსკრიპტი. სწორედ ის, რასაც ამდენი ხანი ვეძებდით. სწორედ ის, რომელიც სანდერსმა გადაიღო და ელიზე მეტრეველს გადასცა. სწორედ ის, რომელიც დიარბექირის ერთ-ერთი



გურამ პატარაია სირიაში მოგზაურობის დროს

მონასტრის სხვენზე უნდა გვეპოვა და საპატრიარქო ეკლესიის სარდაფში აღმოჩნდა.

შევეცადეთ ჩვენი აღელვება დაგვეფარა. ჩვენი სანუკვარი ხელნაწერი მცველმა 800 ღოლარად დათმო. მოგვიანებით გავიგეთ, ასეთი ხელნაწერი ღოლდონის აუქციონზე 50 000 ღოლარად შეაფასეს. სარდაფიდან გაოგნებულები გამოვედით, გზისპირა სასაუზმესთან შევჩერდით. სულ იმას ვფიქრობდი, რა მოულოდნელად, უცნაურად მოვიპოვეთ ეს რელიქვია, ის, რაც დამპყრობელმა ნადავლის სახით წაიღო საქართველოდან.

მე და ირაკლი გაშტერებულები შევყურებდით ერთმანეთს, საუზე ხელუხლებელი იდო მაგიდაზე.

* * *

გურამ პატარაია 1983 წელს, 55 წლის ასაკში მოსკოვის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ბოლო წლებში მძიმედ ავადმყოფობდა, მაგრამ სიცოცხლის ხალის მაინც ინარჩუნებდა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით აღრე კი დედახემს, თავის საყვარელ დას – ლალის ანუგაშებდა: „მე თუ აღარ ვიქნები, იმდენი რამე ვნახე ამ ქვეყნად, გული არ დაგწყდეთ“.

დაკრძალულია დიდუბის მოღვაწეთა პანთეონში, მშობლების გვერდით.

მისი საფიცარი და ამქვეწად ყველაზე დიდი სიყვარული იყო ქალიშვილი სოფო პატარაია. დარჩა შვილიშვილები: გურამი (გუგა) და ირაკლი, აგრეთვე – შვილთაშვილები...

დღესაც, როცა ვიკრიბებით ოჯახი: სიფონ, მარინა, ჩემი და – ქეთი და მე, ვიხსენებთ გურამის უსაძღვრო სიკეთეს, დახვეწილ იუმორს, ჯადოსნურ ხიბლს და დღესასწაულებს, რითიც ხშირად გვანებივრებდა ახლობლებს.

2013 წლის 14 თებერვალს, მისი დაბადებიდან 85 წელი შესრულდა.

ერთი წერილი, ბუნებრივია, ვერ დაიტევს სრულ სათქმელს საყვარელი ბიძის შესახებ, ჩავთვალოთ, რომ ეს პატარა შესავალია სამომავლო გეგმისა.

ჩვენი მიზანია, ფოტოალბომის მომზადება, რომელშიც ასახული იქნება რეჟისორის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი ეტაპები, დღემდე საგულისხმო და უცნობი ფაქტები, რაც კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთს გურამ პატარაის ღვაწლს ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში.

ვფიქრობთ, ზემოთ ნახსენები ფოტოალბომი, აგრეთვე, მისი ფილმების რეტროსპექტული ჩვენება, საიუბილეო თარიღის ღირსეული აღნიშვნა და თანამედროვე ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი იქნება.


თამა მიურა,
მწერალი, ფილოლოგის
მეცნიერებათა დოქტორი

„მე ჩოგცი უტო – სიკოცი უტო, დოო უტო!“...

მანანა ჩიხიშვილი

სამი დაუვიწყარი შეხვედრა

ზაურ ბოლქვაძის პოეზია ჩემი სულიერი თანამგზავრი იმ დროიდან გახდა, რაც ჭეშმარიტი ლექსის ფასი ვისწავლე და ქართველ პოეტთა შორის ჩემთვის საყვარელი სახელები გამოვარჩიე. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი ზაურ ბოლქვაძე გახდათ. მომწონდა მისი განსხვავებული პოეტური აზროვნება, ორიგინალური სტილი, თავისებური გარდასახვა ერთი შეხედვით ჩვეულებრივი განწყობილებისა და ძალზე შთამბეჭდავი მხატვრული სახეები.



მხიბლავდა ზოგჯერ სულ რამდენიმე სტრიქონში ჩატეული ის ძლიერი განცდა, რომელიც მყითხველს დიდხანს ამახსოვრებდა თავს და სულის მდიდარ საზრდოს აძლევდა.

ცნობით კი არ ვიცნობდით ერთმანეთს. არ ვიცნობდით, მაგრამ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ უჩვეულოდ ლამაზი ლექსი მომიძღვნა, რომელიც ჩემი ლექსის – „გაზაფხული სასაფლაოზე“ სტრიქონებით იწყებოდა:

„სასწაულია ყვავილებში
საფლავის ლოდი,
სასწაულია, რომ სიქვდილი
სიცოცხლედ მოდის“... –
„სასწაულია, დაო, შენი
ზემორე სტროფი,
სტროფი, რომელიც
უკვდავებად
ერთ პოეტს ყოფნის.“

ადვილი წარმოსადგენია, ახალბედა ავტორისთვის რა მნიშვნელობა ექნებოდა ლექსის ჭეშმარიტი ისტატის ამგვარ შეფასებას.

ცნობით კი, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, არ ვიცნობდი და თურმე კარგა დროსაც უნდა გაევლო ამ შეხვედრამდე.

იმ ხანებში ჩემს მშობლიურ ქსნის ხეობაში ვცხოვრობდი და იშვიათად ვახერხებდი თბილისში ჩამოსვლას. მაშინაც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი თუ შევირბენდი. იქ იყო ჩემი სულისა და ლექსის ნავსაყუდარი, იქ მეგულებოდა ჩემი უახლოესი მეგობარი, გაზეთის პოეზის განყოფილების გამგე, შესანიშნავი პოეტი ბორენა ჯაჭვლიანი, მამასავით მზრუნველი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი და დახვეწილი გემოვნების ვახტანგ ჭელიძე, უნიჭიერესი მწერალი, საოცრად განათლებული თამაზ ბიბილური და მრავალი სხვანი, რომლებიც დღესაც ცხოვლად არიან აღბეჭდილნი ჩემს გულსა და მეხსიერებაში.

1992 წლის დეკემბერი იყო. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის და ქართველ მწერალთა დიდ ოჯახს თავზარი დასცა გაზეთის რედაქტორის მოადგილის, ჩინებული მწერლისა და პიროვნების, თამაზ ბიბილურის გარდაცვალებამ. ერთხანს ავალმყოფობდა, მაგრამ მისი წასვლით მწერლობასაც და რედაქტორისაც იმდენად ბევრი რამ დაკლდა, რომ შეგუება ამ სამწუხაო გარემოებასთან ყველას უჰილდა.

დიდუბის საპატიო განსასვენებლამდე მივაცილეთ. ახლობლებმა მოსახსენიებელ სუფრაზე მიგვიპატიუეს. ამგვარ გლოვის პურობაზე მისვლა ყოველთვის მიჭირდა, ახლაც უარი ვთქვი და მოვიმიზეზე – ქსნის ხეობაში დღესვე უნდა გავძრუნდე-მეთქი, მაგრამ ჩემი უახლოესი მეგობრები ლადო სულაბერიძე და ბორენა ჯაჭვლიანი არ მომეშვნენ – „ხომ იცი, თამაზს როგორ უყვარდი, შენი ლექსების დაბეჭდვაში ყოველთვის გულითად მონაწილეობას იღებდა და წამოუსკლელობა მოსაწონი ნამდვილად არ იქნებაო.“

დარბაზში გრძელი სუფრა იყო გაშლილი. მაგიდას უმეტე სად სახემოლრუბლული და დასევდიანებული ქართული მწერლობა უჯდა. ლადომ და ბორენამ შუაში ჩამისვეს. ვათვალიერებდი ჩემს წინ მსხდომთ და, ჩემდა სამწუხაროდ, თითქმის არავის არ ვიცნობდი.

სუფრა ჩვეული წესით წარიმართა. უგუნებობას უცხო გარემოში ყოფნაც დაემატა და ხელი ვერაფერს დავაკარე. ლადო და ბორენა მაძალებდნენ: „შორიდან ხარ ჩამოსული, თან უკან გაბრუნებასაც აპირებ, ლუკმა გატეხეო.“ მათი დაჟინებული ყურადღება კიდევ უფრო მაბნევდა და გაუმწეობულს სახეზე ალმური ამდიოდა. ახლოს მსხდომი ძალაუნებურად ისმენდნენ ჩვენს საუბარს და თხოვნას არც ისინი მაკლებდნენ, რაც უფრო მეტად მაწილებდა და თავგზას მიძნევდა.

ჩემს წინ მჯდომი სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი ალბათ შეაბეზრა ჩემმა ამდენმა უარმა, ხმადაბლა რაღაც წაიქილიკა და გარშემომსხდომი გააღიმა, მერე ლადო სულაბერიძეს მიუბრუნდა და ხუმრობანარევი ტონით მიმართა – „შეეშვით, კაცო, ეს ქალბატონი ეტყობა მწერლებს გვეპრანჭებაო.“

ლადომ ჯერ მე შემომხედა, მერე – შეკითხვის ავტორს, შეგვატყო, რომ ერთმანეთს არ ვიცნობდით და მამაკაცს იქით შეუბრუნა კითხვა – იცი, ვინ არის ეს „ქალბატონი“, ვისზედაც წაიქილიკეო?“ მამაკაცმა უარის ნიშნად მხრები აიჩხა. ლადო სულაბერიძე წამოდგა და ხელის სათანადო უესტიკულაციითა და ლიმილით წარმოითქვა: „იცნობდეთ ერთმანეთს – მანანა ჩიტიშვილი, ზაურ ბოლქვაძე!“

მღელვარების ტალღა ყაყაჩოსფრად გადამეფინა სახეზე. ბატონმა ზაურმაც ერთხანს მიცქირა, მერე ძალიან გრძელ

მაგიდას დინჯად შემოუარა, ჩემთან მოვიდა, ჯერ ხელზე მეამბორა, შემდეგ მამაშვილურად ჩამიკრა გულში და მითხრა: „რა ხანია, შენი გაცნობა მინდოდა და როგორ მიხარია, რომ, როგორც იქნა, გნახეო.“ მერე საოცარი გულითადობით და მომფერებელი ხმით იმდენი მაქო, რომ უხერხულობისგან თვალები სად წამელო, აღარ ვიცოდი. ის კი მოვახერხე ცოტა ენაამოდგმულმა: „რაზედაც ამდენ ხანს ვოცნებობდი, რაც მე უნდა მეთქვა თქვენთვის, ახლა იმას აქეთ მეუბნებით-მეთქი? თქვენს ლექსებს სტუდენტობის დროიდან ზეპირად გსწავლობდი, მარტო მე კი არა, მთელი ჩემი კურსი-მეთქი.“

ზაურ ბოლქვაძე კეთილად იღიმებოდა, უცებ ხელი მომხვია და ხმადაბლა ჩამილაპარაკა: „თუ მართალს ამბობ, მაშინ აბა ჩუმად მითხარი, ყველაზე მეტად ჩემი რომელი ლექსი მოგწონსო.“ ბატონ ზაურს დიდი ხნის გამოქვეყნებული არ პქნედა ახალი ლექსები. მათგან ერთ-ერთი განსაკუთრებით მხიბლავდა. თუმცა კი არ მხიბლავდა, აღფრთოვანებული ვიყავი და მეგობრების წრეში, თუ მარტო მყოფი ხმირად ვიმეორებდი მის სტრიქონებს. ახლა კი, როცა ავტორთან ჩემი ემოციების გამოხატვის საშუალება მომეცა, მთელი ჩემი მღელვარება და აღტაცება ამ ერთსტროფიან, მართლაც არაჩვეულებრივ ლექსში ჩავატიე და სულმოუთქმელად ამოვთქვა:

„მე პოეტი ვარ – მიწა ვარ, ცა ვარ!...
მე პოეტი ვარ – სივრცე ვარ, ღრო ვარ!...
მომენატრება სიკედილი – წავალ!...
მომენატრება სიცოცხლე – მოვალ!...“

ერთი ამოსუნთქვით დავასრულე ლექსი. ძალიან ვღელავდი. მღელვარებას არც ზაურ ბოლქვაძე მალავდა. ერთხანს დუმდა, მერე კი აშკარად სულშეძრულმა ათრთოლებული ხმით მითხრა: „ბედნიერი ვიქნები, როცა მოვაკედები, თუ ამ ლექსს მაშინაც წამიკითხავო.“

მეტისმეტად შეგცდუნდი და შევკრთი კიდეც. „რას ბრძანებთ, ბატონო ზაურ, ჯვარი გწერიათ-მეთქი!“ – შემფოთებულმა ვუთხარი. რაღაცნაირად ტკივილიანად გაიღიმა, თავზე ხელი გადამისვა და – „ქსნის ხეობელო, იცოდე, სხვანაირად მიხარისართ შენც და შენი ლექსებიც“ – მითხრა, კიდევ ერთხელ მეამბორა შუბლზე და თავის ადგილს დაუბრუნდა. მეც ძალევე წამოვედი, რადგან წინ გრძელი გზა მელოდა.

მეორედ ზაურ ბოლქვაძე კარგა ხნის შემდეგ, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში ვნახე. ის იყო საუბარს მოვრჩი ბორენა ჯაჭვლიანთან და წამოსასვლელად შევემზადე, რომ მეორე სართულიდან პორტფელით ხელში ზაურ ბოლქვაძე ჩამოჰყვა კიბეს. კარი შემოაღო და იქ მსხდომი ქალბატონები უჩვეულო გულითადობით და თავაზიანობით მოიკითხა. თავდაპირველად ვერ მიცნ. ჩვენი პირველი შეხვედრიდან კარგა დრო იყო გასული, მაგრამ მაინც თბილად მომესალმა. უცებ ბორენამ ჩვეული პირდაპირობითა და ეშმაკური დიმილით უთხრა: „ბატონო ზაურ, როგორც მახსოვს, ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ ლექსის წაკითხვა შეუკვეთეთ და ახლა ვედარ სცნობთ მანანა ჩიტიშვილსო.“

დიმილიანი, სითბოჩამდგარი თვალებით მომაშურა, მეამბორა, კეთილი სიტყვა და მოფერება არ დამაკლო. კრძალვითა და მორიცებით ვუსმენდი, ბოლოს კი მოვუბოლიშე – უნდა წავიდე-მეთქი. „ცოტაც მოიცადე, მეც უკვე გამოვდივარო!“ – მთხოვა.

ფეხით ჩავიარეთ დადიანის ქუჩა და რუსთაველის გამზირს გაუყენით. რაღაცნაირად მძიმედ მოდიოდა, თითქოს რაღაც აწუხებდა, მაგრამ არ იმჩნევდა, თუ მე არ მაგრძნობინებდა, დღემდე ვერ გავრკვეულვარ. ამოდ მოსასმენი იყო ყველასგან გამორჩეული პოეტის ბუბუნა ხმა და იუმორით გამსჭვალული, ჭეშმარიტად კაცური, საკუთარი და სხვათა ღირსების დამფუსებელი საუბარი.

მე თავად არ მომისმენია, მაგრამ უფროსი თაობის არაერთი პოეტისგან გამიგონია: „ზაურ ბოლქვაძეს დეკლამაციის იშვიათი ნიჭი პქონდა, ის რომ ლექსს წაიკითხავდა, რუსთაველის არ იყოს „მისესა მნახავსა ნახული არღარა მოეწონებოდა.“ მის მიერ წაკითხულ ლექსთან ყველა დანარჩენი ფერმკრთალდებოდა და ხიბლ სკარგავდა.“

მივყვებოდით რუსთაველის გამზირს და მიხაროდა, რომ ბედმა მარგუნა ამ არაჩვეულებრივი პოეტისა და ღირსებით სავსე პიროვნების გვერდით თუნდაც მცირე ხანს მევლო.

ბატონი ზაური ჩემი ამბებით დაინტერესდა. მეკითხებოდა ქსნის ხეობაზე, სამსახურზე, მეუღლეზე, მშობლებზე. ოჯახზე თვითონაც

გან საკუთრებული სითბო საუბრობდა, მაგრამ გამორჩეულად და ყოვლისმომცველი სიყვარულით მაინც თავის ქალიშვილს, ელისოს ახსენებდა – დღეს მსოფლიოში სახელგანთქმულ პიანისტს და საყოველთაოდ აღიარებულ მუსიკოსს. მასზე საუბრის დროს მარტო გამომეტყველება კი არა, ხმაც ეცვლებოდა – წარმოუდგენელი სითბო და აღერსი უგუბდებოდა.

ნელი ნაბიჯით მივუყვებოდით გამზირს. ჩვენი საუბრის უმთავრეს საგანს, რა თქმა უნდა, ლიტერატურა შეადგენდა, უპირატესად – ქართული პოეზია. გზადაგზა ზეპირად ვკითხულობდი მის ლექსებს, რომლებიც გამორჩევით მომწონდა. არ ვფარავდი აღტაცებას იმ ცალკეული სტრიქონებით, რომლებიც ჩემს გულწრფელ აღფრთოვანებას იწვევდნენ. მისმენდა ბატონი ზაური და ბავშვივით უხაროდა. დროდადრო მაჩერებდა, სათქმელს აქეთ მიბრუნებდა, მაქებდა, განსაკუთრებით მხატვრულ სახეებს მიწონებდა – „მოულოდნელი და განსხვავებულია.“ მეკითხებოდა – „მართლა ასე კარგია ქსნის ხეობა, თუ შენ ხედავ ეგრევ?“

ერთხანს ამგვარად ვაგრძელებდით გზას, მერე უცებ ტროტუარზე შეჩერდა და გულიანად გაიცინა: „გუგული და მამალივით მოვგდის, წავალთ-წამოვალთ და ერთმანეთის ლექსებს ვაქებთო.“ შემდეგ კი ღიმილით დაამატა – „არ გეწყინოს, ჩვენო კარგო მანანა, ეს საუბარი იმიტომ მსიამოვნებს, რომ ორივე მხრიდან გულწრფელია და ჭეშმარიტ პატივისცემას ემყარება, თორემ პირმოთხეთა და მლიქვნელთა მეტი ამქვეყნად რა არისო.“

ჩვენი საუბარი იმ პერიოდში შექმნილ ლიტერატურულ გაერთიანება „ოტარიდსაც“ შეეხო. ზაურ ბოლქვაძე ამ გაერთიანების წევრი არ იყო. უფრო სწორად, სხვათა მსგავსად არ დაუძახეს, არ მიიწვიეს. მან მშვენივრად იცოდა, ვინ იყო ოტარიდელთა სიის ფაქტიური შემდგენელი და რისთვისაც გამოტოვეს თვითონაც და მისი მსგავსი არაერთი ცნობილი ქართველი მწერალიც. იცოდა ბატონმა ზაურმა, მაგრამ წყრომისა და გაბოროტების გარეშე საუბრობდა ამ თემაზე.

ზაურ ბოლქვაძის პოეზია არანაირ „კავშირს“ და „გაერთიანებას“ არ საჭიროებდა და არც დღეს საჭიროებს,

მაგრამ პოეტი ადამიანურად იყო გულნატკენი და ამას ვერ მალავდა, განსაკუთრებით კი ლიტერატურული გაერთიანების ზოგიერთი წევრის გადამეტებული ამბიციურობა და პრეტენზიულობა აშფოთებდა.

როგორც შემეძლო, ვცდილობდი პოეტის ეს სევდიანი განცდა როგორმე შემერბილებინა. განწყობილება მართლაც მაღე გამოუკეთდა, უფრო ხალისიან და სასიამოვნო თემებზე განაგრძო საუბარი. ბევრი გამვლელი თვალს აყოლებდა ცნობილ პოეტს, ზოგიერთი თავმდაბლად ესალმებოდა კიდეც და თვითონაც განსაკუთრებული თავაზიანობით და სითბოჩამდგარი ხმით უბრუნებდა შემხვედრებს პასუხს.

თბილად დამემშვიდობა გამომცემლობა „მერანთან“...

წავიდა და წავიდა...

მესამედ მხოლოდ მე ვნახე ზაურ ბოლქვაძე. მას არ ვუნახივარ. ის უამრავი ყვავილით სავსე მწერალთა კავშირის სასახლის დარბაზში ესვენა მარადიული მგზავრობისთვის შემზადებული. აქვე იყვნენ დამწუხრებული ოჯახის წევრები და თითქმის მთელი ქართული მწერლობა. კრძალვით დაგაწყე ყავილები პოეტის ფეხთით და უცებ თითქოს ხელახლა ჩამესმა მისი ბუბუნა ხმა: „ბედნიერი ვიქწები, როცა მოვავდები, თუ ამ ლექს წამიკითხავ!“

ვიდექი დარბაზის კუთხეში თვალცრემლიანი და ძალიან ვწუხდი, რომ დიდი გულისტკივილის მიუხედავად, პოეტის ამ თხოვნის შესრულება არ შემეძლო. არ შემეძლო არა მხოლოდ ჩემი მორიდებული ხასიათის, არამედ, თუნდაც იმის გამო, რომ ვინმეს თეატრალურ ჟესტად ან ზედმეტ პომპეზურობად არ ჩაეთვალა ჩემი საქციელი. ვიდექი და, ვინ იცის, მერამდენედ, გულში უხმოდ

გიმეორებდი ზაურ ბოლქვაძის ლექსის სტრიქონებს.

დიდ ხანს გამყვა ტკივილი და რაღაცნაირი დანაშაულის გრძნობა, რომ ჩემს საყვარელ პოეტს თხოვნა ვერ შევუსრულე, ვიდრე ერთ დღეს არ დაიწერა ზაურ ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც მისი პოეტური სტრიქონების განწყობილებით არის შთაგონებული:

„ზეცის მორევებს მივცურავ,
შენსკენ მოვილტვი, მრავალო,
მომედუშები – მოვკვდები,
გამიცინებ და გავალო.
ნეტა შენად მქნა, ცისკარო,
მთვარის ნათელში მავალო,
მომენატრები – ამოვალ!
მომეწყინები – ჩავალო!“

ასე მგონია, ამ ლექსით გარევეულწილად შევძელი პოეტის სურვილის ასრულება, შემოქმედისა, რომელიც სულ სამჯერ ვნახე, მაგრამ როგორც პიროვნება და ლექსის დიდი ოსტატი, სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში.

საქართველოში ჯერ არ შემხვედრია ზაურ ბოლქვაძის აუგად მახსენებელი ადამიანი. სითბოთი და მაღლიერებით სავსე ბევრი კეთილი სიტყვა კი მსმენია. მის ლექსებს დღესაც გამორჩეული სიყვარულით კითხულობენ და ზეპირად სწავლობენ და ამით თითქოს ხელახლა აცოცხლებენ მარადისობაში გარდასულ პოეტს. უკვდავებაც ხომ სწორედ ესაა, უკვდავება შემოქმედისა და ადამიანისა.

უფალო, მოუოხე საქართველოსთვის მლოცველ ყოველ სულს, რომელთა შორის ზაურ ბოლქვაძე ერთ-ერთი გამორჩეულია.


მსუბუქი იყოს სათაყვანებელი მამულის მიწა პოეტის მარადიულად მფეთქავ გულზე!

„იქანი ქოლეგის გრძელ ჩემთვის რობცელი“

ივანე ჯაფარიშვილი

ჭეშმარიტი რაინდი

საქართველოში მუდამ იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთა ცხოვრების წესი მრავალთათვის მისაბაძი და სამაგალითო იყო. სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ ცნობილი მთამსვლელი და გეოლოგი სიმონ ჯაფარიშვილი, რომლის ხიბლი და შემოქმედებითი ტალანტი ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს გამოვლინდა. მეხუთეკლასელმა, თავისი მერხის მეგობართან, შემდგომში ცნობილ გეოგრაფთან, პედაგოგთან და საზოგადო მოღვაწე დავით ლონდუასთან ერთად, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის დაარსა ერთ-ერთი პირველი საყმაწვილო წიგნების „გამომცემლობა „სურათები—ზღაპრები“ და 1916-1924 წლებში საკუთარი ხარჯით გამოსცეს ათიოდე წიგნაკი.



1924 წელს ახლად დაარსებულ საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში შეიქმნა მთასვლა — მგზავროსნობის განყოფილება, რომელსაც მისი თავმჯდომარის — გიორგი ნიკოლაძის უცხოეთში გამგზავრების გამო, 1926-1928 წლებში სიმონ ჯაფარიშვილი ჩაუდგა სათავეში და ის გახდა კავკასიონის მწვერვალებზე ამ პერიოდის ყველა მნიშვნელოვანი ასვლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ამის დასტური იყო ისიც, რომ 1927 წელს სიმონმა აღმოაჩინა სრულიად ახალი გზა მყინვარწვერისაკენ გერგეტის მყინვარის გავლით, ავიდა მწვერვალზე და დადგა მეტეოროლოგიური ჯიშური ამინდზე დაკვირვებისათვის. ერთი კვირის შემდეგ მწვერვალიდან მოხსნა ტემპერატურის ცვალებადობის აკტომატური ჩანაწერის დიაგრამა; იმ დროს ასეთი დაკვირვება ამ სიმაღლეზე პირველი იყო და დიაგრამა პარიზში, მსოფლიო მიღწევათა გამოფენაზე გაიგზავნა.

1928 წელს, სიმონ ჯაფარიშვილის ხელმძღვანელობით, მყინვარწვერზე მოეწყო პირველი რადიო და კინოექსპედიცია 41 კაცის შემაღენლობით. მთამსვლელობის ისტორიაში პირველად, მწვერვალზე ერთდროულად ორი კინოაპარატი ამუშავდა და გადაიღეს პირველი მთასვლური ფილმი „კავკასიის კარიბჭე“, რაც უნიკალური მოვლენა იყო ალპინიზმის ისტორიაში.

სწორედ ამ პერიოდში, სიმონ ჯაფარიშვილი კახეთში, ლოპოტის ხეობაში აღმოაჩინა მანამდე სრულიად უცნობი თეთრი მარმარილოს საბადო, რომელიც შემდგომ, თითქმის 60 წლის განმავლობაში მსოფლიოს 60-დე ქვეყანაში გაპქონდათ და დიდი აღიარებითაც სარგებლობდა, თუმცა ამ აღიარებას მისი აღმომჩენი ვერდარ მოესწრო. 1929 წლის 27 აგვისტოს მეგობრის გადასარჩენად ხელგაწვდილს, ვე წლის ასაკში შემოაღმდა თეთნულდის კალთებზე სიმონ ჯაფარიშვილს. ეს იყო ქართველ მთამსვლელთა პირველი მსხვერპლი კავკასიონზე და ამ მოვლენას უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა მთელ მსოფლიოში. საქართველოში კი მრავალი პოეტისა და შემოქმედის შთაგონების წყაროდ იქცა ეს ამბავი, რომელსაც მოხევე პოეტი ალექსანდრე გომიაშვილი ლექსით გამოეხმაურა და მაშინვე მიიცყრო საზოგადოების ფურადღება, მათ შორის ტიციან ტაბიძისაც, რომელმაც დამწყვბი პოეტი აღიარა და გზა დაულოცა დიდ პოეზიაში. პოეტმა ლექსის „მთის ბალადა“ უწოდა:

თოვლი თოვს, ჭაუბებიდან წევში დაგარდა დუმილი,
ვისმენ სიმღერას წევიდან — მოხევის სუფთა გულივით.
მთამ შეიხიზნა მარადის პიმენ დვალი და ჯაფარა
და ნაკვალევი შხარამდის ახალმა თოვლმა დაჭვარა.
მეგზურო, თოვლს ვინ დაგიდევს, ვიცი ამბავი ტიალი,

რომელიც მთაში ლეგნდად დარჩება, როგორც ტრფიალი.

ფაზბეგის შებლი – გოეთეს აქ შეადარა ილამ.

თერგი რაც უნდა პეთოდეს, მყინვარი მაინც გრილია.

თეთნულდიც სარკის პირია, ტაროსი – მთების საუნჯე,

ჯაფარ თეთნულდის გმირია, კლდეს ცეცხლი შემოარცებს.

და მყინვარს, ცაში დაკიდულს, შემოშრიალებს კარავი,

ჯაფარ, შენ მზერას დარიანულს ჰყარავს მზის გარდა არავინ.

ისევ მთაზე ხართ ალამით, (ხუთქიმა მოკლე ტარია) –

მისი წითელი დალალი მწვერვალზე ასატანია.

იძრძვიან, კლდეებს მოება წერაყინების მუქარა...

მაგრამ ეს უბრალოება, გმირს სიკვდილს გამოუქროლებს.

და, აპა, მაგრამ არ ვიცი ეს ურულა როგორ ავწერო,

როცა ყინულზე დაეცა დუმილი საბედისწერო.

დვალი შეირყა წელშია, დავარდა მთაზე დუმილი.

მთამსევლელ ვაჟაცის წესია თანმყოლს ჰყვარობდეს გულივით.

თითქო ვიღაცა უწივის, უწივის კურის ბაიდა.

შენ კი არ გესმის, არწივო, მთას პეგალავ – აბა, პაიდა!

გორიდან ხმა გამოისმა: ჯაფარიძეო, ჯაფარა!

ვწედვა მთების არწივი, დადუმდნენ კლდეთა დირენი.

სეანეთის არემარეში ამბობენ მონადირენი:

ისევ ზეადობს თეთნულდი... ხევი თუ თოვლა დაჰფარა –
დარჩება ხალხში ლეგენდად მთების არწივი ჯაფარა!..

სიმონ ჯაფარიძეზე წლების განმავლობაში მრავალი საინტერესო ამბავი მომისმენია. ვაგროვებდი მასალებს მისი ხანმოკლე ცხოვრების შესახებ, მაგრამ განსაკუთრებით გამახარა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის მერი დავითაშვილის მოგონებამ, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს სიმონ ჯაფარიძის რაინდულ ბუნებას...

1972 წლის გვიანი შემთხვევის ერთ მშვინიერ დღეს, ჩემმა მამიდაშვილმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ტარიელ საყარელიძემ დამირეკა და მთხოვა, რეპეტიციის შეძლებ მისთვის მარჯანიშვილის თეატრში შემევლო. დღის 2 საათზე უკვე თეატრში ვიყავი. სასამასახურო შესასვლელის ფოიეში მყოფს რეპეტიციიდან გამოსული ტარიელის ხმა რომ შემომხსმა, ამ დროს ქალბატონი მერი დავითაშვილი ჩამოვიდა კიბეზე და გარდერობს მიაშურა. პალტი ჩამოვართვი და ჩაცმაზე მივეხმარე. ტარიელი რომ გამოვიდა და შინაურული საუბარი დამიწყო, ქალბატონმა მერიმ ჰყითხა: – ეს კარგი ყმაწვილი ვინ არის? – ჩემი ბიძაშვილია, ალექსანდრა, სიმონ და ალიოშა ჯაფარიძების უმცროსი ძმის – ნოეს შეილი – მიუგო ტარიელმა.

ამის გაგონებაზე ქალბატონ მერის თვალები გაუბრწყინდა, სახეზე თბილი ღიძილი დაეფინა და ათრთოლებული ხმით მჴითხა: – თქვენ იცით, რომ სვიმონკასთან (ასე ეძახდნენ სიმონ ჯაფარიძეს ახლობლები) მე ღიდი მეგობრობა მაკავშირებდა?

– არ ვიცი, პირველად მესმის-მეტქი, – ვუპასუხე ცნობისწადილით შეძრულმა და ამის შეძლებ ქალბატონმა მერიმ საოცარი ისტორია მიამო, რომელიც მყისვე ჩავიწერე და დღეს პირველად ვთავაზობ პატივცემულ მკითხველს.

„სიმონ ჯაფარიძე ჩვენი თაობის ერთ-ერთი უსაყარლესი პიროვნება იყო. ახალგაზრდები მასთან ვმეგობრობდით და ერთად მრავალი საინტერესო დღე გაგიტარებია. ჩვენ, ქალიშვილები მას როგორც ჭეშმარიტ რაინდს, ისე აღვიქვამდით. დროთა განმავლობაში ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, ზოგიერთი ამბავი კარგად აღარც კი მახსოვს, მაგრამ ერთი ეპიზოდი სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში და როცა სიმონზე ვფიქრობ ხოლმე, როგორც უზადო თვისებების მქონე და მომხიბვლელ ადამიანზე, უპირველესად ეს ამბავი მახსინებება.

1928 წელს ჩვენი თეატრი დიდი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ქუთაისში რომ გადავიდა, დასს მეც გავყევი. ქუთაისში ბინა არ მქონდა და ხათესავ გოგოანასთან ერთად ცეცხლობდი. 1929 წლის მარტის თვე იყო. თოვლი ჯერ კადევ შერჩენოდა ქუჩებსა და სახლის სახურავებს. საშინლად ყინავდა. ქუთაისური ქარი სიცივეს კიდევ უფრო აძლიერებდა და აუტანელი ხდებოდა ჩვენი ყოფა.

ერთ კვირა დღეს, წასასვლელი არსად ვიყავით და აუტანელი სიცივისა თუ უშეშობის გამო, მე და ჩემი ნათესავი გოგონა საწოლში დიდხანს შევრჩით, რომ გავმთხარიყავით და სიცივეს გავმკლავებოდით.

შუადღე გადასული იყო, კარი რომ გაიღო და ჩვეული ხალისით ოთახში სვიმონკა შემოვიდა. მიიხედ-მოიხედა და საწოლში რომ დაგვინახა, შეიცხადა, შემდეგ თავისებურად დაგვიცაცხანა და ხუმრობა დაგვიწყო: – „აი, მესმის ოჯახის ქალები, ორ საათამდე რომ იძინებთ, საქმეს მეტ ბარაქას დაატანო“. როგორც იცოდა, არ ჩამომჯდარა ისე მოგვიკითხა; ჩვენი „ნებივრობის“ მიზეზი რომ გაიგო, თბილად გაგვიღიმა და „გვაპატია შეცოდება“. თავისიც გვითხრა: – „მშობლები ვინახულე, სხვა

საქმეებიც მქონდა, მოვაგვარე, ამაღამ თბილისში მივდიგარ და შემოგიარეთ, თქვენებთან ხომ არაფერს გამატანთ ან დამაბარებთო. სხვა ნათესავებთანაც მისასვლელი ვარ, ღრმ ცოტა მაქს, ვეღარ გავჩერდები, მეჩქარებაო“ – დაგვემშვიდობა და წავიდა.

დარცხვენილები და სიცივისაგან აკანკალებულები საწრაფოდ წამოვხტით საწოლიდან და ოჯახის საქმეს მივხედეთ.

სიმონის წასვლის შემდეგ საათიც არ იყო გასული, ეზოდან ხმაური რომ შემოგვესმა. ჯერ ამისათვის ყურადღება არ მიგვიცევია, მაგრამ ხმაური რომ არ შეწყდა და ნაცნობ ხმასაც მოვეპარით ყური, ფანჯარაში გავიხედეთ.

მოულოდნელობისაგან ორივენი გავშეშდით. სიმონის ალაყაფის კარი გაეღო და ეზოში შეშით დატვირთული ურმების ქარავანს შემოუძლვა. მეურმებს შეშა კიბის ქვეშ კოხტად დააწყობინა და ფანჯარაში ჩვენს გაოცებულ მზერას თვალი რომ შეავლო, ჩვეული იუმორით „აგვისწნა“ საქმის ვითარება – „ეს შეშა თქვენია, ცეცხლი დანიურთ, გათბით, საქმეს მიხედეთ და პურ-მარილის თადარიგს თუ აქედანვე დაიჭერთ, გაისამდე მოასწრებით მომზადებას, ჩამოვალ და კარგად ვიქეიფოთო“ – ზემოთ აღარ ამოსულა ისე გაგვეხუმრა, ხელი დაგვიწნია და წავიდა. ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად და სწრაფად მოხდა, რომ დაბნეულებმა მაღლობის თქმაც ვერ მოვახერხეთ. სიკეთისაგან შეძრულები, კარგა ხანს უსიტყვოდ ვიდექით ფანჯარასთან და სიმონის ლაბაზ, ახოვნ ფიგურას მანამ ვუფურებდით, ვითრე ჩქარი, სპორტული ნაბიჯით ქუჩის მეორე მხარეს არ გადავიდა და სახლის კუთხეს არ მიეფარა. როცა გონის მოვეგეთ და ყოველივე გავაცნობიერეთ, მაშინდა მივხვდით, როგორი ყურადღება გამოიჩინა უმწეო გოგონების მიმართ, რა უბრალოდ, სხვათამორის მოგვართვა ესოდენ საჭირო, უძვირფასესი ძლვენი და ერთბაშად მოგვიხსნა უზარმაზარი პრობლემა და საზრუნავი. კიდევ ერთხელ მოვიზიბლეთ სეიმონებას ამ რაინდული ქმედებით.

სიმონის მოტანილმა შეშამ ქუთაისური ცივი მარტიც გაგვითბო და იმ წლის ზამთარიც უზრუნველად გადაგვატანინა. სითბოში ვისხედით ან ვსაქმიანობდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სითბოს მომნიჭებელი ჩვენს შორის უკვე აღარ იყო.

აგვისტოს მიწურულს, მთელი საქართველო შეძრა სიმონის უმაგალითო სიკვდილმა – სვანეთში, თეთნულდჲზე ასვლის დროს, იგი შეეშველა განსაცდელში ჩავარდნილ მეგობარს, დიდი მცდელობის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ შეძლო და ისიც მასთან ერთად დაიღუპა. უდიდესი იყო ტრაგედია. მთელი საქართველო ჭირისუფლობდა სამაგალითო გაუქაცას...

დრო გადიოდა, ცხოვრებაც თავისი გზით მიექანებოდა და ამ ხნის მანძილზე ჭირ-ვარამიც ბევრი გადავიტანეთ, მაგრამ სიმონ ჯაფარიძის ამ ქვეყნილან ნაადრევი წასვლა მოუნელებელ ტკივილად, მუდმივი სინახულის განცდად დამრჩა, მის მიერ დატოვებული სითბო კი მთელი ცხოვრების მანძილზე მათბობდა, სულსა და გულს მინათებდა.

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე სეიმონებას მსგავსი მცრმნობიარე, ამავე დროს, ვაჟკაცური ბუნების ადამიანი, ნამდვილი რაინდი, არასოდეს შემხვედრია. იყო თავის თაობაში გამორჩეული პიროვნება იყო და მემაყება, რომ ამ დიდსულოვან ადამიანთან გმეგობრობდი.

ქალბატონმა მერიმ საუბარი დაამთავრა და ჩემს ჩანაწერს რომ თვალი შეავლო, სახეზე კმაყოფილების დიმილი გადაეფინა, ინტერესი მომიწონა, შემაქო და გადამკოცნა. მე კი აღტაცებულმა და გახარებულმა გულითადი მაღლობა გადავუხადე; ტარიელმაც თვალზე მოძღვარი ცრემლი შეიმშრალა, ქალბატონ მერის ხელი მოჰკვია, მოეფერა, თავისებურად დაიბუზუნა და უთხრა: – „ბიძაჩემი გამიცოცხლეთ, ექვსი წლის ვიყავი რომ დაიღუპა, მაგრამ მეც კარგად მახსოვს მისი სითბო, მუხლებზე დამისვამდა და დიდხანს მათამაშებდა. მისი დიდი სიყვარული დღემდე მომყვაბა“.

ჩვენთან ერთად, ამ საუბარს ბოლომდე გაფაციცებით უსმენდნენ ქალბატონი ელენე ყიფშიძე და ბატონი გოგი გელოვანი, რომელიც შემდეგ, ყოველი შეხვედრისას, მახსენებდა ხოლმე ქალბატონი მერი დავითაშვილის ამ ნამბობს ილიასეული შეგონებით – „ხომ არ გავიწყდება, ვისი გორისა ხარო“.

სამწუხაროდ, დღეს, ამ ეპიზოდის შემსწრეთაგან, ჩემ გარდა, ცოცხალი აღარავინაა, მაგრამ თვალწინ მიდგას მათი ნათელი და გაბრწყინებული სახეები. ეს მოგონება მათი მარადიული ხსოვნის საწინდარიცაა და თუ განგებამ ინება, ვეცდები ამ დიდებული პიროვნებების ხსოვნასაც მიგავო ღირსეული პატივი. ნათელში ამყოფოს უფალმა მათი სულები!



დავით დონდუა და
სიმონ ჯაფარიძე

ქართლი დოკუ

გურამ პეტრიაშვილის სილამაზის წიგნი



20 წლის განშორების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა მწერალი გურამ პეტრიაშვილი. ამ წლების განმავლობაში იგი უკრაინაში ცხოვრობდა. უურნალ „ანეულის“ მკითხველებს ვთავაზობთ ინტერვიუს სამშობლოს მონატრებულ მწერალთან, ვინც დღესაც ქართული სიტყვის ერთგულებით ცხოვრობს და მოღვაწეობს.

— თქვენ 20 წელი ცხოვრობდით უკრაინაში. გავიჭირდათ თუ არა სამშობლოს გარეთ ცხოვრება?

— არ მინახავს ქართველი, რომელიც კმაყოფილი იყოს სხვაგან ცხოვრებით. ქართველების უძეტესიბა ნაღვლიანია და არ აქვს წარმოდგენილი, რომ ბოლომდე იქ დარჩება. შეიძლება ვინმეს ეწყინოს, მაგრამ ერებს შორის არსებობს განსხვავება. მავალითად, სომხები კარგად ეგუებინ სხვა ქვეყნაში ცხოვრებას. ისინი დედამიწაზე სამჯერ მეტნი ცხოვრობენ, ვიღრე სომხეთში. ქართველი, რომელიც მიდის უცხოეთში, სომხეთან შედარებით უფრო მაღლე კარგავს მშობლიურ ენას. ქართველი სხვაგან ან კვდება ჯავრით, ან გადასხვაფერდება და იმათნაირი ხდება. მნელად რჩება ქართველი ქართველად.

მოსკოვში გამოიცა ჩემი ზღაპრები. ქალმა, რომელიც იმ ზღაპრების თარგმნას აპირებდა, ასეთი შეკითხვა დამისვა: როდემდე აპირებთ პროვინციაში დარჩენასო? გავიკირვე და ვუთხარი, რა პროვინციაში, მე ვცხოვრიბ საქართველოში და დედაქალაქი ქართველი სთვის დედამიწაზე ყველაზე დიდი და მთავარი ქალაქია-მეთქი. მან მითხრა, თბილისში რომ ხართ, სწორედ ეგ არის პროვინციაო. მე მიუგეგ, რომ პროვინციაში ის იყო. თუ მოსკოვი ჩვენზე დიდია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის არის მთავარი ქალაქი. საერთოდ ქართველისთვის დედამიწის ცენტრი გადის თბილისში, პეტორ რუსთაველის ძეგლთან. ამის შემდეგ იყო ჩემი ზღაპრების ბუმი. ძალიან ბევრ ქვეყნაში ითარგმნა იგი რუსულიდან.

— როგორი დაგვალათ საქართველო 20 წლის შემდეგ?

— საქართველო ძალიან კონსერვატიული ქვეყანაა. ქართული ენა თითქმის არ იცვლება. ვკითხულობთ მე-12 საუკუნის ნაწარმოებს „ვეფხისტყაოსანს“ და ყველაფერი გვესმის. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა, რომელიც ლექსიკონში ჩახედვას საჭიროებს. მე-16 საუკუნის შექსპირს კი ვეღარ კითხულობენ ინგლისელები. ასევე

ცხოვრებაც ძალიან კონსერვატიულია, არც სააკაშვილს გამოუვიდა ქართველების შეცვლა. ძნელია ქართველი სგან გამოიყანო ამერიკელი. საქართველოს გლობალიზაციის პრობლემა არ ემუქრება. საქართველო გლობალიზაციას ყელში გაეჩირება.

— თქვენ თქვით, რომ საქართველოს არ ემუქრება თვითმყოფადობის დაკარგვა, მაგრამ დღეს ქართული ენა ბინძურდება. ტერიტორიები დაკარგულია....

— ტერიტორიები ყოველთვის გვქონდა დაკარგული. ოთარ ჩხეიძეს უწერია, როგორ დაპყრებს ზვიად გამსახურდა საქართველოს რუკას, კერძოდ ტაო-კლარჯეთს და ამბობს: „არა, არა, ეს უნდა დავიძრუნოთ“. ზვიადი ფიქრობდა საქართველოს მუდმივობაზე ჩვენთვის 30 წელი ბევრია, მაგრამ საქართველოსთვის არაფერი არ არის. აქ 300 წლის განმავლობაში ისტენენ არაბები, მაგრამ ახლა ისინი აღარ არიან. დიდი არაბეთი აღარ არ სებობს, დაიშალა. ყოველ განვითარებულ ენაში 20-25 პროცენტი საკუთარი, დანარჩენი კი შემოსული სიტყვებია. ქართველი ამ სიტყვებს თავის ენაზე მოარჯულებს. ენას საფრთხზე სიტყვების შეცვლით კი არა, გრამატიკის შეცვლით ემუქრება. გრამატიკა ერთ-ერთი მყარი ბურჯაა, რომელსაც ვერაფერი ვერ გაანძრებს, იგი იქნება და იქნება.

— თქვენ ძალიან გიყვართ ლექსიკონები. იქ ექვეთ ქართულ სიტყვებს და შემოგაჭია ახალ-ახალი სიტყვები.

— მე არაფერი შემომქონდა. მე ვეკითხებოდი იმ ადამიანებს, ვინც კარგად იცოდნენ ქართული. მაგალითად, ერთხელ ჩემს შვილს ვკითხე, რას დაარქმევ ვერტმფერნს-მეთქი, ცათქვეფიასო. მე ვთქვი, თუ ყველა ქართველი და მუსიკოსი ქართულად ილაპარაკებს, არ არის გამორიცხული, რომ ოდესმე ვიოლინოს დაერქვას ქართული სახელი, თუნდაც ყელფანდურა. შეძღვებ აღმოჩნდა, რომ რაჭაში არსებობდა ასეთი საკრავი — ყელფანდურა.

— 1927 წელს მიხეილ ჯავახიშვილი წერდა, დღევანდველ ქართველ მწერალს რწმენა აქლია, და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერა სწერსო... რას გვეტყვით დღევანდველ ქართველ მწერლებზე?

— ძალიან აღელვებული და აღტაცებული ვარ იმით, რაც დამხვდა მწერლობასა თუ კულტურაში. მაგალითად, ლელა თათარაიძე კვლავ ქართველი პოეტების ლექსებზე წერს შესანიშნავ სიმღერებს. მან სიმღერა გააკეთა: ვაჟას, ანა კალანდაძის და სხვა პოეტების ლექსებზე.

დღეს ბევრ უაზრო სიმღერას წერენ ახალგაზრდები, მაშინ როცა მთელი პოეზია აქვთ წინ. რევაზ ლალიძემ ილია ჭავჭავაძის ლექსი „ჩემი კარგი ქვეყანა“ გადააკეთა სიმღერად და დღეს, შეიძლება ითქვას, რომ ის ქართველების პიმნა. რევაზ ინანიშვილი თვითონ იყო რწმენა და საქართველოს მთარული ბურჯი. პირველად მისი „ბიბო“ რომ წაგიკითხე, მაშინვე შემიყვარდა. ამის შემდეგ მქონდა ბედნიერება, რომ რეზო ინანიშვილი გამეცნო. გავიცანი მისი ვაჟი დათოც. ძალიან მიყვარდა რეზოს მოსმენა. იგი ბრძენი იყო.

— რას გაისცენებთ რევაზ ინანიშვილზე?

— არასოდეს დამავიწყდება.. ერთხელ კინოსტუდიამი ვიყავით, შემოვიდა ერთი აფორიაქებული, დალონებული კაცი და რეზოს უთხრა: გზაში გამძარცვესო, ვინაო? ჰკითხა რეზომ. აი მივედი, ვყიდე რაღაც და წინაში დამაქლეს. ფულიც დამაქლეს არ მომცესო... მაშინ რეზომ უთხრა მას: ადამიანები ორად იყოფიან: არაიან ადამიანები-ცხვრები და არაიან ადამიანები-მგლები. ხომ მეთანხმები? კიო, გეთანხმებით. შენ ვინა ხარო? — ჰკითხა რეზომ, მე ცხვარი ვარო, — უპასუხა შემოსულმა. აბა, რა გინდა, ცხოვრების წესი ეგრეა, მგლებმა ცხვრები უნდა გაძარცვონ. რას იტყვი ახლა ხომ აღარ იწუწუნებო? არაო, აღარ ვიწუწუნებო...

რეზოს დაახვაზე გულზე ვარდები გადამეფინებოდა ხოლმე. რწმენას მმატებდა ის, რომ ასეთი ადამიანი ჩვენს გვერდით იყო. ჩემთვის არა მარტო ვაჟაა ან აკაცი, არამედ ჩემს გვერდით არის სულ რამდენიმე წლით უფროსი რეზო. რომ დამინახვდა, გამოიშვერდა ხელს და იტყოდა „ვაინსტეტიუში“. ეტყობა ასე ხედავდა ჩემს თაგს. რომ ეთქვა, მებრძოლი ხარო, ეს სხვა იყო, მაგრამ ვაინსტეტიუშის ამბობდა, რაც ნიშნავს, რომ გულში ვატარებ ამ ბრძოლის სურვილსა და შესაძლებლობას.

— თანამედროვე მწერლებიდან ვის გამოარჩევდით?

— მე გამორჩეული ავტორები მყავს: ირაკლი ლომიორი, ლაშა იმედაშვილი, ბექა ქურნული, გია ხოფერია. ესენი ჩამოყალიბებული მწერლები არიან.

— დღევანდველ ქართულ მწერლობაში

დამკვიდრებულია, რომ თითქოს რითმიანი ლექსები არის ძველმოღური და ახალგაზრდობა თეთრ ლექსებს მიმართავს. თქვენ რას იტყვით?

— უნდა განვასხვოთ თეთრი ლექსი და ვერლიბრი. ვერლიბრს თეთრი ლექსისგან განსხვავებით რითმა არ აქვს. არსებობს ათმარცვლიანი, თოთხმეტმარცვლიანი რითმი. ივანე მაჩაბელმა შექსპირი ძირითადად თარგმნა თეთრი ლექსით. ვერლიბრი შემდეგ დაიწყო. მე არასოდეს დამიწერია ვერლიბრი, ძირითადად თეთრ ლექსებს წვერ. ვერლიბრს წერს: ბესიქ ხარანაული, ლია სტურუა, მამუკა წილაური...

ახლა არიან რეპერები, რომლებიც ვითომ რითმებს ქმნიან. რეპი არის ყოვლად სისულელე ქართველისთვის. მოღაშია შემოსული რაღაც სიტყვების ბრახუნი. ლექსი, რითმიანი იქნება თუ ურითმო, არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია მასში იყოს მნატვრული გამონაგონი.

— მალე ინტელექტუალი გამოსცემს წევნის წიგნს „მოგონებები“. თქვენი ცხოვრების რომელ პერიოდზე გაამახვილეთ ფურალება ამ წიგნში?

— შეიძლება ვინმეს ეგონის, რომ ეს მოგონებები იქნება ეროვნული მოძრაობის ხანაზე ან ამის შემდგომ პერიოდზე. ეს წიგნი სილამაზეზეა. დედამიწა სამ რამეზე დგას: სიკეთეზე, სიმართლეზე და სილამაზეზე. სხვადასხვა ერებს თუ გადახხდავთ, ისინი ამათგან რომელიმესკენ იხრებიან. ჩვენც გვიყვარს სიკეთე, სიმართლე, მაგრამ თუ ლამაზი არ არის, ეს მოვლენა თუ პიროვნება აღარ მოგვწონს.

სილამაზეს ძალიან ვცემთ პატივს და მიგვაჩნია, თუ ლამაზია, მასში აუცილებლად იქნება სიკეთე და სიმართლე. წიგნი სილამაზეზე იქნება და ისეთ მოვლენებზე და პიროვნებებზე იქნება საუბარი, რომლებიც ლამაზ შეგრძნებას იწვევენ. ვილაპარაკებ რეზო ინანიშვილზეც, რაღაც იგი იყო ერთ-ერთი ლამაზი პიროვნება. შოთა ნიშნიანიძესაც გავიხსენებ. ანუ ყველაფერ იმას, რაც ლამაზი დამინახავს ჩემს ცხოვრებაში.

— თქვენი ინიციატივა და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანუკული“ მხარს გიჰერთ, რომ გრიგოლ რობაჟიძის ცხედარი საქართველოში ჩამოსვენდეს. ამაზე რას გვეტყვით?

— ძალიან კარგია, რომ ჩამოვასვენოთ. თურმე თვითონ ამას ერიდებოდა და ვერ თქვა, რომ სამშობლოში წაეყვანათ. ცხადია, მისი ნატვრა იქნებოდა სამშობლოში ყოფნა. ძალიან განსხვავებულები ვართ სხვა ქვეყნებისგან. „ყველგან ამბობენ, რომ ნერგი იზრდება, მხოლოდ საქართველოში ამბობენ, რომ ნერგი ხარობსო“, ამას გრიგოლ რობაჟიძე ამბობდა.. ჩვენ გხარობთ ჩვენს ქვეყნაში.

ესაუბრა
მარიამ ოლეგიშვილი



ქართული სტეიტ

ჯემბე ჯოშანიანი

ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან

თეთრონის ნალი

90-იანი წლების ბოლოს, პუტინისტებისა და მათი ახლობლების გარდა, საქართველოში არავის ულხინდა, მაგრამ მე მაინც, სულ გადამეკეტა გზები; ყველაფერში ხელი შემეშალა. ისე გაგვიჭირდა, სახლიდან ყველაფერი გავიტანეთ, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, რომ როგორმე გვერასება. მეუღლეც წარამარა ავადმყოფობდა.

— ხალხო! გათვალისწილები ხართო! — გვითხრა ნათესავმა, — საღმე ცხენის ნალი იშოვეთ და კარზე მიაკარით, ავი თვალისგან რომ დაგიცვათო... .

წყალწალებული ხავს ეჭიდებოდაო, ისე იყო ჩემი საქმე. წავედი იპოდრომზე, დავდივარ თაგანაქინდრული, იქნებ საღმე ნალს გადავაწყდე-მეოქი. ახალს ვიყიდი, მაგრამ გამაფრთხილეს, აუცილებლად ნახმარი უნდა იყოსო.

ჩამოვწყდი, მთელი იპოდრომი ოჯერ შემოვიარე, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვნახე.

უცებ, თავლიდან ხაკის გალიფესა და ჩექმებში გამოკვანწული მამაკაცი გამოვიდა, მომესალმა. ნოდარ ებრალიძე იყო, ლიტერატორი, ცნობილი ჟურნალისტი, დიდებული ადამიანი. 60-იანი წლებიდან ვიცნობ, როცა „ახკომში“ განყოფილების გამგედ მუშაობდა. მუდამ მაღლიერებით ვიხსენებ, ვრცელ წერილებს „შეუკრეჭავად“ მიბეჭდავდა გაზეთში. მისდამი პატივისცემა გამიორეკეცდა, როცა გავიგე, რომ ლევან გოთუასთან ერთად მონაწილეობდა ექსპედიციებში.

ბოლო დროს ქართულ ენციკლოპედიაში

მუშაობდა განყოფილების გამგედ. უცებ, ყველაფერს თავი ანება. ცხენის სიყვარულმა იპოდრომზე მიიყვანა. არადა, ცხენის ავკარგის მასზე უკეთ მცოდნე, კაცი არ მეგულებოდა ქვეყანაზე. ვინმებ შორიდან რომ ნახოს მისი ურთიერთობა, ამ ულამაზეს არსებებთან, უთუოდ ირწმუნებს, რომ ნოდარ ებრალიძე მინდიაა, რომელსაც ცხოველის ენა ესმის. თუმცა, უმთავრესი ისაა... ცხოველებსაც რომ ესმით ნოდარის ენა...

— რა გაგჭირვებია, ნალს ხომ არ ეძებო? — გულთმისანივით მქითხა...

— ვეძებ, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე-მეთქი.

— ვერც იპოვიო, — გაიცინა; მთელი თბილისი აქ დადის ბედის საძებრად, რა გადარჩებოდაო.

ცოტა ხანს ვისაუბრეთ. წასვლა დავაპირე.

— მოიცა, თავლაში შევიდეთ, ბატონი ზვიადის თეთრონს გაჩვენებო, — მითხრა.

მოულოდნელობისგან გავშრი.

— როგორ? ბატონ ზვიადს ცხენი ჰყავდა?

— ჰო! ჩრდილოკავკასიელმა მეგობრებმა აჩუქესო; თუმცა ამ ამბავს ძალიან არც ვახმაურებოთ, ამასაც რამე არ აუტეხოო ზოგ-ზოგებმაო, — ჩაეცინა.

თავლაში შევედით.

ცხენმა ვერხვის ფოთოლივით ჭურები ცქვიტა, დაიფრუტუნა.

ნოდარმა ცხენს კისერზე, გავასა და მკერდზე ხელი ენერგიულად ჩამოუსვა, შემდეგ თავზე ხელები შემოხვია და მკერდზე მიიკრა, თან ხმადაბლა, ადამიანივით ებაასებოდა.

ცხენი გარინდული იდგა; მხოლოდ ზოგჯერ თუ დაიფრუტუნებდა, თითქოს პასუხობდა. ერთი-ორჯერ მარცხენა ტორი დაჰკრა მიწას, თითქოს გარეთ გაყვანას სთხოვდა.

ნოდარმა ცხენთან ბასით გული იჯერა, შემდეგ საღლაც წავიდა; მაღევე დაბრუნდა.

— ეს ნალი ამ თეთრონისაა, მარჯვნა წინა ფეხის. რა ხანია, გულდაგულ ვინახავ, ვერ ველეოდი, მაგრამ ისე იყავი მოწადინებული, ვეღარ დაგიჭირეო და გამომიწოდა.

უზომოდ გავიხარე, რატომდაც, სიმბოლურად მეჩვენა... ოქროს ზოდი რომ ეჩუქებინა, ის ვერ გამახარებდა ასე.

იპოდრომის მახლობლად ვცხოვრობ. ნოდარს ვთხოვე, ძვირფასი საჩუქარი დაგველოცა. მადლობელი ვარ, რომ არ გამაწიდილა. ის დღე არასოდეს დამავიწყდება...

P.S. მას შემდეგ, რაც თეთრონის ნალი კარს მივაკარი, ბევრი რამ შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში, თუნდაც მცირედ სასიკეთო ცვლილებებს, თეთრონის ნალს მივაწერ. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა, რომ ასე იყოს.

ფლორიდა, აშშ

იპოდრომიდან დაბრუნებულ ს მეუღლემ საწერ მაგიდაზე დახვავებული გაზეთების შეკვრიდან ერთი ნომერი საგანგებოდ ამოარჩია და გამომიწოდა — გაგიხარდებაო.

„საქართველოს რესპუბლიკის“ 2009 წლის 18 მარტის ნომერი იყო, რომელშიც რუსთაველის ალალი სეხნიისა და სულიერი მექანიდრის შოთა ნიშნიანიძის „გახსენება“ დაუსტაბავთ, რომელსაც 80 წელი შეუსრულდებოდა.

წერილს ერთვოდა პოეტის ლექსი, რომელმაც შემრა, ისე ესადაგებოდა ჩემს მაშინდელ სულიერ განწყობილებას. პოეტი თითქოს ჩემს გულში იჯდა, ოღონდ ესაა — უფრო ლამაზად, პოეტურად გამოუხატავს სათქმელი:

— თენდება... სუსხავს...
მღელვარებამ იპრობს დროგის ცხენს...
6. ებრალიძე მიჩიქარის იპოდრომისკენ.
კაცი ნეტარი მარტვილივით, ანუ ბერივით,
შექარყინულით ორთავ ჯიბეგამოტენილი,
და პა — ბაჩა-ცხენს,
შეევარებულს მის კაცობაზე,
ჩაჩირის უკოცნის...
ცხენი წინა ფეხს აბაკუნებდა,
და კაცს ესმოდა მისი გულისთქმა...
ეს იყო ცხენის განკაცება
სიხარულისგან...“

შოთა ნიშნიანიძე

გვიან მინაწერი:

2009 წლის სექტემბერში დასრულდა ჩემი „ნებაყოფლობითი ხიზნობა“. ათი წლის განშორების შემდეგ სამშობლოში დაგბრუნდი.

მეორე დღესვე იპოდრომზე წავედი. თავლები, ასევე ყველა შენობა მიწასთან იყო გასწორებული, რაღაც იპოდრომი ლისის ტბის მიდამოებში გადაუტანიათ. აქ მხოლოდ დახურული მანეჟი „გადარჩენილა“, სადაც გერმანული კონკურის შვიდოდე ცხენი და ჩვენი, ყულარის ცხენსაშენში დაბალებული წმინდა სისხლის ორიოდე მერანი იდგა, რომელთაც ახალგაზრდა მხედრები სასოებით დასტრიალებდნენ თავს, — ვარჯიშიდან დაბრუნებულთ ამშრალებდნენ, ვარცნიდნენ...

ერთ ხანს ვუცქირე მათ კეთილ გარჯას; შემდეგ ჩემი ძვირფასი მეგობარი ნოდარ ებრალიძე მოვიკითხე.

— უკვე აღარ მუშაობს, მაგრამ, ხშირად გვაკითხავსო — მითხრეს. ისეთი პატივისცემით საუბრობდნენ უფროს მეგობარსა და მასწავლებელზე, გული სიამით ამევსო.

„მარადისობის ლაუვარდები“

2006 წლის მაისში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკში“ წერილი დავბეჭდე ამერიკაში მოღვაწე ცნობილი მხატვრის ცისანა ჯანაშვილის შესახებ.

იმ წერილიდან ერთ ფრაგმენტს გავიხსენებ:

— რამდენიმე წლის წინათ თბილისიდან ძვირფასი საჩუქარი მივიღე, — მიამო მაშინ ცისანამ.

— ჩემმა ახალგაზრდა მეგობარმა, მსახიობმა ქეთევან რატიანმა ტერენტი გრანელის ლექსების კრებული ჩამომიტანა წიგნის შემდგენელ-რედაქტორისა და გამომცემლის, ბატონ ლერი ალმონაკის ავტოგრაფით.

ნეტავ იცოდეს ბატონმა ლერიმ, რაოდენ მაღლობელი ვარ მისი...

ტერენტი გრანელის შემოქმედების გაცნობა ნამდვილი აღმოჩენა იყო ჩემთვის. 70-იან წლებში, როდესაც ჩვენი ოჯახი საქართველოდან წავიდა, ტერენტი გრანელის შესახებ არაფერი

ვიცოდი. ტერენტი გრანელის „მიმართვა ხისაღმი“ რომ წავიკითხე, საოცარი გრძნობა დამეუფლა, უსაზღვრო მაღლიერებით აღვივსე პოეტისაღმი; ათეული წლების შემდეგ, თითქოს, მისი სულიერი განწყობილების თანაზიარი გავხდი, საქართველოდან ეგზომ შორს, უკიდეგანო ამერიკში.

საერთოდ, ხელოვნების ნიმუშებს თავისი ენერგია აქვთ, რომელიც არ იყარგება, იგი სამყაროში ტრიალებს.

ის ენერგია, ის ძლიერი სული რომ არა, პოეტმა რომ ჩაქსოვა ლექსებში, როგორდა აგვალელვებდა მისი ნაწერები ათეული წლების შემდეგ? ამ წიგნის კითხვისას ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ტერენტი გრანელის სულმა ნიუ-იორქს ჩამოუქროლა“...

„— პოეტი მაინც ერთი ლექსია ობლის ცრემლივით ცამდე მართალი“, — წერდა შესანიშნავი პოეტი და უურნალისტი ლაშა გახარია.

ტერენტი გრანელის წიგნში მრავლადაა სულის შემძრელი სტრიქონები, მაგრამ მე მაინც ერთ ლექსს გამოვარჩევ, „მარადისობის ლაუგარდებს“...

„სული გაფრინდა თეთრი მტრედივით, სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე“...

„— ვფიქრობ, მოვა წამი და აღარ ვიქნები ცოცხალი.

მე მაინც მჯერა პოეზიის უკვდავება. მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული“...

ახდა პოეტის წინასწარმეტყველება.

მისი დაბადებიდან 100 წლის შემდეგ პოეტის სტრიქონებს იხსენებენ საქართველოშიც, ამერიკაშიც, ისრაელშიც, ვინ იცის, კიდევ სად და სად...

ეს უკვე უკვდავებაა!

ტერენტი გრანელის შესახებ აზრის გაზიარება ვთხოვე საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ბატონ თთარ სეფიაშვილს, რომელიც ათ წელზე მეტია ნიუ-იორქში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

— ტერენტი გრანელი ს შემოქმედება დიდხანს იყო წნევის ქვეშ, — გაიხსენა ბატონმა თთარმა; თბილისში ტერენტის ორი წიგნი მაქვს, 20-იან წლებში დასტამბული. ერთი წიგნის ტიტულზე ტერენტის პორტრეტი იყო ლალო გუდიაშვილის არაჩვეულებრივი პლასტიკური ხაზებით შესრულებული...

— ძალიან მიყვარდა ის წიგნი, მუდამ მახსოვდა სად იდო. დროდადრო გადმოვიდებდი, მოვეფერებოდი და შევინახავდი. ვნანობ, რომ ის წიგნები აქ აღარა მაქვს. ჩემს არქივთან ერთად თბილისში დარჩა, — თქვა დანანებით.

— ლერი ალიმონაკს ძალიან ვაფასებ. მან დიდი ლვაწლი დასდო ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას, ფაქტობრივად, ტერენტი გრანელის შემოქმედება ლერი ალიმონაკმა იხსნა დავიწყებისაგან, — ბრძანა ბატონმა ოთარმა.

ზოგიერთი დეტალის დასაზუსტებლად თბილისში, ბატონ ლერი ალიმონაკს დავურექე.

ბატონმა ლერიმ მართლაც დიდი ლვაწლი დასდო მე-20 საუკუნის გამოჩენილი პოეტის ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლასა და წარმოჩენას; გამოსცა პოეტის რამდენიმე წიგნი. ასევე ბიოგრაფიულ-ესეისტური რომანი. ტერენტის პირველი წიგნი „სული და საფლავები“ 1922 წელს დაისტამბა, — მითხრა ბატონმა ლერიმ; მეორე — „მემენტო მორი“

— 1924 წელს, რომელსაც ირაკლი თოიძის მიერ შესრულებული პორტრეტი ამშენებდა; მესამე — „ლექსები“ — 1926 წელს გამოიცა. სწორედ ამ წიგნის ტიტულზეა ლალო გუდიაშვილის მიერ შესრულებული ტერენტი გრანელის გრაფიკული პორტრეტი.

ბატონო ლერი! 70-იან წლებში ერთხანს ჩემთან ცხოვრობდა შესანიშნავი პოეტი, ჩემი ნათესავი არჩილ ფირცხალავა. სიმართლე გითხრათ, სწორედ არჩილმა შემაყვარა ტერენტი გრანელის შემოქმედება. იგი საათობით მიკითხავდა გალაკტიონის, გრანელის, ლალო ასათიანის, ალექსანდრე საჯაიას, მირზა გელოვანის ლექსებს. ფენომენალური მეხსიერების პატრონი იყო. თავადაც მშვენიერ ლექსებს წერდა.

არჩილს უბით დაჰქონდა ერთადერთი წიგნი, ხშირი ფურცელისაგან ერთიანად გაცრეცილი, რომელსაც არც ყდა ჰქონდა, არც სარჩევი, მაგრამ კარგად მახსოვს, წიგნს ერთვოდა ცისკენ მზირალი ტერენტის ფოტო.

— ხომ ვერ მეტყვით, ის წიგნი როდის დაიბეჭდა?

ბატონი ლერი მშვიდად მისმენდა, შეკითხვა არ გამაწყვეტინა.

— არჩილი ჩემი მეგობარიც გახლდათ, — მითხრა.

იგი მართლაც უნიჭიერესი კაცი იყო. სამწუხაროდ, ლადო ასათიანივით, არჩილსაც ჭლებები მოუღო ბოლო.

— წიგნი, რომელიც თქვენ ახსენეთ, გახლავთ „რჩეული“, რომელიც მე გამოვეცი 1972 წელს. სწორედ იმ წიგნს ერთვოდა ცისკენ მზირალი ტერენტის ფოტო.

— ბატონო ლერი! ახლახან ცნობილ მხატვარს რეზო ადამიას ტერენტისადმი მიძღვნილი ესეების წიგნი დაუსტამბავს, ცხადია, გეცოდინებათ.

— რეზო ჩემი უახლესი მეგობარია. მან ტერენტის მრავალი წერილი უძღვნა. სამწუხაროდ, ჩემმა პრობლემებმა დღოებით ჩამომაშორეს შემოქმედებით საქმიანობას, მაგრამ რეზოს წიგნის წარდგინებაზე აუცილებლად მივალ, და დაამატა: — რაკი ტერენტის ახალ წიგნებზე ვსაუბრობთ, ბარემ აქვე გეტყვი: — ამას წინათ „საქართველოს უნივერსიტეტში“ მიმიწვიეს ჩემი წიგნის — „ლაო ძის“ თარგმანის გამოცემასთან დაკავშირებით.

ყველაფერზე შევთანხმდით.

და სასრულ, უნივერსიტეტის კანცლერმა (ასე გამაცნეს თარჯიმნება) ინგლისურად დასტამბული ტერენტი გრანელის ლექსების წიგნი დამიდო წინ. ცხადია, გამიხარდა, თან გავოცდი.

— ნეტავ, ვინ თარგმნა-მეთქი, — ვკითხე თარჯიმანს.

— მე ვთარგმნე, — ქართულად მიპასუხა უნივერსიტეტის კანცლერმა, ბატონმა ედუარდ რაუპმა.

როდესაც ბატონ ედუარდს ავუხსენი, რომ ტერენტის რამდენიმე წიგნი მქონდა გამოცემული, გაითვა.

ეს ყველაფერი ძალიან მისტიკურად მეჩვენა.

ბატონი ედუარდი ამერიკელია... რამდენიმე წელია ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობს. ძალიან მოსწონს საქართველო, ვაჟა-ფშაველას თარგმნა განუზრახავს.

ასე რომ, შესაძლოა, ჩვენი თანამშრომლობა ედუარდ რაუპთან ნაყოფიერი გამოდგეს, — ბრძანა დასასრულ ბატონმა ლერი ალიმონაკმა.

* * *

თბილისიდან ჩემმა მეგობარმა ივანე ჯაფარიძემ მაცნობა, — ამ დღეებში ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი რეზო ადამიას ესეების წიგნის წარდგინება გაიმართებაო... წიგნი რეზოს

ნახატებითააო დამშვენებული.

გავიხარე.

ბერი გულსაკლავი ამბავი მესმის სამშობლოდან, მაგრამ გასახარიც გამოვერევა.

ასეთ დროს გამიელვებს — იქნებ არც ისე ცუდადაა საქმე, რაკი ლექსისთვის იცლიან, რაკი სვეგამწარებული ტერენტი ახსოვთ-მეთქი.

დღერთმა ინებოს, გადარჩეს მავანთა ძალისხმევით უფსკრულის პირას მიყვანილი ჩვენი წამებული სამშობლო...

ძვირფასო ბატონო რეზო! გულწრფელად მახარებს თქვენი შემოქმედებითი ძიებანი...

... როგორ გაიხარებდა იმ საღამოზე ჩვენი ძვირფასი მეგობარი, წყაროსთვალივით სუფთა, სანთელივით წმინდა, ბაჯაღლო გულის კაცი და დიდებული პოეტი ლაშა გახარია, რომელმაც ტერენტი გრანელს მრავალი გულწრფელი სტრიქონი უძღვნა.

საოცრად მორიდებული კაცი კი იყო, მაგრამ იმ საღამოზე უთუოდ ტერენტისადმი მიძღვნილ ერთ ლექსის წაიკითხავდა, — „იცის, რომ ლექსით სამთაწმინდეა“...

ვინ იცის...

— ბატონო რეზო! მადლი უფალს, კუთხურობას ვერავინ დაგვწამებს, ამერიმერი გულით გვიყვარს, საქართველოს მთასაც და ბარსაც ვეთაყვანებით, მაგრამ მუდამ გვახსოვს ჩვენი ოდაბადე — სენაკი... ჩვენთვის სამყრო ხომ სენაკიდან იწყება... არადა, კაცს თუ თავისი სიყრმის წმინდა აღავით არ უყვარს, სამყაროს როგორლა შეიყვარებს?

გვარავდეთ ღმერთი!

ფლორიდა, აშშ

მიქე ლიპარტელიანი

ფლორიდაში, ქალაქ ლარგოში, ჩემს აპარტამენტში ლენტეხელი მურად ბენდელიანი ცხოვრობდა. საერთოდ, სიტყვაძვირი კაცი იყო, მაგრამ როდესაც საქართველოს ისტორიაზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, — უმალ გახალისდებოდა.

ერთხელ, სვანეთზე ვსაუბრობდით; ისტორიულ ძეგლებზე; იმ ადამიანებზე, ამ ძეგლებსა და საელესიო ქონებას, წლების მანძილზე, უანგაროდ, ხალხის სახელით რომ იცავენ.

ეს ამბავი მურადმა მაშინ მიამბო.

— სკალდეს ეკლესია ერთ-ერთი ცნობილია მთელ სვანეთში, — თქვა მან.

— რამდენადაც ვიცი, სკალდეს ეკლესია ერთადერთია საქართველოში, სადაც ქალს მისვლა ეკრძალება.

— ბიძაჩემი, მიქე ლიპარტელიანი ამ ეკლესის მამასახლისია. ხალხმა აირჩია, თავისი პატიოსნების გამო. იგი ჩვენგან კარგა შორს ცხოვრობს, ასე, თორმეტ კილომეტრზე.

მანძილი, თითქოს არაფერი, მაგრამ ისეთი აღმართია მის სახლამდე, ძალიან ჭირს მისვლა.

ერთხელ, დილაადრიან დაგვადგა თავს. ურემზე ორი ჩემოდანი ედო.

— რა იყო, ბიძაჩემო, ხომ არ დამიბერდი? ორი ჩემოდნისთვის ხარები წამოგიყვანია, — გავეხუმრე.

— მოდი აქ, ვაჟაბატონო, და ერთი ჩემოდანი ასწიე, — მითხრა.

მივედი. დავეჯაჯგურე, მაგრამ ძვრა ვერ ვუყვა.

— რა ჩამოიტანე, ბიძაჩემო? ჩემოდნებში ქვები ხომ არ გიწყვია?

— ქვებზე უფრო მძიმე დევს შიგ, — გაიღიმა.

ცნობისმოყვარეობით მივაჩერდი.

— ხურდა ფულია, ხალხის შენაწირი. ბოლო წლებში დაგროვდა. ბანკში მიმაქვს, რომ გადავახურდავო. ფულის დათვლას იმდენ ხანს მოუნდებიან, რომ სახლში საღამომდე ვერ წავალ.

— მერე, იმ ფულს რა უნდა უქნა?

— სანამ მამასახლისი ვიქები, მე შევინახავ. თუ ეკლესიას დასჭირდა სახურავის ან სხვა რამის შეკეთება, იმას მოვახმარ. თუ არა და, ვისაც ჩემს შემდეგ მამასახლისად აირჩევენ, — იმას გადავცემ, — მითხრა.

* * *

— ნეტავ, მიქე ლიპარტელიანისთანა სპეტაკ ადამიანებს ებაროს ხალხის ქონება, — გავიფიქრე; მაშინ ამ დღეში ხომ არ ვიქებოდით...

მაგრამ, ვიცი, ამაორა ამაზე ფიქრი... საგალალოდ, ქვეწის ბელელს, რახანია „შოროს-შპევი“-ს ლაბორატორიაში გამოყენილი ორუეხა ვირთხები შესვეიან, და „ხრავენ, რაც სახრავია“...

— შხამად შეგერგოთ, ხალხის ნაოფლარი, თქვე მართლა ვირთხებო, თქვენა!

ფლორიდა, აშშ

• • •

პოეზიის საღამო ტექნიკურ უნივერსიტეტში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აღმინისტრაციულ კორპუსში, მესამე სართულზე, გიორგი ნიკოლაძის სახელობის მცირე სააქტო დარბაზში გაიმართა გიორგი ცხვიტარიას პოეზიის საღამო. გიორგი ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტია.

საღამოს უძლვებოდა მაკა აბუაშვილი, მუსიკალურად გააფორმა ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულმა ანსამბლმა „ქართველომ“ (ხელმძღვანელი ბეჟან წინწალაშვილი).

ლექსები წაიკითხეს: გიორგი (პალიაჩი) კინტირაიამ, ლელა ნინუამ, შალვა აფუიაურმა, დავით ხურცილავამ, ლაშა ცელაძემ, ზაზა ზურიაშვილმა, გიორგი გიგაურმა, მაკა აბუაშვილმა...

სიტყვით გამოვიდნენ პოეტები: თამარ შაიშმელაშვილი, თემურ ცერცვაძე.

გიორგი ცხვიტარიას ლექსები გამოქვეყნებულია: გაზეთ „რეზონანსის“ ლიტერატურულ დამატება „გალაკტიონში“, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, გადაიცა რეალტივის ეთერით. გიორგი ცხვიტარია უკრნალ „ხელეურთან“ არსებული რევაზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხრობის კონკურსის ნომინანტია.

၁၃၈

ՃՈՐԻՃՈ ՃԱՑՍԵԿՈՒՆ

აღდგომა

ქრისტე აღსდგა – ჭეშმარიტად!
ლვთის სიყვარულს დავიფიცავ.
კვერცხი წითლად შეიღება –
აქ ურწმუნოს ვერ იზილავ.
ქრისტე აღსდგა – ჭეშმარიტად!
მოწაფენი გააოცა.

ღმერთმა ბრძანა კაცთა მოდგმა,
საქართველო დაგილოცა.
ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად
ჭეშმარიტად აღსდგა მკადრეოთით.
ის ეწამდა ცოდვილთათვის,
აღსდგა და წავიდა ზეცით.
ქრისტე აღსდგა! – ჭეშმარიტად!
ასე ვესალმებით ერი –
საუკუნეებს მოითვლის
ეს ღღები ბეღნიერი!
ქრისტე აღსდგა! – ჭეშმარიტაფ!
ეკლესიაშია ყველა.
მე კი სახლში მუზა მებრძვის,
გული დიდი ლოცვით მღერის.
ქრისტე აღსდგა! – ჭეშმარიტად!
ჩვენ ვახარებთ ერთმანეთსა –
მერე რა, რომ ეკლესია
სხვაგან არის ერთ მთაზედა.
მთავარი აქ ეს არაა,
მთავარია, რომ იცოდე
– კაცი იყავ მორწმუნე და
სადაც გინდა, იქ იღოცე!
წმინდა სანთელს ღმერთს დავუნთებ
და ამაღამ ვეტყვი სიტყვას.
მის სიყვარულს არ მოვწყდები,
მივულოცავ ამ აღდგომას!
ქრისტე აღსდგა! – ჭეშმარიტად,
ღმერთო, მოგილოცავ ამას
და ერთს მოგთხოვ ქვეყანაზე,
რწმენით მოგვასწარი მრავალს!

უდასასრულო დასაწყისი

სიყვარულს რად უნდა გარღების ქონა,
მას ხომ პატარა იაც ეყოფა,
სიყვარულს რად უნდა დიღი ყიუინი,
მას ხომ გამოვთა პატარა ლილინი;



სიყვარულს რად უნდა აკლა-ლიდება,
მას ხომ პატარა ლექსიც ეყოფა,
სიყვარულს რად უნდა ჩხუბი, კამათი,
მას ხომ ყოველთვის ფერგბა უნდა!
სიყვარულს ყოველთვის სიმღერა უნდა
და მონატრებაც მისთვის არს ქმნილი.
რაო, პატარავ, წუთუ ვერ ზვდები,
ერთმანეთისთვის ვართ ჩვენ შექმნილნი!
გაზაფხულდა და სიცოცხლე მოდის,
შენ ხარ დღეს ჩემი ნამდვილი მუზა,
და მონატრების ფერფლად ქცეულმა
ზღვასთან გემბაზე ავწიე ღუზა!
მხოლოდ ერთი მყავს სამუზო ქალი
და მას ეკუთვნის ჩემზე მეფობაც.
ჩემი ლექსი ხარ, გულის მპყრობელო,
მჯერა, დაგვანათებს გზაზე მზეობაც!
ბეღნიერი ხარ? მითხარი, განა,
გიუი პოეტი ნეტა ვისია?
მხიარულნი ვართ, დაიწყო ხანა —
უდასასრულო დასაწყისია!

ლამის ფიქრებში

ლამის ფიქრებში დუმს მონატრება,
ლამის ფიქრების მწვავს ელგარება...
მე სიზმარს ვუხმე, მან ჩამჩრებულა:
გვერდით გყავს, მაგრამ კვლავ გენატრება.
ო...რა ძნელია ამაზე ფიქრი!
ამას ჯობს მოკვდეს ეს დიდი გული,
მე მაინც ვმდერი სულგანაბული,
ზეცაში გალობს ცოდვილი სული...
ცოდვილს რა უნდა სამოთხის კართა?
კართან დგას იგი და მაინც მღერის –
მაპატიეო, უმღერის ცისკარს...
ამ სიზმრის ბოლოს შენ დამესიზმრე
ნორჩ იასავით ნაზო და ჭებილო,
ეს არ გინდოდა? – ჰოდა, გავგიუდი!
– მე შენ მიყვარსარ, ჩემო სიკვდილო...

თიბო თვალები

კაჭი, ჭიჭი და ეზო საკუთარი ცით



— წამო, რა, კაჭი, ფეხსაცმლის საყიდლად გამომყევი და იქიდან ცეკვაზე წავიდეთ.

მივდივართ რუსთაველზე, მაღაზია „ლუქსში“ ცალ ფეხსაცმელს ის იზომავს, ცალს — მე. ისე გამოვიდა, რო შემოგვეყიდა. ნელი ნაბიჯით გამოვდივართ დამალული ფეხსაცმლებით და გავრბივართ. ჭიჭის იასამნისფერი დუტი კურტკა აცვია, მეორე მხარეს ყვითელია და ორივე მხრიდან იცმევა. არკაში შევვარდით, მეორე მხრიდან ჩაიცვა, არ მიცნონ. ჩემი კურტკა არ ტრიალდება. ფეხსაცმლის ფულით სიგარეტ „მორეს“ და რაღაც პაჭაპუჭებს ყვიდულობთ თავისუფლების მეტროსთან. მერე ცეკვაზე მივდივართ, ყველა ისე ცეკვავს, ეგრევე მიხვდები, არავის ეცეპვება.

დილით აღრე ავდექი, ცირას ავძახე და სკოლაში წავედით. კოტე დარაჯი მიღიმის, საყვარელია, მაგრამ რაღაცნაირი სახე აქვს, სულ გინდა გეცოდებოდეს. ფერად ტალონებს გვირიგებენ ხოლმე (ზორცის, კარაქის, შაქრის...) და კოტეს ვჩუქნი. დირექტორ ეთერისთან ერთად დგას თავის მაგიდასთან, ეთერი ყვირის — გაბრუნდი უკან, 10 წუთი დააგვიანე! კოტე ეთანხმება — სულ ესე არ დადიაან?! ტალონებს რო გჩუქნი, მაშინ ხო არ ვაგვიანებ? მივაძახე და გამოვბრუნდი.

ისელაც მეზარებოდა კლასში ჯდომა რაა — ვფიქრობ ჩემთვის და აჩემებულ კენჭს მივაგორებ სკოლის ჭიშკრამდე, თაქჩაღუნული.

სახლში ავდივარ, კარი როგორც ყოველთვის ღიაა, თან პირველი სართულია — ვისაც არ ეზარება, ჩვენთან ზის. შევედი და ეგრევე სიგარეტის სუნი მეცა, ესეც არ მივირს, ლოჯიან საფერფლეში ვცხოვრობ. მოთხოვთილი ვარ, სამზარეულოში შევედი, „ფართოლ“ გაზმორება მინდა, მაგრამ ისევ ლოჯში გაზმორება გადავწყვიტე — ვიცი, იქ რო გავიზმორო, რაღაცას გავტეხავ, ისეთი პატარაა.

ღამე, მე, ქეთი, ჭიჭი და ცირა სასეირნოდ გავდივართ. ანიკოს გაზეთების ბუტკასთან რუსიერს დედა ვიღაც კაცს ეკოცნავება. ისე ახლოს მივედი, ორივეს ცხვირი მივადე შეტყუპულ ცხვირებზე — გამარჯობა, დალი დეიდა, როგორ ხართ? გოგოები სიცილით გარბიან, მე ვრჩები, პასუხს უნდა დაველოდო, უზრდელი ხო არ ვარ?! დალი შეშედება და კაგალერს მიაქცენებს. სახლებში ავიდნენ. ცოტა წვიმს... მე ეზოში ვრჩები, არავის არ არი და მსამოვნებს. მწვანე სკამზე ვჯდები, სუულ კიდეზე, იმიტომ რო შუაში, საზურგეზე ამოფხაჭნილია — „ცირა + ედიკა“ და ამაზე მიყრდნობა მერიდება. სომეხი ალბერტიკას მამა ბულლოგს ასეირნებს, ვბრაზდები, ისეთი შეგრძნება მაქვს, ვიღაც ოთახში შემომივარდა და მყუდროება დამირღვია.

დღეს მესამე სართულის ნათიას დაბადების დღეა, დედაჩემს მივყები დიდუბეში, საჩუქრების მაღაზიაში. ის ნაჩნიეს ყიდულობს, ჩემთვის ბოქლომიან ბლოკნოტს — ნათიას წაუდეო. ეგრევე ჩავიფიქრე — ჩემი მეგობრობის დღიური უპვე ივსება. მეც მინდა ესეთი, ეე არ მიყიდის, ხო ვიცი? ხოდა, ხალხი რო აირევა, ჩემს საჩუქარს უპან წამოვიდე!!! ვერ მოვახერხე, ნუ, რაღაცნაირად არ გამოვიდა.

ხოთ, ჭიჭის ფეხსაცმელზე გამახსენდა, მარტო ეგ კი არ მომიპარია?! ერთხელ მე ქეთი და ჩვენი ძმები სკოლიდან მოვდიოდით, ხოდა, წითელი ბალის წინ რო გასტრონომია, იქიდან ლიმნის, ქართული პეტრია მოვიპარეთ, კასირშას სქელო ბიჭი გამოგვეკიდა, მაგრამ რას დაგვეწეოდა, როლიკებით ვიყავით. ერთხელ კიდე

გაუზე მაღაზია სტარტიდან მე და ქეთიმ მანეჟში ჩაყრილი ჩაჩუტული ფეხბურთის ბურთებიდან ორი ცალი მოვიპარეთ – მმებს წავულეთ, გაუხარდათ...

ბევრი უბნელი და მეგობარი მოვიკლეს სულ ახლახნის. ამას წინათ ჯუკასთან გართ, აივაზზე ვეწევით და შიოს სტადიონიდან ქულჩამოფხატულმა ტიპმა 26 ნომრის შესასვლელთან მდგარ დრაბას მანქანას ავტომატის ჯერი მიუშვა. ეგრევე ქვევით ჩაცვილით, თან აუიტირებულები ვიყავით. აღვწერდით იმას, ვინც ისროლა და თან რაღაცებს გამატებდით.

წითელ ბაღში გადავდივართ მოსაწევად.

მე და ქეთის სახლში არ გვიშვებს ჭიჭი, კიდე ვიყოთ, რუსული სკოლის ეზოს ბაღში ბალაზზე გვაკოტრიალებს და გვცემს (ოღონდ საყვარლად). სახლში ავდივარ... მამაჩემი თმიდან ბალაზებს მაცლის და სანამ რამეს მეტყვის, ვასწრებ – ჭიჭიმ გვცემა მე და ქეთი... ლოჯიდან ნუგზარას ხმა ისმის – ჩემი ქეთი, ტო? ხო, შენი – გპასუხობ და დასაძინებლად გაგდიგარ.

ჭიჭისთან ვარ, პრესნიაკოვის ჰანგები ისმის ჰიტაჩის ორქასეტიანი მაგნიტაფონიდან, „ფლეის“ კნოპკა გაფუჭებულია და სპიჩის ღერს ვჩხირავთ.

- დარჩები დღეს ჩემთან კაჭი?
- არ მაქ რა იმათი თავი...
- მე ვეტყვი და დაგტოვებულ...
- ხო, კაი...

ჭიჭისთან მაის დაქალები მოვიდნენ. წვრილ სიგარეტს ეწევიან და რაღაცაზე ხმამაღლა იცინიან. ლია ბებო თავის სტიქაშია, რაღაცას ქარგავს, რო არ ვიცოდე, იქ ვართ, მეგონება, მარტოა სახლში, იმდენად არავის იმჩნევს. სახლის წინ ლიას ლამაზი ბალი აქვს თავის პატარა წყაროთი. ამ ბალის წინ მაგიდა და სკამები დგას, დომინს და კარტს თამაშობენ ხოლმე. როცა არ უნდა გაიხედო, ამ ადგილას ცალფეხა უორა ზის – ირინას ბაბუა. სულ მგონია, რო ორი უორა არსებობს, ერთი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც ჩვეულებრივად ცხოვრობს და მეორე სულ სკამზეა დარჭობილი, როგორც წესი. ხო, ირინაზე გამახსენდა, ერთხელ მე და ჭიჭის ლოტოს თამაში მოვინდა, არადა, ვიცოდით ბებიამისი – თინა არ გვათხოვებდა. მაინც ჩავედი (ჭიჭის ქვევით ცხოვრობენ), ჩავედი და დავიძარი ეგრევე საძინებელში, კარადისკენ. თან თინას ვაბრუებ ლაპარაკით, უნდა გავიტაცო ლოტო კარადიდან, ზუსტად ვიცი, არ მომცემს. ავრბივარ კიბეზე ლოტოამოჩრილი, თინას წყველა მესმის, ზუსტად ვიცი, არ გამომექიდება. იმანაც ზუსტად იცის, ხვალ დავუბრუნებთ ლოტოს.

სკოლიდან ხათუნასთან ავდივართ (ჩემი კლასელია)... მარტო მე მემეგობრება კლასში, ოღონდ არ ვიცი. რატო. დედამისი გვიღებს კარს... აი სახლიი, კარი ჩაკეტილია და რო შეხვალ. სახლის სუნი დგას – ვფიქრობ ჩემთვის, თან სიწყნარეა რა ბედნიერებაა. ზალის სტენკაში ბევრი ნაირფერი კამფეტი და უუაჩა უდევს – მშურს, მეც მინდა. შეიძლება ხათუნას ჩემი შურს, მე ბევრი მეგობარი მყავს, იმას ერთი – მე.

სახლიდან გამოვდივარ კიბეზე ლამზირა მხვდება, ჩეიძე. ლამაზი ქალია, მსახიობი. გაუთხოვარია, ის და დედამისი ცხოვრობენ მარტო, ხშირად ავდივარ ხოლმე. რო შეხვალ, სტრანი სუნი დგას, აიი ისეთი, მარტოხელა მოხუცების კარადაში რო, ნაფტალინის და ბეწეველის. შუა ზალაში, ხის საწოლზე ლოგინად ჩავარდნილი დედამისი წევს, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ატყვას. რო შევდივარ, სულ მინდა კრუგი დავარტყა და ლამზირას მივუსამიმრო, არადა ცოცხალია.

მწვანე სკამზე ვსხედვართ: მე, ჭიჭი, ქეთი, ცირა, მესამე სართულის ნათია (საჩუქარი უკან რო მომქონდა ის) და რუსიკო (დედამისი რო კოცნაობდა და პირში რო შეუხტი აჭარულის სოლისტივით, ის). ედიკა, ლევანი და ედიკას და გადმოვიდნენ გვერდით ეზოდან. ედიკას ცირა უყვარს ლევანის – მე. ამ ედიკას დას – იანას რაღა უნდა ვერ გავიგე?! შავ ხელზე და უაზრობაზე ლაპარაკობენ. იანა დიდია, ამტკიცებს, სასაცილოები ხართ, ვისაც ვარსკვლავის ჩამოგარდნაზე ერთხელ მაინც ჩაგიფიქრებიათ რამეო. მბეზრდება... მესემიჩქე სიდოსთან ავდივარ გარედანვე იგრძნობა მამალოს და მოხალული სემიჩკის სუნი... ჩამოვდივარ ...

- დამიყარე რააა, მეუბნება ლევანი.
- ვერა, ჩაფიქრებული მაქვს (ვეპრანჭები)...

დამღალეს, სახლში ასვლას ვაპირებ, სკამიდან ვდგები. ორივე ხელით საჯდომს ვიფერთხავ. მივდივარ.

– იანაა!

„ჩვენი ეზოს ციდან“ ჩამოვარდნილი ვარსკვლავები ყველა სურვილს ასრულებენ...

„სხედა საქართველოს სტატი...“

იქ, სადაც ვარსკვლავებით მოჭედილი ცაა...

დარიალის ხეობა... ყაზბეგი, მღეთა, გველეთი... მთიდან გადმოხეთქილი ჩანჩქერი და მისი შეცემის ნისლში გახვეული 25 წლის ჭაბუკი, კლიდის ჩამონატეხ ლოდზე შემდგარი, ამ ზღაპრული სილამაზით მოჯადოებული ბავშვივით აცეცებს აქეთიქით თვალებს. ვერ დაუჯერებია, რომ ეს შეიძლება სინამდვილე იყოს და რომ ის სწორედ ამ სინამდვილეშია. ენერგიით ივსება, ძარღვებში სისხლი უდულს, მთელი ძალით ყვირილი სწადია და ყვირის კიდეც. მთელი გულით მადლობას სწირავს უფალს, რომ ქართველად იშვა, რომ თვითონაც მთაში გაჩნდა, სხვაგან, სვანეთის მთებში, მაგრამ აქ, საქართველოში. სიხარული, აღტაცება იაყრობს და ამავე დროს ბრაზით ივსება, რომ სხვები არ განიცდიან ამავეს, რომ სხვანი ამას არ აფასებენ. საქართველოსთვის საკმარისი არაა, რომ გიყვარდეს, ის უნდა გტკიოდეს. სხვებს დავიწყებიათ ეს განცდა, განცდა – ქართველობისა.

ჯიხვივით მოინდომა ლოდიდან ლოდზე ხტომა. ძლიერმა მუხლმა მეტნაკლებად მისცა ამის საშუალება. მთის ფერდობზე აფოფხდა, სულ უფრო მაღლა და მაღლა მიუწევდა გული. მწვერვალზე ავიდა. გადმოხედა გადაშლილ შეფერადებულ ფერდობებს. ხარბად გაბერა ფილტვები უნგბადით გამდიდრებული ჰაერით.

დიდხანს იდგა ასე, უძრავად და არწივივით გასცემოდა არემარეს. თვალები უბრწყინავდა. განცვიფრებული იყო ამ ნამუშევრით. ეს ხომ თვით უმაღლესი გონის, უფლის მიერ შესრულებული ნახატი იყო. ადამიანებს ჯერ კიდევ ერ მოესწროთ მისი დამახინჯება.

მწვერვალზე მდგომა ხმამაღლა შემოსძახა:

– საქართველოოო!..

საქართველომაც არ დააყოვნა პასუხი და შორიდან შემოეხმიანა რამდენჯერმე:

– ქართველოოო!.. ქართველოოო!.. ქართველო!

დაბლა ჩამოვიდა. კლდიდან გადმოსული წყაროს წყლით იჯერა გული. საძმაკაცოს ხორცი წამოედო. კოცონი დაანთეს ველურ ბუნებაში. დაჭრილი ხორცი შამუჯურზე ააგეს და ცეცხლის ჩანაკვერცხლებას დაუწყეს ლოდინი.

მწვადი შეიწვა. ოდნავ ცვრიანი დატოვეს. კახელმა შეწვა. კახელებს ეგ ამბები არ ეშლებათ. ღვიძიო ჩამოასხეს ყანწებში. ყანწებში და არა ჭიქებში, ეს იმიტომ, რომ ყველაფერი ქართული, მამაპაპური უნდა ყოფილიყო. ტელეფონებიც კი არ წაუღიათ. ყველა კუთხის შვილი იქ იყო. ყველას თავისი კუთხისთვის მახასიათებელი ჩოხა-ახალუხი ეცვა. ყველანი საქართველოს



ღირსული შვილები იყვნენ. უხაროდათ ერთურთი. უხაროდათ, ეს სილამაზეც რომ ერთად გაიზიარეს. მთებს შორის მოქცეულნი კოცონს უსხდინებ და ლვინით ადლეგრძელებდნენ მადლიან სამშობლოს, რომელმაც ამდენი ჭირი გადაიტანა და ამდენს გაუძლო. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლები ქალაქში ცხოვრობდნენ, გრძნობდნენ, რომ მათი სახლი აქ იყო, აქ, სადაც ცაში არწივი ნავარდობს და კლდეზე ჯიხვები დახტიან. იმასაც ხვდებოდნენ, რომ მეორე დილით ისევ ქალაქს დაუბრუნდებოდნენ და გაევროპელებული ფესვებდაკარგული თანატოლების ყურება ისევ გულს მოუკლავდათ. მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ

ამ სიყვარულს, ამ განცდას გულში შეინახავდნენ სიკვდილამდე და ერთურთსაც გაამზნევებდნენ მძიმე წუთებში.

დარიალის ხეობაში, სადღაც მთებს შორის, პატარა კოცონთან, წამით პატარა

საქართველო გაცოცხლდა – ამ უფლის მაღლიერი, საკუთარი მიწა-წყლის დამფასებელი, ერთიანი, ერთ მუშტად შეკრული.

იმ ღამით მთელ საქართველოში კოვისპირულად წვიმდა, მხოლოდ იქ, სადღაც მთებში, ცა იყო კრიალა და ვარსკვლავებით მოჭედილი.

მოდით, ჩვენც მოვაკრიალოთ ცა ჩვენს ზემოთ და მოვჭედოთ ვარსკვლავებით!

ბიობი ზურბინი

• • •

ჰერეთში

ბეშგილი ამბობდა: „ამ ტყეში პატარა ტბა არისო. დილით – ნაცრისფრად... შუადღით – აგურისფრად... საღამოს – ვერცხლისფრად იფერებაო. ერთ საღამოს, როცა აგურისფერი ვერცხლისფერში გადადიოდა, ტბას მივუახლოვდიო. ტალღებს დამხრჩხალი შევლი გამოერიყა და ნაპირთან აქანავებდაო. ტბა სავსე იყო: არა წყლით, არა სისხლით, არა ოფლით, არა ცრემლით, არამედ სიცარიელით.“

საოცარი კაცი იყო ბეშგილი! რას არ გაიგებდი მისგან... ერთხელ ისიც მითხრა, რომ ჩემი შვილი მეჩეთს აშენებსო. მერე რა, რომ ასოს ბოლო მოკვეთილი აქვსო. აი, უყურე სამი ყირმიზა გოგო ჰყავსო... რითი განსხვავდებიან სხევებისგანო?!” ყველანი დაჩრქილი ვევედრებით გამჩენსო... მე პირჯვრისწერით, ისინი ხალიჩაზე თავის დადებითო. მეც ვმარხულობ და ისინიც მარხულობენო... მე ღვინოს ვსვამ, ისინი ჩაისო. ჩაის მეც ვსვამო! მე ბეშგილი მქვია, იმათ კიდე, აიძულეს, რჯული შეუცვალეს, ხოლო ქართული სახელები დაუტოვესო... ჩემს ვაჟს გიორგი ჰქვია, მის შვილებს: ნინო, თამარი, ნათელა! ახლა მითხარი, მე ვარ თათარი თუ ისინიო?!



მოხუცი თვალცრემლიანი განაგრძობდა საუბარს: „ჩვენი სოფლის თავში ძველი საყდარი დგასო, რომელსაც გუმბათი მომწიფებული რკოს ქუდივით მორყევიაო! ამ სამლოცველოს მარტო მე ვუვლიო, ყველამ დაივიწყა წინაპრების რჯულ-ძირკვიო... სოფელში ბერ-კაცებიც აღარ შემოვრჩითო. ყოველ დილით მე და უფალი სულჩაკიდებული ავდიგათ საყდარში და კედლებს ვამაგრებოთ. შვილები არ გვეხმარებიანო, მათ სამლოცველოსა და ჩვენი წარსულის გახსენების ეშინიათო, – მათ შიშის ეშინიათო!“

ბეშგილი დრო და დრო ჩუმდებოდა, ცრემლს შეიშრობდა და ისევ ყვებოდა: „ჩვენო, ადამიანებიო, თივის ზეინებივით გაფანტულები ვდგავართ დია ცის ქეეშ და ურემს ველოდებითო! ურემსო, რომელიც ყველას ერთად შეგვერებს და ერთიან სათივედ მოგვაქცევსო... თუმცა არც ურემი ჩანს და არც მეურმეო! ამ ერთ მუჭა სოფელშიონ ბალაზის სახეობების მიხედვით დაყოფის დრო არ არისო. ასე გაფანტულებს ქარი ცალ-ცალკე გვწერწავსო, წვიმა ცალ-ცალკე გვასველებსო, ცეცხლი ცალ-ცალკე გვეკიდებაო! ხოლო ერთ სათივეში – ყველას ერთნაირი ტკივილი და სიხარული გვქნებაო...“

ბეშგილი ქვითინებდა, თან დაინოს სვამდა...

იქვე ისხდნენ მისი შვილიშვილები და ყურანს კითხულობდნენ.

ჩვენ კი – საღამომდე სახარებაზე და მწუხარებაზე ვსაუბრობდით!

ზურბი სუსამილი (ჰერიცი)

„ქრისტიანობის ბრძოლა
ისლამთან საქართველოში“

არაბების პირველი შემოსევიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე არანაკლებ თორმეტმა ასწლეულმა განვლო. ამ ხანგრძლივი დროს განმავლობაში ქართველი ხალხის ცხოვრება გამუდმებული ბრძოლაა მართლმადიდებლური ეკლესიისა და ეროვნულობისათვის. ქართული სამეფოს ძლიერების ხანა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას გამონაკლისად, რადგან ქართველი ხალხი ამ შუალედში თავგამოიდებოთ ებრძოდა ქრისტიანობის მტრებს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამ დროს ქართველი ხალხის ეს ბრძოლა სულ სხვა თვისებას იძებს. თავდაცვას შეტევა ენაცვლება. ქრისტიანული საქართველოს მთელი ისტორია თავისთავად, როგორც შესაძლოა ზემოთ მოყვანილი მოკლე ნარკევიდან დავინახოთ, გახლავთ ქართველი ხალხის გაუთავებელი ტანჯვა-წამება, ქართული სამეფოს პოლიტიკური ბრძოლა ეკლესიისა და ეროვნულობის მტრების წინააღმდეგ. ამიტომაც ისტორიკოს-ფილოსოფისმა პლ. იოსელიანმა საქართველოს უწოდა მეტად ნიშანდობლივი სახელი — სამეფოთა შორის იობი, ხოლო სხვების თქმით, ქართველები — ჯვაროსანი ხალხია, ხალხი, რომელმაც მუსლიმურ იკეანეში ზეადამიანური ძალისხმევით შეინარჩუნა თავისთავადობა.

მუჰამედი თავიდან ქრისტიანებისადმი
კეთილად იყო განწყობილი. სხვა



აღმსარებლობის წარმომადგენლებთან
შედარებით მათ უპირატესობას
ანიჭებდა, მაგრამ მოღვაწეობის
მომღევობი პერიდოდში დამოკიდებულება
შეცვალა. ქრისტიანებთან რელიგიურმა
პატრიობამ დაარწმუნა, რომ მათი
მოძღვრება ქრისტიანულ ღოგმატებთან
შეუთავსებელი იქნებოდა. ამიტომ
ქრისტიანები სამებისა და იქს ქრისტეს,
როგორც ძე ღმრთისას მოძღვრების
გამო დაადანაშაულა. „მართლები არ
არიან ისინი, რომლებიც ამბობენ, რომ
მესია, მარიამის შეილი, — ღმერთია.
მართლები არ არიან ისინი, რომლებიც
ამბობენ, რომ ღმერთი სამებაში მესამეა“.
ქრისტიანებისთვის ურწმუნობის მიწერით
მუჰამედმა მათი თითქმის უღმერთობებთან
ან „მრავალღმერთიან“ წარმართებთან
გათანაბრება დაიწყო. ქრისტიანებთან
მეგობრული ურთიერთობა საშიშადაც
კი მიიჩნია. ყურანი მაჰმადიანებს
განსაკუთრებულად აფრთხილებს, რომ
ქრისტიანებთან კამათში და რწმენასთან
დაკავშირებულ მსჯელობებში არ
ჩაერთონ. მაჰმადიანთა ინტერესების
ქრისტიანულთან შეჯახებისა და
მაკმადინებზე ქრისტიანთა ზეგავლენის
შიშით ეს სიძულვილი თანდათან
ძლიერდება. ამიტომ მუჰამედმა ღმერთის
სახელით ახალი სარწმუნოების
სასარგებლოდ ყველა ურწმუნოს, მათ
შორის ქრისტიანებსაც ომი გამოუკისადა.

ქრისტიანი მეზობლების მშვიდობიანი გზით გამაპმადიანების წარუმატებელი ცდების შემდეგ ასეთი ბრძანება გამოსცა: „...ებრძოლეთ იმათაც, ვინც წმიდა წერილები მიიღეს (იუდეველებს და ქრისტიანებს), რომლებიც არ ემხრობიან ჰემმარიტ კანონს (ყურანს), ებრძოლეთ მანამდე, სანამ დაუძლურებულნი და დამცირებულნი სიცოცხლი ს შესანარჩუნებლად გამოსასყიდს არ გადაიხდიან.

ამიტომ მაპმადიანები ჩვეულებრივ დედამიწის ყველა მცხოვრებს ყოფენ მორწმუნებად და ურწმუნოებად (გიაურებად). მორწმუნებს თავიანთ თავს მიაკუთვნებენ, ხოლო ურწმუნოებს – ყველა უცხო რჯულის აღმსარებელს, არა მარტო წარმართებს, არამედ ქრისტიანებსაც. ამის მიხედვით მთელ სამყაროს ორ ნაწილად ყოფენ: „დარულ-ისლამ“ ანუ ისლამის სამყაროდ და „დარ-ულ-ხარბ“ – მტრობისა და ომის სამყაროდ, იმის შეგნებით, რომ არამუსულმანებს ყოველთვის უნდა ეომო. ურწმუნოთა წინააღმდეგ აუცილებელია გამუდმებული ომი და ასეთ ომს სარწმუნოებისთვის იმი, ბრძოლა ღმერთის გზაზე, ანდა ბრძოლა ღმერთის გამო ჰქვია. ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ უდიდესი სათნოებაა და ომის დროს დაცემულთ ყველა ცოდვა მიეტევება. საღვთო ომში მონაწილეობა ყველა მუსულმანისთვის სავალდებულოა ბავშვების, მონების, ქალების, უსინათლოების, კოჭლებისა და უხელოდ დარჩენილთა გარდა. ამის გამო მათ ღმერთისგან მრავალნაირ ჯილდოს აღუთქვამენ, ხოლო მათი განსაკუთრებული ხვედრი წყაროს წყლებით ნასაზრდოები სამოთხის ბადებია. ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლა მანამდე ევალებათ, სანამ ყველა არ გამაპმადიანდება, ან გამოსასყიდს არ გადაიხდიან და ხარჯის გადახდის ვალდებულებას არ იისრებენ.

ტყვეებს მაპმადიანები მუსულმანობის მიღებას სთავაზობენ და უფლებრივად მხოლოდ ამ პირობით ითანაბრებენ. „ურწმუნოებთან ბრძოლა მაშინაც კი აუცილებელია, როცა პირველები არ გვეს ხმიან თავს“. მიზეზი ურწმუნოებზე თავდასხმისა შესაძლოა გახდეს ქრისტიანის მხრიდან ისლამის შეთავაზებაზე უარის თქმა. ამიტომ საომარ მოქმედებათა სურვილის გამო მაპმადიანებს ყოველთვის პქონდათ შესაძლებლობა, ამ დადგენილებით ესარგბდლათ ქრისტიანებზე თავდასხმისას. მტრის ქვეების დაპყრობისას „ადგილ-მამულები, სოფლები, ორსული ქალები

და მოზარდები ცხადდებიან ხაზინის ნადავლად“. დაპყრობილი ქვეყანა იმამის ნებით შესაძლოა გაიყოს ჯარისკაცებს შორის, ანდა „დარჩეს მოსახლეობას, რომელსაც დაეკისრება ხარჯი. ტყვეების ბედსაც სრულად განაგებს იმამი, რომელსაც თვითნებურად შეუძლია მათი მოკვლა, მონად ქცევა ან თავისუფლად გაშვება იმ პირობით, თუ მუსლიმებს ხარჯს გადაუხდიან“.

ჯვაროსნულ ლაშქრობათა დროიდან მაპმადიანების სიძულვილი კიდევ უფრო ღრმავდება ქრისტიანთა მიმართ. ეს ლაშქრობები სხვა ქვეყნების დაპყრობის სურვილს უდვიმებდნენ იმდროინდელ ქრისტიანებს – უპირატესად დასავლეთ ევროპელ ქრისტიანებს და თავიანთი მთავარი მიზნის, მაპმადიანთა ბატონობისაგან წმიდა მიწის გათავისუფლების გარდა, მათ წინამძღვრებს იარაღით მაპმადიანთა გაქრისტიანებას შთააგონებდნენ. „მიიღეთ მღვდლები, – წერდა მეფე ლუდოვიკო IX ეგვიპტის მუსლიმ მმართველს, – რომლებიც გაგაცნობენ ქრისტიანულ რელიგიას, მიმართეთ მას და პატივი ეცით ჯვარს, თუ არა, ყველგან თქვენი მდევნელი ვიქენები და ღმერთი გადაწყვეტს ჩევნს შორის ვინ – თქვენ თუ მე – დარჩება ეგვიპტის მმართველად. ტუკის სულთნის წინააღმდეგ თავის ლაშქრობასაც ამგვარადვე უყურებდა ლუდოვიკო IX. ასეთივე თვალსაზრისი პქონდათ რომის მღვდელმთავრებსაც ჯვაროსნულ ლაშქრობათა შესახებ, მაგრამ ამ ლაშქრობების შედეგებმა აშკარად გამოვლინა, რომ მახვილით არამცუ არ შეიძლება, არამედ არც არსებობს გზა ქრისტიანად უცხო რჯულის მორწმუნეთა მოქცევისა.

ამ დროიდან მაპმადიანები უფრო მეტად შეურიგებლები ხდებიან ქრისტიანთა მიმართ. ქრისტიანთა წინააღმდეგ ლაშქრობათა მთავარ და თითქმის ერთადერთ მიზნად გაიხადეს ისლამის გავრცელება. „პირველი წესი, – ამბობს თემურ-ლენგი თავის დებულებაში, – რომელიც ჩემს გულში გამოვლინდა, ითვალისწინებდა რელიგიის გავრცელებასა და მუჰამედის კანონების განმტკიცებას“. თემურის დებულებაში მიხედვით, თუ რომელიმე ქვეყანაში „ხალხი წინასწარმეტყველის მიმდევრების სარწმუნოებისაგან განსხვავებულ რწმენას აღიარებს, მაშინ მონარქმა უნდა დაიპყროს ეს ქვეყანა, რათა ხალხი ცდომილებას განარიღოს“. „ამგვარად, როცა სირიაში შევიჭრი, – ამბობს თემური, – მკაცრად ვსჯიდი იმათ, ვინც ცრუ სწავლებას აღიარებდა“.

მუჰამედის მეორე მემკვიდრემ — ომარმა ასეთი ანდერძი დატოვა: „ჩეგნ უნდა შევჭამოთ ქრისტიანები და ჩვენმა შთამომავლებმა მათი შთამომავლები უნდა ჭამონ მანამ, სანამ ისლამიზმი იარსებებს“. ეს ანდერძი ყველა შემდგომ საუკუნეში სრულდებოდა და მაპმადიანებს ქრისტიანებთან ომს შთააგონებდა. მეჩეთებში ქადაგებდნენ, რომ უცხო რჯულის მორწმუნება წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ, მქადაგებლები ისლამის აღმსარებლებს მრავალგვარ ჯილდოს ჰპირდებოდნენ და არწმუნებდნენ, რომ „ბჭენი სამოთხისა მახვილთა ჩრდილქვეშა დაგანებული“. ეს სიტყვები ფრიად ნიშანდობლივია მაპმადიანთა სულისკვეთებისათვის. ხალიდის აღთქმა „თუ ღმერთი მავანს გაამარჯვებინებს, მაშინ ის მდინარეებს დახოცილთა სისხლით შეღებავს“, თორმეტი საუკუნის მანძილზე მრავალტანჯული საქართველოს მაპმადიანობასთან ბრძოლისას აღსრულდა. ასჯერ და ათასჯერ იღებებოდა მტკვარი და საქართველოს სხვა მდინარეები დახოცილ ქრისტიან ქართველთა სისხლით.

არაბები, როგორც ახალი დამპრობლები, ყურანის მოძღვრებით ფანატიკოსებად ქცეულნი, ახალგაზრდული დაუოკებელი ენერგიით აღსავსე ხალხი, იმის შემდეგ, რაც ერთი მეორის მიყოლებით მრავალი ერი და სამეფო დაამხეს, მალე საქართველოს დაატყდნენ თავს. აქ, როგორც ყველგან, არ ივიწყებდნენ თავიანთ ლაშქრობათა მთავარ მიზანს — ქართველი ხალხის გამაპმადიანებას. ქვეყნებს, რომელთა მოსახლეობამაც მათი სარწმუნოება მიიღო, არ აწუხებდნენ და მათი ჯარები მანამდე არ ჩნდებოდნენ, სანამ თვითონ ამ ქვეყნების მაცხოვებლები მტერთაგან დაცვას არ სთხოვდნენ. საქართველო კი, როგორც ქრისტიანულ რწმენაზე მტკიცედ მდგომი ქვეყანა, ხშირად ხდებოდა მსხვერპლი მათი გამაჩნავებელი თავდასხმებისა. არაბების პირველივე შემოსევის დროს მთელი ქვეყანა ლამის მთლიანად განადგურდა. ქალაქები, სიმაგრეები, ეკლესიები, მონასტრები და სხვა ნაგებობები ინგრეოდა, ადამიანები მთებში იხიზნებოდნენ, თან მიჰკრნდათ ეკლესის განძეულობა. არაბები ქართველებისგან მოითხოვდნენ, მიეღოთ მუსულმანობა და თუ უარს ეტყოდნენ, მოწამებრივ გვირგვინს არგუნებდნენ. ისინი უმთავრესად მთავრებსა და საერთოდ კეთილშობილი გვარის ადამიანებს დევნიდნენ. პროფ. პატკანოვის მიხედვით, არაბები დაპყრობილი ხალხის მიმართ იყენებდნენ „ყველაზე მზაკვრულ

და ამავე დროს ყველაზე ქმედით პოლიტიკას, რაც მთავრებისა და ერის წინამძღვრობა სათითაოდ განადგურებას ითვალისწინებდა“.

საქართველოს გაჩანაგების შემდეგ არაბები მიემართებოდნენ სხვაგან, უმეტესწილად ბიზანტიის იმპერიის საზღვრებისაკენ და საქართველო ისევ იწყებდა სულის მოთქმას, გულს არ იტენდა, რადგან ისტორიაში მის შვილები განსაცელს მიაჩვია. ქართველებმა არაბ მუსლიმთა გამოჩენამდე სპარსელებისა და ბერძნებისაგან არანაკლები ვაება იწვნიეს. ის კი არა, ისტორიკოს ბარათაშვილის რწმუნებით, მაპმადიან არაბთა ფანატიზმი შედარებით ასატანი იყო, ვიდრე ცეცხლთაყვანისმცემელთა ფანატიზმი და უფრო გასაძლისი, ვიდრე ქრისტიანი ბერძნებისა“.

თურქ-სელჩუკთა შემოსევა აღფარსლანისა და მისი შვილის მელიქ-შაპის წინამძღვრობით ქვეყნისთვის უფრო გამანადგურებელი გახლდათ და ასევე საშიში ქრისტიანული რწმენის სიწმინდისა და ზნეობრიობისათვის. ამ შემოსევებისას თურქების სისასტიკეზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მათ მიერ მიეცებული ჭრილობები სწრაფად მოშუშდა ამის შემდეგ ქართული სამეფოს მიერ მიღწეული პოლიტიკური ძლიერების წყალობით, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს საშინელი უბედურებები დაატყდა, რის გამოც ძალა არ შესწევდა ზნეობრივ, გონებრივ და ეკონომიკურ სფეროში მიღწეული წარმატებები განევრცო.

თავდაპირველად მონღოლები, შემდეგ სპარსელები და თურქები ყოველი მხრიდან გარს ერტყმიან საქართველოს, უზარმაზარ, სისხლმოწყურებულ ურდოებად მოისწრაფიან, სარგებლობენ შინაურ აშლილობათა და უთანხმოებათა შედეგად მისი დაუძლურებით და ცეცხლითა და მახვილით იმორჩილებენ. მტრები მხოლოდ გაჩანაგებასა და ძარცვას როდი სჯერდებიან, კიდევ უფრო ისწრაფვიან პროზელიტიზმი გააძლიერონ, საქართველოსა და მის მიერ გაქრისტიანებული კავკასიის მკვიდრი გამაპმადიანონ.

მონღოლები დიდ და ძალა არ ბატონობდნენ საქართველოში. თემურლენგი მოკლეს და მისი სამეფო დაიშალა. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ მონღოლები გამოიირჩეოდნენ უწესრიგობით, კამაყოფილებას ძარცვის წყურვილი და ნგრევის უნი უფრო პგვრიდათ, და ეს არც ისე დამღუპველად აისახებოდა ქრისტიანობაზე. დაპყრობილ

ხალხებს მაკმადიანობას თავს რომ მოახვევდნენ, მის განმტკიცებაზე აღარ ზრუნავდნენ, სისტემატურად, გაცნობიერებულად და დაუსინებით არ ცდილობდნენ, პროზელიტური მისწრაფებების გაღრმავებას, არც შეეძლოთ ამის გაკეთება. ერთ ქვეყანას რომ დაიკყრობდნენ, სწრაფად გადადიოდნენ სხვაგან, უკან ნანგრევებსა და განადგურების კვალს ტოვებდნენ. ისინი ფრიად გაცნობიერებულად მოქმედებდნენ და დასახული პქონდათ ერთი მიზანი – საქართველოს დაპყრობა და აქ ყოველივე იმის განადგურება, რასაც კი ქრისტიანობის ანაბეჭდი ან კპალი ეტყობოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველების მიმართ სპარსელებისა და თურქების მტრული დამოკიდებულება იმ დროიდან გამძაფრდა, რაც ქართველთა მეფეებმა კავშირისა და მფარველობის ძებნა დაიწყეს რუსეთის მართლმადიდებლურ სახელმწიფოსთან. საქართველო ცდილობდა, მაპმადიანთაგან თავი დაეღწია და დაკავშირებოდა ქრისტიანულ, მათდამი (მაკმადიანებისადმი) მტრულად განწყობილ სახელმწიფოს, რომელიც მათვის უფრო და უფრო საშიში ხდებოდა. ამის პატიება არც თურქეთს და არც სპარსეთს შეეძლო, ეს ვითარება კი საქართველოსთვის საზარელ უბედურებათა წყაროდ იქცა თითქმის 400 წელიწადის განმავლობაში. მაკმადიანური სახელმწიფოები ამ დროიდან საქართველოს წინააღმდეგ ცნობილი მეცნიერებად განასაზღვრული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. სპარს შაპთაგან ზოგი (შაპ-აბასი) იუკიცებოდა, რომ მახვილს მანამდე არ ჩააგებდა, სანამ მთელი საქართველო არ გამაპმადიანდებოდა. საქართველოს მიმართ მათ ქმედებას განაპირობებდა არა უბრალოდ ძარცვისა და ნგრევის უინი, ისინი გულგრილნი არ იყვნენ რელიგიური თვალსაზრისით, პქონდათ ღრმად მოფიქრებული გეგმა – გაემაპმადიანებინათ საქართველო და დაექვემდებარებინათ თავიანთი რელიგიური და პოლიტიკური გავლენისათვის. ამ მიზნის მისაღწევად იყენებდნენ ყოველგვარ საშუალებას: მოტყუებას, ძალადობას, სისხლის შერევას, სპარსეთისა და თურქეთის პროვინციებში ქართველი ხალხის გადასახლებას, საქართველოს თავისუფალი მიწების კოლონიზაციას მაპმადიანების მიერ და ა.შ.

საქართველოზე თურქების ან სპარსელების ყოველი თავდასხმისას ნადგურდებოდა ქალაქები და მათთან

ერთად ექლესიები. სხვა ქალაქებზე რომ არაფერი ვთქვათ, თბილისი მტრებმა 29-ჯერ თითქმის ძირისევიანად დაანგრიეს. სპარსელებისა და თურქების ველური ურდოები ცეცხლითა და მახვილით გადადიოდნენ თბილისის გამაგრებულ კედლებზე და სპობდნენ მისი შენობების სილამაზეს, ანგრევლენ ეკლესიებსა და სასახლეებს. 1795 წლის უკანასკნელმა წვრებამ თბილისის იერი ისე დაუმსხნვდა, აღდგენის დროს ბევრი ქრისტიანული წმიდა ადგილის დანიშნულების ამოცნობა გამოიწვდა. მტრები ცდილობდნენ, მართლმადიდებლობის შუქი პირველ რიგში იმ ადგილებში ჩაექროთ, სადაც ენოთ, ყველაფერს ანათებდა და ათბობდა ირგვლივ. შესანიშნავად ესმოდათ, რა ზნეობრივი ძალა პქონდა მონასტრებს; ასევე იცოდნენ, რომ მონასტრებთან არსებობდა საუკეთესო სასულიერო-სასწავლო დაწესებულებები, სადაც ქართველები ჭეშმარიტ ქრისტიანულ განათლებას დებულობდნენ. ამიტომ, ქრისტიანობა ძირშივე რომ მოესპოოთ, პირველ რიგში მკრეხელურად შემმუსვრელ ხელს აღმართავდნენ ქართველების ქრისტიანული ცხოვრებისა და ეროვნული თვითმყოფადობის ამ ცოცხალ და უხვ წყაროზე. უფლის ტაძრების გამოცარიელებით, ნგრევით და შებილწვით, ხატების ძვირფასი პერანგებისგან განძარცვით, ფეხქვეშ მათი გაქელვით მაპმადიანი დამკყრობლები ცდილობდნენ, მართლმადიდებელ ქართველთა თვალში ამ მართლმადიდებლურ სიწმიდეთა მნიშვნელობა და ძალა დაემცირებინათ და ამით მათვის წინაპართა რწმენისაღმი გულგრილობა ჩაენერგათ. ასეთი გზით უნდოდათ ნიადაგი მოემზადებინათ ქართველი ხალხის ისლამზე გადასასვლელად. ამიტომ შემოსევებისას მარტო თვითონ კი არ ცდილობდნენ ეძარცვათ და ენგრიით ეკლესიები, შეებილწათ ხატები და საერთოდ ედევნათ ქართველები რწმენის გამო, არამედ მსგავსი საქციელისკენ უბიძგებლენ საქართველოს მეზობელ ხალხებსაც. უფლის საკურთხევლის მსახურებს ხოცავდნენ. დავით გარეჯის სავანეში – ამ ქართულ სიწმიდეში – წმ. აღდგომის დღეს შაპ-აბასმა 6000 ბერი დახოცა. კახეთის ქალთა მონასტერში თემურლენგმა ყველა მონაზონი გაანადგურა, რის შემდეგ მონასტერი მამათა მონასტრად გადაკეთდა. სომეხ ისტორიკოს კირაკოს განძაკეცის მოწმობით, მაპმადიანი დამპყრობლები ყოველი კარის ზღურბლზე ჯვარს აჭერებლენ, რომ შემსვლელსა და გამომსვლელს

უეხით გაექელა. განსაკუთრებულად თაყვანსაცემი ხატები მაპმადიანებს თან მიჰქონდათ. ივერიის ღმრთისმშობლის ხატის შესახებ ცნობილია, რომ იგი სპარსელებს ორჯერ ჩაუვარდათ ხელში, ორჯერვე საქართველოში დაბრუნდა და ამჟამად გელათის მონასტერშია. ამგვარივე ტყვეობა გამოიარა ანგის, ანჩისხატისა და სხვა მრავალმა ხატმა.

სპარსელები განსაკუთრებით საეკლესიო წიგნებს დევნიდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ საეკლესიო ლიტურგიკული წიგნები მეტად საჭირო იყო საეკლესიო ღვთისმსახურებისთვის და ამიტომ მონძომებით ცდილობდნენ, გაენადგურებინათ ისინი, ან თავიანთ ქვეყანაში გაეტანათ. წიგნების იმდროინდელი გავრცელების ხერხების სიმწირის, მათი გადაწერის სირთულის გამო, ვინაიდან წიგნის ბეჭდვის ხელოვნება ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, წიგნების დაკარგვა უაღრესად მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნიდა ქართულ ეკლესის, მით უმეტეს, რომ იმ ხანებში სამწიგნობრო მოღვაწეობის ცენტრები იყო მონასტრები, რომელთა მოსახლეები – წიგნის საქმის მუშაკები – ათასობით იხოცებოდნენ სავანების ძარცვისა და ნგრევისას. თემურმა საქართველოზე თავდასხმისას ბრძანა, ცეცხლისთვის მიეცათ იმ დროისთვის უმდიდრესი ბიბლიოთეკა ბარათაშვილებისა. რაც კი ცეცხლს გადაურჩებოდა, ქრისტეს ეკლესის მტრები ჩვეულებრვ თავიანთ ქვეშებში ეზიდებოდნენ. ისტორიკოსების მიხედვით, თემურის დედა ქალაქ სამარყნდში დღევანდლამდე ინახება მისი ურდოების ნაძარცვი ქართული წიგნები. ქართული მატიანე უამრავ ცნობას გვაწვდის ამ წიგნების „დატყვევებათა“ შესახებ. ბარბაროსების ხელყოფისაგან გადარჩენილი ქართული ხელნაწერი წიგნების არშიებზე არის საგულისხმო მინაწერები იმის შესახებ, თუ ყოველი მათგანი რამდენჯერ დატყვევებს და რა ხერხებით დაიხსნეს ტყვეობიდან.

საქართველოზე თავსხმისას და გაჩანაგებისას მაპმადიანი მმართველები ქართველების გასამაპმადიანებლად ძალისმიერ მეთოდებს ყოველთვის როდი იყენებდნენ. მიზეზი ერთი მხრივ ის გახლდათ, რომ დამპყრობლები მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით დარწმუნდნენ, ქართველები სარწმუნოებისა და ეროვნულობის დაცვისას უმაგალითო მამაცობასა და თავგანწირვას ავლენდნენ, რის შედეგადაც მტრები მიზანს ვერ აღწევდნენ; მეორე მხრივ მათ ეშინოდათ, ისლამის გავრცელების

საქმეში რეპრესიული ზომების გამოყენებით რუსეთის მართლმადიდებელ სახელმწიფო სთან საქართველოს შეერთება არ დაეწერებინათ. ამას გარდა, გამოცდილებით ისიც იცოდნენ, რომ ძალისმიერ მეთოდებს მაპმადიანთავის სასურველი შედეგები არ მოჰქონდა საქართველოში. ამიტომ სპარსელები და თურქები უმეტესად მოუკერებითა და საჩუქრებით მოქმედებდნენ. გარკვეული პოზიციების დაკავების შემდეგ ცდილობდნენ, ამგვარად მიეზიდათ მოსახლეობა და ამ გზით ავრცელებდნენ მუსულმანობას. ასე მოქმედებდნენ თურქები აჭარაში.

ამ გვარი ვერ იკავებს პოლიტიკას ახორციელებდნენ სპარსეთის შაპები აღმოსავლეთ საქართველოში. როცა შაპა-აბას I კახეთის თავს დაესხა, ყველა დატყვევებულ კახელს საჩუქრები დაურიგა და გაათავისუფლა. ამ ხერხით მოსახლეობის მიმხრობას ცდილობდა და ხშირად მიზანსაც აღწევდა. შაპა-აბასის მეორე შემოსევის დროს კახელები იმ იმედით, რომ ის მათ მიმართ აღრინდელ გულმოწყალებას გამოიჩინდა, არც წინააღმდეგობა გაუწიეს და საზღვრებიც არ გაამაგრეს. ასევე მოხდა ქართლშიც. ქართული „ქრონიკები“ შენიშნავენ, რომ ვინმე აჯიალისანი ქრისტიანებს საჩუქრებითა და დაპირებებით აღებინებდა მაპმადიანობას. რა თქმა უნდა, მაპმადიანი ფანატიკოსები ამ ზომებს ვერ დასჯერდებოდნენ და არ შეეძლოთ, ძალისმიერი ზომებისთვისაც არ მიემართათ. საერთოდ, როგორც თემური თავის დებულებებში აღნიშნავს, მაპმადიანი მმართველები ცდილობდნენ, ხალხი „შიშსა და იმედს“ შორის ჰყოლოდათ. მაგრამ ამასთანვე ისიც უნდა შეგნიშნოთ, რომ ისლამიზმის პროპაგანდის საქმეში ძალისმიერი ზომები ორგანიზი იყო: ირიბი და პირდაპირი. ირიბი ზომების მიხედვით მაპმადიანები პირდაპირ და აშკარად არ მოქმედებდნენ თავიანთი სარწმუნოების გავრცელებისას, არ აიძულებდნენ ქართველებს მაპმადიანობის მიღებას და ამისთვის არ იყენებდნენ ტანჯვა-წამებას, მათ სხვადასხვა დამამცირებელი ხერხით აიძულებდნენ გამხდარიყვნენ პროზელიტები. საერთოდ, თანამორწმუნებისთვის უპირატესობის მინიჭებით, მათთვის მფარველობის გაწევითა და ქრისტიანების უფლებების შეზღუდვით ცდილობდნენ, ხალხის თვალში თავიანთი სარწმუნოება აემაღლებინათ. ქართველების სიცოცხლე და ქონება არასოდეს ყოფილა სრულიად უსაფრთხო და დაცული. ზოგიერთ ხანს

(მაგალითად კახეთის მმართველ ბეჭან-ხანს) ასეთი წესი ჰქონდა: თუ კახელი ლექს ან თათარს მოკლავდა, სჯიდნენ, კლავდნენ და ამბობდნენ: „გიაურმა არ უნდა მოკლას მუსულმანი“, ხოლო თუ თათარი კახელს მოკლავდა, მკვლელს არ ერჩოდნენ, რადგან მათი აზრით „ასე იყო საჭირო“. შაპაბას I-მა ლექებს კახელების გაულეტა უბრძანა და ამის გამო ჯილდოს და მფარველობას შეპპირდა. ქართველ მეფეთა სიცოცხლე და მმართველობა შაპის განწყობილებაზე გახლდათ დამოკიდებული, შერყეული იყო ქართული სამართლის საფუძვლები, შაპის წყალობა ყოველგვარი სამართლის ერთადერთ წყაროდ იქცა. აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ თურქები, რომელთა გავლენის ქვეშ დასავლეთი საქართველო იმყოფებოდა, მეტი შემწყნარებლობით გამოირჩეოდნენ, ვიდრე სპარსელები. თურქების რელიგიური სიძულევილი ხშირად უფრო ძლიერ ატყდებოდა მათივე ერეტიკოსებს (შიიტებს), ვიდრე მართლმადიდებელ ქართველებს.

რაოდენ ზღუდავდნენ მაპმადიანები მოხარკე ქრისტიანთა უფლებებს, ჩანს მოხარკეთა ვალდებულებების შესახებ ომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან, რომელთა შეუსრულებლობას დამნაშავეთა სიცოცხლე და ქონება ეწირებოდა. ეს გადაწყვეტილებები განაწესებდა: არ აშენებულიყო ახალი ტაძრები, არ აღდგენილიყო დანგრეულები, გან საკუთრებული პატივით მოპყრობოდნენ მაპმადიანებს, მათთვის თავიანთი ადგილები დაეთმოთ, არ გაეყიდათ დვინო და არ დაელიათ საზოგადოებრივი და კერძო შენობების აგების დროს დაეცვათ დადგენილი მცირე ზომები; ქრისტიანები ასევე ვალდებული იყვნენ, თავიანთი სახლები მუსულმანთა სახლებზე

მაღალი არ აეგოთ. აქრძალული ჰქონდათ მდიდრული პროცესიები, ზარების რეკვა, ფსალმუნთა გალობა და ა.შ. ყოველ მუსლიმს უფლება ეძლეოდა ამ გადაწყვეტილებათა დამრღვევი მოექლა, ამასთან, მკვლელობისთვის დამნაშავე პასუხს არ აგებდა.

როცა ეს გადაწყვეტილებები ქრისტიანობასთან მაპმადიანობის დამოკიდებულების დასახასიათებლად მოგვყავს, ჯიუტად არ ვიჩემებთ, თითქოს მაპმადიან კანონმდებელთა ყველა განჩინება ზუსტად სრულდებოდა საქართველოში. პირიქით, საფუძველი გვაქვს ვიფაქროთ, რომ განჩინებებს არა მარტო ქართველები არ ასრულებდნენ, არამედ მაპმადიანთა ხელისუფლებაც ვერ ბედავდა, ისინი ზედმიწევნით აღესრულებინათ. მაშინ, როცა უკვე გამუსულმანებულ თათრებს ყველგან სისრულეში მოჰყავდათ ნოვრუზის ბრძანებები, — ეკლსიების ნგრევისა თუ ქრისტიანთა ძარცვისა და წინადაცვეთის შესახებ, ქართველები იყვნენ ერთადერთნი, რომლებიც ძალდატანებით არ იცვლიდნენ რწმენას, მხოლოდ ქართულ ეკლესიებს არ ეხებოდა საყოველთაო განადგურება და ნგრევა. მიზეზი სტეფანოზ ორბელიანის სიტყვით იყო ის, რომ „უმაღლესი მხედარმთავრები ქართველ მთავართა შიშით თათრებს ეკლესიების დანგრევას უკრძალავდნენ“. დანგრეული ეკლესიები ყოველთვის შეუფერხებლად ახლდებოდა, ხოლო ახლები საჭიროების მიზედვით შენდებოდა, მშვიდობიან დროს ეკლესიის ყველა წეს-ჩვეულება დაუბრკოლებლად სრულდებოდა. ერთი სიტყვით, მაპმადიანები საქართველოში აშკარად ვერასოდეს ბედავდნენ ქრისტიანთა უფლებების შეზღუდვას.

რუსული ენიდან თარგმნა
ზურაბ თორიამ



სსოფტის კიბელენი

„შეუსვენებლად რბის ბედაური“...



დიმიტრი ბაჭყალას ძე ზვიადაური („მგელათ“ მამიშვილობა) დაიბადა დუშეთის რაიონის შატილის საბჭოში შემავალ სოფელ ანდაქში, 1932 წელს. მამა და უფროსი ძმა – ხვთისო, სამამულო ომში დაიკარგნენ. დედა, ნანა ბაისერის ასული, მშობიარობას გადაჰყვა და დიმიტრი სამი წლისა დაობლდა. აი, რას მიყვებოდა დედაჩემი ძილა: „დედა რომ მოგვიკვდა, დავრჩით სამნი: მე – შვიდი წლისა, ტუჩა – ხუთის, დიმიტრი – სამის. ტუჩას ხელს ჩავკიდებდი, დიმიტრის კისერზე გადავისვამდი და ასე ვატარებდი ეცოს ყანებში სამკალ-სათიბზე...“

ბევრი გაჭირვება გამოიარეს და-ძმებმა, მაგრამ გაიზარდნენ და ხალხში რჩეულებიც გახდნენ. ბიძაჩემი დიმიტრი რუსთავში, ციანმარილებში მუშაობდა. მრავალი ჯილდო მიუღია. რუსთავის გაზეთ „ქიმიკოსში“ ბეჭდავდა ლექსებს, ჩანახატებსა და დღიურებს.

დიმიტრი ზვიადაური უახლოესი მეგობარი იყო პოეტ გაბრიელ ჯაბუშანურისა. მისი დახმარებით გაიცნო დიდი პოეტი გიორგი ლეონიძე. სწორედ მათი ხელშეწყობით სწავლობდა 1966-72 წლებში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე (საღამოს განყოფილება). „დიმიტრი, შენ სულით პოეტი ხარ!“ – მიუწერია მისი ლექსებისათვის ჟურნალისტ ვანო ცინცაძეს.

დიმიტრი ზვიადაურმა ამ ცხოვრებაში კაცური სახელითა და პოეტური სულით იარა. ბევრი დარ-ავდარი გადაუდია მის სულს, ობლად დარჩენილან მისი ნაწერებიც. სამზეოს კი 1994 წელს გამოეთხოვა. უცნაური ბეჭისწერით, დედის საფლავზე დასაწერი სტრიქონი, მისივე სამარის ეპიტაფიად იქცა:

„მზეო, გაათბე ეს ბორცვი ოღონდ –
ამ მიწის ერთი ციცქა ჭრილობა,
სხივს ნუ მოაკლებ სამარეს ობოლს
და გაზაფხულზე ვარდთა შლილობას...“

დიმიტრი ზვიადაურს ჰყავს მეუღლე – ნუნუ ფავლენიშვილი და ქალიშვილი თინათინ ზვიადაური.

მურდვა არდოტელი

* * *

დამნავლა შენმა წყურვილმა,
შენმა შორიდან ცქერამა.
შენთა დალალთა სურნელის
ჩემამდე ვერ მოდენამა.
შენმა თვალების ბრიალმა
მომსპო და გამავერანა.
„მიყვარხარ“, ფიცით მითქვია,
ვაჟაის სულის ლხენამა“.

* * *

„მოკლეა ესე სოფელი“,
მეც ვარ დასტური ამისა.
რამეთუ არ გარდუვლია,
მარადისობა ღამისა.
რომ ქარ-წვიმები წაშლიან
გეშს ჩვენი ნატერფალისას,
ჩაიქროლებენ დღეები,
ვით მაყრიონი ქალისა.

* * *

სხვა რამ ამქეცნად არ მინატრია,
შევლაღაღებდი ერთს მუდამ ზეცას –
გავიკურნავდი მრავალ ნატყვიარს,
ოღონდ შაირის ქურუმად ვეცან.

* * *

წარსულ დღეთაგან არ რჩება ნავლიც,
დროს, დასამიწარს, სიყრმე თან მიაქვს.
ჩვენ ერთხელ ველას გაგვიდის ყავლი –
ზოგს ნაადრევად, ზოგს – უფრო გვიან.
...ბოლოსდა ვამჩნევთ გზებს
უუჭად გავლილთ,
რასაც უსაზღვრო ტკივილი ჰქვია.

დადგება ის დრო

დადგება ის დრო, მე ვით ფირალი
ოდესმე სამზირს დაგელოდები,
ვერ დამაბრკოლებს შმაგი მდინარე,
ვერც უსიერი ტყე და ლოდები.
და იმ მხარეში წაგიყვან, სადაც
მთებს ახვევიათ ჩალმები ნისლის,
ჩვენ იქ ვიცხოვრებთ სრულიად სადად –
პატარა ქოხი გვექნება ისლის.
იქ სადაც ორბნი ლაჟვარდს სერავენ,
ხან კი ქარები დაქრიან მქისე.
სადაც ხარჯიხვი, მოყელყელავე,
საცისკროდ შურთხის გალობას ისმენს.
ზღაპრული მთების ჯაღო-ბუნება
ვიცი, აგავსებს უშრეტი ვნებით
და სამსხვერპლოზე მწველი ცდუნება
უმანკოებას მოიტანს ნებით.

მეგობართ ხსოვნას

მძიმე ცხოვრების გზა ექლიანი
განველე და მაინც არაფერს ვნანობ.
არ მიძებია ქვეწად ტიარა,
თქვენს ნაკვალევს კი დავეძებ, ძმანო.
დუმს ახლა ბაგე ბევრი თქვენგანის,
ღრო კი ტირანი თავის გზით მიქრის,
გაქრენ ბავშვიბის ტკბილნი შვებანი
და თმებში უხმოდ შემოლის ფიქი.
ვიცი, სიცოცხლე არის მირაჟი,
წარმომავლობას არ ვჩივი მხოლოდ,
რადგან ნაგზაურს ჩვენი წინაპრის
დაემგვანება ჩვენი გზაც ბოლოს.
მიტომ დგებიან წამები მძაფრი,
მთანგავს ვარამი დაუსრულებლივ.
ვხედავ, მიჰქრიან გაშლილი აფრით
დღეები – თეთრი ბედაურები.
და მე – სამზეოს სიცოცხლის მძევალს
(ო, უთქვენობა ძნელია, ერთობ)
მანამ წყვდიადის წიაღში შევალ,
მწარს, თქვენი ხსოვნის

კანდელად ვენთო.

მთები

ქედებს არშიას ავლებს ყორანი,
ნისლით პირბადე ჩამონაბურებს.
ქარიშხლით სახენაამბორალი
ელავს მყინვარი – მწვერგალთ საფურე.
სისინგს ქარი და უფსკრულიდან
მესმის მომსკვარი ლოდის ჯახანი.
ამონატყორცი კლდეთა გულიდან
შავი მდინარის ბორგავს ფაფარი.
მარადისობის დგანან ზიარნი
(სივრცეს არ სცნობენ,

როგორც ჩვენ – დროთა)

ეს მწვერგალები თეთრჩალმნიანი
ზე აზიდული ლაჟვარდის კოცნად.
და ვდგავარ ასე სმენადქცეული,
გარს მახვევი დიღრონი მთები,
თან ძალა მიპყრობს რაღაც გრძნეული,
ერთად მომგვრელი დარდის და შვების.

დადგება წამი

უკვდავებათა ტოლო,
დიღო სიმღერავ, მოდი!
ხომ უნდა ჰქონდეს ბოლო,
დაუსრულებლივ ლოდინს?
თორემ დადგება წამი
ქვეწად წამშლელი ზღვართა.
მარადიული დამის
რომ დაგვაფაროს კალთა.
არარაობის ფარდა
დახშავს სამზეოს მხარეს,
სიცარიელის გარდა
სულ იქ ვინ შეიწყნარებს.

* * *

ნაშუაღამევს გაგაღვიძებს ფიქრი
წვეული,
დაგეუფლება საოცარი, ლამაზი სევდა.
მუზების ღმერთი უჩინარი და უსხეულო
შენს სასოფლოთან რიერაჟამდე
უძრავად დგება.
და შემოდგომის სევდიანი წვიმა მტირალი
ფანჯრის მინებზე მოწანწყარებს
ოდნავ ხმაურით.
მიიზღაზნება უნაპირო უამთა მდინარე,
გულგრილი კაცთა ყოფნისა და
აურზაურის.

* * *

მამცნეთ, რა იქნა ის ურუანტელი
იმ სიყვარულის უმანკო დღეთა?!
სად ვუდარაჯო მერცხლებს გაფრენილთ,
მიმოფანტულებს მთათა და ველთა.
სხვა არაფერი, მხოლოდ ვიწოდე
მისთვის, მე მარად გულით მხურგალით,
სადაც ბავშვიბის დღენი მიხმობენ
და ცრემლიანი ქვის სასოფლო.

ელეგია

როცა მკვდართა მზე აავარვარებს
მაღალ მწვერვალებს მეწამულ ფერით,
დაიბინდება შენი სამარე,
ზედ დააწება სიჩუმე ბნელი.
სუფევს დუმილი გულთა მზარავი,
მთები აფრებად შავ ნისლებს შლიან,
არსად ეხია და არც კარავი,
რომ მონადირეს ფარავდეს გვიანს.
ვდგავარ და მგვემნ ფიქრები მქისე,
უკუნს მოვლემარეს ვერ ატანს თვალი,
შორ მოგონებებს მიველტვი ისევ,
ვაგლახ, ცხოვრება სავსეა შარით.
შენ კი აქ წევხარ, ქალო ნათია,
ნისლთა, მთათა და ხორშაკთა მხარეს,
შენს შეხავსებულ ეპიტაფიას
ნანას უმღერის ლემადის ქარი.

P.S. ბიძა დიძიშვილის ეს ლუქსი მუჯჭვნას
კურუტო ნათა დასურისოთვის. ნათას
ძალიან ჰყავარებია ბიძა დიძიშვილი.
ერთ დღეს მას სათხოვნად სახლით
მისულია ბიძა. მამის ხლომა თავის
ნაფიქრად ზე უარი უთხრა ნათას.
სახოწარეკვეთილის ქალმა თოფი დაიცა
მკერდში. ხულოთმობრძავი ნათა ბიძაშემს
ხელში აუყვანია, მას კი უთქამს –
„შენივის გევდებიო...“
(მურღვა არზოტელი)

* * *

თრთოლვით ვიგონებ იმ წამებს, ქალილ,
უღრუბლო ზეცას ეკიდა მთვარე...
საუკუნეთა მეგზური მტკვარი
შესდეულუნებდა მდემარე ღამეს.
ვის გაუთენდა სიცოცხლის გზაზე,
ვის აუმღერე სიცოცხლის ქნარი,
ვის დააფერფლე ეგ სილამაზე,
ან ვის მოედო სიამის ალი?
გული კვლავ გიხმობს,
თვალი შენ გეძებს
და უღიმღამო მიქრიან წლები;
ბერწი სიცოცხლე მკიდია ყელზე,
ვით სახრჩობელას დახრული ძვლები.

* * *

რად მიმზერ ასე, ჩემგან რას ელი,
რად გაქეს თვალები კაეშნიანი.
რად გერიდება ფიქრის გამხელის –
შენთა ვარამთა მყო მეც ზიარი.
ვიცი, ცხოვრება მკაცრია, კარგო,
(მოგონებანი ქრებიან გუნდად),
ეგებ, გაფრენილ სიყრმეზე დარდობ,
მაგრამ ის აღარ დაგიბრუნდება.
ო, რომ ძალმიძლეს იმ პირველყოფილ
უმანკოებას დაგიბრუნებდი
და იბრუნებდნენ გარეშე შფოთის
აღსასრულამდე ჩეგნი გულები.
მაგრამ მმულს, როცა ვადგავარ ბილიქს,
სხვათა ბინძური ფეხით გათელილს...
ჩემი გზით წავალ, ეულად ვივლი
და მომიტევებს არსთა გამჩენი.

* * *

ვხედავ, დრო მიდის, ამინდი
უფრო და უფრო ავდება.
ჩემი სიცოცხლის ცისკარი
კი აღარ ბრწყინავს, შავდება,
რომ ჩემი ყანის ჯეჯილი
ვერასდროს დათავთავდება.
ხვალ უარესიც არ მელის
ვინ დამიღება თავდებად?
მოკლელა მრჩება სავალი
და ისიც გამითავდება.
ჯერ კი აქა ვარ, სამზეოს
ისევ თენდება, ღამღება.
რის ძალით, ვისი წყალობით,
არ ვიცი, მაგვიანდება.

დრო

დრო – ისტორია კვალსისხლიანი,
კაცთა ცხოვრებას რომ ასგამს დამღას.
მრავლად დაემხნენ დინასტიანი,
მან კი არასდროს არ იცის დაღლა.

დრო – უძლეველი სული ტიტანის
და დრო მქურნალი ყველა იარის.
დრო – სამსხვერპლოზე სულის მიტანის
იგივ მოკვდავთა ყოფნის ზიარის.

ო, მას არ აკრთობს გრიგალთ ხმაური,
ვერ ელვარება პირბასრი ხმალის.
შეუსვენებლად რბის ბედაური
მისი და მაინც არა სჩანს კვალი.

აზრები

სხვის ტყუილს ის იოლად იჯერებს, ვინც თავად არასოდეს ტყუის.

მკვდრებს ფიზიკურად ვერავინ დასჯის.

ოხერა მხოლოდ უძლურთა და მწირთა ხვედრია.

გაბრიელ ჯაბუშანურის წერილები დიმიტრი ზვიადაურს

მმაო დიმიტრი!

შენი წერილი მივიღე. ჯიბლაძესთან ვიყავით, მაგრამ რაიმე დამატებით ჩარიცხვაზე ლაპარაკი ზედმეტი აღმოჩნდა. ვრცელი განცხადება შევიტანეთ, ყოველი ჩვენი მღვმარეობა აუხსენით, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. ახლა ერთი იმედიღა: ის ხევსურები, რომლებიც ქულათა უკმარისობის გამო უმაღლეს სასწავლებლებში დასწრებულზე ვერ ჩაირიცხნენ, უნდა ვეცადოთ და დაუსწრებელზე მოვაწყოთ. უნივერსიტეტის რექტორი ხარაძე და ჩხიკვიშვილიც (პუშკინის სახ. პედ.-ინ.-ტი) პრინციპულად თანახმა არიან, რომ ხევსურები დაუსწრებელზე ჩაირიცხონ, თუ ამას ჯიბლაძეც დაეთანხმება. ახლა გოგლა ლეონიძე ქალაქში არაა. ჩამოვა 5 სექტემბერს. აი, მაშინ დავწერთ მიმართვა-თხოვნას ამის თაობაზე და გოგლა ხელს მოაწერს, როგორც საშეფო კომისიის თავ-რე. წერილის მიღებისთანავე მაცნობე შენი მამისახელი.

პატივისცემით: გაბრიელ ჯაბუშანური
31.VIII.65. თბილისი

მმაო დიმიტრი!

დიდი სიყვარულით მოგიკითხავ და ყოველ კეთილს გისურვებ ცხოვრებაში. საქმე დაუსწრებელზე ჩარიცხვის თაობაზე ძველებურადაა და ტაატით მიღის. ხან ლეონიძე და ხან რექტორები არ იყვნენ აქ. ამასწინათ მე და გოგოჭური ვიყავით ჯიბლაძის მოადგილესთან. იქ გვითხრეს რომ ომარ არაბული სიაში ვნახეთო. გავიქეცით ჩხიკვიშვილთან. ცივი წყალი გადაგვასხა. გავიქეცით ისევ კომიტეტში. რაღაც გაუგებრობააო. მაინც დაგვპირდნენ: ამ ორ ხევსურს (ომარს და ერთ სხვა ხევსურ ქალს) დაუსწრებელზე ჩავარიცხვინებთო. ეს პუშკინში. ახლა მთავარი სიმაგრე დაგვჩა აუღებელი – უნივერსიტეტი. იქ შენ, შალიკო ქიბიშაური და მგონი ერთი სხვა გეგუახართ მოსაწყობი. იმავე ხანებში მე საავადყოფოში მომიხდა დაწოლა (ისევ გული მიწყალებს საქმეს სმისა და თამბაქოს მიზეზით). წასულ ორშაბათს დავწერ. წინა დღეს მე და გოგოჭური შევთანხმდით, რომ თუ მე საავადყოფოში დამატვენდნენ, მაშინ დავითი იბრძოლებდა თქვენს საქმეზე. ალბათ მაღლე რამეს გამაგებინებს. საერთოდ გოგოჭური მაგრად ცდილობს ხევსურებისთვის. მოგწერ კიდევ.

შენი წერილი მივიღე. ბოდიში, რომ შინ არ დაგხვდი, შენ როცა ჩემთან მოხვედი. ნოემბრის დღესასწაულების დროს ჩვენი შეხვედრა კი ჩაიშაბლა. რა ვუყოთ, როგორც ხედავ, ასე მოეწყო ჩვენი საქმე. სხვა დროს იყოს. თუნდაც მაისის დღესასწაულების დროს.

იყავი კარგად! შენი: გაბრიელ ჯაბუშანური
23 ოქტომბერი 1965 წელი. თბილისი.

• • •

ასტრიდ ლინდგრენის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატი

ასტრიდ ლინდგრენის სახელობის პრემიის მორიგი ლაურეატი გახდა არგენტინელი ავტორი და ილუსტრატორი მარისოლ მისენტა, რომელიც ასევე ცნობილია ფსევდონიმით ისოლი.

პრემიის პრეტენდენტი 207 ავტორი და ილუსტრატორი იყო მსოფლიოს 67 ქვეყნიდან. ჟიურის შეფასებით, მისენტას ნამუშევრები სავსეა ენერგიით და მკვეთრი ემოციებით. მან შეძლო ცხოვრების მუქი მხარეებიც კი იუმორით და მარტივად გაღმოეცა.

პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი 2013 წლის 27 მაისს სტოკოლმში გაიმართება.

შვედი მწერლის, ასტრიდ ანა ემილია ლინდგრენის სახელობის პრემია მისი გარდაცვალების წელს (2002) დაწესდა. ლინდგრენს არაერთი ცნობილი საბავშვო წიგნი და ფილმის სცენარი ეკუთვნის.

ტალღის ქაფი¹

(ჩეზარე პავეზეს თხზულებიდან
„საუბრები ლევკოსთან“)

(საპფონ საპფო² და
ბრიტომარტისი³)

საპფო: ერთფეროვნებაა აქ,
ბრიტომარტის. ერთფეროვანია ზღვა.
შენ დიდი ხანია აქ ბინადრობ. ნუთუ არ
გწყინდება?

ბრიტომარტისი: ვიცი, ის დრო
გერჩია, როდესაც მოკვდავი იყავი.
გეცოტავებათ მოკვდავებს აქაფებულ
ტალღად გადაიცევთ. თუმცა კი სწორედ
ამგვარ სიკვდილს ეძებთ.⁴ შენ რად
ესწრაფვოდი მას?

საპფო: არ ვიცოდი, ამგვარი თუ იყო.
მეგონა, გადავეშვებოდი ზღვაში და ამით
ყველაფერი დასრულდებოდა, სურვილი,
მღელვარება და შფოთვა დაცხებოდა.
ზღვა ყოველივეს ნოქაეს, ზღვა ყოველივეს
ანადგურებს-მეტქი, ვფიქრობდი.

ბრიტომარტისი: ზღვაში ყველაფერი
კვდება და შემდეგ კვლავ იბადება. აწი
უკვე იცი.

საპფო: შენ რაღატომ ეძიებდი ზღვას,
ბრიტომარტის?⁵ შენ ხომ ნიმფა იყავი?

ბრიტომარტისი: მე არ მიძებნია ზღვა.
მთებში ვბინადრობდი. მთვარის შუქით
განათებულ მაღლობებში გავურბოდი
ხოლმე ხან ერთ, ხან მეორე უცნობ
მოკვდავს, როდესაც დამედევნებოდნენ.
საპფო, შენ არ იციობ ჩვენს მაღალ ტყეებს,
ზღვის თავზე რომ გადმოწოლილან.
ზღვაში გადავეჭვი, თავი რომ გადამერჩინა.

საპფო: მერედა რისთვის? ნუთუ თავის
სახსნელად?

ბრიტომარტისი: იმისთვის, რომ იმ
მოკვდავთ გავქცეოდი, დავრჩენილიყავი
მედ. იმიტომ, რომ ასე უნდა
მოვქცეულიყავი, საპფო.

საპფო: იმიტომ, რომ ასე უნდა
მოქცეულიყავი? მეტისმეტად არ მოგწონდა
ის მოკვდავი?

ბრიტომარტისი: არ ვიცი, კარგად არც
მინახავს. ვიცოდი მხოლოდ, რომ უნდა
გავქცეულიყავი.

საპფო: ნუთუ შესაძლებელია დატოვო
დღის სინათლე, მთანი, მდელონი, დატოვო
მიწა და ტალღის ქაფად იქცე მხოლოდ
იმიტომ, რომ ასე უნდა მოქცეულიყავი?



ჩეზარე პავეზე

ვითომ მართლა ეს უნდა გექნა? რას
გეუბნებოდა გული? სურვილებისგანაც
ხომ იყავი შექმნილი?

ბრიტომარტისი: არ მესმის შენი,
ძვირფასო საპფო. სურვილებმა და
მღელვარებამ შენ აქაფებულ ტალღად
გაქციეს. მაგრამ ჩივი, რომ მეც გავექმი
მათ.

საპფო: შენ მოკვდავი არ ყოფილხარ
და იცოდი, რომ ვერავინ ვერაფერს ვერ
გაექცევა.

ბრიტომარტისი: სურვილებს არ
გავქცეულვარ, საპფო. რაც მსურდა,
მივიღე. თავდაპირველად კლდეების ნიმფა
ვიყავი, ახლა კი ზღვის ნიმფა ვარ.
მარადიული ცვლისგან შევქმნილვართ.
ჩვენი ცხოვრება ხან ფოთოლი და
ხეა, ხან – წყარო და ტალღის ქაფი.
კლდილობთ, რაც შეიძლება ახლოს
ვიყოთ გარემოსთან. როდი გავრბივართ,
გარდავიქმნებით. ესაა ჩვენი სურვილიც
და ხვედრიც. მხოლოდ ის გვაშინებს,
ვაითუ რომელიმე ვაჟი დაგვეუფლოს,
შეგვაჩეროს. ეგ ხომ ჩვენი აღსასრული
იქნება. მართლა, აი, კალიფსო ხომ იცი?

საპფო: მსმენია მის შესახებ.

ბრიტომარტისი: კალიფსომ ერთ კაცს
ნება მისცა დაუფლებოდა მას, შეეჩერებინა
იგი.⁶ ამ კაცის გარდა ყველაფერმა
მნიშვნელობა დაკარგა მისთვის. წლობით
აღარ გამოსულა თავისი მღვიმიდან.
ლევკოთეა, კალიანეირა, კიმოდოკე,
ორეითითა, – ყველანი მივიღნენ მასთან,
მივიღდა ამფიტრიტეც,⁷ დაელაპარაკნენ,
თავისთან წაიყვანეს, იხსნეს. მაგრამ
ამას წლები დასჭირდა, ვიდრე ის კაცი
წავიდოდა.

საპფო: მე მესმის კალიფსოსი. მაგრამ
არ მესმის თქვენ რად დაგიჯერათ.
რაღაა ის სურვილი, სხვა ძალას რომ
დაემორჩილება?

ბრიტომარტისი: ოპ, საპფო, მოკვდავო
ტალღავ, შეიცნობ როდისმე, რა არის
გაღიმება?

საპფო: ვიცოდი ცოცხალმა და
სიკვდილი ვეძიე.

ბრიტომარტისი: ოპ, საპფო, გაღიმება
ეგ როდია. გაღიმება ნიშნავს ტალღის
ან ფოთლის დარად იცოცხლო, ბედს
შეეგუო, ნიშნავს მოკვდე და მერე კვლავ
დაიბადო სხვა სახით, ნიშნავს შეურიგდე,
შეურიგდე საქუთარ თავს და ხევდრს.

საპფო: მაშ, შენ დაემორჩილე ბედს?

ბრიტომარტისი: გავექეცი, საპფო.
ჩვენთვის უფრო იოლია.

საპფო: მეც, ბრიტომარტის, მეც
გავურბოდი. ჩემი გაქცევა ნიშნავდა
მშვოთვარე გარემოში მეცხოვრა, მასზე
სიძლერა ან ლექსი შემეთხზა. მაგრამ
ხვედრი სულ სხვა არის.

ბრიტომარტისი: რატომ, საპფო?
ხვედრი სიხარულია, და როდესაც
სიძლერას მღეროდი, ბედნიერი იყავი.

საპფო: არასდროს ვყოფილვარ
ბედნიერი, ბრიტომარტის. სურვილი
სიძლერა როდია. სურვილი გამსხვრევს
და გწვავს, როგორც გველი და როგორც
ქარი.

ბრიტომარტისი: ნუთუ არასდროს
გსმენია რომელიმე მოკვდავ ასულზე,
მშვიდად რომ განევლოს სიცოცხლე
სურვილებითა და მღელვარებით?

საპფო: არა, არასდროს... თუმცა მგონი
კი... მაგრამ მოკვდავი, საპფოს მსგავსად,
არცერთი ყოფილა. როდესაც შენ ჯერ
კიდევ მთების ნიმფა იყავი, ხოლო მე
ჯერაც არ ვშობილიყავ, ერთმა ასულმა
გადალახა ეს ზღვა. მოკვდავი იყო,
საოცრად მშვოთვარე ცხოვრების გზა
განვლო... თუმც ეგებ სულაც მშვიდი
იყო მისი სიცოცხლე. ეს ქალი იწვევდა
ირგვლივ ნგრევას, სრვას, როგორც ეს
ქალღმერთს შეუძლია. მარად ასეთად
დარჩა. იქნებ გაღიმების მიწეზი არც
ჰქონია როდისმე, ლამაზი იყო, გრიძერიც,
და მის გამო ერთმანეთს ებრძონენ და
ხოცავდნენ.⁸ ბრიტომარტის, იბრძონენ
და კვდებოდნენ მხოლოდ იმ სურვილით,
რომ ამ ქალის სახელი თუნდ ერთი
წამით თავიანთ სახელს დაკავშირებოდა.
მისი წყალობით შეიძო სახელ-დიდებით
თითოეული იმ გაუკაცის ცხოვრებისა თუ
სიკვდილის ამბავი. მისთვის იღიმოდნენ...
იცი, ვისაც ვგულისხმობ, — ელენეს,
ტინდარეოსისა და ლედას ასულს.

ბრიტომარტისი: მერედა, ბედნიერი
იყო?

საპფო: არაფერს გაქცევია, ეს მაინც
ცხადია. არც არაფერი უძებნია. არ
უკითხავს, რა იყო თავისი ხვედრი. ვინც
მოისურვა და ძალი შესწევდა, თავისთან

წაიყვანა იგი. ათი წლით გაპყვა ერთ
გმირს, შემდეგ მას მოსტაცეს და სხვას
მიათხოვეს. ამანაც დაჰკარგა იგი, ზღვის
გადაღმა მრავალი ვაჟკაცი შეერქინა
ერთმანეთს ამ ქალის გულისთვის.
ბოლოს დაიბრუნა იგი მეორე გმირმა.⁹
უდრტვინველად განვლო სიცოცხლე,
ხოლო გარდაცვალების შემდეგ ჰადესში
კიდევ მრავალი სხვა ყმა გაიცნო. ვინ
იცის, უგებ იყო კიდეც ბედნიერი.

ბრიტომარტისი: შენ გშურს მისი?

საპფო: არავისი არაფერი მშურს. მე
მინდოდა მოვმკვდარიყავი. სხვად ყოფნა,
სხვა რაიმედ გაღატცევა მეცოტავება. თუ
არ შემძლია ვიყო საპფო, მირჩევნია
საერთოდ არაფერი ვიყო.

ბრიტომარტისი: მაშ, ურიგდები
ხვედრს?

საპფო: არა, არ ვურიგდები. თავად ვარ
ხვედრი. ბედს არავინ ეგუება.

ბრიტომარტისი: ჩვენს გარდა, ვინც
ვიცით გაღიმება.

საპფო: განა რა, ეგ ხომ თქვენი
ხვედრია! მაინც რას გულისხმობს შენი
სიტყვები?

ბრიტომარტისი: გულისხმობს,
შეურიგდე იმას, რაც შენშია, და ხვედრს.

საპფო: და ეს რას ნიშნავს? ნუთუ
შესაძლოა შეურიგდე ისეთ მდგომარეობას,
როდესაც უცნობი ძალა გიტაცებს
და სურვილად გაქცევს, მოცახცახე
სურვილად, რომელიც, როგორც ქაფი
რიფებს შორის, თრთის მისი სხეულის
გარშემო, ვისაც ეტროფი, ხოლო ეს სხეული
ცდილობს მოგამშოროს, დაგამსხვრიოს და
შენ უცემი, ამ დროს გსურდეს რიცს
მოეხვიო, რიცს შეეგუო? ზოგჯერ თავად
ხარ რიცა, ხოლო ქაფი — მღელვარება
— შენს ფერხთით თრთის. არავის აქვს
სიმშვიდე. ნუთუ შეიძლება შეეგუო
ყველღივე ამას?

ბრიტომარტისი: უნდა შეეგუო. შენ
ისურვე გაქცეოდი და თავადაც ქაფი
ხარ ახლა.

საპფო: პო, მაგრამ შენ გრძნობ ზღვის
ამ მოწყენილობას, ამ მღელვარებას? აქ
ყველაფერი სველია და განუწყვეტლივ
ბრუნავს, ირჩევა. ისიც კი, რაც მკვდარია,
მშვოთვარედ ცახცახებს.

ბრიტომარტისი: კი უნდა იცნობდე
ზღვას! შენც ხომ კუნძულიდან ხარ...

საპფო: პო, ბრიტომარტის, ბავშვობიდან
შიშს მგვრიდა ზღვა. ერთფეროვანი და
მწუხარეა ეს ზღვაში გამეფებული
განუწყვეტებლი სიცოცხლე. სიტყვა ვერ
აღწერს ამ მოწყენილობას.

ბრიტომარტისი: ოდესლაც, ჩემს
კუნძულზე, ვხედავდი, როგორ მოდიოდნენ
და მიღიოდნენ მოკვდავნი. ასულნი იყვნენ,
შენსავით სიყვარულით გულანთებულნი,

საპფო. არასოდეს მომჩვენებიან სევლიანნი ან დაღლილნი.

საპფო: ვიცი, ბრიტომარტის, ვიცი. მაგრამ გაადევნე კი თვალი მათი ცხოვრების შემდგომ გზას? ერთ-ერთმა მათგანმა საკუთარი ხელით ჩამოიხრო თავი თავისი სახლის კოჭზე, ხოლო მეორეს ერთ დილით რიფზე გამოეღვიძა მიტოვებულს.¹⁰ კიდევ მრავალი სხვა ქალი იყო მათს შორის, ყველა კუნძულიდან, ყველა ქეყნიდან იყვნენ, ზღვას მიაშურეს, ზღვას გაჰყვნენ და ერთს მსახურობა არგუნა ბერდა, მეორეს – სიმწარე, მესამემ საკუთარი შვილები დახოცა, სხვა დღენიადაგ იტანჯებოდა, კიდევ სხვამ ვეღარასოდეს დაადგა ფეხი ხმელეთზე, ერთ-ერთი კი ზღვის ურჩხულად გადაიქცა.¹¹

ბრიტომარტისი: მაგრამ ტინდარეოსის ასული, როგორც თავად თქვი, უკნებლად გადაურჩა ზღვას.

საპფო: ოღონდ ისე, რომ ირგვლივ ცეცხლსა და ხოცა-ჟღერას თესავდა. არავისთვის გაუდიმია, არც არავინ დაუღალატებია. აპ, ნამდვილად ისეთი იყო, როგორიც ზღვას ეკადრება. ბრიტომარტის, გაიხსენე ვინ იშვა აქ ქვემოთ, ზღვაში!!

ბრიტომარტისი: ვის გულისხმობ?

საპფო: არის კიდევ ერთი კუნძული, რომელიც არ გინახავს. როდესაც აისი ამოდის, ჯერ ამ კუნძულს ეცემა მზის სხივი...

ბრიტომარტისი: ოპ, საპფო!

საპფო: პირველად სწორედ ამ კუნძულზე დაადგა ფეხი ზღვის ქაფიდან შობილმა, მან, ვისაც არ აქვს სახელი, ვინც მიზეზია სხვათა გულების ღელგისა და მარად იღიმის.¹²

ბრიტომარტისი: მაგრამ ის არ იტანჯება, დიდი ქალღმერთია.

საპფო: და ყოველივე, რასაც ზღვა ასველებს და რაც ზღვაში თრთის, მისი არსი და მისი სუნთქვაა. გიხილავს იგი, ბრიტომარტის?

ბრიტომარტისი: ოპ, საპფო, მაგას ნუ იტყვი! მე მხოლოდ ერთი უბრალო ნიმუხა ვარ.

საპფო: მაშ, ხომ ხედავ...

ბრიტომარტისი: მის წინაშე ყველანი გავრბივართ. მეტს ნულარას იტყვი, პატარავ!!

იტალიურიდან თარგმა
ნიკოლოზ შამუგიამ

¹ „ტალღის ქაფი“ წარმოადგენს რიგით მეშვიდე დიალოგს ჩეზარე პავეზეს ნაწარმოებისას „საუბრები ლევერისთან“.

² ძველი ბერძენი პოეტი ქალი (ძვ. წ. VII-VI საუკუნეები).

³ ტყის ნიმფა ძველბერძენულ მითოლოგიაში.

⁴ გაღმოცემის თანახმად, ჭაბუკ ფარნზე უიმედოდ შეყვარებული საპფო კუნძულ ლევკადის კლდიდან გადაეშვა ზღვაში და ასე დასარულა თავისი სიცოცხლე.

⁵ მითის ძინედვით, ბრიტომარტისი ზღვაში გადაეშვა, რათა გაქცეოდა მასზე გამიჯურულებულ კრეტის მეუე მინოსს, რომელიც დიდხანს მისდევდა ნიმუხას.

⁶ ბრიტომარტისი იხსებებს ნიმფა კალიფსოსა და ოდისევების ამბავს, როდესაც ტროას ობის შემდეგ შინ მიმავალმა გმორი რამდენიმე წელი დაპყო კალიფსოსთან კუნძულზე, ვიდრე ღმერთები დაეხმარებოდნენ გზის გაგრძელებაში.

⁷ პოსიდონის მეუღლე და აგრეთვე, პესიონდეს მიხედვით, ზღვის ღმერთ ნერევსის ასული.

⁸ საპფოს მხედველობაში აქვს ტროას ომი.

⁹ იგულისხმება თესევსის მიერ ელენეს მოტაცება, ხოლო შემდეგ ელენეს გათხოვება მენელაოსზე და მოგვიანებით პარისის მიერ მისი მოტაცება.

¹⁰ საპფოს მხედველობაში ჰყავს თესევსის მეუღლე ფედრა, ვისთვისაც საკუთარ გერზე, პიპოლიტოსზე გამიჯურება საბედისწერო აღმოჩნდა, და თესევსისგან კუნძულ ნაქსოსზე მიტოვებული არიაღნე.

¹¹ იგულისხმებან შემდეგი მითოლოგიური პერსონაჟი: ტროელი უფლისწულის, ჰექტორის მეუღლე ანდრომაქე, რომელიც ტროას ობის შემდეგ აქილევსის ძემ, ნეოპტოლემოსმა წაიყანა ხასად და მსახურად. ტროას მეფის, პრიამოსის ასული მისანი ქასანდრა, რომელიც, ტროას ობის შემდეგ აგამემონიის ხარჭად ჰექტოლი, კლიტემნესტრამ მოკლა. მედეა. იმ, რომელსაც სხვადასხვა სატანჯველი მოუვლინა ქალღმერთმა პერამ. ფრიქსისის და ჰელე, რომელსაც მმასთან ერთად ორქომენისიდან კოლხეთისკენ მოაფრინდა ოქროს ვერძი, როდესაც გადმოვარდა და შემდგომში მისი სახელის მიხედვით ჰელესპონტოსად წოდებულ სრუტეში ჩავარდა. ერთ დროს თვალწარმტაცი სკილა, ვის მიერ პოსედონის ძის, გლავეოსის გულის მოგებაც შეშურდა გლავეოსზე უიძედოდ შეყვარებულ გრძნეულ ქალღმერთ კირკეს; კირკემ ზღვაში, სადაც სკილა ხშირად ბასობდა ხოლმე, თავის მიერ შეზავებული სითხე ჩაასხა, რომელმაც საზარელ ურჩხულად აქცია ზღვაში ჩასული სკილა.

¹² საპფო გულისხმობს სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტეს, ვინც ზღვის ქაფიდან დაიბადა და ზღვიდან პირველად კუნძულ კვიპროსზე ამოვიდა. ძველი ბერძენი მის სახელს უკავშირებდნენ ძველბერძენულ სიტყვას „ქაფი“.

უამი ზნეობრივი მრწამსის დადგომისა...

„ტყის პირას ბარგი-ბარხანით დატვირთულ ადამიანთა დიდი ჯგუფი გამოჩნდა. მგზავრები ერთბაშად შედგნენ და გაპარტაზებული ნასახლარებით მოფენილ ფერდობებსა და ზღვის მიუსაფარ სანაპიროს დამწუხრებული მზერა მოავლეს.

შორს, პორიზონტზე, ცისკენ ყელაღერებული ნაგებობა იკვეთებოდა, უცხოდ ქათქათებდა და ამ გაუდაბურებულ სივრცეში ერთადერთ იმედად ჩანდა.

კედელი, ის შემზარავი, მათი მონობისა და სულიერი დაცემულობის აშკარა მოწმე, აღარსად იყო!

დაქანცულ სახეებზე გაუბედავმა ღიმილმა იელვა.“

ასე სრულდება ზურაბ თორიას ვრცელი მოთხოვობა „კედელი“. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები გასული სასუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისშია დაწერილი, მასში ასახული პოლიტიკური კონიუნქტურის გამო მკითხველმა თითქმის რვა წლის შემდეგ მიიღო ბატონ აკაკი ბრეგაძის ძალის ხმევით. მანამადე რედაქციებში მოგზაურობამ და „ფრთხილმა“ რედაქტორებმა უმოწყალოდ შეეპეც-გადაასწორეს იგი, რათა მავანთა რისხვა არ გამოეწვიათ. როგორც თავად ავტორი გვამცნობს, „ძლიერთა ამა ქვეყნისათას“ შიშის ზარს სცემდა უფლის, სულისა და რწმენის ხსენება.

უძველესი კოლხეთის მიწაზე, ყოფილ სამურზაყანოში, გაგილასა და ილორს შორის უხსოვარი დროიდან ყვაოდა სოფელი გუდავა, იგივე ზიგანის ციხედ წოდებული მოგზაურ არქენჯელო ლამბერტისაგან. დიდი სამშობლოს ბედი არც აცდენია პატარა სოფელს. ქალაქადაც იხსენიებდნენ და ციხედაც, რომაელთა კოპორტებიც „სტუმრობდნენ“ და თურქ-ოსმალონიც, არც შინა მტრებს დაუკლიათ ხელი და არც დიდ იმპერიებს, მშორმელ და მებრძოლ კოლხებს დღემდის შემოუნახავთ ხან გუდავად, ხან ანტიკურ ზიგანიოსად და ბოლოს „პრიმორსკოედ“ მონათლული სოფელი, ახლა რომ რუს ოკუპანტთა და მმობაზურგშექცეულ აფსუათა სამფლობელოში გადაბარებულა.

მწერალმა ლამაზად, ამ კუთხისათვის დამახასიათებელი სიბრძნითა და მისტიკურ-ფილოსოფიური ასპექტით გადაჭრა საკითხი პატარა სოფლისა, რომელიც „მშვიდობა-სარწმუნოებას“ ამოფარებულმა მტერმა უზარმაზარი კედლით შემოსაზღვრა, ზღვასა და ულამაზეს სანახებისაგან გამოაცალეკევა და მიისაკუთრა.

ქუჯა მოთხოვობის ერთ-ერთი გმირია უამრავ საინტერესოდ დახატულ პერსონაჟთა შორის, რომელსაც სჯერა მომავლისა, სჯერა, რომ უამრავ ბოროტებასა და მტარვალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ადრე თუ გვიან სიმართლე იმარჯვებს. სწორედ ამიტომაცაა სიცოცხლის საწყისი და უხსოვარი დროიდან კოლხთა ერთ-ერთი ღვთაება წყალი, იგივე ზღვა. წყლის სტიქია ხდება თავისუფლებისმოყვარე ადამიანთა თანამეკავშირე ბოროტებასთან ბრძოლაში.

მიუხედავად იმისა, რომ მაშინ, როდესაც ეს მოთხოვობა იწერებოდა, მნელად წარმოსადგენი იქნებოდა ბევრისოთვის ჩვენი სამშობლოს აგრერიგად დანაწევრება-დაქუცმაცება, მმათამკვლელი ომი და გაპარტაზება იმ წალკოტისა, სადაც ნაწარმოების პერსონაჟები ცხოვრობენ და იღვწიან, ავტორმა მაინც არარეალურ ფონზე განავრცო სიუჟეტი, რომელიც დღეს რეალურად იქცა. სამაგიეროდ ავტორის მისტიკური ხილვები გვაძლევს იმის იმედს, რომ დღევანდელი რეალობა ისევ არარეალური, მაგრამ ჩვენთვის სასურველი ხილვებით შეიცვლება და დაინგრევა ის კედელი, რომელიც მშობლიურ კერასით მიახლოების საშუალებას არ გვაძლევს, დაინგრევა კედელი, მიუხედავად ბევრთა და უამრავთა ხელისშემშლელი ქმედებისა და სიმართლე იზეიმებს.

ქუჯის თანამზრას გველ-თანამებრძოლად, თანასოფლელთა ნების წინააღმდეგ, სწორედ ზღვა, წყლის სტიქია ევლინება და მისი დახმარებით ინგრევა კედელი. დგება ჟამი, როცა უმთავრესი და გადამწყვეტი ზნეობრივი მრწამსი ხდება.

დაბოლოს, ვრცელი მოთხოვობა „კედელი“, ქალბატონ მანანა ჩიტიშვილის რედაქტორობით, 2012 წელს გამოსცა გამომცემლობა „მერიდიანმა“. იგი დიდი საჩუქარია თავისუფლებისმოყვარე, ოპტიმისტი მკითხველისათვის, რომელიც აგრერიგად ელის ზნეობრივი მრწამსის დადგომას.

ქორქია

თამას შაგმალაშვილი

ნუ გეშინია!

ნუ გეშინია! მე დათოვლილ
მზიდან მოვედი,
არ ვწვავ, სულს ვუდგამ მონატრების
ედელვაისებს...
რადგან მოვედი, ამ სოფელში
ვიცდი დროებით
და შენს ხელებში ვეძებ თრთოლვით
ედემმაისებს!



თოვლის სახელო

ნუ გეშინია, ამ სიყვარულს
იის ძალა აქვს,
და თუკი მაინც უმწეობით
სისხლი აყვირდეს...
არყოფნიდანაც არ მოგაკლებ
ფერადსანახავს –
დავიწყებასაც
გაზაფხულად აგიყვავილებ!

უამი და შიში წავშალე თითქოს,
ვერ დავიჯერებ ახლა არ მენდო...
ზედაზნის ფერად სამყაროს გითმობ,
რომ ორთავ სოფლად უმალ გამენდო...
თვალები მტკივა ცაგაკიდული –
სიცოცხლის ცარგვალს უნდა გავხედო
და როგორც მზერა ცრემლდაბინდული
მეჭირა შენი თოვლის სახელო



ახალი პროექტი „ჩემი ბავშვობა“

ლიტერატურული ჟურნალი „ანეული“, ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტტელევიზია Geolib TV-სთან ერთად, იწყებს ლიტერატურულ პროექტს „ჩემი ბავშვობა“.

პროექტში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ: ცნობილ მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, ზოგადად, ხელოვან ადამიანებს, რომელთაც უნდა მოგვაწოდონ ავტობიოგრაფიული თხზულება საკუთარი ბავშვობის შესახებ.

შერჩეული მასალები გამოქვეყნდება ჟურნალ „ანეულში“ და გადაიცემა ინტერნეტნტელევიზიით Geolib TV, წლის ბოლოს კი გამოიცემა ქრებული.

მასალების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4 ფორმატის 4 ნაბეჭდ გვერდს.

ჩევახი ინანოვაციების სახელობის ღიურიაშვილი კონფერენცია



უურნალ „ანეულის“ შემომწირველები:
მანანა ჩიტიშვილი, ივანე ჯაფარიძე,
სოსო მეშველიანი, გიორგი ზურებიანი,
როზა ინანიშვილი, ინესა მერაბიშვილი,
ნელი გოგუაძე, ირმა გოდერძიშვილი.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900

რევაზ ინაივოლის
გამოუქვეყნებული
ჩანაწერები

თემოო ავსაჯანიშვილის
ახალი ლექსები

რევაზ ინაივოლის
სახელობის ლიტერატურული
კონცურსის პრიზიორი
მოთხოვები

რუსთაველის საღამო
პრიფანეთის პირლიონიაშვილი

გურამ პატარაიას გახსენება

მანანა ჩიტიშვილი -
სამი დაუვიცხარი ჭახველი
ზაურ გოლძვაძესთან

გურამ პეტრიაშვილის
სილამაზის ცივი

შემარიტი რაინდი -
ციმონ არარიძე

ჩიზარე პავეზე -
„ტალღის ძაფი“

